

გეოსარკონ ჯორჯენაძე

ქართული ენის
ფაკულტატიური გრამატიკის
საკითხეები



თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1985

მონოგრაფიაში შესწავლილია ფორმათ- და სიტყვათწარ-
მოების საშუალებათა არატიპური გამოყენების შემთხვევე-
ბი ქართულში. ამ თვალსაზრისით განხილულია ფონეტიკუ-
რი პროცესები, ზმნისწინები, პირის, რიცხვის, გვარისა და
ქცევის კატეგორიები, მიმღობათა და მასდართა წარმოება,
სახელადი და ზმნური ფორმების ურთიერთმიმართების ზო-
გიერთი საკითხი.

ნაშრომი განკუთვნილია ენათმეცნიერთათვის, აგრეთვე
ფილოლოგი სტუდენტებისა და ასპირანტებისათვის.

რედაქტორი ა. კიზირია

რეცენზენტები: თ. სანიკიძე,

გ. გოგოლაშვილი

წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

ფაკულტატიური გრამატიკა განიხილავს ფორმათ- და სიტყვათ-წარმოების იმ რიგის მოვლენებს, რომლებიც არატიპურია მოცემული ენისათვის; ანუ: მოვლენებს, რომლებიც არ განსაზღვრავენ ამ ენის ბუნებას განვითარების გარკვეულ კონკრეტულ საფეხურზე.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს იმას, რომ ასეთი მოვლენები ენის შინაგანი ბუნებისაგან დამოუკიდებელი წარმოიქმნებიან. არა! ფაკულტატიურიც ენის შინაგანი შესაძლებლობითაა შეპირობებული. მაგრამ მისი არსებითი თავისებურება ისაა, რომ სხვა, ძირითადი, ენის ბუნების განმსაზღვრელი მოვლენებისაგან გამოირჩევა ენაში არსებული ფორმობრივი ინვენტარის სპეციფიკური გამოყენებით.

ნაშრომში გაანალიზებულია ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის რამდენიმე, ამჯერად უფრო წარმოჩენილი პრობლემა. მოცემულია ცდა ფაკულტატიური მოვლენების სისტემატიზაციისა და კვლევის შესაბამისი პრინციპების დადგენისა.

ლექსიკურ მნიშვნელობათა განმარტებისას (შესაბამისი ილუსტრაციებით) ძირითადად ვემყარებოდით პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოცემულ „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ რეატომეულს (1950—1964). ეს საჭირო იყო იმისთვის, რომ ამა თუ იმ ფორმის განსაზღვრაში სუბიექტური გააზრება არ მოხვედრილიყო. მაგრამ ზოგჯერ, როცა ამას ახლადგამოვლენილი მასალა ხდიდა საჭიროს, ხსენებული ლექსიკონიდან განსხვავებული განმარტებებიცაა წარმოდგენილი. გათვალისწინებულია ზოგი პოტენციურად დასაშვები ფორმის მონაცემიც.

ნაშრომის ცალკეული მონაკვეთები სხვადასხვა დროს მოხსენებულად იქნა წაკითხული სამეცნიერო სესიებზე.

ამჯერად ქართული ენის ფაკულტატიური გრამატიკის საკითხები ერთიანი სახით, მონოგრაფიულად არის წარმოდგენილი.

შესავალი

§ 1. ტერმინისათვის „ფაკულტატიური“. ნაშრომის სათაურში დასმული პრობლემის შესასწავლად ორი დებულებაა არსებითი:

ა) ენაში მნიშვნელობათა გამოხატვა, როგორც წესი, განსაზღვრული ფორმით ხდება. ფორმა ფართო გაგებით გვესმის: იგი გულისხმობს მნიშვნელობათა გამოხატვის ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და სინტაქსურ საშუალებებს.

კერძოდ:

ყოველ სიტყვას აქვს თავისი ფონეტიკური სტრუქტურა, რომლის ცვლილება შესაძლოა გამოყენებულ იქნეს მნიშვნელობათა განსასხვავებლად: ღრეკ-ა მასდარია ღრეკ-ს ზმნისა, ღრიკ-ა — იმავე ზმნის ნამყო ძირითადის ფორმა. სხვაობა ღრეკ-ა და ღრიკ-ა ფორმებს შორის მხოლოდ გახმოვანებაშია.

ყოველ ფორმას აქვს თავისი მორფოლოგიური ყალიბი, რომლის ცვლა მნიშვნელობათა ცვლილებას გამოხატავს: ვ-მალ-ავ მოქმედებითი გვარის ფორმაა, ვ-ი-მალ-ვ-ი ან ვ-ი-მალ-ებ-ი — ვნებითისა. ამ შემთხვევაში მორფოლოგიამ მოქმედებითი და ვნებითი გვარის მნიშვნელობები განასხვავა.

ყოველი ფორმა გარკვეული კონტექსტის წევრია. ფონეტიკურად და მორფოლოგიურად ერთი და იგივე ფორმა შესაძლოა სწორედ კონტექსტმა (ანუ: სინტაქსურმა წყობამ) განასხვავოს მნიშვნელობის მიხედვით: „კაცმა ვაღელილი მკერდი და-ი-ფარ-ა“ და „მინდორი ყვავილებით და-ი-ფარ-ა“ — გრამატიკული სუბიექტის ბრუნვამ (კაც-მა, მინდორ-ი) და უშუალო ობიექტის მქონებლობა-უქონლობამ განასხვავა გვარის თვალსაზრისით და-ი-ფარ-ა ფორმა: პირველ შემთხვევაში იგი მოქმედებითი გვარისაა, მეორე შემთხვევაში — ვნებითისა. ამ

შემთხვევაში ერთი და იმავე ფორმის გრამატიკული მნიშვნელობები სინტაქსურად განსხვავდება.

ბ) ფაკულტატიური ნიშნავს არაძირითადს, არასავალდებულოს, ანუ: ისეთი ფორმის გამოყენებას ამა თუ იმ ენობრივი მნიშვნელობის გამოსახატავად, რომელიც, ჩვეულებრივ, არ იხმარება ამ მიზნით.

ის, რომ ყოველი მნიშვნელობა ყოველთვის ამა თუ იმ ფორმით გამოიხატება, არ ვარაუდობს, რომ ფორმა და მნიშვნელობა განუყოფელი (ანუ: ურთიერთგამოუნაწევრებადი) ერთიანობაა. ფორმა და მნიშვნელობა დამოუკიდებელი მონაცემებია, რაც შესაძლებელს ხდის ერთი და იგივე მნიშვნელობა ფორმობრივ სხვადასხვა საშუალებებით იქნეს გამოხატული და, პირიქით, ერთმა და იმავე ფორმობრივმა სტრუქტურამ სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებულ მნიშვნელობათა გამოხატვა შეიძლოს.

დაზუსტებას საჭიროებს ცნება „ფაკულტატიური“.

ფაკულტატიური ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, პირობითი ტერმინია.

საქმე ისაა, რომ ფორმათა სემანტიკური ლაბილურობა უნაში ჩვეულებრივი მოვლენაა, ანუ: ჩვეულებრივია ისეთი შემთხვევები, როცა ერთი და იმავე ფორმით სხვადასხვა კონტექსტში განსხვავებული მნიშვნელობები გამოიხატება:

კაცი ძალს უმოწყალოდ ს-ცემ-დ-ა — გამოიხატება დინამიკა (მოქმედება), ზმნას მოეპოვება უღვლილების სრული პარადიგმა: ს-ცემ-ს... ს-ცემ-ა... უ-ცემ-ო-ა, ე-ცემ-ა...	თმა კოჭებამდე ს-ცემ-დ-ა — გამოიხატება სტატიკა (მდგომარეობა), ზმნას მოეპოვება მხოლოდ აწმყოს წრის ფორმები: ს-ცემ-ს, ს-ცემ-დ-ა, ს-ცემ-დ-ე-ს.
---	---

განსხვავებულია ლექსიკური მნიშვნელობაც და გრამატიკულიც. ლექსიკურად პირველი კონსტრუქციის ს-ცემ-დ-ა ნიშნავს „ურტყამდა“, მეორე კონსტრუქციისა — „სწვდებოდა“.

გრამატიკულად სხვაობს დინამიკა და სტატიკა, ამის გამო — გვარისა და გარდამავლობის მნიშვნელობებიც.

ერთი თავისებურებაც:

დინამიკური ს-ცემ-დ-ა შესაძლოა იყოს ორვალენტიანიც („კაცი ძალღს ჯოხით უმოწყალოდ სცემდა“) და სამვალენტიანიც („კაცი ძალღს ჯოხს უმოწყალოდ სცემდა“). მეორე კონსტრუქცია ახალ ქართულში იშვიათია, მაგრამ სავსებით დასაშვებია.

სტატიკური ს-ცემ-დ-ა კი მხოლოდ ორვალენტია.

ეს სხვაობა კერძო ხასიათისაა, მაგრამ იმავდროულად ნათელი ნიშნუში იმისა, თუ რა დამატებითი გრამატიკული თვისობა შეიძლება შეიძინოს კონტექსტის საშუალებით სემანტიკურად განსხვავებულმა ფორმებმა.

მნიშვნელობათა ამგვარი კონტექსტური ნაირსახეობანი, რა თქმა უნდა, არ განიხილება როგორც ფაკულტატიური.

ფაკულტატიური უწინარეს ყოვლისა გულისხმობს იმას, რაც ფორმათა და მნიშვნელობათა „უჩვეულო“ მიმართებას ქმნის, ანუ: გამოიყენება ენაში დამკვიდრებულთაგან განსხვავებული წესი ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა გამოსახატავად; უკეთ: ლექსიკურ მნიშვნელობას ანდა გვარის, ქცევის, პირის და სხვა გრამატიკულ მნიშვნელობებს განასხვავებს ფორმათა იმგვარი შეპირისპირებანი, რომლებიც ან საერთოდ უცხოა მოცემული ენისათვის, ან კიდევ, ჩვეულებრივ, იხმარება სხვა (და არა კონკრეტულად ამ) მნიშვნელობათა გამოსახატავად.

ნიშნულ დავასახელებთ ერთ მაგალითს.

შეპირისპირება:

ა-თეთრ-ებ-ს — თეთრ-დ-ებ-ა

ა-შენ-ებ-ს — შენ-დ-ებ-ა

ა-ერთიან-ებ-ს — ერთიან-დ-ებ-ა

ქართულში ჩვეულებრივ მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს (და მასთან ერთად — ფუნქციებს) განასხვავებს.

ესაა ძირითადი წესი, გვარის კატეგორიის გამოხატვის ერთ-ერთი დამკვიდრებული საშუალება ქართულში.

იმავდროულად, ფორმობრივ ანალოგიურმა შეპირისპირებამ შესაძლოა განსხვავებული სემანტიკური დანიშნულება მოიპოვოს:

ა-პირ-ებ-ს — (პ)-პირ-დ-ებ-ა.

აქ უკვე განსხვავებულია არა გვარის ორი სხვადასხვა (მოქმედებითი და ვნებითი) ფორმა, არამედ გვაქვს ორი განსხვავებული ლექსიკური ერთეული:

ა--პირ-ებ-ს — განზრახული აქვს რაიმეს გაკეთება...

(პ)-პირ-დ-ებ-ა — პირობას აძლევს...

თუკი ქართული ენის განვითარების მოცემულ საფეხურზე ა-თეთრ-ებ-ს — თეთრ-დ-ებ-ა ტიპის ფორმობრივ-სემანტიკური შეპირისპირება ძირითად წესად დავასახელებთ, მაშინ ფორმობრივ იმავე რიგის, ოღონდ სემანტიკურად განსხვავებული შეპირისპირება ა-პირ-ებ-ს — (პ)-პირ-დ-ებ-ა ტიპისა, უნდა განისაზღვროს როგორც ფაქულტატიური.

§ 2. ენის ფორმობრივ ელემენტთაგან უმეტესობას, ჩვეულებრივ, მეტნაკლებად მყარი სემანტიკური სტატუსი მოეპოვება. ეს ნიშნავს: ერთსა და იმავე პოზიციაში ესა თუ ის ფორმობრივი ელემენტი ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხატავს.

მაგალითად, -დ ფორმანტს, რომელიც I სერიაში ამოსავალ ფუძესა და თემის ნიშანს შორის პოზიციას იკავებს, ვნებითის ფუნქციის გამოხატვა აკისრია:

თეთრ-ი→თეთრ-დ-ებ-ა, თეთრ-დ-ებ-ოდ-ა...

წუხ-ს→წუხ-დ-ებ-ა, წუხ-დ-ებ-ოდ-ა...

მაგრამ ის -დ ფორმანტი, რომელიც თემის ნიშნის მომდევნო პოზიციას იკავებს, უკვე ნამყო უსრულის ფუნქციის გამოხატველად გვევლინება:

ა-თეთრ-ებ-ს→ა-თეთრ-ებ-დ-ა...

ა-წუხ-ებ-ს→ა-წუხ-ებ-დ-ა...

უკეთ: ნამყო უსრულის ფუძეს აწარმოებს.

ერთსა და იმავე პოზიციაში მოხვედრილი ფორმობრივ იდენტური ფორმანტები შესაძლოა ნაირგვარ ფუნქციას გამოხატავდნენ იმ შემთხვევაში, თუ განსხვავებულია:

ა) კონტექსტი (კონსტრუქცია):

„დედამ ჩურჩხელები და-ა-რიგ-ა“ — აქ ა- პრეფიქსი არსებითად უფუნქციოდაა წარმოდგენილი. ამიტომაც ამ ზმნის ასეთი დანაწევ-

რება (და-ა-რიგ-ა) ფორმობრივ ნიშანს ეფუძნება, სემანტიკურად ა-პრეფიქსი ფუძის გამოუნაწევრებელი ელემენტია: და-არიგ-ა.

„დედამ შვილს ქკუა და-ა-რიგ-ა“ — აქ უკვე ა-პრეფიქსი კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის პოვნეირებაზე მიუთითებს:

და-ა-რიგ-ა შვილ-ს — გამოხატავს კომიტატივის (თანაობის) ფუნქციას.

ანდა:

მამამ ამბავი და-გ-ი-ბარ-ა — ზმნა სამვალენტიანია, გ- ირიბ-ობიექტურ პირს გამოხატავს.

მამამ თავისთან და-გ-ი-ბარ-ა — ზმნა ორვალენტიანია, გ- უშუალო-ობიექტურ პირზე მიანიშნებს.

ბ) ფორმობრივი სტრუქტურა (ყალიბი):

კვამლს თავისკენ ი-ბოლ-ებ-ს;

ლორი ი-ბოლ-ებ-ა.

პირველ შემთხვევაში ი- გამოხატავს იმას, რომ სუბიექტს უბრუნდება მოქმედების შედეგი, მეორე შემთხვევაში — თვით მოქმედება. პირველი ზმნა გარდამავალია, მეორე — გარდაუვალი.

ი-პრეფიქსის ფუნქციები ფორმის ყალიბმა განასხვავა.

გ) განსხვავებულია ორივე — როგორც კონტექსტი, ასევე ყალიბი (ფორმობრივი სტრუქტურა):

კვამლს თავისკენ ი-ბოლ-ებ-ს (1)

ბუხარი ი-ბოლ-ებ-ს (2)

ლორი ი-ბოლ-ებ-ა (3).

ი-ბოლ-ებ-ს (1) და ი-ბოლ-ებ-ა (3) განსხვავებულია ყალიბითაც და კონტექსტითაც (ანუ: როგორც მორფოლოგიური, ასევე სინტაქსური სტრუქტურითაც);

ი-ბოლ-ებ-ს (2) და ი-ბოლ-ებ-ა (3) — მხოლოდ ყალიბით (ბუხარი ი-ბოლ-ებ-ს და ლორი ი-ბოლ-ებ-ა — იდენტური სინტაქსური სტრუქტურის შემთხვევაში ზმნის განსხვავებული ფორმებით განსხვავებული მნიშვნელობები გამოიხატება);

ი-ბოლ-ებ-ს ის მას (1) და ი-ბოლ-ებ-ს ის (2) — განირჩევა მხოლოდ კონტექსტით (სინტაქსური კონსტრუქციით).

შედგვი სამივე შემთხვევაში ერთი და იგივეა — სხვადასხვა სა-
შუალებათა გამოყენებით ენამ განასხვავა მნიშვნელობები.

სამივე შემთხვევაში მავანი ფორმის ძირითადი სემანტიკური მა-
ხასიათებლები ფუნქციონირებს.

ენობრივი მონაცემის ფაკულტატიურ გამოყენებასთან კი მაშინ
გვექნება საქმე, როცა რომელიმე ფორმობრივი ელემენტი სხვა, მის-
თვის არაძირითადი ფუნქციის გამოხატვის უნარს შეიძენს.

ამა თუ იმ ფუნქციის ფაკულტატიური გამოხატვის უნარი ერთ-
ერთი არსებითი ღირებულების მქონე მოვლენაა ენაში. ამ გზით ენა
ინარჩუნებს მოქნილობას და იმის შესაძლებლობას, რომ მინიმალურ-
ი ფორმობრივი ინვენტარით მიაღწიოს მაქსიმალურ გამომხატველო-
ბას, რითაც თავიდან აირიდებს ფორმობრივ სისტემათა და სტრუქტუ-
რათა ზედმეტ დამძიმებას.

ყოველი ფორმანტი სხვა ფორმანტებთან მიმართებაში იძენს
თავის დანიშნულებასა და მნიშვნელობას. ხოლო მაშინ, როცა ფორ-
მანტთა სისტემაში შემოდის ახალი ელემენტი ან იკარგვის ძველი,
ხდება მნიშვნელობათა ახლებური გადაწარმოება, იქმნება ახლებური
ენობრივი სტატუსი, ახლებური მიმართებანი, რომელთაგან ზოგიერ-
თი ლაბილური ბუნებისაა, რაც ხელსაყრელ პირობას ქმნის მათი ფა-
კულტატიური გამოყენებისათვის.

ფაკულტატიურად გამოყენებულ ელემენტთა ერთი ნაწილი ფა-
კულტატიურადვე რჩება, სხვა — დროთა განმავლობაში ძირითადი
ინვენტარის სტატუსს იძენს.

ეს კი ნიშნავს, რომ ცნება „ფაკულტატიური“ ენის ფუნქციონი-
რების გარკვეულ (კონკრეტულ) პერიოდს გულისხმობს. იგი არ განე-
კუთვნება ენის იმ მონაცემებს, რომლებიც ენის შინაგან რაობას გან-
საზღვრავენ განვითარების ყველა საფეხურზე.

ამიტომაც დროის ფაქტორი არსებითია ფაკულტატიურობის გან-
საზღვრისათვის.

მაგალითად, ლექსიკური დაპირისპირება ად- და ა- ზმნისწინებს
შორის (ად-იძრ-ა და ა-ი-ძრ-ა). შეუძლებელი იქნებოდა ძველ ქარ-
თულში, მაგრამ დასაშვები აღმოჩნდა ახალ ქართულში.

შემდეგ: ზემოდასახელებული ი-ბოლ-ებ-ს ის მას აწმყოა, ი-ბოლ-
ებ-ს ის — მყოფადი, კერძოდ, ბოლ-ავ-ს ზმნის მყოფადი. ბოლ-ავ-ს—

ი-ბოლ-ებ-ს მიმართება ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია ახალ ქართულში აწმყოსა და მყოფადი ღროების განსასხვევებლად. იყო კი ფაკულტატიური, კერძოდ, მაშინ, როცა უღვლილების სისტემის ცვლა ხდებოდა.

მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიურ საშუალებათა გამოყენება ენის შემოქმედებითი უნარის უშუალო გამოვლინებაა.

§ 3. ენაში არსებობს მნიშვნელობათა ორი ნაირსახეობა. ლექსიკური და გრამატიკული, რომლებიც შესაბამისი ფორმობრივი ინვენტარით გამოიხატება.

ენის ფორმა ღროთა ვითარებაში იცვლება.

იცვლება როგორც საკუთრივ ფორმობრივი სტრუქტურის, ასევე ამა თუ იმ მნიშვნელობის გამოხატვის თვალსაზრისით.

იყო: წარვიდა, არის: წავიდა.

შეიცვალა ფორმის ფონეტიკური სტრუქტურა, მნიშვნელობა იგივე დარჩა.

იყო: წარვედ, არის: წადი.

ფონეტიკურთან ერთად შეიცვალა მორფოლოგიური სტრუქტურაც. გამოიხატება იგივე მნიშვნელობა.

იყო: დაუწერიეს, არის: დაუწერია.

შეიცვალა ფორმის მორფოლოგიური სტრუქტურა, მაგრამ ორივე შემთხვევაში გამოიხატება ერთი და იგივე მნიშვნელობა.

იყო: ეშინის მას მისგან, არის: ეშინია მას მისი.

იცვალა ფორმის როგორც მორფოლოგიური, ასევე სინტაქსური სტრუქტურა, თუმცა გამოხატული მნიშვნელობა უცვლელია.

დასახელებული იყო ქრონოლოგიური ცვლილების ნიმუშები.

ცვლილება სივრცული ხასიათისადა. ესაა დიალექტური ცვლილება:

წავიდა → წევიდა.

პრინციპი არსებითად იგივეა.

ამის საპირისპიროდ, შესაძლოა იცვალოს მნიშვნელობა ისე, რომ არ მოხდეს ფორმობრივი სტრუქტურის ცვლა.

აღ-ღგ-ა ძველ ქართულში იმავე მნიშვნელობით გამოიყენებოდა, რაც ამჟამად ა-ღგ-ა ზმნით გამოიხატება.

აღ-ღგ-ა ამჟამად ნიშნავს: „აღორძინდა, განახლდა...“

ასე რომ, აღ-ღგ-ა ძველ ქართულში იყო და ახლაც გვაქვს.

ფორმობრივი სტრუქტურა (კონკრეტულად ამ ფორმისა) არ შეცვლილა, იცვალა მნიშვნელობა.

ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი აქვს.

მართალია, საკუთრივ „აღდგა“ ფორმობრივი არ შეცვლილა, მაგრამ იცვალა ფორმობრივი მიმართება: თუკი ძველად აღ-დგ-ა უპირისპირდებოდა იმავე ფუძის მხოლოდ უზმნისწინო ან სხვა ზმნისწინიან ვარიანტებს (დგა, წარსდგა, განდგა, მოდგა...), შემდგომ ამ ფორმობრივი სისტემაში აღ-ზმნისწინის ფონეტიკურად გამარტივებული ვარიანტიც შემოვიდა (აღ--→ა), რამაც საფუძველი შექმნა აღ-დგ-ა ფორმით განსხვავებული მნიშვნელობა გამოხატულიყო.

ანუ: თუმცა უცვლელი დარჩა საკუთრივ ფორმობრივი სტრუქტურა (აღ-დგ-ა), შეიცვალა ფორმობრივი სისტემა (აღ-დგ-ა—წარ-ს-დგ-ა, მო-დგ-ა...→აღ-დგ-ა — ა-დგ-ა, წარ-ს-დგ-ა, მო-დგ-ა...), რამაც საფუძველი მისცა სემანტიკურ ცვლილებას.

რა თქმა უნდა, ფორმობრივი სტრუქტურის ცვლას უმეტეს წილთან ახლავს ხოლმე სემანტიკური ცვლაც და, პირიქით, სემანტიკური ცვლილება, როგორც წესი, დაკავშირებულია ფორმობრივი ცვლილებასთან.

ამჭერად კი ყურადღებას ვამახვილებთ ისეთ ცვლილებაზე, რომელიც:

ა) არ უნდა იძლეოდეს და მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში არც იძლევა რაიმე სემანტიკურ სხვაობას;

ანდა —

ბ) იძლევა ისეთს, რომელიც ამგვარი ფორმობრივი ცვლილებებისათვის, ჩვეულებრივ, არ არის ნიშანდობლივი.

ნიმუში პირველი შემთხვევისათვის:

ერთ ფორმას ქრონოლოგიურად (ან სივრცულად) ცვლის მეორე, რაც იწვევს ახალი ფორმის დამკვიდრებასა და ადრეარსებულის გაქრობას. მაგრამ ზოგჯერ ენას შემორჩება ორივე ვარიანტი, რომლებიც პარალელურად, ერთი და იმავე მნიშვნელობის გამოსახატავად ფუნქციონირებენ: ჩეხ-ს და ჩეხ-ავ-ს, ფრენ-ს და ფრინ-ავ-ს, სენ-ი და სნე-ულემა და სხვა მისთ.

მაგრამ იმავდროულად ამ რიგის პარალელური ფორმები (ვარიანტები) ენამ შეიძლება გამოიყენოს მნიშვნელობათა განსახვავებლად.

ქართულში ჩვეულებრივია ვა→ო პროცესი. უმრავლეს შემთხვე-

ვაში ეს ცვლილება რჩება დიალექტურ დონეზე. რამდენიმე ნიმუშია მხოლოდ იმისა, რომ ამ სახის ფონეტიკური ნაირგვარობები მნიშვნელობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. იგულისხმება კვამლ-ი („ბოლი“) და კომლ-ი („ოჯახი“) რიგის დაპირისპირებანი, რომლებიც თავისი არარეგულარობისა და, რაც მთავარია, არასისტემურობის გამო უნდა განისაზღვროს როგორც ფაკულტატიური.

ნიმუში მეორე შემთხვევისათვის:

ქართულში ჩვეულებრივი მიმართებაა: წერ-ს→ა-წერ-ს, ანდა: წერ-ს→ი-წერ-ს, თუ: წერ-ს→უ-წერ-ს... ხმოვანპრეფიქსიანი ფორმა ცვლის მოქმედების სახეობას: ა-სიახლოვეზე, თანაობაზე მიანიშნებს, ი- უკუქცევას გამოხატავს, უ- —სხვის საპარგებლოდ (ან საზიანოდ) ჩადენილ მოქმედებას. ესაა ფორმათცვლილების ჩვეულებრივი წესი ქართულისათვის.

იმავედროულად ა-, ი- და უ- პრეფიქსები შესაძლოა გამოყენებულ იქნენ დროის თვალსაზრისით ფორმათა განსასხვავებლად, ე. ი. იმ დანიშნულებით, რაც, ჩვეულებრივ, ზმნისწინების საშუალებით მიიღწევა:

აწმყო:

ჰ-ვნ-ებ-ს

ჰ-რქ-ენ-ს

ბიბინ-ებ-ს

;

მყოფადი:

ა-ვნ-ებ-ს

უ-რქ-ენ-ს

ი-ბიბინ-ებ-ს.

;

§ 4. ლექსიკური მნიშვნელობის ცვლა გულისხმობს საგნობრივი მიმართების ცვლას: კაც-ი და სა-კაც-ე სხვადასხვა საგანია (თუმცა ამოსავალი ცნება ორივე შემთხვევაში ერთი და იგივეა, გამოხატული ძირით: „კაც-“). აქვე ივარაუდება მოვლენის ცვლა: ა-კეთ-ებ-ს და ა-თეთრ-ებ-ს ფორმებით განსხვავებული მოვლენები აღინიშნება ისევე, როგორც თეთრ-ი და ა-თეთრ-ებ-ს ფორმებით.

გრამატიკული მნიშვნელობის ცვლა კი საგანთან ან მოვლენასთან მიმართების ცვლილებას გულისხმობს: ა-კეთ-ებ-ს და კეთ-დ-ებ-ა ერთსა და იმავე ლექსიკურ მნიშვნელობას გამოხატავს (ე. ი. იდენტურია: მოვლენა), მაგრამ განსხვავებულია გრამატიკული მნიშვნელობით (ე. ი. განსხვავებულია მოვლენასთან მიმართება).

ამის შესაბამისად, ენაში გვექნება:

ა) სიტყვათწარმოება — ლექსიკურ მნიშვნელობათა ცვლა;

ბ) ფორმათწარმოება — გრამატიკულ მნიშვნელობათა ცვლა.
ეს კი განასხვავებს სიტყვათწარმოებით და ფორმათწარმოებით
ფორმანტებს.

სხვაობა ამ ფორმანტებს შორის ორი სახისაა:

ა) ფორმანტები განსხვავებულია მასალობრივ;

ბ) მასალობრივ იდენტური ფორმანტები გაერთიანებულია სხვა-
დასხვა სისტემაში.

-ოვ-ან, ი-ან, უ-ო... (ბალახ-ოვან-ი, ბალახ-იან-ი, უ-ბალახ-ო...)
ყოველთვის სიტყვათწარმოებითი ფორმანტებია, -ი, ვ-... (კაცი-ი,
ვ-წერ...) — ყოველთვის ფორმათწარმოებითი. აქ გვაქვს ის ფორმან-
ტები, რომლებიც განსხვავებული არიან მასალობრივ და მასთან ერ-
თად, რა თქმა უნდა, სისტემის თვალსაზრისითაც.

-ის, -ით, -ად... შესაძლოა იყოს გამოყენებული როგორც სიტყ-
ვათწარმოებითი, ასევე ფორმათწარმოებითი დანიშნულებით. მასა-
ლობრივ იდენტური ფორმანტების ფუნქციური განსხვავებისათვის
არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რომელ სისტემაში შედიან
ისინი.

გულ-ად-ი — აქ -ად იმავე სისტემის ფორმანტია, რომელშიც
შედის -ოვ-ან, -ი-ან, -ა (მქონებლობის გამოძახატველი ფორმან-
ტები): გულ-ად-ი — გულ-ოვან-ი — გულ-იან-ი, გულ-ა (წითელ-
გულ-ა). -ად ამ შემთხვევაში სიტყვათწარმოებითი ფორმანტია.

გულ-ად — -ად აქ იმავე სისტემისაა, რაც -ი, -მა, -ს, -ის...
(გულ-ი, გულ-მა, გულ-ს... გულ-ად...) და, ამდენად, ფორმათ-
წარმოებითი ფორმანტია.

განსხვავებულ სისტემებში -ად ელემენტს ქმედებაცა და თვისო-
ბაც განსხვავებული აქვს. მაგალითად, -ად→-ათ იმ შემთხვევაში, რო-
ცა იგი ბრუნვის ნიშანია (ბრუნვის ნიშანთა სისტემაში შედის): „გულ-
ლათ კაცს რკინა ჰქონდა“, რაც გამოირიცხება იმ ღროს, როცა -ად
სიტყვათწარმოებითი ფორმანტია: „გულად კაცს რკინა ჰქონდა“
(თ. უთურგაიძე, 1983, გვ. 12). პირველ შემთხვევაში გამოიხატება
მნიშვნელობა „გულის ნაცვლად“, ან: „გულის ადგილას“, მეორე
შემთხვევაში — „გულიან, გულოვან“.

ასე რომ, გვქონია სემანტიკურად სტაბილური და ლაბილური
ფორმანტები.

ეს არის ენის და, კერძოდ, ქართული ენის ძირითადი (ქართული-სათვის ნიშანდობლივი) წესი.

ფაკულტატიურ (არაძირითად) მოვლენასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა, ვთქვათ, ლექსიკურ მნიშვნელობათა განსასხვავებლად გამოიყენება ის ფორმანტები, რომლებიც, როგორც წესი, ენაში ფორმათწარმოებითი დანიშნულებითაა გამოყენებული.

და პირიქით: გრამატიკულ მნიშვნელობებს განასხვავებენ ყველასხვა (ან აბსოლუტურად უმეტეს) შემთხვევაში ლექსიკურ მნიშვნელობათა განმასხვავებელი ფორმანტები.

ამიტომაც წევ-ს (ი-წვ-ა) და ს-წევ-ს (მო-ს-წი-ა) ფორმათა განმასხვავებლად ს- (←ჰ-) პირის ნიშნის გამოყენება უნდა განიმარტოს როგორც ფაკულტატიური, რადგან ს- ფორმათწარმოებითი ფორმანტია და არა სიტყვათწარმოებითი, რა დანიშნულებითაც აქაა გამოყენებული.

ერთი პერიოდისათვის ფაკულტატიური მოვლენა ენის განვითარების სხვა საფეხურზე შესაძლოა იმავე ლექსიკური თუ გრამატიკული მნიშვნელობის გამოხატვის ძირითად საშუალებად იქცეს. ამას უწოდებენ ფორმანტთა რეინტერპრეტაციას (გადააზრიანებას).

ასე რომ, ფორმანტთა რეინტერპრეტაციასა და ფაკულტატიურ გამოყენებას შორის კავშირი არის, მაგრამ ამასთანავე არსებითი სხვაობაცაა.

§ 5. შევუდაროთ ერთმანეთს ორი რიგის ფორმები:

I		II
ლუმელი გათბა	—	ბავშვი გათბა
წიგნი იწერება	—	კაცი იწერება
აღგილი იხედება	—	ქალი იხედება...

პირველი რიგის სინტაგმებში სუბიექტი განიცდის გარკვეულ მოქმედებას, მეორე რიგისაში კი სუბიექტი მოქმედ პირად გვევლინება.

მოქმედება ერთი და იგივეა; ესაა: სიტბოს შეგრძნება, საწერკალ-მით ასონიშნების გამოყვანა, გამოჩენა (დანახვა). მოქმედების ინტერპრეტაცია — სხვადასხვა. ამის მიზეზი კი ლექსიკური მნიშვნელობითაა შეპირობებული: ვნებითის ყალიბის მქონე ზმნა უსულო სუბიექტ-

ტან პასიური მოქმედების სემანტიკას გამოხატავს, სულიერ სუბიექტთან — აქტიური მოქმედებისას.

ამ შემთხვევაში გრამატიკული მნიშვნელობებია განსხვავებული (ერთი და იმავე ლექსიკური მნიშვნელობის ფარგალში).

მაგრამ თუკი განსხვავდა ლექსიკური მნიშვნელობაც, მაშინ, როგორც წესი, საქმე გვექნება გადატანითი მნიშვნელობით ფორმის ხმარებასთან:

სარეცხი გაშრა (1) — კაცი გაშრა (2)...

გაშრა (1) იგივეა, რაც: „მშრალი გახდა, სინესტე დაკარგა“, გაშრა (2) — იგივე, რაც: „მოულოდნელობისაგან სახტად დარჩა, ელდა ეცა, გაოცდა“.

ეს ორი სემანტიკური ნაირსახეობა ერთი და იმავე ფორმისა სხვადასხვა სინონიმურ რიგში შედის, განსხვავებული აქვთ მათ სემანტიკური ველიც. მეორე შემთხვევაში ფორმა გადატანითი მნიშვნელობითაა გამოყენებული.

ესაა ენაში სავსებით ჩვეულებრივი და საკმაოდ ხშირი მეტაფორული გააზრება სიტყვისა.

ფაქულტატიური არ გულისხმობს ფორმათა ამგვარი გააზრების შემთხვევებს.

უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ფაქულტატიური არ უკავშირდება მეტაფორულ გააზრებას: მნიშვნელობათა გამოხატვის ფაქულტატიური საშუალებანი და მნიშვნელობათა მეტაფორული გააზრება სხვადასხვა რიგის მოვლენებია.

გარდა ამისა, მეტაფორული გააზრების დროს საკუთრივ ფორმა არ იცვლება, ხდება მხოლოდ მნიშვნელობის გადახრა, გადაწევა.

რაც შეეხება მნიშვნელობის გამოხატვას ფაქულტატიური საშუალებებით, იგი სწორედ ფორმის ცვლას გულისხმობს, ოღონდ, „არაკანონიკურ“, ძირითადი წესისგან განსხვავებულ ცვლას.

§ 6. განვითარების ყოველ ახალ საფეხურზე ენაში თავს იჩენს ახალ მნიშვნელობათა გამოხატვის საჭიროება.

ახალ მნიშვნელობათა გამოსახატავად ენას, ჩვეულებრივ, არა აქვს შესაძლებლობა წარმოქმნას ახალი ფორმობრივი ინვენტარი. უმეტესწილ ხდება უკვე არსებულის გამოყენება.

იმ შემთხვევაში, როცა უკვე არსებული ინვენტარი მთლიანად ემსახურება ახალი მნიშვნელობის გამოხატვას, საქმე გვაქვს ფორმო-

რივი სისტემის რეინტერპრეტაციასთან. ამის შესახებ ზემოთ უკვე ითქვა.

მაშინ კი, როცა უკვე არსებულ ფორმობრივ ინვენტარს ენა მხოლოდ კერძო (კონკრეტული) შემთხვევის დროს იყენებს ახალი მნიშვნელობის გამოსახატავად, უნდა ვილაპარაკოთ მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიურ საშუალებებზე. რა თქმა უნდა, ფაკულტატიური იგი ამ კერძო მნიშვნელობის მიმართაა და არა საერთოდ, ზოგადად.

ენაში ხშირად გვხვდება: ერთი ფორმით ორი ან მეტი მნიშვნელობა გამოიხატება. ესაა ფორმის აბსტრაქტიზების ტენდენცია. აბსტრაქტიზებისა და სინკრეტიზაციის (ანუ: ერთ ფორმაში რამდენიმე მნიშვნელობის შეთავსების) პარალელურად თავს იჩენს საპირისპირო ტენდენციაც: ყოველი მნიშვნელობისათვის არსებობდეს შესაბამისი ფორმა. ამ მიზნით ენა, ჩვეულებრივ, მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიურ საშუალებებს მიმართავს. მაგალითად, გან-დიდ-ებ-ა ითავსებდა როგორც „გაძლიერების, დიდებულად გახდომის“, ასევე „დიდად გახდომის, გაზრდის, გაფართოების“ მნიშვნელობებს. მას შემდეგ, რაც მოხდა ზმნისწინთა ფონეტიკური გამარტივება (გან-→ გა-), ხსენებული კონკრეტული (და რამდენიმე სხვა) შემთხვევისათვის ენამ ზმნისწინის ორივე ფონეტიკური ვარიანტი გამოიყენა: გან-დიდ-ებ-ა და გა-დიდ-ებ-ა. ამათგან გან-დიდ-ებ-ა „გაძლიერების, დიდებულად გახდომის“, ხოლო გა-დიდ-ებ-ა — „დიდად გახდომის, გაზრდის, გაფართოების“ მნიშვნელობებისათვის.

ზმნისწინთა ფონეტიკურ ნაირსახეობებს, როგორც წესი, ასეთი დანიშნულება არა აქვთ. ხსენებული კერძო მნიშვნელობების განსასხვავებლად მათი გამოყენება არსებითად ფაკულტატიური საშუალებაა.

§ 7. ზემოთქმულიდან ნათელი ხდება, რომ მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიური საშუალებანი ორი სახისაა:

ა) ესა თუ ის მნიშვნელობები განსხვავებულია იმ ფორმობრივი საშუალებებით, რომლებიც, ჩვეულებრივ, სულ სხვა მნიშვნელობათა განსასხვავებლადაა ენაში გამოყენებული: ა-პირ-ებ-ს — ჰ-პირ-დ-ებ-ა ლექსიკურად განსხვავებული ფორმებია, თუმცა ქართულში ამ რიგის მიმართება, როგორც წესი, განარჩევს გვარის ფორმებს (ა-კეთ-ებ-ს — კეთ-დ-ებ-ა, ა-შავ-ებ-ს — შავ-დ-ებ-ა...) და არა სხვადასხვა ლექსიკურ ერთეულებს.

ბ) მნიშვნელობებს განასხვავებენ იმ რიგის ფორმოზბრივი ნაირსახეობანი, რომლებიც ენაში, საერთოდ, მნიშვნელობათა განსახვავებლად არ გამოიყენებიან: ზმნისწინთა ფონეტიკურ ვარიანტებს, როგორც წესი, არა აქვთ მნიშვნელობათა განსხვავების დანიშნულება, მაგრამ გან-დიდ-ებ-ა — გა-დიდ-ებ-ა ტიპის მიმართებისას მათ სწორედ ეს ფუნქცია დაეკისრა.

§ 8. რა მიმართება აქვთ მნიშვნელობათა გამოხატვის ძირითად და ფაკულტატიურ საშუალებებს ენობრივი ნორმისა და ვარიაციულობის ცნებებთან?

აქედანვე უნდა ითქვას, რომ ნორმა არ ნიშნავს გამოხატვის ძირითად საშუალებას, არც ვარიაციულობა გულისხმობს ფაკულტატიურობას.

ა-პირ-ებ-ს და ჰ-პირ-დ-ებ-ა — ორივე ნორმაა ქართული სალიტერატურო ენისათვის, მაგრამ ლექსიკურ მნიშვნელობათა განსახვავებლად ფაკულტატიური საშუალებაა გამოყენებულნი.

გან-დიდ-ებ-ა და გა-დიდ-ებ-ა სალიტერატურო ენის ნორმით დამკვიდრებული ფორმებია, მაგრამ მნიშვნელობათა განსხვავების თვალსაზრისით ისინიც გამოხატვის ფაკულტატიურ საშუალებას იყენებენ.

და პირიქით: და-უ-მალ-ავ-ს და და-უ-მალ-ი-ა ფორმათაგან ნორმად მიიჩნევა პირველი (და-უ-მალ-ავ-ს), თუმცა წარმოების პრინციპი ორივე შემთხვევაში ძირითადია ქართულისათვის: ერთ შემთხვევაში I შედეგობითის საწარმოებლად I სერიის ფუძეა გამოყენებული, მეორე შემთხვევაში — II სერიისა:

I სერია: უ-მალ-ავ-ს || და-უ-მალ-ავ-ს → I შედეგ.: და-უ-მალ-ავ-ს

II სერია: და-უ-მალ-ა → I შედეგ.: და-უ-მალ-ი-ა.

შემდეგ: და-უ-მალ-ავ-ს და და-უ-მალ-ი-ა, ჩეხ-ს და ჩეხ-ავ-ს ერთმანეთის მიმართ ენობრივ ვარიანტებს წარმოადგენენ, მაგრამ ამის გამო მათ არაფერი აქვთ საერთო მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიურ საშუალებებთან.

აქედან ნათელია: ნორმა და მნიშვნელობათა გამოხატვის ძირითადი ან ფაკულტატიური საშუალებანი, ასევე: ვარიაციულობა და ფაკულტატიურობა არსებითად განსხვავებული ცნებებია, ერთმანეთს არ გულისხმობენ და, მით უმეტეს, არც ფარავენ.

§ 9. რა მიმართებაა ამა თუ იმ მნიშვნელობათა გამოხატვის ისტორიულ ვითარებასა და ფაქულტატიურობას შორის?

აღვნიშნეთ, რომ ა-პირ-ებ-ს — (ჰ)-პირ-დ-ებ-ა რიგის სემანტიკური დაპირისპირება ფაქულტატიურია, რადგან ამგვარი ფორმობრივი მიმართება, ჩვეულებრივ, გამოიყენება გვარის გრამატიკულ ფუნქციათა და არა ლექსიკურ მნიშვნელობათა განსასხვავებლად.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ გვარის ფუნქციათა განსხვავება ამ მიმართებისათვის პირველადია, ისტორიულია და ლექსიკურ მნიშვნელობათა განსხვავება კი — მეორეული (და ამიტომაც — ფაქულტატიური).

არა, იგივეობის ასეთი ნიშნის დასმა ამ ორ ფაქტს შორის შეუძლებელიცაა და დაუშვებელიც.

ის, რაც ამჟამად ფაქულტატიურად გაიგება, არ გულისხმობს წარმომავლობის მაინცდამაინც მეორეულობას.

ფაქულტატიურობა, როგორც უკვე ითქვა ზემოთ (§ 2), ენის ფუნქციონირების კონკრეტულ პერიოდს გულისხმობს და ამიტომაც მისი სტატუსი სწორედ ამ მოცემულ პერიოდში მოქმედი ენობრივი წესის გათვალისწინებით განისაზღვრება.

ის, რაც ენის განვითარების არსებულ საფეხურზე არ წარმოადგენს მნიშვნელობათა განსხვავების ძირითად წესს, განიმარტება როგორც ფაქულტატიური, მიუხედავად იმისა, ისტორიული თვალსაზრისით იგი ძირითადია, ამოსავალია, თუ მეორეული, შემდგომ ჩამოყალიბებული.

§ 10. საენათმეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „ფაქულტატიური“ სხვა დანიშნულებითაც გამოიყენება.

პირველად იგი სინოლოგებმა შემოიტანეს და განსაზღვრეს როგორც ამა თუ იმ ენობრივი საშუალების არასავალდებულო გამოყენება გარკვეული მნიშვნელობის გამოხატვისას.

ამის მიხედვით ფაქულტატიურობა არსებითად არის გამოხატვის საშუალებათა ამორჩევითობა, ვარიაციულობა (იხ. აღმოსავლური ენათმეცნიერება, 1982, გვ. 3—5). სხვაგვარად: „ვარიანტები იწოდება ფაქულტატიურად, როცა მათი გამოვლენა დამოუკიდებელია კონტექსტისაგან ანდა არ წარმოადგენენ ამ კონტექსტის აუცილებელ შედეგს“ (უ. მარუზო, 1960, გვ. 50).

ასე რომ, ამ შემთხვევაში „ფაქულტატიური“ ნიშნავს: „არასავალ-

დებულო, ამორჩევითი“. მისი საპირისპირო ცნებაა „სავალდებულო, ობლიგატორული“.

ანუ: ზემოხსენებული თვალსაზრისით, ფაკულტატიურობა არის ერთი და იმავე მნიშვნელობის გამოსახატავად არსებული ორი ან მეტი საშუალებიდან ერთ-ერთის თავისუფალი ამორჩევითობა.

რა თქმა უნდა, ვარიაციულობის ამგვარი პრინციპი ქართულშიც მოქმედებს გამონათვის ყველა დონეზე.

გამოთქმა „პალმა“ და „პალ'მა“ (რბილი ლ-თი) ვარიაციულია გარკვეული ფენის ქართულ მეტყველებაში (ზ. ჭაფარიძე, 1979, გვ. 105).

ვარიაციულია მორფოლოგიის დონეზე II კავშირებითის პარალელურ ფორმათა პოენიერება: აღ-ი-ძრ-ა-ს და აღ-ი-ძრ-ე-ს, გა-ი-ცრ-ა-ს და გა-ი-ცრ-ე-ს... (გ. გოგოლაშვილი, 1983, გვ. 81). ასევე: ჩეხ-ს და ჩეხ-ავ-ს, ფრენ-ს და ფრინ-ავ-ს, ანდა: ქალაქ-ში იყო, ქალაქ-ს იყო და ქალაქ-ად იყო; ასევე: მათ აქვს და მათ აქვთ.

სინტაქსურად ერთმანეთის ვარიანტებს წარმოადგენენ: „ამ სურათის დამხატავი კაცი“ და „კაცი, რომელმაც ეს სურათი დახატა“...

ყველაფერი ეს არსებითად არის თავისუფალი ამორჩევითობის შესაძლებლობა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი და იგივე მოვლენა განხილვის თვალსაზრისის შესაბამისად შეიძლება იყოს ფაკულტატიურიც და არაფაკულტატიურიც. მაგალითად, „კაცი მოვიდა“ და „მოვიდა კაცი“ ფაკულტატიურია აზრის გამონათვის თვალსაზრისით, მაგრამ არ არის ფაკულტატიური აქტიური დანაწევრების მიხედვით (იხ. აღმოსავლური ენათმეცნიერება, 1982, გვ. 95).

როგორც ვხედავთ, ფაკულტატიურობის ჩვენეული გაგება არსებითად განსხვავდება იმისგან, რაც ზემოთ იყო წარმოდგენილი.

ეს სხვაობა პრინციპული ხასიათისაა.

ის, რასაც „ფაკულტატიურობას“ უწოდებენ, სინამდვილეში არის ვარიაციულობა, მნიშვნელობათა გამონათვის პარალელურ საშუალებათა მქონებლობა და, აქედან, მათი თავისუფალი ამორჩევითობის შესაძლებლობა. ეს კი არ შეიძლება განისაზღვროს როგორც ფაკულტატიურობა.

მართალია, სალიტერატურო ენის ნორმა შესაძლოა პარალელურ ვარიანტთაგან ერთ-ერთს ამკვიდრებდეს, სხვას კი უარყოფდეს, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საკუთრივ ენის თვალსაზ-

რისით დაშვებულნი ფორმა სავალდებულოა, ხოლო უარყოფილი — არასავალდებულო.

ენის თვალსაზრისით ორივე „სავალდებულოა“, ორივე კანონზომიერია, ორივე შეპირობებულია ენის შინაგანი შესაძლებლობით, ოღონდ მათგან ერთ-ერთს სალიტერატურო ენა თავისი პრინციპების შესაბამისად ანიჭებს უპირატესობას.

§ 11. ზემოთ ზოგადად განვმარტეთ მნიშვნელობათა გამოხატვის ძირითადი და ფაკულტატიური საშუალებანი.

ძირითადი — არსებული ტიპის გრამატიკების შესწავლის ობიექტია.

ფაკულტატიური — უმეტეს წილ „გამონაკლისების“ სახით ერთ-ერთს ძირითადს, ისიც არასრულად და არასრულფასოვნად.

მაგრამ „გამონაკლისები“ ვერც ამოწურავენ და, მით უფრო, ვერც ახსნიან ენის ამ მეტად მნიშვნელოვან უნარს, შესაძლებლობას — გამოიყენოს, ერთი შეხედვით, მოულოდნელი საშუალებანი უკვე არსებული თუ ახლად შექმნილი მნიშვნელობების გამოსახატავად.

ამიტომაც არის ენის ეს მხარე საგანგებოდ და საფუძვლიანად შესასწავლი.

ასეთი შესწავლა წარმოაჩენს ენის „დაფარულ“, ჯერ გამოუვლენელ შესაძლებლობებს, ენის პოტენციას, შეპირობებულს თვით მისი შინაგანი ბუნებით.

მართალია, ფაკულტატიური ნიშნავს არაძირითადს, მაგრამ ამის გამო არ შეიძლება ითქვას, რომ იგი არაკანონზომიერია, შემთხვევითია, რომ იგი ამორიდებულია ენის საერთო სისტემიდან.

დასადგენია ეს კანონზომიერებაც და ფაკულტატიურის ადგილიც ენის საერთო სისტემაში.

ფონეტიკურ სახესხვაობათა ფაკულტატიური დანიშნულებისათვის

§ 12. ფონეტიკურ სახესხვაობებს რომ ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა განსხვავების უნარი შესწევთ, ეს კარგად არის ცნობილი.

მნიშვნელობა შეიძლება განასხვავოს ხმოვანთმონაცვლეობამ, თანხმოვანთმონაცვლეობამ, კომპლექსთმონაცვლეობამ...

ზოგადად ეს, რა თქმა უნდა, ასეა, მაგრამ სხვადასხვა ენა ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ჩვენებას იძლევა: იქ, სადაც ხმოვანთმონაცვლეობას ეკისრება მნიშვნელობათგანმასხვავებლის ფუნქცია, თანხმოვანთ- ან კომპლექსთმონაცვლეობა შესაძლოა სავსებით უმოქმედო აღმოჩნდეს და პირიქით.

§ 13. მნიშვნელობათა განსასხვავებლად ბგერათცვლილების გამოყენება ქართულში ადრევე იყო შენიშნული.

თანხმოვანთა იმ სპონტანური ცვლილების ნიმუშებად, რომლებსაც შედეგად მნიშვნელობათა ცვლა მოჰყვება, დასახელებულია ყრიალ-ი — შრიალ-ი, სულ-ი — სუნ-ი. იმავე დანიშნულების კომბინატორული ბგერათცვლილებაა კრებ-ს — კრეფ-ს, ლბ-ობ-ა — ლპ-ობ-ა... (გ. ახვლედიანი, 1949, გვ. 209—211).

მართლაც, აშკარაა ამ ფორმებს შორის ლექსიკური სხვაობა:

ყრიალ-ი — მრავალთ ეყვანთ ვმა (საბა).

სუნ-ი — საუნის, ნივთიერების, ჰაერის თვისება, რომელსაც აღიქვამს ყნოსვის ორგანო.

შრიალ-ი — ქართავან ფურცლის ვმა (საბა).

სულ-ი — ადამიანის ფსიქიკურ უნართა ერთობლიობა... ადამიანის შინაგანი სამყარო, პიროვნული თვისებები...

კრებ-ს — „შეყრილობა“ (საბა);
აგროვებს, თავს უყრის ვისმე.

კრეფ-ს — „ხილთ მოწილვა, გი-
ნა ყვავილთა მოწყვედა“ (საბა);
წყვეტს, აგროვებს, თავს უყრის
რასმე.

ა-ლბ-ობ-ს — რბილს ხდის; სი-
თხეში ჩადებით, დასველებით არ-
ბილებს.

ა-ლბ-ობ-ს — ამყაყებს, აშმორებს,
რისამე გახრწნას იწვევს.

ამ რიგს შეიძლება დაემატოს თანხმოვანთმონაცვლეობის შემდეგი
შემთხვევები:

ჯ : ქ : ჩ — ა) ჯაჯღან-ი — ხმამალლა უქმაყოფილო კილოთი ლაპარაკი.
ქაქყან-ი — ხმამალალი უსიამოვნო ლაპარაკი.
ჩაჩხან-ი — ხმაჩახლეჩილი უსიამოვნო ლაპარაკი...

ბ) ღრეჯ-ა — სახის ნაკეთების მანქვა.
ღრექ-ა — უშნოდ, ულაზათოდ სიცილი...
ღრეჩ-ო — ვიწრო და გრძელი ჭურჭუტანა.

ბ : პ : ფ — ბარდღუნ-ი — სიმებიან საკრავზე ხმაშეუწყობლად, დიდი
ხმაურით დაკვრა.
პარტყუნ-ი — ცემა, დარტყმა, დარტყმის ხმა, ტყაპუნი.
ფართხუნ-ი — ფრთების ფრთხიალი, ფრთების ცემის ხმა.

ს : შ — სისინ-ი — სივილი (გველის, ბატის...), ქროლის ხმა (ქარის,
ნიავის).
შიშინ-ი — წყლის დუღილის ხმა; საბა: „მცირე დუღილი“.

ბგერწერის ეს პრინციპი უხვადაა წარმოდგენილი ქართულში
(დაწერილებით იხ.: ფ. ერთელიშვილი, 1970, გვ. 139—160). არის
იმა-ს ცდა, რომ ამ რიგის ბგერათგადასვლები აიხსნას ფონემატურ ერ-
თეულთა ბგერითი და არაბგერითი ასოციაციებით. მაგალითად, აბ-
რუპტივები აღიქმება როგორც ცივი, მაღალი, სწრაფი, მჭრელი,
წერილი... მქდერები — როგორც ლამაზი, ნელი, ბლაგვი, მსხვილი...
ფშეინვიერები — როგორც დაბალი, ნაზი, პატარა, სუსტი, წრიული,
რბილი და ა. შ. (ნ. კიზირია, 1982, გვ. 3—11). თანხმოვანთა ამგვარი
დახასიათება გარკვეულად განისაზღვრება მათი არტიკულაციური ნი-
შანთვისებებით.

ანალოგიური გადასვლები დამახასიათებელია ხმოვნებისთვისაც. მაგალითად:

ა : ი : უ — ჯაჯღან-ი — ხმამაღლა უკმაყოფილო კილოთი ლაპარაკი.
ჯიჯღინ-ი — ბუზღუნი.
ჯუჯღუნ-ი — ცხვირში ლაპარაკი, დუღუნი.

ხშირია კომპლექსური ცვლილებანიც, როცა ხდება როგორც თან-ხმოვანთა, ასევე ხმოვანთა გადაბგერება:

ჯაჯღან-ი — ჭაჭყან-ი — ჩაჩხან-ი
ჯიჯღინ-ი — ჭიჭყინ-ი — ჩიჩხინ-ი
ჯუჯღუნ-ი — ჭუჭყუნ-ი — ჩუჩხუნ-ი.

ანდა:

კაკან-ი — ქაქან-ი
კიკინ-ი — ქიქინ-ი...

საერთოდ, ბგერწერის პრინციპი სიტყვათწარმოების ერთ-ერთი პროდუქტიული საშუალებაა ქართულში, რასაც შედეგად მოჰყვება როგორც სრული სემანტიკური სხვაობა, ასევე მნიშვნელობის ცალკეული ნიუანსების გამოხატვა; შდრ.: ერთი მხრივ: კიკინ-ი, ქიქინ-ი და მეორე მხრივ: ჯაჯღან-ი, ჭაჭყან-ი, ჭიჭყინ-ი...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყოველგვარი ბგერათსხვაობა არ შეიძლება განისაზღვროს როგორც ბგერწერის შედეგი. მაგალითად, შდრ.:

ღრ-ენ-ს — } ღრ-ეჯ-ს
 } ღრ-ეჭ-ს
 } ღრ-ეჩ-ს
 } ღრ-ეც-ს
 } ღრ-ეკ-ს.

ე- გახმოვანებით წარმოდგენილ სუფიქსში გვაქვს როგორც სონანტი, ასევე ხშულები და აფრიკატები, რომელთაგან ხშულთა და აფრიკატთა ცვლილებანი შესაძლოა აიხსნას ბგერწერის საფუძველზე, მაგრამ ამავე პრინციპით ვერ აიხსნება სონანტისა და ხშულის (ღრ-ენ-ს — ღრ-ეკ-ს), ანდა სონანტისა და აფრიკატის (ღრ-ენ-ს — ღრ-ეჯ-ს, ღრ-ეჭ-ს...) შენაცვლება.

ასე რომ, შეიძლება ითქვას: ღრ-ეჯ-ს, ღრ-ეჰ-ს, ღრ-ეც-ს... ბგერწერის საფუძველზე მიღებული ფორმებია. ამოსავლად მათ სუფიქსის შემადგენელი ერთი რომელიმე თანხმოვანი უნდა ჰქონოდათ (ერთ-ერთი ამჟამად წარმოდგენილთაგან ან რომელიმე სხვა, ახლა უკვე დაკარგული), რომლის გადაბგერება ხდებოდა ბგერწერის საფუძველზე და რომელიც უპირისპირდებოდა სონანტით გაფორმებულ სუფიქსს:

ღრ-ენ-ს — ღრ-ე?-ს

ეს უკანასკნელი კი იძლეოდა ღრ-ეჯ-ს, ღრ-ეჰ-ს, ღრ-ეჩ-ს... ვარიანტებს.

ამ რიგის შეპირისპირება ქართულში მრავლადაა:

ჰყლ-ემ-ს — ჰყლ-ეტ-ს

კბ-ენ-ს — კბ-ეჩ-ს

აჰყ-ერ-ს — აჰყ-ეტ-ს

ჩქ-ერ-ს — ჩქ-ეფ-ს...

ამჯერად ჩვენს განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სწორედ ის გადაბგერება, რომელიც არ შეიძლება აიხსნას ბგერწერის საფუძველზე.

§ 14. ხმოვანთა ცვლილების შედეგად გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობათა ცვლა ქართული ენის მორფოლოგიური სტრუქტურის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.

ამ რიგისაა: ღრეკ-ს — ღრიკ-ა, გა-სხეპ-ს — გა-სხიპ-ა, როცა ფუძის სხვადასხვა გახმოვანება განასხვავებს პირველი და მეორე სერიის ფუძეებს (ღრეკ-: ღრიკ-, სხეპ-: სხიპ-), ასევე: სხეპ-ს — სხაპ-უნ-ი, როცა გახმოვანების ცვლა გამოყენებულია ზმნური (სხეპ-) და სახელადი (სხაპ-) ფუძეების გასარჩევად. ეს პრინციპი ქართულისათვის ისტორიულადაა ნიშანდობლივი.

ისტორიულად გახმოვანება გარდამავალ და გარდაუვალ ფუძეებსაც განასხვავებდა: და-ვ-ძარ — შე-ვ-ი-ნ-ძერ (ძარ-: ძერ-). ეს მოვლენა უფრო ხელშესახებად ძველ ქართულში იჩენს თავს: ვ-ღრეკ — ვ-ღერკ, ვ-კრებ-თ — შე-ვ-კერბ-ი-თ გარდამავლობის მიხედვით განსხვავებული ფორმებია (თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი, 1965, გვ. 179—187).

გრამატიკულ მნიშვნელობათა განსასხვავებლად გახმოვანების ცვლა საგანგებოდ ჰქონდა აღნიშნული ვ. თოფურიას (იხ.: ვ. თოფურია, 1942 ბ, გვ. 968—969). სპეციალურად ამახვილებდნენ ყურადღებას ამ ფაქტზე გ. ახვლედიანი, ა. შანიძე, ჰ. ფოგტი...

ქართულში მნიშვნელობათა განსასხვავებლად ხმოვანთმონაცვლეობის სხვაგვარი პრინციპიც მოქმედებს.

ასეთია, მაგალითად, ბრუნების ორი სისტემა, რომელთაგან ერთი ბრუნვებს ოდენაფიქსაციის პრინციპით განასხვავებს, ხოლო მეორე დამატებით იყენებს ფუძის გახმოვანების ცვლასაც. ეს კი, თავის მხრივ, შესაძლებლობას იძლევა მორფონოლოგიურად იქნეს განსხვავებული ომონიმური ფორმები; შდრ.:

სახელობითი: წელ-ი „სხეულის ნაწილი“	წელ-ი „წელიწადი“
ნათესაობითი: წელ-ის	წლ-ის...

არ შეიძლება ითქვას, რომ აქ მარტოოდენ ფონეტიკური პრინციპი მოქმედებს. ფონეტიკურად იდენტური მონაცეში იდენტურ პოზიციაში განსხვავებულად არ მოიქცეოდა, ეს მოქცევა მორფოლოგიური მომენტით რომ არ იყოს შეპირობებული. მაგალითად, მგელ-ი ბრუნებისას კუმშვადი ფორმაა: მგელ-ი—მგლ-ის, ე. ი. დაპირისპირებულია მგელ-: მგლ- ფუძეები. ეს რომ მხოლოდ ფონეტიკური პრინციპით იყოს შეპირობებული, მაშინ ყველა ანალოგიურ პოზიციაში, ანუ: ხმოვნით წარმოდგენილი სუფიქსის წინ, მგელ- ფუძე უნდა იკუმშებოდეს, მაგრამ გვაქვს: ა-მგელ-ებ-ს, გა-მგელ-ებ-ულ-ი... სწორედ ამგვარი პრინციპითაა განსხვავებული წელ-ის და წლ-ის ფორმები. ანალოგიური ვითარებაა კვეცის შემთხვევაშიც:

სახელი:		ზმნისართი:
სახელობითი:	დღე	—
მოთხრობითი:	დღე-მ	—
მიცემითი:	დღე-ს →	დღე-ს
ნათესაობითი:	დღ-ის, მაგრამ:	დღე-ის (შემდეგ, მერე...)

სახელი და ზმნისართი განასხვავა არა მხოლოდ ბრუნების სისტემამ (სრული და ნაკლები სისტემების ფუნქციონირებამ), არამედ კვეცა-უკვეცელობის ფაქტორმაც.

ასევე: ხე, ხ-ის, ხ-ით, ხ-იან-ი... მაგრამ: ა-ხევე-ებ-ს; კვეცა-უკვეცე-ლობამ განასხვავა სახელადი და ზმნური ფუძეები.

ზოგადად თუ ვიტყვით, ფონეტიკა უმეტეს წილ მორფოლოგიის სანქციით მოქმედებს: ფონეტიკური ცვლილება ხდება მაშინ, როცა იგი მორფოლოგიის მხრივ არ იზღუდება.

სწორედ ეს იძლევა საფუძველს მორფოლოგიური ან ლექსიკური დანიშნულებით იქნენ გამოყენებული ფონეტიკური ცვლილებანი.

§ 16. სემანტიკური თვალსაზრისით ზემოხსენებული ცვლილებებისაგან ზოგი ფაქულტატიურია, ზოგიც ძირითად წესად ჩამოყალიბდა.

ფაქულტატიურად უნდა განისაზღვროს ის ფონეტიკური ცვლილებანი, რომლებიც მხოლოდ ცალკეულ (ერთეულ) შემთხვევებში გამოიყენებიან მნიშვნელობათგანმასხვავებელი დანიშნულებით. მაგალითად, ბ : ვ მონაცვლეობა ქართულში არ იძლევა სხვაობას გრამატიკული ან ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით. ამ რიგის ცვლილება, ჩვეულებრივ, დიალექტურ ვარიანტს იძლევა: ძეგლ-ევი — ძეგლ-ებ-ი... (ა. შანიძე, 1981, გვ. 441—443), ანდა: ა-კეთ-ებ-ს — ინგილოური: ა-კეთ-ევი-ს... (გ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 31—32). ამიტომაც ის შემთხვევა, როცა ბ : ვ მონაცვლეობა გრამატიკულ მნიშვნელობას განასხვავებს, ქართულისათვის ფაქულტატიურად უნდა ჩაითვალოს:

დინამიკა:

სტატიკა:

ა წ მ ყ ო : ვ-ღებ

ნამყო ძირ.: და-ვ-ღევ-(ი)→აწმყო: ღევ-ს.

ვ-ღებ ფორმის -ებ ელემენტი, ჩვეულებრივ, თემის ნიშნად განიმარტება. იგი მართლაცაა თემის ნიშანი, ოღონდ ასეთი შეპირისპირებისას: ვ-ღებ — და-ვ-ღ-ე (შდრ.: ვ-ა-შენ-ებ — ა-ვ-ა-შენ-ე). რაც შეეხება ღებ-: ღევ- ფუძეთა მონაცვლეობას, აქ საკუთრივ ბ : ვ თანხმოვანთ-ცვლილება ჩანს გრამატიკულ მნიშვნელობათა დასაპირისპირებლად გამოყენებული.

აჩაა გამორიცხული, რომ წარმოშობით ამ ტიპისა უნდა იყოს ვ-ა-ქებ — ვ-ა-ქევ (ახლა: შე-ვ-ა-ქ-ე), ვ-ა-ღებ — ვ-ა-ღევ (გა-ვ-ა-ღ-ე) და სხვა მისთანა შეპირისპირებანი.

ისტორიულად ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს მიმართება თიბ-ა (←თიბ-ს, ახლა: თიბ-ვ-ა—თიბ-ავ-ს) — თივ-ა (ნ. მარი, 1925).

ამ რიგისაა აგრეთვე: მეფე — ნეფე.

მ: ნ, ჩვეულებრივ, დიალექტური ნაირსახეობის დონეზე განიხილება, მაგრამ ხსენებულ კონკრეტულ შემთხვევაში ენამ იგი მნიშვნელობათა განსასხვავებლად გამოიყენა:

მეფე — სახელმწიფოს ერთპიროვნული მეთაური, ხელმწიფე, მონარქი.

ნეფე — კაცი, რომელსაც ქორწილი აქვს, რომელიც ცოლს ირთავს.

შემოთ მნიშვნელობათა განსხვავების ნიმუშად დასახელებული იყო ლბ-ობ-ა — ლპ-ობ-ა, ანუ: ბ: პ მონაცვლეობა. ამავე რიგისაა:

უბე — 1. არე ტანსაცმლის ქვეშ გულმკერდთან. 2. ხმელეთში შეკრიბილი ზღვის (ოკეანის) ნაწილი, ყურე. 3. ურმის ხელნები, რომლებიც ერთმანეთთან შეერთებულია დანდლებით. 4. შარვლის (საცვლის) ხიშტაკი ტოტებშუა სიგანის მისაცემად.

უბე — 1. თვალის გარეთა ნაწილი დაწვისთავიდან ქვედა ქუთუთომდე. 2. ძველი: ჰიპი (საბა).

„უბე“ და „უბე“ ზოგჯერ ენაცვლებოდა ხოლმე ერთმანეთს (უმეტეს წილ ეს XIX საუკუნის ქართულში ხდებოდა): „ცრემლები დონივრად მოაწვა თვალის უბეებს“ (დ. კლდიაშვილი) „თვალის უბეები გარშემო უფრო მიეზნიდა“ (გ. წერეთელი). მაგრამ მათი ლექსიკურად განსხვავების ტენდენცია აშკარაა და ენაში მკვიდრად გატარებულიც.

აქვე შეიძლება დავასახელოთ:

ი-ბნ-ევ-ა — ირევა, აზრები ეფანტება, თავგზა ებნევა.

ი-პნ-ევ-ა — ფანტებით იყრება, იფანტება, ცვივა.

და შესაბამისად: ა-ბნ-ევ-ს — ა-პნ-ევ-ს.

ამ ფორმათა ურთიერთშერევა ამჟამადაც შეინიშნება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მნიშვნელობა, რომელიც ახლა ძირითადია ი-ბნ-ევ-ა ფორმისათვის, წარმოშობით მეორეულია, გადატანილია.

ამიტომაც ამ ფორმათა ხმარება ერთმანეთის ნაცვლად სავსებით გასაგებია. იმავდროულად აშკარაა მათ შორის სემანტიკური სხვაობის დამყარების ტენდენციაც. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ არევის, აზრების დაფანტვის მნიშვნელობით ი-ბნ-ეე-ა არასდროს გამოიყენება, ი-ბნ-ეე-ა ფორმას კი ორივე მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს, უპირატესად კი მაინც ის, რომელიც ზემოთაა წარმოდგენილი.

§ 16. თანხმოვანთმონაცვლეობის გამოყენება მნიშვნელობათა განმასხვავებლად ისტორიული თვალსაზრისითაც იქცევს ყურადღებას. ისტორიული იმიტომ, რომ არის თანხმოვანთა იმ რიგის მონაცვლეობა, რომელიც ნიშანდობლივად ვერ ჩაითვლება თანამედროვე ქართულისათვის: ნა-ხვრეტ-ი (შდრ. ძველი: კურეტ-ა, ახალი: ხვრეტ-ა) „ხვრეტით მიღებული ქუჭრუტანა, ხვრელი“ — ნა-სვრეტ-ი „ფორი, ვიწრო ხვრელი“.

ამ თვალსაზრისითვე იქცევს ყურადღებას მონაცვლეობა ფშენ-ი-ს (შდრ.: ფშენ-ეტ-ს) — ფხენ-ი-ს. ენამ ეს შენაცვლება გამოიყენა სემანტიკური განსხვავების მიზნით:

ფშენ-ი-ს — წვრილწვრილ ნაწი- ლებად, ნამცეცებად აქცევს... მარცვალს აცლის, აყრევიანებს (ტაროს).
ფხენ-ი-ს — ფხენილად აქცევს, ფხვიერს ხდის...

მართალია, მტყუველებაში ეს ორი ფორმაც ირევა ერთმანეთში (ერთმანეთის ნაცვლად გამოიყენება), მიუხედავად ამისა, მათ შორის სემანტიკური განსხვავებულობის ტენდენციაც აშკარად იჩენს თავს.

§ 17. ხმოვნებს შორის პოზიციისაში ვ სონანტის ლაბილურობის ფაქტი ცნობილია. უმეტეს წილ ამას რაიმე სემანტიკური სხვაობა არ მოჰყვება. ამიტომაც მოჩანს ფაქულტატიურად ასეთი შეპირისპირება:

ცივ-ი → } ა-ცივ-ებ-ს „ცივს ხდის, სითბოს უკარგავს“
 } ა-ცი-ებ-ს „ციებ-ცხელება სჭირს, ციების შეტევები აქვს“.

ვ სონანტის პოვნირება ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით აღმოჩნდა ღირებული (ნ. აბესაძე, 1972, გვ. 197).

ანალოგიური დანიშნულება მოიპოვა ვ სონანტის მქონებლობა-უქონლობამ შემდეგ შემთხვევაშიც:

და-ა-სი-ა — მიუსია მრავალი, თავს და-ა-სივ-ა — შეშუპება გამოიწვია.
დააზვია (ვილაცები).

პირველი და-ა-სეე-ს ზმნის ნამყო ძირითადია, მეორე — და-ა-სივ-ებ-ს ზმნისა.

§ 18. ქართული ზეპირი მეტყველებისათვის ნიშანდობლივია სპირანტთა აფრიკატიზაცია სონანტის კონტაქტურ ან დისტანციურ მეზობლობაში (შ. გაფრინდაშვილი, 1955, გვ. 29—31): სულ-ს→სულ-ც, პენსია→პენცია, შანს-ი→შანც-ი... ეს პროცესი დამოწმებულია ქართული ენის თითქმის ყველა დიალექტში და რაიმე სემანტიკური სხვაობა მას არ უქავშირდება. შეინიშნება მხოლოდ ერთი შემთხვევა, როცა ამგვარი ბგერათცვლილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს მნიშვნელობათა განსასხვავებლად.

კერძოდ: ქართულში ყინ-ი ფორმას ორი მნიშვნელობა აქვს:

1. დიდი, უძლეველი სურვილი, წადილი: „ყინი მოაწვა... ყინი უძლიერდება...“
2. ჯიბრი, ჯავრი: „ყინი აქვს... ყინი ამოიყარა... ყინზე არ მოეშვა...“

ნ სონანტის პოვნიერებამ განაპირობა, რომ ქართული ენის დასავლურ კილოებში მოხდა ე სპირანტის გააფრიკატება, რამაც მოგვცა: ჯ : ჯინ-ი, აქედან ჯინ-ზე || ჯინა-ზე. ჯ აფრიკატიანი ფორმა სალიტერატურო ენაშიც იკაფავს გზას, გამოხატავს იგი უპირატესად მნიშვნელობას „ჯიბრი, ჯავრი“. ეს კი საფუძველს უქმნის ტენდენციას ფორმათა სემანტიკური დაპირისპირებისათვის: ყინ-ი — დიდი, უძლეველი სურვილი, წადილი: „ყინი მოაწვა...“ და ჯინ-ი — ჯიბრი, ჯავრი: „ბრწყინავდა საარაკო ცა, მთვარე დაბრუნდა ბინაზე, როს შუქმა ღრუბელს აკოცა ყველა ქალების ჯინაზე“ (გალაკტიონი).

§ 19. განსაკუთრებული მრავალფეროვნებით ქართულში ხმოვანთა მონაცვლეობა გამოირჩევა და, როგორც ითქვა, ამ ცვლილების მიზანი ხშირად მნიშვნელობათა სხვაობის აღნიშვნაა: წელ-ის და წლ-ის („წელის ტკივილი“, მაგრამ: „წლის ბოლო“), თვალ-ის და თვლ-ის („თვალის გუგა“, მაგრამ: „თვლის ღერძი“), დლ-ის და დლე-ის („ამ დლის მერე“, მაგრამ: „დლეის მერე“)...

ბრუნების ორი პრინციპი — მორფოლოგიური და მორფონოლოგიური — მოქმედებს ერთმანეთის პარალელურად.

ორი სისტემა მოქმედებს უღვლილების დროსაც:

ღლ-ი-ს	ღალ-ავ-ს
და-ღალ-ა	და-ღალ-ა

პირველ შემთხვევაში მოქმედებს მორფონოლოგიური პრინციპი: აფიქსაციასთან ერთად ფუძეებს განასხვავებს ფონეტიკური ფაქტორიც.

მეორე შემთხვევაში ფორმათა განსხვავება მხოლოდ აფიქსაციით ხდება, ანუ: მოქმედებს წმინდა მორფოლოგიური პრინციპი.

სხვადასხვა გახმოვანება გამოყენებულია სახელადი და ზმნური ფუძეებს განასხვავებლადაც:

სახელი:

ზმნა:

ცალ-ი

ცლ-ის

თვალ-ი

თვლ-ის...

უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ამ შემთხვევაში განსხვავებულია სახელისა და ზმნის ფორმათწარმოების პრინციპები:

ა) სახელი ფორმებს იწარმოებს წმინდა მორფოლოგიური (აფიქსაციის) პრინციპით: ცალ-ი, ცალ-მა, ცალ-ს, ცალ-ის, ცალ-ით, ცალ-ად... იგივე პრინციპია, რაც: წელ-ი, წელ-მა, წელ-ს, წელ-ის, წელ-ით, წელ-ად...

ბ) ზმნურ ფორმათა წარმოება კი ხდება მორფონოლოგიური პრინციპით: ცლ-ის, მაგრამ: და-ცალ-ა... ანალოგიურია: წელ-ი, წელ-მა, წელ-ს, წლ-ის, წლ-ით, წლ-ად...

დასტურდება ორი შესაძლებლობა.

ერთ შემთხვევაში ფორმათწარმოების ორი პრინციპი — მორფოლოგიური და მორფონოლოგიური — ლექსიკური მნიშვნელობის მიხედვით განასხვავებს ფორმებს:

წელ-ი „სხეულის ნაწილი“

წელ-ი „წელიწადი“

წელ-ის

წლ-ის

ანდა:

ნალველ-ი („მომწვანო-ყვითელი ფერის მწარე სითხე, რომელსაც გამოიმუშავენ ღვიძლი“) → ნალველ-იან-ი.

ნალველ-ი („დარდი, კაეშანი, სევდა, მწუხარება, ჯავრი“) → ნალველ-იან-ი.

მეორე შემთხვევაში სხვაობს მხოლოდ ფორმათწარმოების პრინციპები, მნიშვნელობა ერთი და იგივეა:

ღლ-ის

ღალ-ავ-ს

ღა-ღალ-ა

ღა-ღალ-ა.

მნიშვნელობათა განსახვავებლად კუმშვა-უკუმშველობის გამოყენების შესაძლებლობამ ზოგ ავტორს ახალ ფორმათა წარმოების საშუალება მისცა:

„კემპარიტმა მხატვარმა უნდა დაიცვას და შეითვისოს მარტივობა (უბრალობა), მკაფიობა (ნათელობა), გულწრფელობა და ზომიერება“.

ანდა:

„უკანასკნელ ხანებში ზოგმა მწერალმა ქართულში, სამწუხაროდ, უცხო ენის ბუნება გადმოიტანა, მისი ნათელობა და ნისლა“ (მ. ჯავახიშვილი).

ახალი წარმოების ნათელ-ობ-ა სემანტიკურად დაუპირისპირდა უკვე არსებულ ნათლ-ობ-ა („რელიგიური წესჩვეულება, ვისიმე მორწმუნეთა კრებულში ჩასარიცხად...“) ფორმას, რომელიც ასევე ნათელ-ფუძისგანაა ნაწარმოები, შდრ.: ნათელ-ილო.

ფორმობრივად ეს მნიშვნელობები ფუძის კუმშვა-უკუმშველობამ განსახვავა: ნათლ-ობ-ა — ნათელ-ობ-ა.

ანალოგიური ფორმობრივი შეპირისპირების მტრ-ობ-ა და მტერ-ობ-ა („გულში აღეძრა მტერობა“, ვეჟა-ფშაველა; „არ იფიქროთ, რომ მე იმის მტერობა მჭირვებოდეს“, აკაკი) კი სემანტიკურად იდენტურია, ორივე აღნიშნავს: „მტრად ყოფნა, შუღლი“.

ფორმობრივად ერთი და იმავე რიგის მიმართებაა (ნათლ-ობ-ა — ნათელ-ობ-ა, ერთი მხრივ, მტრ-ობ-ა — მტერ-ობ-ა, მეორე მხრივ), სემანტიკურად კი განსხვავებული ვითარებაა.

არსებითად ფუძის კუმშვა-უკუმშველობითაა განსხვავებული მნიშვნელობები ხან-იერ-ი და ხნ-იერ-ი ფორმებს შორისაც:

ხნ-იერ-ი („მოხუცი, ასაკოვანი“): „მისკენ იზიდავს ჭაბუკს და ხნიერს“ (აკაკი).

ხან-იერ-ი („ხანგრძლივი“): „ხამს მიჯნური ხანიერი, არმეძავი, ბილწი, მრუში“ („ვეფხისტყაოსანი“).

სემანტიკური დიფერენციაცია მეორეულია. ორივე ამ ფორმისათვის ამოსავალია მნიშვნელობა: „ხანის, ასაკის მქონე“.

ანალოგიური ფონეტიკური ფაქტორით განსხვავდება ქვეყნ-ად და ქვეყან-ად, პირველი ადგილის გარემოების ფუნქციითაა გამოყენებული, მეორე — უბრალო დამატების დანიშნულებით:

ადგილის გარემოება: „ქვეყნად ბევრი არმიაა, სულ სხვადასხვა ფერია...“ (გალაქტიონი).

უბრალო დამატება:... „მეიმედება საქართველო ქვეყანად სოფლის!“ (მ. ლებანიძე).

უფძის კუმშვა-უკუმშველობის საშუალებით მნიშვნელობათა განსხვავების ტენდენცია ზემოდასახელებულ ნიმუშებში ფაქულტატიურ მოვლენად უნდა ჩათვალოს თავისი არარეგულარობის გამო, რაც, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს მის შემდგომ გაფართოებასა და ამის საფუძველზე მნიშვნელობათგანსხვავების კანონიკურ მოვლენად ქცევას.

მით უფრო, რომ ამას სხვა ფორმებიც უჭერენ მხარს: წელ-ის და წლ-ის, თვალ-ის და თვლ-ის... ქარ-ი და ქრ-ი-ს, ცალ-ი და ცლ-ი-ს...

§ 20. ქართულში ვვაქვს ამგვარი შეპირისპირება:

ს-წყენ-ს — 1. ჰენებს, ზიანს აყენებს რისამე ან ვისამე ნორმალურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, ზრდა-განვითარებას... 2. უკმაყოფილოა რამეთი, გულს აკლია...

ს-წყინ-ს — 1. უკმაყოფილოა რამეთი, გულს აკლია... 2. ჰენებს, ზიანს აყენებს რისამე ან ვისამე ნორმალურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, ზრდა-განვითარებას...

ს-წყენ-ს და ს-წყინ-ს, ამ განმარტების თანახმად, არსებითად ერთი და იმავე მნიშვნელობების გამომხატველი ფორმებია, მაგრამ შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში (ქგლ, 1964, ტომი VIII) ის ორი მნიშვნელობა, რომლებსაც ეს ფორმები გამოხატავენ, ურთიერთსაპირისპირო რიგითაა წარმოდგენილი: ენაში ამთავითვე იგრძნობა ტენდენცია თითოეულ ამ ფორმათაგანს დაეკისროს იმ მნიშვნელობების გამოხატვა, რომელიც მათთვის პირველ განმარტებადაა წარმოდგენილი:

ს-წყენ-ს — ჰენებს, ზიანს აყენებს...

ს-წყინ-ს — უკმაყოფილოა რამეთი, გულს აკლია...

სხვაობაა არა მხოლოდ ლექსიკური, არამედ გრამატიკული მნიშვნელობის თვალსაზრისითაც: ს-წყენ-ს მკვიდრდება როგორც დინამიკური გარდამავალი ზმნა (ლექსიკური მნიშვნელობა: „ჰენებს, ზიანს აყენებს“ თავისთავად გულისხმობს გრამატიკულად აქტიურ სემანტიკასაც),

ს-წყინ-ს — როგორც სტატიკური, გარდაუვალი ზმნა (აქაც სრული შესაბამისობაა ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობებს შორის).

გრამატიკული სხვაობა ნათლად იჩენს თავს უღვლილების დროსაც:

რა ხდება:	ს-წყენ-ს	ს-წყინ-ს
რა მოხდება:	ა-წყენ-ს	ე-წყინ-ებ-ა
რა მოხდა:	ა-წყინ-ა	ე-წყინ-ა
რა მომხდარა:	უ-წყენ-ი-ა	ს-წყენ-ი-ა.

ს-წყენ-ს იმავე რიგისაა, რაც: ჰ-ვენ-ებ-ს, ჰ-რგ-ებ-ს, ჰ-რქ-ენ-ს, ს-ტყ-ენ-ს, რომლებიც „რა მოხდება“ პარადიგმაში შესაბამისად იძლევიან: ა-ვენ-ებ-ს, ა-რგ-ებ-ს, უ-რქ-ენ-ს, ა-ტყ-ენ-ს, „რა მოხდა“ პარადიგმაში: ა-ვენ-ო, ა-რგ-ო, უ-რქ-ინ-ა, ა-ტყ-ინ-ა.

ს-წყინ-ს, თავის მხრივ, ჰ-სურ-ს, ს-ძინ-ავ-ს, ჰ-წყურ-ი-ა სტატიკურ ზმნათა უღვლილების პრინციპს მიჰყვება: ჰ-წყურ-ი-ა — ე-წყურ-ებ-ა — ს-წყურ-ებ-ი-ა, ს-ძინ-ავ-ს — ე-ძინ-ებ-ა — ე-ძინ-ა — ს-ძინ-ებ-ი-ა...

ნიშანდობლივია: იმ შემთხვევაში, როცა ს-წყენ-ს ფორმას ეკისრება გამოხატოს მნიშვნელობა „უკმაყოფილოა, გულს აკლია“, მაშინ იცვლება მისი უღვლილება: ს-წყენ-ს — ე-წყინ-ებ-ა — ე-წყინ-ა — ს-წყენ-ი-ა, ე. ი. ზედმიწევნით იმეორებს ს-წყინ-ს ფორმის უღვლილების პრინციპს.

ჩანს, უღვლილების პარადიგმათა სტაბილიზაციის ტენდენციამაც შეეწყო ხელი ს-წყენ-ს და ს-წყინ-ს ფორმათათვის თითო მნიშვნელობის დამკვიდრების პროცესს.

საინტერესოა ს-წყენ-ს და ს-წყინ-ს ფორმათა ურთიერთმიმართება წარმომავლობის თვალსაზრისითაც: ფუძე ი-გახმოვანებით აღებულია წყენ-ფუძის მეორე სერიის პარადიგმიდან:

რა ხდება:	ს-წყენ-ს	
რა მოხდა:	ა-წყინ-ა	→ რა ხდება: ს-წყინ-ს.

ასეთი მიმართება ქართულში ერთეული არ არის; შდრ.:

ა-ჩენ-ს
 ა-ჩინ-ა → ჩინ-ს („ჩანს“).

ჩინ-ს ქართული ენის დიალექტებში დამოწმებული ფორმაა: ხევსურულში, ფშაურში, აჭარულში...

ეს პრინციპი მრავალმხრივ საყურადღებოა როგორც ფორმათ- და სიტყვათწარმოებითი პროცესების, ასევე ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა განაწილების თვალსაზრისით.

ს-წყენ-ს და ს-წყინ-ს ფორმათა ფორმოზრივი და სემანტიკური ურთიერთგანკერძობების პროცესი ჯერ არ დასრულებულა. ამიტომაც ხშირია მათი გადაკვეთა როგორც ფორმათწარმოების, ასევე სემანტიკის დონეებზე:

ა) ს-წყენ-ს სემანტიკურად აქტიურია და, მიუხედავად ამისა, გარდაუვალია, არა აქვს უშუალო (პირდაპირი) ობიექტი: ს-წყენ-ს ის მას, ა-წყინ-ა მან მას.

გარდაუვალია ს-წყინ-ს ფორმაც: ს-წყინ-ს მას ის, ე-წყინ-ა მას ის. ორივე ფორმა ორვალენტანია. სხვაობა ისაა, რომ ს-წყინ-ს ინვერსიული წყობისაა. მაგრამ ინვერსიული უხდება წყობა ს-წყენ-ს ზმნასაც, თუკი იგი გამოხატავს მნიშვნელობას „უკმაყოფილოა, გულს აკლია“.

სემანტიკა განსაზღვრავს ფორმის მორფოლოგიურ და სინტაქსურ სტატუსს.

ბ) ს-წყენ-ს ძირითადად ნიშნავს: „ჰენებს, ზიანს აყენებს“, სპორადულად შესაძლოა აღნიშნავდეს: „უკმაყოფილოა, გულს აკლია“. მისგან იწარმოება კაუზატივი: ა-წყენ-ინ-ებ-ს, რომლის მნიშვნელობაა მხოლოდ: „უკმაყოფილოს გახდის ვისმე, საწყენს გაუყეთებს“. ასე რომ, ჯერ ერთი, ამ ფორმას ის მნიშვნელობა აღმოაჩნდა, რომელიც არაძირითადია საყრდენი ს-წყენ-ს ფორმისათვის, თუმცა მისი კაუზატივი კია. მეორეცაა და, კაუზატივი, როგორც წესი, იძულებას გამოხატავს ისე, რომ მოქმედების გამომწვევი და ჩამდენი სხვადასხვა პირია. ამ თვალსაზრისით აქ გვაქვს კაუზატივის ფორმა (ა-წყენ-ინ-ებ-ს), მაგრამ არა გვაქვს კაუზატივის მნიშვნელობა (რადგან ა-წყენ-ინ-ებ-ს არ ნიშნავს: ვილაცას აიძულებს, რომ სხვას აწყენინოს; შდრ.: ა-წერ-ინ-ებ-ს, ა-დგენ-ინ-ებ-ს...).

გ) ს-წყენ-ს ფორმისგან იწარმოება სასუბიექტო მიმღეობა: მ-ა-წყენ-არ-ი. ს-წყინ-ს ფორმისგან — მ-ა-წყინ-არ-ი. ორივე გამოხატავს ერთსა და იმავე მნიშვნელობას: „მავნებელი, არამარგებელი“.

იმავედროულად საობიექტო მიმღეობა იწარმოება მხოლოდ ს-წყენ-ს ფორმისაგან: სა-წყენ-ი, ნა-წყენ-ი და გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ მნიშვნელობას: „რაც უკმაყოფილებას იწვევს... ის, ვინც უკმაყოფილოა რამეთი, ვისაც გულს აკლია“.

შენიშვნა: ქგლ-ის მიხედვით სა-წყენ-ი ნიშნავს: 1. რაც უნდა ეწყინოთ ან სწყინოთ, შესაწუხებელი, სამწუხარო („რომ არ მეწყინოს საწყენი, ხომ არ გგონივართ ბაღია“, ვაჟა-ფშაველა); 2. რაც აწყენს, ავნებს, მაწყინარი („საწყენი საქმელი“).

მეორე მნიშვნელობისათვის ჩვეულებრივ მ-ა-წყენ-არ-ი ფორმა გამოყენებული: „მაწყინარი საქმელი“.

ნიშანდობლივია ისიც, რომ სა-წყენ-ი გადადის სხვა სემანტიკურ წრეში მაშინ, როცა მო-ზმნისწინით ფორმდება: მო-სა-წყენ-ი, და უკვე უკავშირდება ისევ წყენ- ფუძისგან ნაწარმოებ ნამყო დროის საობიექტო მიმღეობას მო-წყენ-ილ-ი.

ამრიგად, ფორმოზრევად ასეთი მიმართებაა:

$$\text{ს-წყენ-ს} \rightarrow \left\{ \begin{array}{l} \text{მ-ა-წყენ-არ-ი} \\ \text{სა-წყენ-ი} \\ \text{ნა-წყენ-ი} \\ \text{მო-წყენ-ილ-ი} \end{array} \right.$$

და:

$$\text{ს-წყენ-ს} \rightarrow \text{მ-ა-წყენ-არ-ი.}$$

სემანტიკური მიმართება კი უკვე სხვაგვარია:

$$\text{ს-წყენ-ს „ჰენებს“} \rightarrow \left\{ \begin{array}{l} \text{მ-ა-წყენ-არ-ი „მავნებელი...“} \\ \text{მ-ა-წყენ-არ-ი „მავნებელი...“} \end{array} \right.$$

მაგრამ:

$$\text{ს-წყენ-ს „უკმაყოფილოა“} \rightarrow \left\{ \begin{array}{l} \text{სა-წყენ-ი „ის, რაც ეწყინებათ ან რაც სწყინოთ“;} \\ \text{ნა-წყენ-ი „ის, ვისაც ეწყინა რაღაც, უკმაყოფილო“;} \\ \text{წყენ-ია „ის, ვისაც ადვილად ეწყინება ზოლმე, ვისაც ყველაფერი სწყინს“;} \end{array} \right.$$

დამოუკიდებელ სემანტიკურ წრეს ქმნიან ფორმები მო-სა-წყენ-ი და მო-წყენ-ილ-ი (1. „მომაბეზრებელი, დასალონებელი“, 2. „დაღვრემილი, დაღონებული“).

დ) ს-წყენ-ს და ს-წყინ-ს ფორმებს მასდარი საერთო ექნებათ:

წყენ-ა — 1. უკმაყოფილება, უსიამოვნება...

2. ზიანის მიყენება, ვნება...

„ლიაცსა წყენა შეატყო“ („ვეფხისტყაოსანი“).

„შხამს რომ წყენა შესძლებოდა ზღარბისა, ის ისე არხეინად აღარ იქნებოდა ბრძოლის შემდეგ“ (ი. გოგებაშვილი).

ღირსსაღწობია ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაშიც იჩენს თავს განსხვავების დამყარების ტენდენცია: ს-წყენ-ს ფორმას მასდარად დაურჩა წყენ-ა, ხოლო ს-წყინ-ს ფორმას შეეფარდა წყენ-ინ-ებ-ა, ნაწარმოები ა-წყენ-ინ-ებ-ს კაუზალური ფორმისაგან.

ს-წყენ-ს და ს-წყინ-ს ფორმათა ურთიერთმიმართება ნათელი ნი-მუშია იმისა, თუ რა არსებითი ხასიათის ძვრები შეიძლება მოჰყვეს ენაში ფორმათა გრამატიკული და ლექსიკური თვალსაზრისით ურთი-ერთგამიჯვნის ტენდენციას.

§ 21. გახმოვანების ცვლით განასხვავებენ მნიშვნელობებს წონ : წუნ ფუძეებიც (ი. ქავთარაძე, 1964, გვ. 266; თ. გამყრელიძე, გ. მაკავარი-ანი, 1965, გვ. 251—252):

ი-წონ-ებ-ს—მოსწონს, მისაღებად
(კარგად, სასიკეთოდ, საჭიროდ)
მიაჩნია.

ა-წუნ-ებ-ს — წუნსა სდებს, შე-
საფერისად, მისაღებად, საჭიროდ
არ მიაჩნია.

ორივე ეს ფორმა დინამიკურია.

იბოებოდა შესაბამისი სტატიკური ვარიანტებიც: მო-ს-წონ-ს — ს-წუნ-ს. ამათგან ს-წუნ-ს ახალ ქართულში აღარ იხმარება. ძველი მი-მართება შეიცვალა უარყოფის გამომხატველი ფორმის შემცველი სის-ტემით: მო-ს-წონ-ს — არ მო-ს-წონ-ს. დიალექტებმა შემოინახეს ს-წუნ-ობ-ს, რომელიც ძველ ქართულშიც ფუნქციონირებდა: „ს-წუნ-ობ-ს წრფელთა და ჰ-ბასრ-ობ-ს მდაბალთა“ (ი. აბულაძე, 1973, გვ. 552).

ი-წონ-ებ-ს ფორმა ითავსებს მო- ზმნისწინს: მო-ი-წონ-ებ-ს.

ი-წუნ-ებ-ს ფორმა და- ზმნისწინს იგუებს: და-ი-წუნ-ებ-ს.

§ 22. ო : უ მონაცვლეობა ქართულში საკმაოდ გავრცელებულია, მაგრამ მას მნიშვნელობათა განმასხვავებლის ფუნქცია მხოლოდ რამ-დენიმე შემთხვევაში აქვს მოპოვებული.

კერძოდ, წონ : წუნ ფუძეთა გარდა, შეიძლება დავასახელოთ:

ბორჯ-ი — ფესვი. დიალექტებში აქვს აგრეთვე მნიშვნელობა: ჭერი, რიგი, ვადა... ვალი...

ბურჯ-ი — საყრდენი, საფუძველი.

სლოკ-ინ-ი — ხორხისმიერი ნაწყვეტ-ნაწყვეტი ხმები, რომელთაც გამოსცემს ადამიანი (ან ცხოველი) დიაფრაგმის კრუნჩხვითი შეკუმშვის შედეგად სახმო სიმების ჩაკეტვის გამო.

სლუკ-უნ-ი — გულამოსკვნით ხმამალა ტირილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტი სუნთქვითა და სპეციფიკური ბგერების გამოცემით.

ცორ-ავ-ს — გოგმანით ლამაზად დადის... ლივლივებს ჰაერში, ირაოს აკეთებს.

ცურ-ავ-ს — წყლის ზედაპირზე, წყალში მოძრაობს (ფარფლების, ხელფეხის... მოსმით)...

ყველა ეს დაპირისპირება თანამედროვე ქართული ენის თვალსაზრისით ფაქულტატიური საშუალებაა ლექსიკურ მნიშვნელობათა განსასხვავებლად.

§ 23. რა თქმა უნდა, გახმოვანების ცვლის გამოყენების შემთხვევები მნიშვნელობათა განსასხვავებლად ქართულში ამით არ ამოიწურება, მაგრამ ნიმუშად, ზოგადი პრინციპის საჩვენებლად და ამის საფუძველზე კანონიკურ, დაფუძნებულ და ფაქულტატიურ საშუალებათა გასარჩევად, ვფიქრობთ, ესეც კმარა. განსაკუთრებით ხელშესახებია ეს პროცესი დიალექტებში, სადაც მრავლადაა ამ რიგის დაპირისპირებანი: ბლაც-ნ-ა და ბლუყ-ნ-ა, ბარდლ-უნ-ი და ბურდლ-უნ-ი, ფეთქ-ვ-ა და ფოთქ-ვ-ა, ხორხ-ნ-ა და ხურხ-ნ-ა... (ფ. ერთელიშვილი, 1970, გვ. 105—114). ბუნებრივიცაა; დიალექტები შეუზღუდავად იყენებენ იმ ტენდენციას, რომელიც ნაკლებგავრცელებულია, ხოლო ზოგჯერ იკრძალება კიდევ სალიტერატურო ენაში. არადა ამ თვალსაზრისით ქართულ ენას, მართლაც, მოეპოვება პრაქტიკულად ამოუწურავი შესაძლებლობანი. აი, ნიმუში იმისა, როცა ერთი ამოსავალი ფუძე ოთხგვარი გახმოვანებით იპოება ენაში მნიშვნელობათა სრული ან ნაწილობრივი განსხვავების დანიშნულებით:

ღრღ-ნ-ი-ს — წვრილად ფხვნის, აქუცმაცებს კბილებით რაიმე მაგარს, ხრავს, კბილებით გლეჯს...

ღერღ-ავ-ს — მეტად მსხვილად ფქვავს მარცვლეულს...

ლორღ-ნ-ი-ს — ჰამს საჭმელს უკბილო ადამიანი ან პირუტყვი, იგივეა, რაც ლოღ-ნ-ი-ს.

ღურღ-ნ-ი-ს — მშრალ რასმე (პურს, მჰადს...) ანამცეცებს და გემრიელად ჰამს.

§ 24. მნიშვნელობათა ცვლა შესაძლოა თან ახლდეს ბგერათკომპლექსთა მონაცვლეობასაც.

ჩვეულებრივ, ამგვარ შენაცვლებას რაიმე სემანტიკური ცვლილება არ უკავშირდება: თვალ-ი → თოღ-ი, ხვადაბუნ-ი → ხოდაბუნ-ი და მისთანანი წმინდა დიალექტური მოვლენაა ქართულისათვის და ეს ფორმები ერთმანეთის მიმართ მარტოოდენ ფონეტიკურ ნაირსახეობებს წარმოადგენენ.

ამასთანავე ქართულ ენას რამდენიმე შემთხვევაში კომპლექსის ცვლაც გამოუყენებია მნიშვნელობათა განსასხვავებლად.

ა-კიდ-ვა — იგივეა, რაც ა-კიდ-ებ-ა, მასდარია ჰ-კიდ-ავ-ს ზმნისა, ნიშნავს: ტვირთის აღება, ზურ-გზე მოღება...

ა-კიდ-ო — 1. ვაზის მოკლედ აჭრილი წყვილმტევნიანი რქა. 2. სიმინდის წყვილი ტარო, ფუჩეჩით გადაბმული. 3. ხილცის ასხმულა, ჯაგანი. საბა: „ხილი ერთად შებმული“. 4. ვაზის ჯიში დასავლეთ საქართველოში.

ა-კიდ-ო ← ა-კიდ-ვა, ვა → ო კომპლექსის ცვლით. ფორმობრივ აქ ისეთივე ვითარებაა, როგორც სიტყვა-ა → სიტყ-ო, ოლონდ სემანტიკური გადახრით.

სემანტიკურად ა-კიდ-ო ← ა-კიდ-ვა იმავე რიგის ფორმა ჩანს, რაც ა-ცმ-ა („ერთი აცმა ჩირი“), გა-ბმ-ა („ერთი გაბმა ძაფი“)... სხვაობა ისაა, რომ ა-ცმ-ა, გა-ბმ-ა ფორმობრივად ვერ ასხვავებს საკუთრივ მასდარულ („წვეტიან რამეზე, ან ძაფზე, წნელზე, მავთულზე... აგება, ასხმა“, „თოკის, ძაფის... მიმაგრება ორ მოპირდაპირე მხარეს შორის“) და ზედსართაულ („გარკვეული სიგრძის ძაფი ზედ აცმული ან ასხმული საგნებით“, „ერთი ამოხვევა, შულო“) მნიშვნელობებს, ა-კიდ-ვა და ა-კიდ-ო ფორმათა შემთხვევაში კი ენამ ეს დანიშნულება კომპლექსის ფონეტიკურ ცვლას დააკისრა.

ანალოგიური ვითარებაა ამ შემთხვევაშიც:

ბურდ-ვ-ა — აწეწვა, აშლა, არევა;
მასდარი ბურდ-ავ-ს ზმნისა.

ბურდ-ო — საბა: „ულეწავი ბზე
ფეტვისა“. პურეული მცენარე-
ების (უპირატესად, ფეტვის) დას-
რესილი, გაულეწავი (გაუცეხვა-
ვი) წველი (ჩალა). ჩალაბულა,
აწეწილი თივა.

სემანტიკური გადასვლა ადვილი ასახსნელია: „თივის აწეწვა, აშლა,
არევა“ → „აწეწილი, აშლილი, არეული თივა“. ამ სხვაობის გამოხატვა
დაეკისრა ფონეტიკური ცვლის შედეგად დაპირისპირებულ ფორმებს:
ბურდ-ვ-ა → ბურდ-ო. ეს უკანასკნელი საფუძვლად დაედო ფორმას
ბურდო-იან-ი „ჭუჭყიანი, მღვრიე წყალი“ (ამოსავალი მნიშვნელობა:
„ბურდოს შემცველი“).

ამის გათვალისწინებით, არ უნდა იყოს მოულოდნელი ასეთი გა-
დასვლებიც:

ფერდ-ი → ფერდ-ავ-ს → ფერდ-ვ-ა.

აქედან:

ფერდ-ვ-ა → ფერდ-ო.

ფერდ-ი — „ადამიანის ან ცხოველის სხეულის ნაწილი ნეკნებიდან
თქომდე... ტანისამოსის ის ნაწილი, რომელიც ადამიანის ფერდს ფა-
რაეს... დაფერდებული ადგილი“.

ფერდ-ავ-ს — იგივეა, რაც ა-ფერდ-ებ-ს, „ქვემოთკენ გადახრის რი-
სამე ერთ მხარეს, დააქანებს, დახრის რასმე“.

ფერდ-ვ-ა — „ქვემოთკენ დახრა, დაქანება რისამე ერთი მხარისა“.

ფერდ-ო — „დაფერდებული, ქვემოთკენ დაქანებული ადგილი“.

ფერდ-ი და ფერდ-ო ფორმებს ერთი მნიშვნელობა საერთო აღმო-
აჩნდათ („დაფერდებული, დაქანებული ადგილი“), პირველი გადატა-
ნით იხმარება ამ სემანტიკით, მეორისათვის ეს მნიშვნელობა ძირითა-
დია. ენაში შეიქმნა საფუძველი (ტენდენცია) ამ ორი ფორმის სემან-
ტიკური განსხვავებისათვის.

და ასე: გვერდ-ი → *გვერდ-ავ-ს → *გვერდ-ვ-ა → გვერდ-ო და
მისთ. (შდრ.: ი. ქავთარაძე, 1979, გვ. 141).

ვა : ო ცვლილების საფუძველზე დაუპირისპირდა ერთმანეთს ქართულ სალიტერატურო ენაში თქვ-ა და თქ-ო ფორმებიც:

თქვ-ა — სიტყვიერად გამონათა, ვადმოსცა აზრი, სიტყვიერად აღნიშნა რამე, წარმოთქვა... შემოსძახა, დასძახა, დააგუგუნა (სიმღერა, ბანი...)... ასტეხა, გააბა (ზარი, გლოვა...) .

-თქო — სხვათა სიტყვის გამომხატველი ნაწილაკი (მორფემოიდი), აღნიშნავს პირველი პირის დანაბარებ სიტყვას, რომელიც მხოლოე პირმა შესაშეს უნდა გადასცეს... დიალექტებში გამოიყენება -მეთქი მორფემოიდის ნაცვლადაც.

„მან თქვა: მე ღარბაზს ვერ შევალ, მახსოვან ღღენი წინანი“ („ვეფხისტყაოსანი“).

„წადი, ახლავე აქ მოიყვანე, ფულს გაჩუქებენ-თქო“ (ილია).

თქ-ო ფორმა ჩვეულებრივია აღმოსავლეთ საქართველოს დიალექტებში საკუთრივ თქვ-ა ფორმის მნიშვნელობით:

მოხეური: „შაკრებულობამ თქო: — არა ვიცოდით რაო“.

მთიულური: „მემრე თქო, რომაო: — მე წავალ და გავაწყობ სტოლებსაო“.

კახური: „მემრე იმ ბიჭმა თქო: — რამდენი მძინებიაო!“

საპირისპიროდ: დასავლეთ საქართველოს დიალექტებში თქვ-ა ფორმა გამოიყენება თქ-ო მორფემოიდის ნაცვლად:

იმერული: „მალაქიასთან გაღირბინე, ვარლამია, და უთხარი, დედა შემოგეხვეწა-თქვა, ჩემო მალაქია, ეს ერთი ღოქი ღვინო გამომიგზავნე-თქვა და მე ვიცი შენი პატივისცემა-თქვა... ჩემო მალაქია-თქვა, ძალიან შემოგეხვეწა დედა-თქვა!.. უთხარი, რომ უცხო სტუმარი მოუვიდა-თქვა“ (დ. კლდიაშვილი).

ასე რომ, ფაკულტატიურად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ და მხოლოდ საკუთრივ სალიტერატურო ენაში თქვ-ა და თქ-ო ფორმათა პარალელური პოვნიერება სხვადასხვა მნიშვნელობათა გამოსახატავად. კერძოდ, ქართულ სალიტერატურო ენაში თქვ-ა იმავე სემანტიკურ რიგში შედის, სადაც ფუნქციონირებენ: ამბ-ობ-ს, უ-თხრ-ა, ი-ტყვი-ს, ხოლო -თქო განეკუთვნება იმ სემანტიკურ რიგს, სადაც იპოვება: -მეთქი, -ო სხვათა სიტყვის მორფემოიდები (ნაწილაკები).

ზემოდასახელებულ ფორმათა წყებას განეკუთვნება აგრეთვე:
კვამლ-ი — რისამე წვის დროს გა- კომლ-ი — ცალკე ოჯახი, მოსა-
მოყოფილი აირადი ნივთიერე- ხლე.
ბა... ბოლი.

ყურადღებას იქცევს შემდეგი მიმართებაც:

მრგვალ-ი — ის, რაც წრის მოყვა- რგოლ-ი — საგანი, რომელსაც
ნილობისა ან ჭრილში წრეს იძ- წრეხაზის ფორმა აქვს, პატარა
ლევა. სალტე...

თუ გავითვალისწინებთ, რომ მრგვალ-ი ფორმის პარალელურად არსებობს რგვალ-ი (შდრ.: რგოლ-ი), არაა გამორიცხული, რომ რგოლ-ი ← *მრგოლ-ი (შდრ.: მრგვალ-ი). მაშინ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ წარმოშობით მრგვალ-ი და რგოლ-ი მხოლოდ ვა : ო მონაცვლეობით სხვაობს ფორმოზომად ერთმანეთისაგან, ხოლო განსხვავება მ- ელემენტის მქონებლობა-უქონლობით მეორეული, დამატებითი მოვლენაა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა : ისტორიულად აქ სხვაგვარი ვითარებაა: რგოლ-ი ფორმის ნაცვლად გვქონდა გრგოლ-ი იმავე მნიშვნელობით, მრგვალ-ი (მრგვალ-ი) კი გამოიყენებოდა მნიშვნელობით: „მრთელი, მთლიანი“, მრგულ-ი — „გარემო, ირგვლივ“, სიმრგულ-ე — „წრე, სფერო“ (ი. აბულაძე, 1973)... აქვე გასათვალისწინებელი ზღვრა გოგორა, გორგოლა და მისთანა ფორმებიც, რომლებიც სალიტერატურო ენაშიც გვაქვს და გაცილებით უფრო მეტი ნაირსახეობით დიალექტებში იპოება.

§ 25. მნიშვნელობათა განსხვავების მიზნით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ვი : უ მონაცვლეობაც (რაც სხვა, აბსოლუტურად უმრავლეს შემთხვევაში რაიმე სემანტიკურ დაპირისპირებას არ იძლევა: წვიმ-ს — წუმ-ს და მისთ.). კერძოდ, იგულისხმება რაგვი-ი და რაგუ-ი ფორმათა შორის არსებული სემანტიკური სხვაობა:

რაგვი-ი — საბა: „ირმისა და ღორის დასაჭერი მახე“, დაწნული ღობე, შემოღობილი, შემორაგული.

რაგუ-ი — წნელის, ჩალის, ლერწმისა და მისთანა მასალისაგან დაწნული ქურჭელი: გოდორი, კალათი, ლანკანი... წმინდად დაწნული ღობე.

აშკარაა სემანტიკური სიახლოვეც და ამასთან ერთად განსხვავების ზენდენციაც.

§ 26. მნიშვნელობათა განმასხვავებლის დანიშნულება აღმოაჩნდა ბგერათგადასმასაც (მეტათეზისაც):

კმაზ-ავ-ს — საკმელს შეამზადებს,
შეაზავებს სანელებლებით...

კაზმ-ავ-ს — 1. ცხენს ამზადებს
სამგზავროდ... 2. მოხდენილი, ლა-
მაზი ტანსაცმლით რთავს (მორ-
თავს)... 3. კინძავს და ყდაში
სუამს წიგნებს...

არის შემთხვევები, როცა კაზმ-ავ-ს აღნიშნავს საკმლის შეზავების, შემზადების პროცესსაც (ასეა შეტანილი ეს ფორმები ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც).

უეჭველია, რომ კმაზ-ავ-ს და კაზმ-ავ-ს ერთმანეთის მიმართ ფონეტიკური ვარიანტებია, რომლებიც თავდაპირველად დიალექტების დონეზე უნდა არსებულებოდა. ამჟამად კი სულ უფრო ხელშესახებია მათი სემანტიკური განსხვავების ტენდენცია სალიტერატურო ქართულში:

კაზმ-ავ-ს — ცხენს, მხედარს... წიგნს... ქუჩას...

კმაზ-ავ-ს — შეკამანდს, მხალს...

§ 27. მნიშვნელობათა განმასხვავებლის ფუნქცია ქართულში პაუზასაც აკისრია (გ. წერეთელი, 1973, გვ. 44—46). ენის ეს თვისებაც ამჯერად სემანტიკური დიფერენციაციის ფაქულტატიურ შესაძლებლობად მოჩანს.

შეუუდაროთ ერთმანეთს სინტაგმები:

„დედასთან მოჰყვა“

„დედას თან მოჰყვა“.

პირველ შემთხვევაში ის აღინიშნება, რომ დედასთან მივიდა, მეორე შემთხვევაში — რომ დედას ახლდა თან.

ის, რაც ცალკე დაწერილობით გამოიხატება, ზეპირ მეტყველებაში მხოლოდ პაუზით შეიძლება გადმოვიცეს.

— თან თანდებულის გამოყენებისას ასეთი ვითარება მხოლოდ მაშინაა, როცა ხმოვანზე ფუძედაბოლოებული სახელი გვაქვს.

თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთან სხვაობა სხვა გზით მიიღწევა:

„კატთან მოჰყვა“

„კატ-ს თან მოჰყვა“.

იმის გამო, რომ თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელთან -თან თანდებული იწვევს მიცემითი ბრუნვის -ს ნიშნის დაკარგვას, სხვაობა ამ ორ სინტაგმას შორის ფორმოზრივად არის გარჩეული: „კატთან“, მაგრამ: „კატს თან“.

ესეც მიუთითებს, რომ პაუზა აქ მორფოლოგიურ ელემენტს ცვლის.

თანხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებთან პაუზა დამატებითი საშუალებაა. იგი შეიძლება არც იყოს, მნიშვნელობები მაინც განირჩევა.

ნ. ბარათაშვილს აქვს ასეთი ფრაზა:

„ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს

და, რაც მიიღოს ერთის ნატურით, იგი იკმაროს“.

„ვის თვის“ აქ ნიშნავს „ვისაც თავისი“. პაუზა რომ არა, იგი აირეოდა -თვის თანდებულიან ფორმაში „ვისთვის“ („რომლისთვის“).

და ასე: „განაახლა“ — „განა ახლა“, „მივიდა, დაუძახა“ — „მივიდა და უძახა“...

ამასთან დაკავშირებით ისმის საკითხი მახვილის განაწილებისა, ენკლიტიკისა, პროკლიტიკისა და ა. შ.

პაუზის მნიშვნელობათგანმასხვავებელი ფუნქცია განსაკუთრებით ხელშესახებად იჩენს თავს მაჯამური რითმების დროს; მოვიტანთ ერთ ნიმუშს „დავითიანიდან“:

„რაც დამრჩა, ვერ ვსთქვი, მეწადა მეტქვა გრძლად, თავი შეცადა.

ვერა ვსთქვი, მოცლას უცდიდი, ნეტამცა არა შეცადა!

მესწრაფა სევდის ლახვარი, საკვდავად გულსა მეცა და

აწ ამას ელონობ, არ ვიცი, ქვესენად წავალ თუ მე ცადა!“

პირველ ორ სტრიქონში „მეცადა“ მხოლოდ კონტექსტით განირჩევა: „მეცადა“ (1) — გამომეცადა, „შემემოწმებინა, „მეცადა“ (2) — მომეცადა, დავლოდებოდი.

ბოლო ორ სტრიქონში „მეცა და“ — „მე ცადა“ პაუზის განაწილე-

ბით განსხვავდება ერთმანეთისაგან და პაუზის მქონებლობით — პირ-
ველი ორი სტრიქონის „მეცადა“ ფორმისაგან. „მეცა და“ ნიშნავს:
დამეცა, დამესო (გულზე), „მე ცადა“ — ცად, ცას, ცაში მე (წავალ).

§ 28. როგორც ზემოთ აღინიშნა, სალიტერატურო ენაში ამ რიგის
მოვლენათა მხოლოდ ცალკეული შემთხვევები შემოადწევეს ხოლმე.
გაცილებით მეტი გასაქანი ეძლევა მათ დიალექტებში.

დავასახელებთ ორიოდ ნიმუშს.

ქვემოიმერულში მო- ზმნისწინისეული -ო ელემენტი პირველი სუ-
ბიექტური პირის ვ- ნიშნის წინ გადაიქცევა უ- 'დ. ეს ხდება, ჩვეულებ-
რივ, ა- და ე- პრეფიქსების წინა პოზიციაში: მო-ვ-ა-ხერხ-ე → მუ-ა-
ხერხ-ე... იგივე პროცესი დამოწმებულია მაშინაც, როცა მო- შედის
რთული ზმნისწინის შემადგენლობაში: გამო-ვ-ე-კიდ-ე → გამუ-ე-
კიდ-ე...

აქ ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მო- და მუ- ილებს გრამა-
ტიკულ მნიშვნელობათა განმასხვავებლის ფუნქციას და ერთმანეთს
უპირისპირებს პირველი და მეორე პირის ფორმებს:

პირველი პირი:	მუ-ა-ხერხ-ე	გამუ-ე-კიდ-ე
მეორე პირი:	მო-ა-ხერხ-ე	გამო-ე-კიდ-ე.

ანუ: ის, რაც სხვა შემთხვევებში მორფოლოგიური საშუალებებით
სხვაობს: მო-ვ-ა-ხერხ-ე — მო-ა-ხერხ-ე, ამჯერად ფონეტიკურად გა-
ნირჩა: მუ-ა-ხერხ-ე — მო-ა-ხერხ-ე...

მესამე პირშია ოა → უა: მუ-ა-ხერხ-ა. პროცესი არ იზღუდება იმის
გამო, რომ პირველ პირთან აღრევის საშიშროება არ არის: მუ-ა-
ხერხ-ე, მაგრამ: მუ-ა-ხერხ-ა; ფორმები სუფიქსებით განირჩევა ერთ-
მანეთისაგან.

მოვლენა მეორეულია და ფაკულტატიური, მაგრამ უთუოდ ანგა-
რიშგასაწევი ენის შესაძლებლობათა თვალსაზრისით.

ანალოგიურმა ვითარებამ ინგილოურშიც იჩინა თავი:

გო-მ-გ „მე გავიგე“
გა-მ-გ „შენ გაიგე“.

ანუ: ერთი და იმავე ზმნისწინის განსხვავებულმა გახმოვანებამ
გრამატიკულ მნიშვნელობათა განსხვავება იკისრა.

და ასე: ო-ჩუქ-ებ „მე ვაჩუქებ“ — ა-ჩუქ-ებ „შენ აჩუქებ“ და ა. შ. (გ. იმნაიშვილი, 1966, გვ. 102 — 103).

ქართული ენის დიალექტთა ერთ ნაწილში დამოწმებულია პოზიციურად მიღებული გრძელი ხმოვნები.

ასეთ ვითარებაში განსაკუთრებით იქცევენ ყურადღებას ის შემთხვევები. როცა გრძელ ხმოვანს მნიშვნელობათა განმასხვავებლის სტატუსი მიუღია:

უ-შენ-ა: ნამყო ძირითადის უსრული ასპექტის ფორმა.

ჟ-შენ-ა ← უ-უ-შენ-ა ← ო-უ-შენ-ა ← ა-უ-შენ-ა: ნამყო ძირითადის სრული ასპექტის ფორმა.

გ-ი-ქნ-ი-ა: I შედეგობითი ჰ-ქენ ზმნისა.

გ-ი-ქნ-ი-ა ← გი-ი-ქნ-ი-ა ← გა-ი-ქნ-ი-ა: ნამყო ძირითადი ა-ქნ-ევ-ს ზმნისა.

უ-წევ-ს მას ის: სასხვისო ქცევა წევ-ს ზმნისა, აწმყო, სტატიკა.

ჟ-წევ-ს ← უ-უ-წევ-ს ← ო-უ-წევ-ს ← ა-უ-წევ-ს: მყოფადი, დინამიკა.

ეს ნიმუშები საინტერესო მასალას იძლევიან, საერთოდ, გრძელი ხმოვნების წარმოქმნისა და ჩამოყალიბების ისტორიისათვის (იხ.: თ. უთურგაიძე, 1966, გვ. 51—62; თ. უთურგაიძე, 1976, გვ. 13). მნიშვნელოვანია ის მოვლენა, რომ დასახელებულ შემთხვევებში ხმოვანთა სიგრძე-სიმოკლე ფაქტიურად მორფოლოგიური ან ლექსიკური ღირებულებებისა (შდრ.: ნ. ტრუბეცკოი, 1960, გვ. 211).

გრძელი ხმოვნების მსგავსად უმლაუტნიანი ხმოვნებიც იჩენენ მიდრეკილებას შეიძინონ მნიშვნელობათა განმასხვავებლის ფუნქცია. ეს ვითარება აისახა, მაგალითად, ინგილოურ დიალექტში:

ჟყჟრევ-ს „უყვირებს“

ზოლ „ძველი“

უყურევ-ს „უყურებს“

ზოლ „ძვალი“

წოლ-ა-ა „წველა“

წოლ-ა-ა „წოლა“...

§ 29. დავსახელეთ რამდენიმე ნიმუში, როცა სემანტიკური თვალსაზრისით ნეიტრალურ ფონეტიკურ ცვლილებას ზოგიერთ შემთხვევაში აკისრია გრამატიკულ ან ლექსიკურ მნიშვნელობათა განსხვავება.

სწორედ ამგვარი სპორადულობის (არარეგულარულობის) გამო ეს მოვლენა განისაზღვრა როგორც ენისათვის არაძირითადი — ფაკულტატიური. მაგრამ იმავდროულად ამით კიდევ ერთხელ ვლინდება ენის პოტენცია და ტენდენცია: რაციონალურად გამოიყენოს ყველა დასაშვები შესაძლებლობა მნიშვნელობათა თვით უმცირესი ნიუანსების გამოხატვის მიზნით, თანაც ისე, რომ ეს გამოხატვა თავიდან იცილებდეს ორჯაროვნებას.

ზმნისწინთა ფონეტიკური ვარიანტების ფაკულტატიური დანიშნულებისათვის ქართულში

§ 30. ქართულში ზმნისწინი ორი დანიშნულებით გამოიყენება.

ერთია ფორმათწარმოებითი.

მეორე — სიტყვათწარმოებითი.

პირველ შემთხვევაში იცვლება გრამატიკული მნიშვნელობა, მეორე შემთხვევაში — ლექსიკური.

ფორმათწარმოების თვალსაზრისით ზმნისწინი შეიძლება განასხვავებდეს:

ა) მიმართულებას: მი-დის, მო-დის, ა-დის, ჩა-დის, გა-დის... ამო-დის, ჩამო-დის, გამო-დის... მიმო-დის...

ბ) მოქმედების დასრულებულობას, ანუ სრულ ასპექტს: გა-აკეთა (შდრ.: აკეთა), და-ხატა (შდრ.: ხატა), და-უხატია (შდრ.: უხატია)...

გ) მომავალ (მყოფად) დროს: გა-აკეთებს (შდრ.: აკეთებს), და-ხატავს (შდრ.: ხატავს)...

სიტყვათწარმოებითი დანიშნულებით გამოყენებული ზმნისწინები აწარმოებენ ლექსიკურად განსხვავებულ ახალ ზმნას: ა-აგებს, წა-აგებს, ჩა-აგებს, და-აგებს, მი-აგებს... ა-უგებს, მი-უგებს...

ყველაფერი ეს კარგად არის ცნობილი სპეციალური ლიტერატურრიდან.

ზმნისწინის სიტყვათწარმოებითი დანიშნულება უკვე მისსავე ფორმათწარმოებით დანიშნულებაში ილანდება. კერძოდ, უნარში გამოხატოს მოქმედების მიმართულება. შდრ.: ერთი მხრივ, წა-ვიდა — მი-ვიდა და, მეორე მხრივ, წა-ართვა — მი-ართვა, ან: წა-იღო — მი-იღო... მეორე შემთხვევაში არსებითად მოქმედების მიმართულებაა გამოხატული, მაგრამ მას ლექსიკური მნიშვნელობის ცვლაც სდევს თან. ეს

ჩანს თუნდაც სხვა ენასთან შეპირისპირებით, სადაც შესაბამისი მნიშვნელობებისათვის სხვადასხვა ძირის ფორმებია გამოყენებული: წა-ართვა ОТНЯЛ, ხოლო: მი-ართვა преподнес; ასევე: წა-ილო унес, ხოლო: მი-ილო получил.

სიტყვათწარმოებითი დანიშნულებით გამოყენებულმა ზმნისწინებმა შესაძლოა:

ა) გამოსატონ ერთი და იმავე მოქმედების ორი ან მეტი ნაირსახეობა, ანუ: სემანტიკური ელფერით (ნიუანსით) დაუპირისპირონ ერთმანეთს ერთი მოქმედების ნაირსახეობანი: მო-კლა — და-კლა (უკანასკნელი მხოლოდ და მხოლოდ დანით, ხანჯლით... მოკვლაზე ითქმის).

ბ) წარმოქმნან ანტონიმები, ანუ: მნიშვნელობის თვალსაზრისით საპირისპირო ფორმები: წა-ართმევს — მი-ართმევს...

გ) წარმოქმნან ლექსიკურად სრულიად განსხვავებული, ერთმანეთთან დაუკავშირებელი, სავსებით სხვადასხვა სემანტიკური სისტემის ფორმები: ა-აგო, წა-აგო, და-აგო, ჩა-აგო, მი-აგო...

§ 31. ზემოხსენებულ სემანტიკურ დაპირისპირებებს საფუძვლად უდევთ სხვადასხვა მატერიალური შედგენილობის ზმნისწინთა ურთიერთმიმართებანი.

იმავედროულად ქართულში შეინიშნება ერთი, შეიძლება ითქვას, უნიკალური ვითარება, როდესაც სემანტიკური განმასხვავებლის დანიშნულებას იძენენ ერთი და იმავე ზმნისწინის ფონეტიკური ნაირსახეობანი: ამოსავალი („ძველი“) და გამარტივებული („ახალი“).

განსხვავებული ფონეტიკური ვარიანტები ქართულში მოეპოვება ხუთ ზმნისწინს:

აღ-	→	ა-
გან-	→	გა-
წარ-	→	წა-
შთა-	→	ჩა-
გარდა	→	გადა-

ამ ზმნისწინთა ფონეტიკური ცვლა ძველ ქართულშივე დაწყებულია, მაგრამ იმხანად ცვლილებას რაიმე სემანტიკური სხვაობა არ ახლდა თან: აღვიდა და ა-ვიდა, წარ-ვიდა და წა-ვიდა, შთა-ვიდა და ჩა-ვიდა წყვილები არც გრამატიკული და არც ლექსიკური მნიშვნელობით არ სხვაობდნენ. განსხვავება არსებითად სტილისტური ხასიათისა იყო.

აღ- და ა-, გან- და გა-, წარ- და წა-, შთა- და ჩა-, გარდა- და გადა-
ერთმანეთის მიმართ, ჩვეულებრივ, განისაზღვრება როგორც ძველი
(არქაული) და ახალი სახეობა ზმნისწინებისა.

„ძველი“ და „ახალი“ ამ შემთხვევაში არ უტოლდება ცნებებს ძვე-
ლი და ახალი ქართული. „ძველი“ გულისხმობს ზმნისწინის ამოსავალ,
პირველად ფონეტიკურ სახეობას, რომელიც უპირატესად ძველი ქარ-
თულისათვის იყო ნიშანდობლივი (მისი უფრო ადრინდელი სავარა-
უდებელი იერსახე ფაქტობრივ არ არის დამოწმებული), „ახალი“ —
ფონეტიკურად გამარტივებული ვარიანტია მისი, რომელიც ახალ ქარ-
თულშია დამკვიდრებული.

ასე რომ, ზმნისწინთა მიმართ ტერმინები „ძველი“ და „ახალი“
საუკლებით პირობითნი არიან.

გასათვალისწინებელია, რომ „ახალი“, გამარტივებული სახეობანი
ზმნისწინებისა ისევე ჩვეულებრივია ძველ ქართულში, როგორც ახალ
ქართულში — „ძველი“ სახეობა. არქაულობისა არაფერი სცხიათ ფორ-
მებს: აღ-ნუსხვა, აღ-წერა, გან-ვითარება, წარმო-მავლობა...

ამრიგად, „ძველი“ და „ახალი“ ამ შემთხვევაში არ ვარაუდობს და-
პირისპირებას ძველი და ახალი ქართულის დონეზე. დაპირისპირება
ძირითადად წარმომავლობის („ეტიმოლოგიის“) ნიშნით ხდება: ძვე-
ლი — ადრინდელია, ახალი — მისგან ფონეტიკური ცვლით მიღებული:
აშკარაა, რომ აღ- ვარიანტისაგან მომდინარეობს ა- და არა პირიქით,
ასევე: გან- → გა-, წარ → წა-, შთა- → ჩა-, გარდა → გადა-.

§ 32. მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში ზმნისწინთა ძველი და
ახალი სახეობანი თავისუფლად ენაცვლებიან ერთმანეთს: ფონეტიკურ
ცვლილებას თან არა სდევს გრამატიკული ან ლექსიკური სხვაობა. თუ
სხვაობა გვაქვს, სტილისტური ხასიათისა იქნება: აღ-სვლა და ა-სვლა...
ხშირია მათი გამოყენება პარალელური, სტილისტურად ნეიტრალური
ვარიანტების სახით: გან-თავისუფლება და გა-თავისუფლება, ანდა:
წარ-მართავს და წა-მართავს და მისთ.

მაგრამ გამოიყოფა რიგი ფორმებისა, სადაც ზმნისწინთა ფონე-
ტიკური ნაირსახეობების ამგვარი შენაცვლება დაუშვებელია, რადგან
შენაცვლების თანამდევია ლექსიკური სხვაობა: ზმნისწინის ორ ფონე-
ტიკურ ნაირსახეობას მოპოვებული აქვს დამოუკიდებელი ზმნისწინე-
ბის სტატუსი.

ა. შანიძეს აღნიშნული აქვს: „ზოგჯერ ერთიმეორის გვერდით მო-
გვეპოვება ძველი და ახალი სახე ზმნისწინისა... არის ხოლმე შემთხვე-

ვები, როცა ძველი და ახალი ფორმა ლექსიკური მნიშვნელობის სა-
დიფერენციაციოდ არის გამოყენებული“ და ნიმუშებად მოტანილია:
აღზრდა და აზრდა (აღზრდილი და აზრდილი), წარსული და წასული,
აღდგომა და ადგომა, განახლება და გაახლება (ა. შანიძე, 1980,
გვ. 249).

ზმნისწინთა ეს უნარი შენიშნული ჰქონდა ს. ხუნდაძესაც, რომე-
ლიც მომხრეა ზმნისწინთა ახალი ფონეტიკური სახეობის დამკვიდრე-
ბისა, ხოლო ამოსავალი სახით ზმნისწინები „იმისთანა სიტყვებში უნ-
და დარჩეს, რომელსაც განსხვავებული მნიშვნელობა ან რამე განსხვა-
ვებულათ საყურადღებო აზრი აქვს...“ იგულისხმება დაპირისპირებანი:
გან-იკითხოს — გა-იკითხოს, წარ-მავალი — წა-მავალი, გარდა-სული —
გადა-სული, გან-ცხადება — გა-ცხადება, წარმო-დგომა — წამო-დგომა
და მისთ. (ს. ხუნდაძე, 1927, გვ. 20—21).

ქართული სალიტერატურო ენის ნორმებთან დაკავშირებით ამ
ფაქტს ყურადღება მიაქცია ი. გიგინეიშვილმა და აღნიშნა მნიშვნელო-
ბის დიფერენციაციის შემთხვევები ზმნისწინთა ძველი და ახალი სახე-
ობის გამოყენებისას: განაახლებს (მუშაობას) — გააახლებს, განადი-
ლებს — გაადიდებს, აღიზრდება (ბავშვი) — აიზრდება (ბალახი) და
ზოგი სხვა (თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები,
1970, გვ. 169—173).

ცნობილია ისიც, რომ ძველი და ახალი სახეობის ზმნისწინები სტრ-
ლისტურად შეიძლება დაუპირისპირდნენ ერთმანეთს — ზემოთ გაკვ-
რით აღინიშნა კიდევ ეს: აღზევებული (მალაღფარდოვანი) სტილი-
სათვის ნიშანდობლივია არქაული ფორმების გამოყენება, მათ შორის
ზმნისწინთა არქაული (ძველი) სახეობისა. ბ. ფოჩხუამ აღნიშნა, რომ
საქმიანი ქალაქების ლექსიკა (ანუ: კანცელარული სტილი) ზმნის-
წინთა სწორედ არქაულ სახეობას რჩეობს. არქაული (ძველი) წარ-
მოება ამ შემთხვევაში გაიაზრება როგორც მწიგნობრული და, ამდე-
ნად, ოფიციალური საქმეთწარმოებისათვის შესაფერისი (ბ. ფოჩხუა,
1973, გვ. 209 — 210).

§ 33. ამრიგად, ზმნისწინთა ძველი და ახალი სახეობის დაპირისპი-
რება დასაშვებია გამოყენებულ იქნეს ლექსიკურ მნიშვნელობათა გან-
სახვავებლად. ამ გზით მიღწეული ლექსიკური სხვაობა შეიძლება
იყოს სრული ან ნაწილობრივი. იმავდროულად დაპირისპირება შესაძ-
ლოა გასდევდეს მთლიანად ამა თუ იმ ფორმის სისტემას ანდა მხოლოდ
ერთსა თუ რამდენიმე ფორმაში იჩენდეს თავს.

§ 34. დაპირისპირების სრული სახეობა გვაქვს მაშინ, როდესაც ზმნისწინთა ძველი და ახალი სახეობით ნაწარმოები ფორმები ყველა შემთხვევაში განსხვავებულია მნიშვნელობის თვალსაზრისით, ე. ი. არცერთ შემთხვევაში არა აქვთ საერთო მნიშვნელობა (იგულისხმება თანამედროვე ქართული მეტყველების ვითარება, თანაც არ ვითვალისწინებთ, როგორც წესი, მხატვრული გადააზრიანების შემთხვევებს).

§ 35. დავასახელებთ რამდენიმე ტიპურ ნიმუშს.

აღ-დგომა — ქრისტეს მკვდრებით აღდგომის დღესასწაული, ისტორიულად მომდინარეობს გაზაფხულის დღესასწაულისგან. გადატანიო: დღესასწაული, ზეიმი, სასიხარულო დღე. გრამატიკულად მასდარია აღ-დგ-ებ-ა ზმნისა.

ა-დგომა — ვერტიკალური მდგომარეობის მიღება. გრამატიკულად მასდარია ა-დგ-ებ-ა ზმნისა.

„აეი კაცი აღდგომასაც ავიო“ (ანდაზა).

„აღდგომა — კიდევ არაფერი! ეს ესე არ ეზარებოდა ლუარსაბსა“ (ილია).

დაპირისპირება გასდევს უღვლილების მთელ პარადიგმას. აწმყოში დამოწმებულია მხოლოდ მეორე მნიშვნელობით გამოყენებული ფორმა:

რა ხდება: —	დგ-ებ-ა
რა მოხდება: აღ-დგ-ებ-ა	ა-დგ-ებ-ა
რა მოხდა: აღ-დგ-ა	ა-დგ-ა
რა მომხდარა: აღ-მდგარ-ა	ა-მდგარ-ა.

აღ-დგ-ებ-ა ფორმას მოქმედებითად აღ-ა-დგ-ენ-ს ზმნა მოუღის, ა-დგ-ებ-ა ზმნას — სუპლექტური ა-ა-ყენ-ებ-ს.

აღ-ა-დგ-ენ-ს სამი მნიშვნელობითაა დამოწმებული:

- ა) გააცოცხლებს;
- ბ) ხელახლა ააშენებს, გააკეთებს, წინანდელ სახეს მისცემს, ააღორძინებს, განაახლებს.
- გ) ხელახლა მიიღებს სამსახურში, სასწავლებელში...

შესაბამის მასდარად ორი ფორმა ფუნქციონირებს: აღ-დგ-ომ-ა და აღ-დგ-ენ-ა.

„აღდგომა“ ფორმის განმარტება ზემოთაა მოცემული.

„აღდგენა“ — 1. ხელახლა აშენება, აღორძინება, განახლება;
2. სამსახურში, სასწავლებელში ხელახლა მიღება.

აღ-დგ-ებ-ა ორი მნიშვნელობის გამომხატველად გვევლინება:

1. გაცოცხლდება,
2. განახლდება, აღორძინდება, ძველ სახეს (სტატუსს) დაიბრუნებს.

ამ ორი მნიშვნელობის ფორმობრივი გარჩევა ისევ ფაკულტატიურ საშუალებას დაეკისრა — პირის ნიშანს:

აღ-ს-დგ-ებ-ა — გაცოცხლდება,

აღ-დგ-ებ-ა — განახლდება, ძველ სახეს დაიბრუნებს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პირის ნიშანთა ფაკულტატიური ვაშოყენების შემთხვევები იხ. ქვემოთ.

„ქრისტე აღ(ს)დგა“.

„დანგრეული ქალაქები აღდგა“.

„გარიცხული სტუდენტი აღდგა მესამე კურსზე“.

ზმნურ და მასდარულ ფორმათა მიმართება სქემაზე ასე წარმოგვიდგება:

აღდგ-ებ-ა → $\left. \begin{array}{l} \text{ქრისტე} \rightarrow \text{აღ-დგ-ომ-ა (ქრისტეს)} \\ \text{ქალაქი} \\ \text{სტუდენტი} \end{array} \right\} \rightarrow \text{აღ-დგ-ენ-ა (ქალაქის, სტუდენტის...)}$

ასე რომ, აღ- და ა- ზმნისწინიან ფორმათა სემანტიკურ დაპირისპირებას რთული ფორმობრივ-სემანტიკური ცვლილებანი მოჰყვა თან. წარმოების პრინციპით განიჩინენ ერთმანეთისაგან:

ერთი მხრივ: ა) აღ-ა-დგ-ენ-ს — აღ-ს-დგ-ებ-ა — აღ-დგ-ომ-ა...

ბ) აღ-ა-დგ-ენ-ს — აღ-დგ-ებ-ა — აღ-დგ-ენ-ა...

მეორე მხრივ: ა-ა-ყენ-ებ-ს — ა-დგ-ებ-ა, რომელთაც თავთავის მასდარი მოეპოვებათ: ა-ყენ-ებ-ა და ა-დგ-ომ-ა.

დაპირისპირება ზმნისწინის ორი ფონეტიკური ნაირსახეობის საშუალებით ხდება მიმღეობაშიც:

აღ-მღვარ-ი — ა-მღვარ-ი.



აღ-ძვრ-ა — 1. სამოქმედოდ ამო-
ძრავება, ვისიმე წინააღმდეგ ამ-
ხედრება... 2. გამოწვევა, წარმო-
ქმნა, გაჩენა... 3. წამოწყება, დას-
მა საკითხისა...

ა-ძვრ-ა — ადგილიდან დაძვრა,
მოძრაობაში მოყვანა.

„ნასწავლმა თაობამ აღძრა მიძინებული საზოგადო აზრი...“ (ილია).
„აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა და აღმიძრავს იმედს გულში“ (ილია).
„საჩივარი აღძრა“.

„მემანქანემ მატარებელი უცებ აძრა“.

მიმღეობა: აღ-ძრულ-ი — ა-ძრულ-ი.

აღ-მძვრელ-ი — ა-მძვრელ-ი || ა-მძრავ-ი.

აწმყოს პარადიგმაში განსასხვავებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ხელოვნური (წარმოებით — უმართებულო) ფორმა: ლ-ძრ-ავ-ს. მიზანი სემანტიკური დაპირისპირების ფორმობრივი გამოხატვაა: ლ-ძრ-ავ-ს — ძრ-ავ-ს. ნიშანდობლივი მოვლენაა: -ლ უკვე ფუძისეულ ელემენტად გაიგება, რადგან ლექსიკური მნიშვნელობის განსხვავება დაეკისრა მას!

სხვა პარადიგმებში სხვაობა აღ- და ა- ზმნისწინთა გამოყენებას უკავშირდება: აღ-ძრავს — ა-ძრავს, აღ-ძრა — ა-ძრა, აღ-უ-ძრავს — ა-უ-ძრავს, აღ-ე-ძრა — ა-ე-ძრა-ა...

თანამიმდევრულად დაპირისპირებულია მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებიც:

აღ-ძრ-ავ-ს — ა-ძრ-ავ-ს

აღ-ი-ძრ-ებ-ა — ა-ი-ძრ-ებ-ა.



ანალოგიური ვითარებაა აქაც:

აღ-ზრდ-ა — ვისიმე განვითარე-
ბაზე სისტემატური ზემოქმედე-
ბა, გარკვეული ჩვევების ჩანერ-
გვა, წვრთნა.

ა-ზრდ-ა — სიმაღლეზე გაზრდა,
ამართვა, აზიდვა.

დაპირისპირება მთელ სისტემას გასდევს.

მიმღობა: ალ-ზრდილ-ი — ა-ზრდილ-ი

ალ-საზრდელ-ი — ა-საზრდელ-ი

ალ-მზრდელ-ი — ა-მზრდელ-ი (იშვიათი ხმარებისა).

აწმყოს პარადიგმაში გვხვდება ხელოვნური ლ-ზრდ-ი-ს (შდრ.: ლ-ძრ-ავ-ს), სემანტიკურად დაპირისპირებული ზრდ-ი-ს ფორმასთან.

მყოფადი: ალ-ზრდ-ი-ს — ა-ზრდ-ი-ს

ნამყო: ალ-ზარდ-ა — ა-ზარდ-ა და ა. შ.

დაპირისპირება ხდება გვარის ფორმებშიც:

მოქმედებითი: ალ-ზრდ-ი-ს — ა-ზრდ-ი-ს

ვნებითი: ალ-ი-ზრდ-ებ-ა — ა-ი-ზრდ-ებ-ა.

* * *

ალ-ტაც-ებ-ა — უადრესი სიამოვნებისა და მოწონების გრძნობა; გატაცება რაიმე განცდით, აღფრთოვანება...

ა-ტაც-ებ-ა — ვისმე ან რასმე სწრაფად, უეცრად აყვანა, აღება; მიზიდვა... ვადატანიტ: რაიმე აზრის (მოსაზრების) სწრაფად (გაუზარებლად) მიღება; ძლიერ გრძნობას (შეგრძნებას) აყოლა.

„აღმიტაცებს ხოლმე ის ხმა და აღმიძრავს იმედს გულში“ (ილია). „ბორის პასტერნაკი იმ წლებში პირველად მოხვდა ჩვენში და ყველაფრით ბავშვივით იყო აღტაცებული, გატაცებული და ატაცებული“ (ი. აბაშიძე).

„ბამბამ ალის ატაცება იცის“.

„საზოგადოებამ მაშინვე აიტაცა ეს აზრი“.

ალ-ტაც-ებ-ა და ა-ტაც-ებ-ა ფორმებს შორის სრული სემანტიკური განსხვავების დამყარების ტენდენცია ხელშესახებად იჩენს თავს XX საუკუნის ქართულში, თუმცა სპორადულად ჯერ კიდევ გვხვდება მათი ერთმანეთის მონაცვლედ გამოყენების შემთხვევები.

სემანტიკური დაპირისპირება ხდება მიმღობურ ფორმებშიც:

ალ-ტაცებულ-ი — ა-ტაცებულ-ი

ალ-სატაცებელ-ი — ა-სატაცებელ-ი

ალ-მტაცებელ-ი — ა-მტაცებელ-ი.

მოქმედებით გვარში აღ- ზმნისწინით მხოლოდ ი- პრეფიქსიანი (უკუქცევით) ფორმები გვხვდება, რაც ზმნის სემანტიკური თავისებურებითაა შეპირობებული: აღ-ი-ტაც-ებ-ს — აღ-ი-ტაც-ა... შდრ.: ს-ტაც-ებ-ს, ი-ტაც-ებ-ს, უ-ტაც-ებ-ს, რომელთათვის მასდარის ფუნქციით შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ამოსავალი ფუძე (ძირი): ტაც-ი („დარბაზს ხასთაგან ჯარია ხელითა წვერთა ტაცისა“, „ვეფხისტყაოსანი“).

ვნებითი იშვიათი გამოყენებისაა და ისიც ნაკლები პარადიგმითაა წარმოდგენილი: აღ- ზმნისწინიანს არ მოეპოვება პირველი და მეორე სერიის ფორმები, ა- ზმნისწინიანს — აწმყოს წრისა და II სერიის ფორმები. II სერიაში ა- ზმნისწინიანი ფორმა იყენებს აღწერით წარმოებას:

რა მოხდება:	—	ა-ი-ტაც-ებ-ა
რა მოხდებოდა:	—	ა-ი-ტაც-ებ-ოდ-ა
რა მოხდებოდეს:	—	ა-ი-ტაც-ებ-ოდ-ე-ს
რა მოხდა:	—	(ატაცებულ იქნა)
რა მოხდეს:	—	(ატაცებულ იქნეს)
რა მომხდარა:	აღ-ტაც-ებ-ულ-ა	ა-ტაც-ებ-ულ-ა
რა მომხდარიყო:	აღ-ტაც-ებ-ულ-იყო	ა-ტაც-ებ-ულ-იყო...

აღ- ზმნისწინიანი ფორმის ნაკლები პარადიგმების ნაცვლად გამოიყენება შედგენილი შემასმენელი: აღტაცებულია, აღტაცებული იყო, აღტაცებული იყოს, აღტაცებული იქნება...

* * *

აღ-მატ-ებ-ა—დაწინაურება, წარ- ა-მატ-ებ-ა — ზედ დართვა, მიმა-
ჩინება, წარმატება... გაზვიადება, ტება, დამატება რისამე (ჩვეულ-
მაღალი შეფასება... ებრივ: ქვემოლან ზემოთ).

ეს დაპირისპირება ფორმათწარმოების სიუხვით არ გამოირჩევა. მიმლეობის დონეზე წარმოდგენილია:

აღ-მატ-ებ-ულ-ი — ა-მატ-ებ-ულ-ი.

სხვა რიგის წარმოება მხოლოდ ა- პრეფიქსიანი ფორმისთვისაა ნიშანდობლივი: ა-სა-მატ-ებ-ელ-ი, ა-მ-მატ-ებ-ელ-ი...

ზმნის პირიელ ფორმათაგან ალ- ზმნისწინიან ვარიანტს მოეპოვება მხოლოდ ე- პრეფიქსიანი ვნებითის ყალიბი: ალ-ე-მატ-ებ-ა, ალ-ე-მატ-ებ-ოდ-ა, ალ-ე-მატ-ებ-ოდ-ე-ს. მყოფადის წრე და მეორე სერია არ გააჩნია. მესამე სერიაში შეიძლება იწარმოოს ერთვალენტიანი გარდაუვალი ზმნის პრინციპით: ალ-მატებულ-ა, ალ-მატებულ-იყო...

„ესოდენი განდიდება და აღმატება ადამიანის ღირსებისა ჯერ ადამიანს არ გაეგონა“ (ილია).

„და ვინც ამატებს ამაზე სხვებსაც, დაბნეული აქვს მას გზა და კვალი“ (აქაკი).

• • •

გან-დიდ-ებ-ა — გაძლიერება, ამა- გა-დიდ-ებ-ა — დიდად გახლომა, ღლება, დიდებულად გახლომა. გაზრდა.

„პიროვნების განდიდება“. „სამშობლოს განდიდება“. „ამ საუკუნეშე ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა“ (ილია).

„შემოსავლის გადიდება“. „ოთახის გადიდება“.

სრული დაპირისპირების პროცესი ჯერჯერობით დასრულებული არა ჩანს. სულ ახლო წარსულში გან-დიდ-ებ-ა და გა-დიდ-ებ-ა ერთმანეთის ნაცვლად გამოიყენებოდა. ამჟამად აშკარაა მათი დიფერენციაციის ტენდენცია: გან-დიდ-ებ-ა სიდიადეს (აქედან: გაზვიადება:) გამოხატავს, გა-დიდ-ებ-ა — სიდიდეს.

პირიელ ფორმებში აწმყოს წრე ფორმობრივ ვერ განასხვავებს. ერთმანეთისაგან ამ ორ მნიშვნელობას ზმნისწინის დაურთველობის გამო (განსხვავება ზღბა კონტექსტით):

„სამშობლოს აღიდებს“ → „სამშობლოს განადიდებს“,

მაგრამ:

„ოთახს აღიდებს“ → „ოთახს გაადიდებს“.

მნიშვნელობათა ფორმობრივი დიფერენციაციის პროცესი გვარის ფორმათა წარმოების დროსაც იჩენს თავს: ა-დიდ-ებ-ს, გამოყენებული სიდიადის მნიშვნელობით, ვნებითს ვერ იწარმოებს, მაგრამ იქონიებს „საშუალ“ ფორმას:

ა-დიდ-ებ-ს — (არა აქვს) — დიდ-ობ-ს.

„აგერა მთვარეუ ჩავიდა, ცა დიდობს ვარსკვლავიანი“ (ბაჩანა).

რა ხდება: დიდ-ობ-ს

რა მოხდება: ი-დიდ-ებ-ს

რა მოხდა: ი-დიდ-ა.ა

„იდიდე, სამშობლოვ ,იდიდე!“ (გალაკტიონი).

მაშინ კი, როცა ა-დიდ-ებ-ს გამოხატავს სიდიდის სემანტიკას, მიზოვება ვნებითი, მაგრამ არ იწარმოება „საშუალი“ ფორმა:

ა-დიდ-ებ-ს — დიდ-დ-ებ-ა — (არა აქვს).

„ოთახს ადიდებს“ — „ოთახი დიდდება“.

დაპირისპირება ხდება მიმღეობის დონეზეც:

გან-დიდ-ებ-ულ-ი — გა-დიდ-ებ-ულ-ი

გან-სა-დიდ-ებ-ელ-ი — გა-სა-დიდ-ებ-ელ-ი

გან-მ-ა-დიდ-ებ-ელ-ი — გა-მ-ა-დიდ-ებ-ელ-ი.

* * *

გან-ახლ-ებ-ა — ხელახლა შექმნა, ახლად ქცევა, ხელახლა წარმოქმნა, აღდგენა, აღორძინება... ხელახლა დაწყება, წამოწყება შეწყვეტილისა, დაუმთავრებელისა.

გა-ახლ-ებ-ა — ძველის ახლად ქცევა. ძველისთვის ახლის იერის მიცემა.

„მტრისგან დარბეული სოფელი განახლდა“. „განახლდა გული, დღეს ის აღარ ვარ“ (გალაკტიონი).

„სიცოცხლეს დაცვა უნდა და სამოსს მალიმალ გააჩლებო“ (ანდაზა).

სპორადულად თავს იჩენს ამ ფორმათა ურთიერთშენაცვლების შემთხვევები (რაც აისახა კიდევაც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში), მაგრამ სულ უფრო დაბეჭითებით მკვიდრდება ტენდენცია, გან-ახლ-ებ-ა ფორმით გამოიხატოს თვისებრივი ცვლილება, ხოლო გა-ახლ-ებ-ა ფორმით — გარეგნული, ფიზიკური.

მიმღეობა: გან-ახლებ-ულ-ი — გა-ახლებ-ულ-ი

გან-მ-ა-ახლებ-ელ-ი — გა-მ-ა-ახლებ-ელ-ი...

დაპირისპირება გასდევს უღვლილების მთელ პარადიგმას (გარდა აწმყოს წრისა, სადაც სემანტიკური სხვაობა კონტექსტით განირჩევა: ა-ახლ-ებ-ს, ა-ახლ-ებ-დ-ა, ა-ახლ-ებ-დ-ე-ს...):

რა მოხდება: გან-ა-ახლ-ებ-ს	გა-ა-ახლ-ებ-ს
რა მოხდა: გან-ა-ახლ-ა	გა-ა-ახლ-ა
რა მომხდარა: გან-უ-ახლ-ებ-ი-ა	გა-უ-ახლ-ებ-ი-ა...

თანამიმდევრულად დაპირისპირებულია მოქმედებითისა და ვნებითის ფორმებიც:

ერთი მხრივ:

გან-ა-ახლ-ებ-ს — გან-ახლ-დ-ებ-ა
გან-ა-ახლ-ა — გან-ახლ-დ-ა...

მეორე მხრივ:

გა-ა-ახლ-ებ-ს — გა-ახლ-დ-ებ-ა
გა-ა-ახლ-ა — გა-ახლ-დ-ა...

დაპირისპირების გამოხატვა ყველა შემთხვევაში ზმნისწინთა ფონეტიკურ ნაირსახეობებს ეკისრება.

* * *

გან-სვენ-ებ-ა — 1. დასვენება, მოსვენება, განცხრომა... ამჟამად ამ მნიშვნელობისათვის მკვიდრდება ფორმები: დასვენება, მოსვენება. 2. გარდაცვალება, სიკვდილი, სასუფეველი. გა-სვენ-ებ-ა — დასაკრძალავად, დასამარხავად გატანა მიცვალებულისა.

„მსურს თავზე მადგე განსვენების ქამს“ (გალაკტიონი). „ღმერთმა საუკუნო განსვენება მისცეს“ (აკაკი).

„განსვენებას დიდძალი ხალხი დაესწრო“.

გარჩეულია მიმღეობის ფორმებიც:

გან-სვენ-ებ-ულ-ი — გა-სვენ-ებ-ულ-ი
გან-სა-სვენ-ებ-ელ-ი — გა-სა-სვენ-ებ-ელ-ი
(არა აქვს) — გა-მ-სვენ-ებ-ელ-ი.

პირიელი ფორმების წარმოება შეზღუდულია: მოქმედებებში გან-
ზმნისწინისათვის ჩვეულებრივია ი- პრეფიქსიანი წარმოება: გან-ი-
სვენ-ებ-ს, გან-ი-სვენ-ა... გა- ზმნისწინის შემთხვევაში ზმნური ფორ-
მები, ჩვეულებრივ, ა- პრეფიქსით იწარმოება: გა-ასვენ-ებ-ს, გა-ა-
სვენ-ა...

ვნებთის ფორმები, როგორც წესი, არ იბოება.

* * *

გან-ყენ-ებ-ა — რაიმე საგნის, მო-
ვლენის არსებითი ნიშნის გამო-
ყოფა და განზოგადება აზროვნე-
ბაში.

გა-ყენ-ებ-ა — 1. გადევნება, უკან
გაყოფება... 2. გარეთ გასმა, გან-
რიდება...

გან- ზმნისწინიანი ნაირსახეობა დამოწმებულია მხოლოდ მასდარსა
და ნამყო დროის საობიექტო მიმღეობაში: გან-ყენ-ებ-ა, გან-ყენ-ებ-
ულ-ი. იხმარება როგორც ტერმინები:

„განყენებული აზროვნება“. „თეორია პრაქტიკით უნდა განახორ-
ციელონ, განყენებული აზრი ცხოვრებაში გადმოიტანონ და საფუძ-
ვლად დაუდონ“ (ილია).

„გაჩვეული მიმინო გაუყენა ხოხობს“ (ი. გოგებაშვილი). „გაიყვა-
ნეს ერეკლე ქალაქიდან, გაატარეს ავლაბრის ხიდი და საჩქაროდ გა-
უყენეს მთიულეთის გზას“ (ი. გოგებაშვილი).

შდრ.: გამო-ყენ-ებ-ა — ვისიმე ან რისამე მოხმარება, რამეთი სარ-
გებლობა („გამოცდილების გამოყენება“), დადევნება, გამოდევნება
(„მდევრის გამოყენება“).

გა- ზმნისწინიანი ნაირსახეობა ფუნქციონირებს ყველა სისტემა-
ში, ოღონდ ვნებთში ძირს იცვლის: გზას გაუყენა — გზას გაუდგა...

* * *

გან-დგ-ომ-ა — რაიმე საქმიანო-
ბაზე უარის თქმა, ჩამოშორება,
ჩამოცილება, ცალკე, განკერძო-
ებით დადგომა (აქედან — ზოგ
კონტექსტში განვითარდა მნიშვნე-
ლობა: ღალატი).

გა-დგ-ომ-ა — განზე, განცალკე-
ვებით დადგომა, გზის დათმობა...
გზაზე დადგომა, წასვლა...

„კავადმა, ქართველების განდგომის ამბავი შეიტყო თუ არა, მაშინვე იბერიის დიდი ჯარი გამოგზავნა“ (ი. ჯავახიშვილი).

„გზის დათმობა, გადგომა დააპირა“.

ზღრ.: გამო-დგ-ომ-ა — 1. გარეთ გამოსვლა და დადგომა; 2. უკან გამოდევნება, გამოკიდება; 3. ვარგისობა, სიკეთის, სარგებლობის მოტანა („ეს წიგნი ძალიან გამომადგა“); 4. რაიმედ ყოფნა („ძალიან კარგი ყმაწვილი გამოდგა“).

სემანტიკური დაპირისპირება ხდება მიმღობის ფორმებშიც:

გან-დგ-ომ-ილ-ი — (არა აქვს)

გან-მ-დგ-არ-ი — გა-მ-დგ-არ-ი.

დაპირისპირებულია პირიელი ფორმებიც, თუმცა ამ დროს ზოგი თავისებურება იჩენს თავს: ა) გან- ზმნისწინით იწარმოება მხოლოდ სასწვისო ქცევის ფორმები, ბ) არ იბოება აწმყოს წრის პარადიგმები:

რა მოხდება: გან-უ-დგ-ებ-ა — გა-უ-დგ-ებ-ა

რა მოხდა: გან-უ-დგ-ა — გა-უ-დგ-ა

რა მომხდარა: გან-ს-დგ-ომ-ი-ა — გა-ს-დგ-ომ-ი-ა..

ცალკე დგას: გა-დგ-ებ-ა, გა-დგ-ა, გა-მდგარ-ა...

გა-უ-დგ-ებ-ა უპირატესად იხმარება მნიშვნელობით: 1. უკან გაპყვება („უკან გაუდგა ლაშქარსა...“), 2. წავა, გაეშურება, გზას დაადგება („სტუმრები გამოესალმნენ მასპინძელს და თავის გზას გაუდგნენ“, ა. ყაზბეგი); შედარებით იშვიათად — განზე, იქით დაუდგება („...უთხრა გულამოსკენილი ხეწნით გიორგიმ და განზე გაუდგა კესოს“, ილია).

ამ რიგის სემანტიკური სხვაობა დამოწმებულია მხოლოდ ვნებითი გვარის ფორმებში. შესაბამის მოქმედებითში, რომელიც სუბლექტური წარმოებისაა, დაპირისპირება ხდება სულ სხვა სემანტიკურ დონეზე:

გან-ყენ-ებ-ა — გა-ყენ-ებ-ა...

რის შესახებაც ზემოთ გვექონდა საუბარი.

შენიშვნა: ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ მიმღობაში გან- ზმნისწინიანი ფორმა იყენებს მასდარის ფუძეს:

დგ-ომ-ა → გან-დგ-ომ-ილ-ი, რომელიც გრამატიკულად იმავე დანიშნულებისაა, რაც გან-მ-დგ-არ-ი, ოღონდ ამ შემთხვევაში სემანტიკურ სხვაობას შესაძლებლობა მიეცა ფორმობრივადც წარმოეჩინა თავისი განკერძოებულობა იმავე ფუძის სხვა ფორმებისაგან: გან-დგ-ომ-ილ-ი — გა-მ-დგ-არ-ი; შდრ.: გან-მ-დგ-არ-ი — გა-მ-დგ-არ-ი, სადაც სემანტიკური განსხვავება მხოლოდ ერთი და იმავე ზმნისწინის ფონეტიკურ ნაირსახეობათა მონაცვლეობითაა მიღწეული: გან- და გა-



გან-თქმ-ა — სახელის მოხვეჭა, გა-თქმ-ა — დაბეზლება, დასმენა, საიღუმლოს გამჟღავნება, გამხელა. ლალატრ.

მიმღეობის დონეზე დაპირისპირება ხდება შედეგობით (ნამყოფროს) ფორმებში:

გან-თქმ-ულ-ი — გა-თქმ-ულ-ი.

„ტარიელ გოლუას შვილი, ლევანი, მეტუხრე იყო, განთქმული ოსტატი“ (ლ. ქიაჩელი).

„მძარცველ წრეებს ისე ყავდათ შეშინებული ხალხი, რომ იმათ გათქმას ვერავინ ბედავდა“ (გ. წერეთელი).

პირიელ ფორმებში, გარდა ზმნისწინებისა, დაპირისპირება ხდება ქცევის საშუალებით: გან- ზმნისწინიანს მოეპოვება უკუქცევითი (სათავისო) და სასხვისო, ხოლო გა- ზმნისწინიანს — საარვისო (ნეიტრალური) ქცევის ფორმები:

რა მოხდება:	{	გან-ი-თქვ-ამ-ს	გა-თქვ-ამ-ს
	}	გან-უ-თქვ-ამ-ს	
რა მოხდა:	{	გან-ი-თქვ-ა	გა-თქვ-ა
	}	გან-უ-თქვ-ა	
რა მომხდარა:		გან-უ-თქვ-ამ-ს	გა-უ-თქვ-ამ-ს...

იმის გამო, რომ მნიშვნელობათა დაპირისპირებაში ქცევის ფორმებიც ჩაერია, ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობების მიხედვით

განსხვავება აღარ არის აუცილებელი და სემანტიკური სხვაობის გამოხატვა შესაძლოა მთლიანად ქცევას დაეკისროს:

რა მოხდება:	{ გა-ი-თქვამ-ს გა-უ-თქვამ-ს	გა-თქვამ-ს
რა მოხდა:	{ გა-ი-თქვა გა-უ-თქვა	გა-თქვა
რა მომხდარა:	გა-უ-თქვამ-ს	გა-უ-თქვამ-ს...

„რა მომხდარა“ პარადიგმაში სხვაობა კონტექსტით განირჩევა.

ეს ფორმები იმითაა საინტერესო, რომ მნიშვნელობათა სხვაობის გამოხატვა ორგვარად ხდება (ზმნისწინთა ფონეტიკური ვარიანტებითა და ქცევის საშუალებით) და ორივე შემთხვევაში განსხვავების წესი ქართულინათვის ფაქულტატიურია. რა თქმა უნდა, ასეთი რამ ზღვება მხოლოდ პირიელ ფორმებში, სადაც ქცევის ფორმათა განსხვავების შესაძლებლობაა.

და კიდევ: ქცევის ფორმა აღარ საჭიროებს ზმნისწინს, ამიტომაც სემანტიკური სხვაობა აწმყოს წრის პარადიგმებშიც გამოიხატება:

სახელს ი-თქვამ-ს, უ-თქვამ-ს, მაგრამ საარვისო ქცევისათვის და, ამდენად, დაბეზლების, გამხელის მნიშვნელობისათვის მაინც ოდენ ზმნისწინიანი ფორმის გამოყენებაა დასაშვები: საიდუმლოს გათქვამს...

ამ ძირის ფორმები პოლისემანტიკურობით გამოირჩევიან. ხშირად ეს სხვადასხვა ზმნისწინის გამოყენებითაა მიღწეული; შდრ.:

აღ-თქმა-ა — დაპირება, სიტყვის (პირობის) მიცემა: „აღთქმა არ დაგავიწყდეს, აღთქმა გახსოვდეს!“ (დ. ერასთავი).

გამო-თქმა-ა — გამოხატვა, გადმოცემა რისამე: „აზრის გამოთქმა“. ლაპარაკის კილო, აქცენტი, წარმოთქმა:... „მშვენიერი ქართული გამოთქმა აქვს“ (ილია). შეთხზვა, გამოგონება: „მწყემსნი, ლექსთა გამოთქმით გაჭიბრებულნი, აღარ ისვენებდნენ“ (ა. ყაზბეგი).

და-თქმა-ა — წინდაწინ თქმა, წინასწარ შეთანხმება, პირობის დადება რისამე შესასრულებლად.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: იმის გამო, რომ პირიელ ფორმებში გან- და გა-თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს (სახელი განითქვა, სახელი-

გაითქვა), ანალოგიური მდგომარეობა ზოგჯერ შეინიშნება სახელმწიფოს დონეზეც: „მე მას ვამბობ, დაუწერლადაც სახელის გათქმა შეიძლება“ (ი. მაქავარიანი). „ჩემს გათქმულ სახელსა მაშინ ვინღა მოიგონებდა?“ (ილია). ბუნებრივია, ასეთ შემთხვევებში სემანტიკურ სხვაობებს კონტექსტი განარჩევს.

* * *

გან-ჰვერეტ-ა—გონების თვალთქვედნა — ვიწრო რამეში დანახვა რისამე, წინასწარი ხედ- (ჰუჭურტანაში, ლიობში, ღრე- ვით განსაზღვრა, გათვალისწინ- ჩოში...) გახედვა. ყურება, ცქე- ნება, წინასწარმეტყველური ამო- რა. ცნობა, გაგება რისამე.

სემანტიკური დაპირისპირება ნაწილობრივ ღდება მ-მღეობურ ფორმებშიც:

გან-ჰვერეტ-ილ-ი — (არა აქვს)

გან-სა-ჰვერეტ-ი — გა-სა-ჰვერეტ-ი

გან-მ-ჰვერეტ-ი — (არა აქვს).

ორ შემთხვევაში მნიშვნელობისათვის „ვიწრო რამეში გახედვა“ არ აღმოჩნდა მიმღეობის შესაბამისი ფორმა, რადგან სავარაუდო გა-ჰვერეტ-ილ-ი, გა-მ-ჰვერეტ-ი || გა-მ-ჰვერეტ-ელ-ი, გამოიყენება ისევ და ისევ მნიშვნელობისათვის: „გონების თვალთქვედნა რისამე დანახვა, წინასწარი ხედვით განსაზღვრა“. იმავდროულად დამოწმებულია ფორმა მ-ჰვერეტ-ელ-ი, მნიშვნელობით: „მაყურებელი, მაკქერალი“, რომელიც ასევე უპირატესად გან- ზმნისწინიან ფორმას მიესადაგება.

თავისებურია პირიელი ფორმების წარმოება.

გან- ზმნისწინიანს მოეპოვება მხოლოდ მოქმედებითი გვარის ფორმები — ისიც შეზღუდულად: ჩვეულებრივ, საარვისო, იშვ- ათად — სასხვისო ქცევისა:

რა მოხდება: გან-ჰვერეტ-ს (ან: გან-უ-ჰვერეტ-ს)

რა მოხდა: გან-ჰვერეტ-ა (ან: გან-უ-ჰვერეტ-ა)

რა მომხდარა: გან-უ-ჰვერეტ-ი-ა...*

გა- ზმნისწინით დასტურდება მხოლოდ ვნებითის ფორმები, რომლებიც აქტიურობის სემანტიკას გამოხატავენ:

რა ხდება: ი-ჰვერიტ-ებ-ა

რა მოხდება: გა-ი-ჰვერიტ-ებ-ა.

„რა მოხდა“ ნაკეთში გვაქვს პარალელური კონსტრუქციები:

გა-ი-ჰვერიტ-ა ის — გა-ი-ჰვერიტ-ა მან.

მოთხრობითბრუნვიანი ფორმა მიგვანიშნებს: წარმოება მოქმედებითის ყაიდაზე გადადის და ამიტომ I შედეგობითიც შესაბამისად ეწარმოება:

რა მომხდარა: გან-უ-ჰვერეტ-ი-ა

(და არა: * გა-ს-ჰვერეტ-ი-ა ან * გა-ჰვერეტილ-ა).

ეს კი განაპირობებს იმას, რომ I შედეგობითში სემანტიკური სხვაობა ისევ და ისევ გან-: გა- მონაცვლეობით გამოიხატება: გან-უ-ჰვერეტ-ი-ა. მაგრამ: გა-უ-ჰვერეტ-ი-ა. ანალოგიურია II შედეგობითიცა და III კავშირებითიც.

მაშ, ასე: ზმნისწინთა ფონეტიკურ ნაირსახეობათა გვერდით მნიშვნელობათა განსასხვავებლად სხვა ფაკულტატიური საშუალებანიც იქნა გამოყენებული.

მიზეზი ამისა გასაგებია: ენაში იგრძნობა გარკვეულ მნიშვნელობათა ფორმოპრივი განსხვავების საჭიროება, მაგრამ არ იპოება შესაბამისი მორფოლოგიური წარმოება. ენა იძულებულია ფაკულტატიურ საშუალებებს მიმართოს.

* * *

გან-ხილ-ვა — გარჩევა, გარკვე- გა-ხილ-ვ-ა—მკბენარებისაგან გა-
ვა, შესწავლა, შეფასება. წმენდა, მკბენარების მოცილება.

„მე იმის განხილვაში არ შევალ, მართალია ამაში კომისია, თუ არა“ (ილია).

„თმების გახილვა“.

* ვნებითის ყალიბის მქონე გან-ი-ჰვერიტ-ებ-ა ხელოვნური ჩანს და თანაც უპირატესად პოტენციალისის (შესაძლებლობის) ფუნქციით გამოიყენება.

ამ პრინციპით დაპირისპირებულია მიმღეობის ფორმებიც:

გან-ხილ-ულ-ი — გა-ხილ-ულ-ი
გან-სა-ხილ-ავ-ი — გა-სა-ხილ-ავ-ი
გან-მ-ხილ-ველ-ი — გა-მ-ხილ-ველ-ი
გან-უ-ხილ-ავ-ი — გა-უ-ხილ-ავ-ი.

პირიელ ფორმებში გან- ზმნისწინის დროს, როგორც წესი, გამო-
იყენება ი- პრეფიქსიანი (უკუქცევითი) მოქმედებითი:

რა მოხდება: გან-ი-ხილ-ავ-ს
რა მოხდა: გან-ი-ხილ-ა...

შესაბამისი ვნებითიც ი- პრეფიქსიანია და არა აქვს ორგანული
წარმოების ფორმები მეორე სერიაში:

რა ხდება: ი-ხილ-ებ-ა

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ეს ფორმა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს იმ
მნიშვნელობისთვისაც, რომელსაც, ჩვეულებრივ, გა- ზმნისწი-
ნიანი ფორმა გამოხატავს. გარჩევა კონტექსტით ხდება.

რა მოხდება: გან-ი-ხილ-ებ-ა
რა მოხდა: (განხილულ იქნა)
რა მომხდარა: გან-ხილულ-ა...

გა- ზმნისწინიანი ნაირსახეობა მოქმედებითში იყენებს ნულ- და
უ- პრეფიქსიან ფორმებს:

რა მოხდება: გა-ხილ-ავ-ს, გა-უ-ხილ-ავ-ს
რა მოხდა: გა-ხილ-ა, გა-უ-ხილ-ა...

შესაბამისი ვნებითი იშვიათია და გარკვეულად — ხელოვნურიც:
გა-ი-ხილ-ებ-ა, გა-ე-ხილ-ებ-ა...

* * *

გან-ცხად-ებ-ა — 1. წერილობი-
თი ან ზეპირი უწყება, ცნობება
რისაზე ან ვისაზე შესახებ. 2. სა-
ქვეყნოდ თქმა, საჯაროდ თქმა.
3. რაიმე წინადადების ან თხოვ-
ნის შემცველი ოფიციალური ქა-
ლადლი.

გა-ცხად-ებ-ა — ცხადად გახლო-
მა, გამჟღავნება, გამოაშკარავე-
ბა.

„თანხმობას განაცხადებს“. „მთავრობის მეთაურმა განაცხადა...“
„ამ საქმესა დაფარულსა ბრძენი ღივოს გააცხადებს“ („ვეფხისტყაოსანი“).

გან-ა-ცხად-ებ-ს ფორმას შეენაცვლება ხოლმე გამო-ა-ცხად-ებ-ს: „თანხმობას განაცხადებს“, მაგრამ: „რადიო ამინდის ბიუროს ცნობას გამოაცხადებს“.

ამ ორ ფორმას შორის სემანტიკური სხვაობა ასეთია: გან-ა-ცხად-ებ-ს საკუთარი ნების, სურვილის ცნობებას ნიშნავს უპირატესად („მთავრობის მეთაურმა განაცხადა...“), გამო-ა-ცხად-ებ-ს — სხვისი გადაწყვეტილების, განაცხადის მათუწყებლობაა („რადიომ გამოაცხადა მთავრობის მეთაურის განცხადება...“).

ვნებითი — გამო-ცხად-დ-ებ-ა — შეესაბამება როგორც გან-ა-ცხად-ებ-ს, ასევე გამო-ა-ცხად-ებ-ს ფორმებს.

გა-ცხად-ებ-ა ფორმის შესატყვისი ვნებითი ცხად-დ-ებ-ა უნდა ყოფილიყო, მაგრამ შეიცვალა აღწერითი წარმოებით: „ცხადი ხდება“. ამან, თავის მხრივ, უკუგავლენა იქონია მოქმედებითის წარმოებაზე — ინიც აღწერითზე გადავიდა: „ცხადყოფს“.

ამჟამად მოქმედებითისა და ვნებითის შეპირისპირება ასეთია:

ცხადყოფს — ცხადი ხდება.

ამრიგად, გან-ა-ცხად-ებ-ს — გა-ა-ცხად-ებ-ს მიმართება თანამედროვე ქართულში შეიცვალა მიმართებით: გან-ა-ცხად-ებ-ს — ცხადყოფს.

შესაბამისად, მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმათა მიმართებანი ასეთი სახისაა:

გან-ა-ცხად-ებ-ს	}	გამო-ცხად-დ-ებ-ა
გამო-ა-ცხად-ებ-ს		
გა-ა-ცხად-ებ-ს	}	ცხადი გახდება
ცხადყოფს		

ასე რომ, მოქმედებითის ფორმებში ლექსიკურ მნიშვნელობათა ფაქულტატიურმა განსხვავებამ, რომელიც გან- და გა- ზმნისწინთა დაპირისპირებით მიიღწევა (გან-ა-ცხად-ებ-ს — გა-ა-ცხად-ებ-ს), გა-მოიწვია ასევე ფაქულტატიური განსხვავება ვნებითის ფორმებში, სადაც უკვე ორგანული და აღწერითი წარმოების ფორმებია დაპირისპირებული (გამო-ცხად-დ-ებ-ა — ცხადი გახდება).

მიმღეობებში გან- ზმნისწინის ნაცვლად უმეტეს წილ გამო- იხ- მარება: გამო-ცხად-ებ-ულ-ი, გამო-სა-ცხად-ებ-ელ-ი... სუბიექტური მიმღეობისას გან-მ-ცხად-ებ-ელ-ი ისაა, ვინც საკუთარ გადაწყვეტი- ლებას აცხადებს, გამო-მ-ცხად-ებ-ელ-ი — სხვისი გადაწყვეტილების მათუწყებელია, ე. ი. სხვაობა იმავე რიგისაა, რაც გან-ა-ცხად-ებ-ს — გამო-ა-ცხად-ებ-ს ფორმებს შორის (იხ. ზემოთ). ამ თვალსაზრისით დასაშვები ხდება სემანტიკური დიფერენციაცია გან-ცხად-ებ-ულ-ი — გამო-ცხად-ებ-ულ-ი და მისთანა ფორმებს შორისაც.

* * *

გან-წმენდ-ა — 1. ცოდვებისაგან გათავისუფლება. 2. სულიერი ამ- აღლება ხორციელ ცთუნებათა უარყოფით.

გან-წმენდ-ა — რისამე გასუფთავე- ბა. ჭუჭყის, მტვრის, ჟანგის და მისთანათა მოცილება. შენარევე- ბისაგან გასუფთავება. გარიცხვა, გაძევა შუუვალობისა და სიწ- მინდის დაცვის მიზნით. რისამე დახვეწა, გაფაჭიზება. გადატანით: ერთიანად წაღება რისამე, გაქურ- დვა.

„მუდამ მლოცავი, სულიერ განწმენდაში მყოფი...“ (ა. ყაზბეგი). „მეცნიერებაც და საზოგადოების განწმენდილი სინდისი ამას ითხოვს, რომ ადამიანი თავისუფალ იქმნას თავის ცხოვრებაში ყოველი ხელწა- წვდისაგან“ (ილია).

„იარალის გაწმენდა“. „მეფემ სამეფო ურწმუნოთაგან გაწმინდა“. „თერგდალეულებმა გაწმინდეს, გააძლიერეს დედაენა“.

ვ. თოფურია მპეციალური ნარკვევი უძღვნა „წმინდა“ და „სუფთა“ სიტყვების სწორ გამოყენებას. მისი განმარტებით, „სუფთაა, რაც არაა ბინძური, ჭუჭყიანი, რასაც მტვერი, ტალახი, ჭუჭყი, ქონი, ჟანგი და მსგავსი რამ არა აქვს და, თუ აქვს, ბანით, რეცხვით, წმენდით მოს- ცილდება, ჰიგიენური საშუალებით მოშორდება. წმინდაა „უცოდვე- ლი“, ფაჭიზი, შეურეველი, შეურყვენელი, კამკამა, დარკვეული, დარჩე- ული“ (ვ. თოფურია, 1965, გვ. 76).

ამის მიხედვით, „სუფთა კაცი“ ფიზიკურ, ჰიგიენურ ფაქტს გული-

სხმობს, „წმინდა კაცი“ — თვისებრივს, მორალურ სიფაქიზეს, სინატიფეს.

ასე რომ, თუკი სახელებში ერთმანეთს უპირისპირდება „წმინდა“ და „სუფთა“, ზმნებში უკვე სამგვარი სემანტიკური განსხვავება ხდება: გან-წმენდა — გა-წმენდა — გა-სუფთავება, რომელთაგან პირველი ორი ფაკულტატიური საშუალებითაა დაპირისპირებული — ზმნისწინის ფონეტიკური ვარიანტებით.

გარდა ამისა: გან-წმენდა და გა-წმენდა ფორმობრივ განასხვავებს იმას, რასაც შესაბამისი სახელი „წმინდა“ მხოლოდ კონტექსტით ახერხებს:

„წმინდა პიროვნება“ → „პიროვნების სულიერი განწმენდა“,
„წმინდა ენა“ → ენის გაწმენდა ბარბარიზმებისაგან“.

„გაწმენდა“ და „გასუფთავება“ ზოგჯერ სინონიმებად გაიგება, მაგრამ მათ სინონიმად არასდროს გამოიყენება „განწმენდა“. სინონიმურობაც ამ შემთხვევაში ნაწილობრივია: დასაშვებია როგორც „ტანსაცმლის გაწმენდა“, ასევე: „ტანსაცმლის გასუფთავება“, მაგრამ კონტექსტში „მეფემ სამეფო ურწმუნოთაგან გაწმინდა“ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს „გასუფთავა“.

ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობების საშუალებით სემანტიკური სხვაობა მიიღწევა მიმღეობებშიც:

გან-წმენდა-ილ-ი — გა-წმენდა-ილ-ი
გან-სა-წმენდა-ი — გა-სა-წმენდა-ი
გან-მ-წმენდა-ი — გა-მ-წმენდა-ი.

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ მყოფადი ღროის საობიექტო მიმღეობაში გან- ზმნისწინის გამოყენებისას ოდენ სა- პრეფიქსითა და სა-ელ პრეფიქს-სუფიქსით წარმოება სემანტიკურ სხვაობას გვიმოწმებს (რაც, ჩვეულებრივ, არაა ნიშანდობლივი ენისათვის):

გან-სა-წმენდა-ი — ვინც ან რაც უნდა განიწმინდოს.
გან-სა-წმენდა-ელ-ი — ადგილი, სადაც სული უნდა ამაღლდეს, ცოდვებისგან გათავისუფლდეს.

მართალია, ხდება ამ ორი ფორმის პარალელური გამოყენებაც, მაგრამ სხვაობის დამყარების ტენდენციაც აშკარაა.

სემანტიკური დაპირისპირება თანამიმდევრულად გატარებულია პირიელ ფორმებშიც; იქ, სადაც ზმნისწინთა გამოყენებაა შესაძლებელი (მყოფადის წრეში, II და III სერიაში).

* * *

გან-წყობ-ა — ამა თუ იმ განცდი-
სა თუ ქცევისათვის მზადყოფნა,
მისდამი გამართულობა. გუნება.
ვინმესთან (ან რამესთან) ურთი-
ერთობა, ვისიმე ან რისამე ურთი-
ერთმიმართება, დამოკიდებულე-
ბა.

გა-წყობ-ა — გაშლა (სუფრისა...),
დაგება, გასწორება (ლოგინისა...),
განლაგება, მოწესრიგება, მორ-
თვა, მოკაზმვა.

„განწყობა სასიძღვროი გულს ეკარება აღარა“ (ვაჟა-ფშაველა).
„გადაწყვეტილების შესრულების პროცესს განწყობა უღევს საფუძ-
ვლად...“ (დ. უზნაძე).

„დაიწყო სუფრის გაწყობა“. „არს მოსაწონი მნახველთა გაწყობა
რუსის ჯარისა“ (დ. გურამიშვილი).

სემანტიკური დაპირისპირება ყველა დონეზე აისახება.

მიმღეობა: გან-წყობ-ილ-ი — გა-წყობ-ილ-ი
გან-მ-წყობ-ი — გა-მ-წყობ-ი...

მოქმედებითი გვარი იწარმოებს ქცევის ყველა ფორმას:

გან-ა-წყობ-ს, გან-ი-წყობ-ს, გან-უ-წყობ-ს...

გა-ა-წყობ-ს, გა-ი-წყობ-ს, გა-უ-წყობ-ს...

გან-წყობ-ა გარკვეულ დამოკიდებულებას, მიმართებას (რე-

ლაციას) გულისხმობს ყოველთვის. ამის გამო ვნებითი რელაციური, ამ შემთხვევაში ე- პრეფიქსიანია: გან-ე-წყობ-ა მას. მაშინაც კი, როცა ვნებითი ერთვალენტია, ჩვეულებრივია ე- პრეფიქსიანი ფორმის გამოყენება: გან-ე-წყობ-ა სასიძღვროდ (შდრ.: განაწყო სასიძღვროდ). იმავედროულად თავი იჩინა უმართებულო ფორმამაც: გან-ი-წყობ-ა მისაღმი.

რაც შეეხება გა-წყობ-ა ფორმას, ვნებითის წარმოება აქ რაიმე თავისებურებას არ გვიჩვენებს:

გა-ა-წყ-ობ-ს — გა-ი-წყ-ობ-ა,

მაგრამ:

გა-უ-წყ-ობ-ს — გა-ე-წყ-ობ-ა.

შენიშვნა: არსებობს გამოთქმა: „რას გააწყობს“, მნიშვნელობით: „არაფერი შეუძლია, ძალა არ შესწევს“. მოიპოვება შესაბამისი ვნებითიც: „რა გაეწყობა“. თითქოს ერთნაირია მიმართება გან-ა-წყ-ობ-ს — გან-ე-წყ-ობ-ა და გა-ა-წყ-ობ-ს — გა-ე-წყ-ობ-ა, მაგრამ ეს — მხოლოდ ფორმოზრივად, სემანტიკურად ორი სავსებით განსხვავებული დამოკიდებულება გვაქვს.

* * *

გან-სახლ-ება — ერთ ტერიტორიაზე მრავლის (რამდენიმეს) დასახლება (ა. შანიძე, 1980, გვ. 251).

გა-სახლ-ება — იძულებითი გაყვანა ბინიდან, სახლიდან, ქალაქიდან... გაძევება.

გან- || გა- ზმნისწინის ძირითად მნიშვნელობად დასახლებულია შიგნიდან გარეთ მიმართული მოქმედების აღნიშვნა: გან-ა-გდ-ო, გავიღ-ა. მრავლისაგან მრავალ შემთხვევაში ეს ზმნისწინი ნეიტრალურია მიმართულების ჩვენების თვალსაზრისით: გა-ა-კეთ-ა, გა-ა-ლამაზ-ა, გა-ა-ჯავრ-ა...

შიგნიდან გარეთ მიმართული მოქმედება აზრობრივად ახლოს დგას დაშორების, დაცილების მნიშვნელობასთან: „ნაშობნი ამის სოფლისანი იქორწინებინ და განჰქორწინებენ“ (სახარებად ლუკასი, 20, 34). „განჰქორწინებენ“ აქ ნიშნავს „თხოვდებიან“ (ი. იმნაიშვილი, 1970, გვ. 278). ახალ ქართულში განქორწინებამ მიიღო გაყრის, ურთიერთ-დაცილების მნიშვნელობა. ორივე შემთხვევაში თავს იჩენს დაშორების სემანტიკა: ერთ შემთხვევაში ქალი თხოვდება და მშობლების სახლიდან მიდის, მეორე შემთხვევაში ორი პიროვნება (ცოლ-ქმარი) სცილდება ერთმანეთს.

ეს მნიშვნელობა უნდა იჩენდეს თავს გან-სახლ-ება ფორმაშიც: გამოიხატება ერთ გარკვეულ ტერიტორიაზე რამდენიმე პირის (ოჯახის...) ცალ-ცალკე (ერთმანეთისაგან დაშორებით) დასახლება.

თავისთავად გან-სახლ-ება კალკია რუსული расслаять ფორმისა.

სხვაობა გან-სახლ-ება და გა-სახლ-ება ფორმებს შორის თავს იჩენს ყველა დონეზე.

დაპირისპირებულია მიმღეობის ფორმები:

გან-სახლ-ებ-ულ-ი — გა-სახლ-ებ-ულ-ი
გან-სა-სახლ-ებ-ელ-ი — გა-სა-სახლ-ებ-ელ-ი
გან-მ-სახლ-ებ-ელ-ი — გა-მ-სახლ-ებ-ელ-ი
გან-უ-სახლ-ებ-ელ-ი — გა-უ-სახლ-ებ-ელ-ი.

დაპირისპირება თავს იჩენს პირიელ ფორმებშიც:

ა) მოქმედებითი გვარი:

გან-ა-სახლ-ებ-ს — გან-ა-სახლ-ა — გან-უ-სახლ-ებ-ი-ა...
გა-ა-სახლ-ებ-ს — გა-ა-სახლ-ა — გა-უ-სახლ-ებ-ი-ა...

სათავისო და სასახვისო ქცევის ფორმები გან- ზმნისწინის შემთხვევაში არ იპოება, გა- ზმნისწინიანს არა აქვს სათავისო ქცევა.

ბ) ვნებითი გვარი:

გან-სახლ-დ-ებ-ა — გან-სახლ-დ-ა — გან-სახლ-ებ-ულ-ა...
იშვიათი გამოყენებისა: გა-სახლ-დ-ებ-ა — გა-სახლ-დ-ა...

• • •

გან-ხრ-ა — მიმართულება, იერი, გა-ხრ-ა — გალუნვა, გადრეკა, გვე-
ყაიდა, სტილი, ხასიათი... რღზე მოხრა.

„ენათმეცნიერების განხრა“. „ფერწერული განხრა“.
„მავთულის განხრა“.

პირიელ ფორმებში დაპირისპირება არ ხდება.

სემანტიკური სხვაობა დამოწმებულია საობიექტო მიმღეობაში, მაგრამ უკვე სულ სხვა რიგისა:

გან-უ-ხრ-ელ-ი — მტკიცე, ურყე- გა-უ-ხრ-ელ-ი — სწორი, მიუხვე-
ვი, განუწყვეტელი, შეუჩერებე- ველ-მოუხვეველი. ის, რაც არ იხ-
ლი. რება.

სხვაობა არსებითად თვისებრივი, შინაგანი და ფიზიკური მახასია-
თებლების მიხედვით ხდება.

„განუხრელი აღმავლობა“. „განუხრელი კურსი“.

„გაუხრელი მავთული“.

* * *

გა-და- მიიჩნევა გარ-და- ზმნისწინის ფონეტიკურად გამარტივე-
ბულ სახეობად (ა. შანიძე, 1980, გვ. 248). სემანტიკური დაპირისპირე-
ბის შესაძლებლობა ენამ ამ შემთხვევაშიც გამოიყენა.

მოვიტანთ რამდენიმე ნიმუშს ნათქვამის ნათელსაყოფად.

* * *

გარდა-სვლ-ა — 1. განვლა დრო-
ისა, მოვლენისა... 2. გარდაცვა-
ლება...

გადა-სვლ-ა — 1. რისამე გადალა-
ხვით, გავლით წასვლა, ადგილგა-
დანაცვლება. 2. ახალ ადგილზე
საცხოვრებლად, სამუშაოდ წას-
ვლა. 3. გარკვეულ ასაკს გადაცი-
ლება. 4. ერთი კლასიდან (კურსი-
დან, განყოფილებიდან...) მეორე-
ში, მომდევნოში ჩარიცხვა. 5. მე-
მკვიდრეობით გადაცემა. 6. რა-
მედ გადაზრდა, გარდაქმნა. 7. გა-
დაცლა, მოშორება საღებავისა და
ა. შ.

„გარდასულ დროთა მოსაგონარი“. „სვამდა როგორც ბათურის,
ასევე გარდასულ გმირთა შესანდობარს“ (ვაჟა-ფშაველა). „ხოლო ეს
ჭირი და ვაი-ვაგლახი ყოფილისა, როგორც უკვე გარდასული ამბავი,
ისე არ სწვავს ადამიანის გულს, როგორც გარდასული ბედნიერება,
დაკარგული დიდება“ (ილია).

„სამუშაოდ გადასული იოსება არ დატოვებდა ოჯახს“ (ნ. ლორთქი-
ფანიძე). „შუალამე გადასული იყო, როცა შინ დაებრუნდით“ (აკაკი).
დაპირისპირება სრულია, მაგრამ არ შეინიშნება ყველა დონეზე.

დაპირისპირება ხდება საობიექტო მიმღეობებში — ისიც ნამყო
დროისა: გარდა-ს-ულ-ი — გადა-ს-ულ-ი. მყოფადი დროის საობიექ-
ტო, ისევე, როგორც სასუბიექტო მიმღეობის ფორმები, მხოლოდ
გადა- ზმნისწინის შემთხვევაშია დამოწმებული: გადა-სა-სვლ-ელ-ი,
გადა-მ-სვლ-ელ-ი...

პირიელი ფორმებიც, ჩვეულებრივ, გადა- ზმნისწინთან გვხვდება: გადა-დი-ს, გადა-ვა, გადა-ვიდ-ა, გადა-სულ-ა... (შდრ.: „არ გარდავა გარდუვალად მომავალი საქმე ზენა“, „ვეფხისტყაოსანი“).

* * *

გარდა-ტეხ-ა — არსებითი ხასი- გადა-ტეხ-ა — ორ ნაწილად გა-
ათის ცვლილება, ძირფესვიანად ტეხვა, დალეწვა, ორად გაყოფა.
გარდაქმნა, გადახალისება.

„საერთო ცხოვრების გარდატეხასთან ერთად გარდატეხა ხდებოდა ქერბალაის ბუნებაშიაც“ (ს. შანშიაშვილი).

„შოთი გადატეხა და მწვადით სავსე ჯამფილა ჩაანახევრა“ (ს. შან-
შიაშვილი). „უფლის-ციხესთან ერთი ხეა გადატეხილი“ (გალაქტიონი).
დაპირისპირება აქაც სრულია, მაგრამ ფორმათწარმოება — საკმაოდ
შეზღუდული.

გარდა-ტეხ-ა საერთოდ არ იხმარება პირიელ ფორმებში. თუ იხმა-
რება (გარდატეხს, გარდატეხა...), სტილისტური (კერძოდ, არქაული)
სხვაობა შეაქვს კონსტრუქციაში.

ანალოგიური ვითარებაა მიმღეობებში: გარდატეხილი, გარდასა-
ტეხი...

გარდა-ტეხ-ა პირიელ ფორმათა უქონლობას აღწერთი წარმოებით
ივსებს: გარდატეხას ახდენს (მოახდენს), გარდატეხა მოახდინა, გარდა-
ტეხა შეიტანა და ა. შ.

გადა-ტეხ-ა ფორმას ყველა სისტემა სრულად მოეპოვება: გადატეხს,
გადატეხა, გადაუტეხია... გადატყდება, გადატყდა, გადამტყდარა...

* * *

გარდა-ცვლ-ილ-ი — ვინც გარდა- გადა-ცვლ-ილ-ი — რაც გადაცვა-
იცვალა, განსვენებული. ლეს, რაც სხვა რამეში გაცვალეს.

„მოწმეებად ისაკა იმისთანებს ჩასწერდა, რომლებიც უკვე გარდა-
ცვლილები იყვნენ“ (შ. არაგვისპირელი).

„წაიღებდა ყველა ნაშოვნს, საწვრილმანოზე გადაცვლილსა, და ქა-
ლაქ ადგილას მოგებით ჰყიდდა“ (ს. მგალობლიშვილი).

მასდარის დონეზე დაპირისპირება იშვიათია, რადგან გარდა-ცვლ-ა ფორმის ნაცვლად, ჩვეულებრივ, გარდა-ცვალ-ებ-ა გამოიყენება.

პირიელ ფორმათა დაპირისპირება ხდება მხოლოდ ვნებით გვარში:

გარდა-ი-ცვლ-ებ-ა, გარდა-ი-ცვალ-ა, გარდა-ცვლილ-ა...

გადა-ი-ცვლ-ებ-ა, გადა-ი-ცვალ-ა, გადა-ცვლილ-ა...

* * *

განვიხილოთ წარ- და წა- ფონეტიკური ვარიანტების საშუალებით სემანტიკურად განსხვავებული ფორმები.

* * *

წარ-წერ-ა — მოკლე შინაარსის წა-წერ-ა — ზედ დაწერა, მიწერა. ტექსტი, რისამე გარეგან მხარეზე მიწერილი. ძველი ტექსტი, ამოკვეთილი რაიმე მაგარ მაპალაზე: ქვაზე, კლდეზე...

„ბოლნისის სიონის ტაძრის წარწერა ჩვენი წელთაღრიცხვის 493—494 წლებით თარიღდება“. „აბრაზე წარწერა იყო“.

„კონვერტზე მისამართის წაწერა დაავიწყდა“. „ახლა ამ დროშას ჩვენ უნდა მოვუაროთ, ძველზე ახალი წავეწეროთ და პირნათლად ვატაროთ“ (მ. ჯავახიშვილი).

სემანტიკური სხვაობა მხოლოდ მასდარის ფორმებშია დამოწმებული. სხვაობა სრულია. პირიელ ფორმებში წარ- ზმნისწინი საერთოდ არ გამოიყენება, დასაშვებია მხოლოდ: წა-ა-წერ-ს, წა-აწერ-ა, წა-უწერ-ი-ა...

რაც შეეხება მიმღეობურ ფორმებს წარ-წერ-ილ-ი და წა-წერ-ილ-ი, ისინი სემანტიკურად არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

* * *

წარ-მატ-ებ-ა — კარგი შედეგების მიღება, გამარჯვება. წინსვლა, პროგრესი, განვითარება. დაწინაურება, წარჩინება.

წა-მატ-ებ-ა — 1. ცოტას მიმატება. 2. შედეგის ხელოვნური გაზრდა.

„რსაუბრეს, იოცნებეს, წარმატება უსურვეს ახალ საქმეს“ (ვ. ბარნოვი).

„ელიზბარს შეძლება ჰქონდა, ხელფასის წამატების გარდა, უხვად ესაზრდობინა მომუშავენი“ (ვ. ბარნოვი).

წარმატება მხოლოდ მაქარისა და მიმღობის ფორმით გამოიყენება: წარმატება, წარმატება-ულ-ი, წარუმატება-ელ-ი. თანაც მიმღობა მხოლოდ საობიექტო აქვს. ორგანული პირიელი ფორმების ნაცვლად გამოყენებულია აღწერიითი წარმოება: წარმატებას აღწევს (მი-აღწია...), წარმატება აქვს (ჰქონდა, ექნება, ჰქონია...).

წამატება ფორმისათვის წარმოება არ იზღუდება: წა-ამატება-ს, წა-ი-მატება-ს, წა-უ-მატება-ს... წა-ე-მატება-ა... წა-მატება-ულ-ი, წა-ს-ამატება-ელ-ი, წა-უ-მატება-ელ-ი, წა-მ-მატება-ელ-ი.

* * *

წარმო-დგომ-ა — რისამე შედეგად (რისამე საფუძველზე) შექმნა, წარმოშობა, წარმოქმნა.

წამო-დგომ-ა — ფეხზე (ზეზე) დადგომა, მჯდომარის წამოწევა (წამომართვა) ააადგომად. მოულოდნელად (შეუმჩნევლად) ვისიმე (ან რისამე) წინაშე დადგომა.

„ეგ კანონი წარმომდგარია ერთის სახის ჩვეულებისაგან“ (ილია).

„ფაქამ ფეხზე წამოდგომით მიტროპოლიტს მიმართა“ (ვ. ბარნოვი).

„აიხნდა მალა და დაინახა თავზე წამომდგარი ყელმოღერებული, თვალეზმოელვარე რქაბუდიანი ირემი“ (ვაჟა-ფშაველა).

წარმო- ზმნისწინიანი ვარიანტი, ჩვეულებრივ, გამოიყენება მიმღობასა და ვნებითი გვარის პირიელ ფორმებში: წარმო-მ-დგ-არ-ი... წარმო-დგ-ებ-ა, წარმო-დგ-ა... უპირატესად აწმყოს ფორმითაა დამოწმებული: წარმო-დგ-ებ-ა; იხმარება მნიშვნელობით „წარმომდგარია“ („წარმოშობილია“): „ეგ კანონი წარმომდგარია ერთის სახის ჩვეულებისაგან“ იგივეა, რაც: „ეგ კანონი წარმოდგება ერთის სახის ჩვეულებისაგან“.

რაც შეეხება წამო-დგომ-ა ფორმას, მისი წარმოება არ იზღუდება: წამო-მ-დგ-არ-ი... წამო-დგ-ებ-ა, წამო-დგ-ა, წამო-მდგარ-ა... თავისებურება ისაა, რომ მოქმედებით გვარში ძირს იცვლის: წამო-ყენ-ებ-ა... წამო-ა-ყენ-ებ-ს, წამო-ა-ყენ-ა...

წარმო- → წამო- რთული შედგენილობის ზმნისწინია: წარ-მო- . მი-
სი მარტივი სახეა წარ- → წა-: წარ-დგომ-ა — წა-დგომ-ა. ორივე ეს
ფორმა შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემდეგი მნიშვნელობების გა-
მოსახატავად:

1. ნაბიჯის წინ გადადგმა.
2. ვისიმე წინაშე გამოცხადება.
3. უეცრად (მოულოდნელად, შეუმჩნევლად) ვისამე ან რისამე წი-
ნაშე დადგომა.

არის მხოლოდ ერთი მნიშვნელობა, სადაც დასაშვებია ოდენ წა-
დგომ-ა ფორმის გამოყენება, მას ვერ შეენაცვლება წარ-დგომ-ა ფორ-
მა: „საქმეში წადგომა... საქმეში წაადგა, საქმეში წასდგომია“.

ამ ერთი შემთხვევის გარდა, წარ- და წა- ვარიანტების დაპირისპი-
რება მარტოოდენ სტილისტური ხასიათისაა.

წარ- → წა- ზმნისწინი დასაშვებია გამოყენებულ იქნეს დგ-ენ
რთული შედგენილობის ფუძესთან: წარ-დგ-ენ-ა — წა-დგ-ენ-ა, ასევე:
წარმო-დგ-ენ-ა — წამო-დგ-ენ-ა. ამ შემთხვევაში არა გვაქვს არც სე-
მანტიკური და არც სტილისტური სხვაობა. მეტიც: ქართულში უფრო
ჩვეულებრივია წარ-ა-დგ-ენ-ს, წარ-ა-დგ-ენ-ა, წარ-უ-დგ-ენ-ი-ა... წარ-
დგ-ენ-ა, წარ-დგ-ენ-ილ-ი, წარ-მ-დგ-ენ-ელ-ი, ვინემ: წა-ა-დგ-ენ-ს, წა-
დგ-ენ-ა, წა-დგ-ენ-ილ-ი. და ასევე: წარმო-ა-დგ-ენ-ს, წარმო-დგ-ენ-
ილ-ი, წარმო-დგ-ენ-ა... თითქმის არ გვხვდება წამო-ა-დგ-ენ-ს, წამო-
დგ-ენ-ილ-ი, წამო-დგ-ენ-ა... როგორც ჩანს, იმიტომ, რომ წარ-დგ-ენ-ა,
წარმო-დგ-ენ-ა ძირითადად ოფიციალურ ტექსტში იხმარება, აქ კი არ-
ქაულ (წიგნურ) ფორმებს გარკვეული უპირატესობა ენიჭება (იხ.:
ბ. ფოჩხუა, 1973, გვ. 209—210).

ერთი თავისებურებაც წარმო-ა-დგ-ენ-ს ფორმისა.

გვარის თვალსაზრისით იგი ლაბილურია:

„საბუთს დაგვიანებით წარმოადგენს“ — მოქმედებითია, დინამიკაა-

„ეს საბუთი დიდს არაფერს წარმოადგენს“ — „საშუალია“, სტა-
ტიკაა; აქ წარმო-ა-დგ-ენ-ს მნიშვნელობით უტოლდება „არის“ ზმნას-
„ეს საბუთი დიდი არაფერი არის (→ არაფერია)“.

ამ უკანასკნელი მნიშვნელობის გამოსახატავად წამო-ა-დგ-ენ-ს სა-
ერთოდ არ გამოიყენება.

თავისებურება სხვაცა აქვს ამ ზმნას: როგორც კარგად არის ცნო-
ბილი, აწმყოში („რა ხდება“ პარადიგმაში) ზმნისწინისეული -რ ელე-
მენტი გადაჰყვება: ა-რ-დგ-ენ-ს. მიზანი ა-დგ-ენ-ს („გადაწყვეტილება,

ვანაჩენი გამოაქვს“, „ნაწილებისაგან მთლიანობას ქმნის“...) ზმნისგან ფორმობრივი გამიჯვნაა.

ამ რიგის დაპირისპირებაც არსებითად ფაკულტატიური მოვლენაა ქართული ენისათვის.

ა-რ-დგ-ენ-ს სალიტერატურო ნორმით უარყოფილი ფორმაა, მაგრამ მისი გამოყენების სიხშირე, განსაკუთრებით — ზეპირ მეტყველებაში, მაინც საკმაოდ დიდია.

• • •

წარ-სულ-ი — ძველი დრო, განვ- წა-სულ-ი — ის, ვინც ან რაც წა-
ლილი დრო, ნამყო. ის, რაც წი- ვიდა, აქედან იქით გამგზავრებუ-
ნათ იყო. განვლილი, გასული, ლი.
გარდასული.

„აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“
(გ. ლაიბნიცი, თარგმანი ილიასი). „გულს ეწუხების, რა აგონდების
დღენი წარსულნი ნეტარებისა“ (გ. ორბელიანი).

„ელოდა ყვირილობას, როგორც დედა ერთადერთს შვილს, ლაშ-
ქარში წასულს“ (ვეფა-ფშაველა).

დაპირისპირება დამოწმებულია მხოლოდ მიმღეობაში:

წარ-სულ-ი — წა-სულ-ი
წარ-მ-ა-ვალ-ი — წა-მ-ა-ვალ-ი.

წარ-სულ-ი, ზმნისართის ფუნქციით, იძლევა ფორმას „წარსულში“,
რომელიც რუსულის კალკი ჩანს: в прошлом.

გარდა დასახელებულისა, წარ- ზმნისწინიანი ვარიანტი არ გვხვდება
არც პირიელ, არც მასდარისა და მიმღეობის სხვა ფორმებში.

მისგან განსხვავებით, წა-სულ-ი შეუზღუდავად გამოიყენება:

წა-სვლ-ა, წა-სულ-ი, წა-სა-სვლ-ელ-ი...
წა-ვალ, წა-ვედ-ი, წა-ვ-სულ-ვარ...

გვხვდება ნაირგვარ კონტექსტში როგორც პირდაპირი, ასევე გა-
დატანითი მნიშვნელობით: „საქმეზე წასული კაცი“, „წასულები“ —
ისინი, ვინც წავიდნენ (გადატანით იტყვიან მიცვალებულებზეც). ადა-

მიანი შეიძლება იყოს: „ფიქრში წასული“, „ხელადან წასული“ და ა. შ.

იმასე, რაც მუდმივი არაა, იტყვიან: „წარმავალიაო“. ამით იგი წარსულ-ი ფორმას ამოუღდება გვერდით.

საპირისპირო „წამავალი“ იშვიათი ხმარებისაა:

„გზა ყვიის წამავალისა...“

„წასვლა სჯობს წამავალისა...“

ამ თვალსაზრისით წა-სულ-ი და წა-მ-ა-ვალ-ი ერთ სემანტიკურ ფარგალში ექცევა (ლექსიკურად).

როგორც წარ-სულ-ი, ასევე წა-სულ-ი ფორმის ანტონიმია მო-მ-ა-ვალ-ი, რაც შეიძლება გამოხატავდეს დროსაც, საქმესაც, ადამიანსაც („შორი გზიდან მომავალი კაცი“)... ენამ აქ ვეღარ გამონახა სემანტიკური სხვაობის ფორმობრივად გამოხატვის შესაძლებლობა და განსხვავება კონტექსტს დააყისრა.

§ 26. ქართულში ცნობილია ფუძის ელემენტად ზმნისწინთა გადასვლის შემთხვევები: ს-ჩა-დი („შვრები, აკეთებ“), აღ-ვ-იარ-ებ→ვ-აღი-არ-ებ. აღ-ა-ორძინ-ებ-ს → ა-აღორძინ-ებ-ს, ა-რ-დგენ-ს, ღ-ზრდ-ი-ს...

ამ რიგისაა: მი-ა-ღწევ-ს, მი-ა-ღწი-ა, რომელთაც შეიძლება შეენაცვლოს: მი-ა-წევ-ს, მი-ა-წი-ა...

ამან კი განსხვავებულ მნიშვნელობათა გამოხატვის საშუალება მისცა ენას.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: მი-ა-ღ-წევ-ს ფორმაში ღ- ფუძესაა მიკუთვნებულ-ი, ა- — ხმოვან პრეფიქსთა რიგშია მინიშნებული. ღ- სინამდვილეში: აღ- ზმნისწინის ნაშთია, ახლა უკვე ზმნის ფუძეს მიხორცებული (შდრ.: მასდარი მი-ღწევ-ა). თავკიდურა პოზიცი-აში ორი ა- იყრიდა თავს (ერთი პრეფიქსისა, მეორე — ზმნისწინისეული), დარჩა ერთი, პრეფიქსისეული: * მი-ა-აღწევ-ს → მი-ა-ღწევ-ს...

მი-ღწევ-ა — 1. წარმატება. მიზნის, ჩანაფიქრის ასრულება. 2. მისვლა, მიტანება რომელიმე ადგილამდე, პუნქტამდე.

მი-წევ-ა — 1. იქით გაწევა. 2. მცირე მანძილზე გადანაცვლება, გადაადგილება. 3. გაწევა შესატყვად, თავდასასხმელად. 4. დაწევა.

„თვალსაჩინო მიღწევები მეცნიერებაში“. ..ფინიშამდე მიღწევა“.

„სოფროს აქლო მიწევამ და მიკარებამ ნიკოს ელვასაჯით ტანში და-
უარა“ (შ. არაგვისპირელი). „მიყვარს, ძბომამა, ხმალ-და-ხმალ შენი
მტრისაკენ მიწევა“ (ვაჟა-ფშაველა).

სხვაობა ამ ფორმებს შორის ადრევე იქნა შენიშნული (ს. ხუნდაძე,
1927, გვ. 33).

დაპირისპირება ხდება ყველა დონეზე.

განსხვავებულია მიმღეობის ფორმები:

მი-ღწე-ულ-ი — მი-წე-ულ-ი

მი-სა-ღწე-ვი — მი-სა-წე-ვი

მი-უ-ღწე-ელ-ი — მი-უ-წე-ელ-ი

მი-მ-ღწე-ვი — მი-მ-წე-ვი.

სხვაობა გვაქვს პირიელ ფორმებშიც:

ა) მოქმედებითი გვარი:

მი-ა-ღწე-ს, მი-ა-ღწი-ა, მი-უ-ღწე-ვი-ა...

მი-ა-წე-ს, მი-ა-წი-ა, მი-უ-წე-ვი-ა...

ბ) ვნებითი გვარი:

მი-ი-ღწე-ა, მი-ღწეულ-ა...

მი-ი-წე-ა, მი-ი-წი-ა, მი-წეულ-ა...

შენიშვნა: მი-ი-ღწე-ა ზმნის II სერია აღწერითად იწარ-
მოება: „მიღწეულ იქნა“... თავად მი-ი-ღწე-ა აწმყოც შეიძლება
იყოს და მყოფადიც. მყოფადში პარალელურად აღწერითი წარ-
მოებაცაა: „მიღწეულ იქნება“.

გვარის ფორმათა წარმოებისას იქმნება თავისებური ვითარება.

მი-ა-ღწე-ს თავისი ყალიბით მოქმედებითა, მაგრამ გარდაუვა-
ლია — არ მოეპოვება პირდაპირი ობიექტი: მი-ა-ღწე-ს ის მას — მი-
ა-ღწი-ა მან მას...

გარდა ამისა, ამ ზმნას მხოლოდ ა- პრეფიქსიანი (საარვისო ქცევს) ფორმები მოეპოვება.

სავსებით განსხვავებული მდგომარეობაა მი-ა-წე-ს ზმნასთან.

ფორნობრივ მას მოეპოვება როგორც -ი- (უკუქცევითი), ასევე -უ- (სასხვისო ქცევის) პრეფიქსიანი წარმოება, მაგრამ ამ ფორმებს შორის ლექსიკური სხვაობაა:

მი-ა-წევ-ს: 1. მივა, მიატანს რომელიმე ადგილამდე“...
2. „დააწევს“;

მაგრამ:

მი-ი-წევ-ს: 1. „მისწევს თავისთვის ან თავისკენ“,
2. „მცირე მანძილზე ადგილს გადაინაცვლებს“,
3. „მიღის, მიემართება“ (ჩქარი ნაბიჯით წინ მიიწევს),
4. გაიწევს, ეპირება თავდასასხმელად...

მი-უ-წევ-ს: 1. „მისწევს მისას, მისთვის ან მისკენ“,
2. „მისწვდება“ (ტყვია მიუწევს),
3. „ისწრაფვის“ (გული სხვისკენ მიუწევს).

იბრუნება მი-ს-წევ-ს ზმნაც, მნიშვნელობით: „იქით გასწევს, ადგილს გადაუნაცვლებს“.

მნიშვნელობა აქტიურად ერევა წევ- ფუძიან ფორმათა გრამატიკულ ბუნებაში.

მი-ა-წევ-ს გარდაუვალია იმ შემთხვევაში, თუკი გამოხატავს მნიშვნელობას „მივა, მიატანს რომელიმე ადგილამდე“: მიაწევს ის ფინიშს — მიაწია მან ფინიშს. თავს იჩენს ასეთი ტენდენციაც: მიაწია ფინიშამდე... იგივე ზმნა გარდამავალია, როცა გამოხატავს მნიშვნელობას „დააწევს“: მი-ა-წევ-ს ის მას მღევარს — მი-ა-წი-ა მან მას მღევარი.

თავისებურია მი-ი-წევ-ს ზმნაც.

მნიშვნელობა „ადგილს გადაინაცვლებს“ განაპირობებს მის ერთვალენტურობას, დრო მყოფადია: მი-ი-წევ-ს ის გვერდით.

მნიშვნელობა „ეპირება თავდასასხმელად“ ასევე განსაზღვრავს მის ერთვალენტურობას, მაგრამ დრო უკვე აწმყოა (მიუხედავად ზმნისწინის მქონებლობისა): ის მტრისკენ მი-ი-წევ-ს. ასეა მაშინაც, როცა გამოიხატება „მიღის, მიემართება“, ოღონდ ამ შემთხვევაში ფუნქციონირებს ოდენ აწმყოს წრე.

იგივე ფორმა ორვალენტურობა და გარდამავალი იმ შემთხვევაში, როცა გამოიხატება მნიშვნელობა „მისწევს თავისთვის ან თავისკენ“: სკამს ახლოს მი-ი-წევ-ს — სკამი ახლოს მი-ი-წი-ა.

ვნებითი მი-ი-წევ-ა გამოხატავს მნიშვნელობებს:

1. „ადგილს გადაინაცვლებს“: გვერდით მიიწევა.
2. „ადგილი შეენაცვლება“: სკამი მიიწევა მისკენ.

მი-ა-წევ-ს ზმნას ვნებითი მოეპოვება მნიშვნელობისათვის „დაა-წევა“: მი-ე-წევ-ა, ზოლო მნიშვნელობით „მივა, მიატანს რომელიმე ადგილამდე“ ამ ზმნის შესაბამისი ვნებითი არ იპოება.

ახლა, რაც შეეხება მი-უ-წევ-ს ზმნას.

ეს ზმნა სამვალენტიანია და გარდამავალი, როცა გამოხატავს მნიშვნელობას „მისწევს მისას, მისთვის ან მისკენ“: სკამს ახლოს მი-უ-წევ-ს — სკამი ახლოს მი-უ-წი-ა...

ორვალენტიანია და გარდაუვალი იმ შემთხვევაში, როცა გამოიხატება „მისწვდება“: ტყვია მი-უ-წევ-ს მას — ტყვიამ მი-უ-წი-ა მას („შუა ტბაში ჩაეშვებიან, რომ ნაპირიდან მონადირის ტყვიამ ვერ მი-უწიოს“, ი. გოგებაშვილი).

ასევე ორვალენტიანია და გარდაუვალი ეს ფორმა მნიშვნელობისათვის „ისწრაფვის“, ოღონდ, დამატებით, სტატიკურია და ინვერსიული წყობისა: გული სხვისკენ მი-უ-წევ-ს. ამ შემთხვევაში მას მოეპოვება მხოლოდ აწმყოს წრის ფორმები: მიუწევს, მიუწევდა, მიუწევდეს. ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ სხვა პარადიგმების წარმოებისას ამ ზმნას ზმნისწინი ეცვლება: გაუწევს... გაუწია...

„გული სხვისკენ გაუწევს“.

„გულმა სხვისკენ გაუწია“.

მესამე სერიაში ორვალენტიანი გარდაუვალი ზმნისთვის ნიშანდობლივი მდგომარეობაა: „გული სხვისკენ გა-ს-წევ-ი-ა“...

აი, რა რთული მიმართებების გამოიხატელო აღმოჩნდა ის, რაც გარეგნულად ზმნისწინისეული დ- ელემენტის ფუძეში ჩართვა-ჩაურთველობით ვლინდება.

§. 37. გვაქვს რიგი ფორმებისა, რომელთა შორის თავს იჩენს ნაწილობრივი სემანტიკური დაპირისპირება.

ნაწილობრივს პირობითად ვუწოდებთ ისეთ სემანტიკურ სხვაობას, როცა ორი ფორმა თანაბრად გამოიყენება რომელიმე მნიშვნელობის გამოსახატავად, მაგრამ იმედროულად არის ისეთი მნიშვნელობაც, რომელიც გამოიხატება ამ ორიდან მხოლოდ ერთი ფორმის მიერ და გამოირიცხება მისი გამოხატვა მეორე, პარალელურად არსებული ფორმით.

ნაწილობრივი სემანტიკური დაპირისპირების ნიმუშებად ივარაუდება შემდეგი ფორმები.

გან-მეორ-ებ-ა — მეორედ ან ისევ თქმა ან გაკეთება რისამე. ხელახლა თქმა ან გაკეთება.

გა-მეორ-ებ-ა — მეორედ ან ისევ თქმა ან გაკეთება რისამე. ხელახლა თქმა ან გაკეთება. ნასწავლის ხელახლა აღდგენა მეხსიერებაში.

ეს ორი ფორმა თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს, მაგრამ სხვაობა (თუმცა მინიმალური) მაინც იჩენს თავს ზოგიერთ კონტექსტში.

ჩვეულებრივია „განმეორებით თქვა“ ან „გამეორებით ცოდნა მტკიცდება“, ერთმანეთის მაგივრობას გან-მეორ-ებ-ა და გა-მეორ-ებ-ა ამ კონტექსტში ვერ გასწევენ. მიუხედავად იმისა, რომ პირიელ ფორმებში ამ ორივე მნიშვნელობას ერთი და იგივე ფორმები გამოხატავენ (ბუნებრივია, სხვადასხვა კონტექსტის საშუალებით): ი-მეორ-ებ-ს, გა-ი-მეორ-ებ-ს, გა-ი-მეორ-ა...

ასე რომ, სხვაობის დამყარების ტენდენცია აქ თავს იჩენს საკმაოდ შეზღუდულად, გარკვეულ ფარგლებში.

გან-მეორ-ებ-ით ისაა, რასაც გამოხატავს რუსული: повторю, ხოლო გა-მეორ-ებ-ით იგივე, რაც: повторением.

* * *

გან-კითხ-ვ-ა — გარჩევა, განხილვა, განსჯა, გასამართლება, პასუხის მოთხოვნა. შეწყალება.

გა-კითხ-ვ-ა — მოკითხვა, მოძვეება, აბმის გაგება... გარჩევა, განხილვა, განსჯა, გასამართლება... შეწყალება...

„ეს საგანი ღირსია განსჯისა და განკითხვისა“ (ილია). „მოვიდა დღე განკითხვისა, იმ განკითხვისა კი არა, რომელსაც საშინელი განკითხვა ჰქვია და რომელსაც ჯოჯოხეთი და „ღრჭენა კბილთა“ მოსდევს. არა, ბატონებო, ეს იმისთანა განკითხვაა, საცა თვითონ თავისი თავის გამკითხველია და მსაჯული“ (ილია).

„ამ ამბის კარგად გაკითხვაა საჭირო“.

„მოკითხვის, ამბის გაგების“ მნიშვნელობისათვის, როგორც წესი, გამოიყენება გა-კითხ-ვ-ა ფორმა. ყველა სხვა მნიშვნელობის გამოსახატავად დასაშვებია როგორც გან-კითხ-ვ-ა, ასევე გა-კითხ-ვ-ა.

„მიკვირს — განკითხვის დროს რა პასუხი უნდა მაგო?“ (აკაკი) = „გაკითხვის დროს...“

„საღლა იყო გაკითხვა?“ (აკაკი) = „საღლა იყო განკითხვა“ და ა. შ.

* * *

გარდა-ქცევა — სხვა სახის მიღება, გარდაქმნა, სხვა რამედ ქცევა, გახდომა.

გადა-ქცევა — 1. გადავარდნა, წაქცევა, გადაყირაობა. 2. გადასხმა, გადაღვრა (სითხისა). 3. სხვა სახის მიღება, სხვა რამედ ქცევა, გახდომა, შეცვლა, გარდაქმნა.

„გაჩუმებულიყვნენ ისე, როგორც ჰაერი, რომელიც ემზადება ამ სიმშვიდიდან გრგვინვად გარდაქცევას“ (ა. ყაზბეგი).

„იმ მღორე წყლის მოჩხრიალე ანკარა წყაროდ გადაქცევა და ციებ-ცხელების გაქრობა ერთი იყო“ (დ. მაჩხანელი). „ხის გადაქცევის შემდეგ წვრილმა ხეებმა ლაწა-ლუწი დაიწყეს“ (შ. არაგვისპირელი)...

აშკარაა, რომ მოხდა გარდა-ქცევა ფორმაში მნიშვნელობის დავიწროება. გარდა-ქცევა და გადა-ქცევა მხოლოდ ერთი მნიშვნელობით თანხვედრა ერთმანეთს თანამედროვე ქართულში, ესაა: „სხვა სახის მიღება, სხვა რამედ ქცევა, გარდაქმნა“.

ამასთანავე ილანდება ტენდენცია სრული განსხვავებისა, დაპირისპირებისა: გარდა-ქცევა მკვიდრდება „გარდაქმნის“ მნიშვნელობისათვის, ხოლო გადა-ქცევა — მნიშვნელობებისათვის: „გადავარდნა, წაქცევა“ და „გადასხმა, გადაღვრა“. ამის ნიმუშია თუნდაც ტერმინი „გარდაქცევითი“ (იგივეა, რაც: „გარდაქმნითი“), რომლის ნაცვლად გადაზმნისწინიანი ვარიანტი, როგორც წესი, არ გამოიყენება...

* * *

წარმო-თქმა — ამოთქმა, თქმა. ხმამაღლა (საჯაროდ) თქმა. სამეტყველო ბგერების წარმოება. გამოთქმა.

წამო-თქმა — ამოთქმა, თქმა.

„შეიქნებოდა ტოლუმბაშობა, სიტყვების წარმოთქმა“... (გ. წერეთელი). „ავტორი თვითონ უნდა გრძნობდეს ძალდაუტანებლად რომე-

ლომე აზრის წარმოთქმის საკიროებას“ (ილია). „ბგერათცვლილება განუყრელია წარმოთქმისაგან“ (გ. ახვლედიანი).

„ძლივს წამოთქვი ხმის კანკალით“ (აკაკი).

ორივე ეს ფორმა არსებითად ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხატავს. ამჟამად უფრო ხშირი გამოყენებისაა სწორედ წარმო-თქვ-ამ-ს, წარმო-თქმ-ა ფორმები. მაგრამ მათ ყველა შემთხვევაში შეიძლება შეენაცვლოს წამო-თქვ-ამ-ს, წამო-თქმ-ა..., გარდა ერთისა: როგორც ენათმეცნიერული ტერმინი, დასაშვებია მხოლოდ წარმო-თქმ-ა (произношение, pronunciation).

• • •

შთა-ბერ-ვ-ა — 1. ამოსუნთქული ჩა-ბერ-ვ-ა — ამოსუნთქული ჰა-ჰერ-აქადის ჩაშვება რამეში. 2. ერ-აქადის ჩაშვება რამეში. მინიჭება, ჩაგონება. მხნეობის, გამბედაობის შემატება.

„ნიაჲმა... სადაფის ყურს შთაბერა ლამაზს“ (ვ. ბარნოვი). „ენაშია შთაბერილი სული მთელი ხალხისა და მთელი იმის დედა-ქვეყნისა“ (ი. გოგებაშვილი)

„ღმერთმა რომ კაცი დაბადა..., ჩაბერვით მისცა ქშენაო“ (დ. გურამიშვილი).

როგორც ვხედავთ, შთა-ბერ-ვ-ა და ჩა-ბერ-ვ-ა ფორმები სემანტიკურად მხოლოდ ნაწილობრივ ფარავენ ერთმანეთს, მაგრამ ამასთანავე ქართულში სულ უფრო საგრძნობია სემანტიკური დიფერენციაციის ტენდენცია: შთა-ბერ-ვ-ა არის „რაიმეს მინიჭება, ჩაგონება, მხნეობის შემატება“, ხოლო ჩა-ბერ-ვ-ა — „ამოსუნთქული ჰაერ-აქადის ჩაშვება რამეში“. ამ უკანასკნელი მნიშვნელობის შთა-ბერ-ვ-ა ფორმის გამოყენება არქაულ იერს ატარებს უკვე.

• • •

ამავე რიგისაა შთა-ბექ-ვ-ა და ჩა-ბექ-ვ-ა.

აქაც თავს იჩენს სემანტიკური სხვაობის დამყარების პროცესი.

ამას წაბლად ამტკიცებს თუნდაც შთა-ბექ-ვ-ილ-ებ-ა („ადამიანის შემეცნებაში შეგრძნებების გზით მიღებული გარეგამლიზიანებლის

კვალი“), რომლისთვისაც არასდროს გამოიყენება ჩა- ზმნისწინიანი ფორმა.

„პატარაობისას მიღებული შთაბეჭდილება და შეყვარებული საგანი სამარის კარამდე საყვარელ საგნად რჩება“ (ვაჟა-ფშაველა). „სუბიექტი ყოველთვის მრავალფეროვან შთაბეჭდილებათა გავლენის ქვეშ იმყოფება“ (დ. უზნაძე).

ამ მნიშვნელობისთვის ჩა-ბეჭდ-ილ-ებ-ა ფორმის გამოყენებამ ენა-ში ფეხი ვერ მოიკიდა (შდრ.: „ჩაბეჭდილებანი უცხო ენისა ასუსტებენ და შლიან დედა ენის ჩაბეჭდილებათა“, ი. გოგებაშვილი).

* * *

შთა-გონ-ებ-ა — 1. სხვის ნებისყოფაზე ზემოქმედება, ჰიპნოზი. 2. წაქეზება, შეგულიანება. 3. რჩევა-დარიგება რაიმეში დარწმუნების მიზნით, შეგონება. 4. შემოქმედებითი აღფრთოვანება, სამოქმედოდ განწყობა, აღძვრა.

ჩა-გონ-ებ-ა — 1. გონებაში ჩანერგვა, შესმენა, შეგონება. 2. სხვის ნებისყოფაზე ზემოქმედება. 3. წაქეზება, შეგულიანება.

„...ზემოქმედებას ერთი ადამიანისას მეორეზე შთაგონებას უწოდებენ“ (დ. უზნაძე). „არა სისატიკითა, სისხლითა და ხმლითა მოიქცევიან ცოდვილნი, არამედ შთაგონებითა შეინანებენ ცოდვათა თვისთა“ (ა. ყაზბეგი). „დიდხანს მწვავედა შთაგონების ცეცხლი მწვავე“ (გალაკტიონი).

„უღვთო კაცების ჩაგონებით დღეს უარს გვეყოფს ჩვენი მარჩენალი შინაყმა“ (ე. ნინოშვილი). „გვადი განზე გაიხმო და ჩაგონებით უთბრა: — შენ ახლა მაქსიმეს გაჰყევი“ (ლ. ქიაჩელი).

ნიშანდობლივია, რომ შთა-გონ-ებ-ა ფორმის მნიშვნელობად უწინარესად „სხვის ნებისყოფაზე ზემოქმედება“ ივარაუდება და მხოლოდ შემდეგ: „რჩევა-დარიგება, შეგონება“, ხოლო ჩა-გონ-ებ-ა ფორმისთვის კი, პირიქით, ძირითადია „გონებაში ჩანერგვა, შეგონება“ და შემდეგ: „სხვის ნებისყოფაზე ზემოქმედება“.

ასე თუ ისე, ეს ფორმები მნიშვნელობის თვალსაზრისით საკმაოდ ზწირად არიან თანაბარი ღირებულებისა.

დაპირისპირება ხდება ერთ შემთხვევაში: მნიშვნელობით „შემოქ-

მედებითი აღფრთოვანება“ გამოიყენება მხოლოდ „შთაგონება“: „დიდხანს მწვავედა შთაგონების ცეცხლი მწვავე“ (გალაკტიონი). ამ კონტექსტში არ ივარაუდება „ჩაგონება“ ფორმა. მაგრამ შდრ.: „თავისი ნებით ისურვა და არა ვისიმე ჩაგონებითა“ (ი. მაჩაბლისეული თარგმანი). აქ უკვე თავისუფლად ჩაინაცვლება „შთაგონებითა“ ფორმა.

ასე რომ, „შთაგონება“ სემანტიკურად უფრო პოლივალენტურია, ვინემ „ჩაგონება“: შთა-გონ-ებ-ა ყველა შემთხვევაში შეიძლება შეენაცვლოს ჩა-გონ-ებ-ა ფორმას (ზოგჯერ — გარკვეული სტილისტური ნიუანსით), მაგრამ ჩა-გონ-ებ-ა ყოველთვის ვერ შეცვლის შთა-გონ-ებ-ა ფორმას.

§ 38. ზმნისწინთა ფონეტიკური ვარიანტების საშუალებით ლექსიკურ მნიშვნელობათა განსხვავება შესაძლოა ლოკალიზებული, შემოფარგლული იყოს მხოლოდ თითო შეპირისპირებით.

ამის ორიოდ შემთხვევა მასდარებში ზემოთაც იყო დასახელებული: წარ-წერ-ა — წა-წერ-ა, წარმო-თქმ-ა — წამო-თქმ-ა...

ამ რიგისაა აგრეთვე უარყოფით მიმღეობებში პოვნეირი დაპირისპირება გან- და გა- ფონეტიკური ვარიანტებისა. იმავე ფუძეებთან სხვა სისტემებში (დადებით მიმღეობებში, მასდარებში, პირიენლ ფორმებში) სემანტიკური სხვაობა აღარ შეინიშნება.

* * *

გან-უ-ყოფ-ელ-ი — რაც არ იყოფა, რისთვისაც გაყოფა (დანაწევრება) არ არის ნიშანდობლივი. რაც არ უნდა (არ შეიძლება) გაიყოს.

გა-უ-ყოფ-ელ-ი — რაც არ (ვერ) გაუყვიათ. გაუნაწილებელი, დაუნაწილებელი, მთლიანი.

„ერთი ფიქრით და გრძნობითა გამტკიცებული სოფელი, მტერს რა ლამაზად დახვდება არსებით განუყოფელი!“ (ვაჟა-ფშაველა).

„ფეხებზე აბია მრგვალი და გაუყოფელი ერთიანი ჩლიქები“ (ი. გოგებაშვილი).

ითქმის „გაუყოფელი ოჯახი“, ე. ი. ოჯახი, რომელიც არ გაყოფილა. ამ კონტექსტში გან-უ-ყოფ-ელ-ი, ჩვეულებრივ, არ გამოიყენება.

მაგრამ: „განუყოფელი მეგობრები“, ე. ი. მეგობრები, რომელთა დაშორება არ შეიძლება, განუყრელი მეგობრები. აქ უკვე, როგორც წესი, არ გვხვდება გა-უ-ყოფ-ელ-ი.



გან-უ-ყრ-ელ-ი — ვინც ან რაც ვერ (არ) გაჰყარეს, ან ვერ (არ) გაეყარა ვისმე (რასმე). ყოველთვის ვინმესთან (რამესთან) ერთად მყოფი, განუშორებელი.

გა-უ-ყრ-ელ-ი — 1. ვინც ან რაც ვერ (არ) გაყრილა, არ დაშორებია ვისმე. დაუშორებელი, გაუყოფელი. 2. რაც არ არის რამეში გაყრილი (ზმნისგან: უ-ყრ-ი-ს, გა-უ-ყრ-ი-ს). 3. ვინც ან რაც გარეთ არ გაუყრიათ (ზმნისგან: ყრ-ი-ს „აგდებს მრავალს“).

„მაშ, გამარჯობა, დიდო სიცოცხლევ, დავრჩებით მუდამ ჩვენ განუყრელი“ (ტ. ტაბიძე). „განუყრელი მეგობრები“.

„ლუარსაბი თავის ძმასთან, დავითთან, გაუყრელი იყო, როცა ოცი წლისა შესრულდა“ (ილია).

ხელშესახებია ამ ორი ფორმის სემანტიკური თანხვედრაცა და განსხვავებაც. კერძოდ, გან-უ-ყრ-ელ-ი უპირატესად თვისებრივ მხარეს გულისხმობს. ამიტომაცაა: „განუყრელი მეგობრები“ — სულიერად ახლო მდგომი მეგობრები, „განუყრელი ოჯახები“ — ერთი სულისკვეთების, მისწრაფების მქონე ოჯახები. ხოლო გა-უ-ყრ-ელ-ი უფრო გარეგნულ მხარეზე ამახვილებს ყურადღებას: „გაუყრელი ოჯახები“ — ოჯახები, რომლებიც ერთად ცხოვრობენ, რომლებიც არ გაყრილან, რომელთაც საერთო ქონება და საცხოვრებელი ადგილი აქვთ, რომელთაც საცხოვრისი და ქონება არ გაუნაწილებიათ ერთმანეთში.

დადებით ფორმებშიც სემანტიკური სხვაობა კონტექსტით აღინიშნება: გა-ყრ-ილ-ი, გა-სა-ყრ-ელ-ი შეიძლება იყოს ოჯახებიც, მეგობრებიც და ძაფიც (ნემსის ყუნწში)...



გან-უ-წყვეტ-ელ-ი—რაც არ შემწყვდარა ან არასდროს შეწყდება, შეუწყვეტელი, მუდმივი, შეუჩერებელი.

გა-უ-წყვეტ-ელ-ი—რაც არ (ვერ) გაწყვიტეს. რაც არ (ვერ) გაწყვეტილა.

„განუწყვეტელი რეკა“. „განუწყვეტელი ტკივილები“.
„გაუწყვეტელი თოკი (ძაფი...)“.

სხვაობა ამ ორ ფორმას შორის სულ უფრო იჩენს მიდრეკილებას სრული დაპირისპირებისაკენ.

გან-უ-წყვეტ-ელ-ი იმავე რიგისაა, რაც: „მუდმივი, მარადი, ხანგრძლივი, პერმანენტული“. შინაგანი, თვისებრივი მახასიათებელია.

გა-უ-წყვეტ-ელ-ი იმავე მნიშვნელობისაა, რაც: „მთლიანი, მთლიანობადაურღვეველი...“ გარეგნული მახასიათებელია.

§ 39. ამრიგად, ქართულში არის ერთი რიგი ზმნისწინებისა, რომელთაც ორი ფონეტიკური ნაირსახეობა აქვთ: ძველი და ახალი (ფონეტიკურად გამარტივებული): აღ- → ა-, გან- → გა-, წარ- → წა-, გარდა- → გადა-, შთა- → ჩა-.

უმეტეს შემთხვევაში ისინი ან თავისუფლად (მნიშვნელობების განუსხვავებლად) ჩაენაცვლებიან ერთმანეთს, ან მარტოოდენ სტილისტურ სხვაობას იძლევიან: აღ-ვიდ-ა — ა-ვიდ-ა, გან-ვიდ-ა — გა-ვიდ-ა...

იმავდროულად დასტურდება რამდენიმე შემთხვევა, სადაც ასეთი თავისუფალი ურთიერთშენაცვლება გამოირიცხება, რადგან შენაცვლებას თან სდევს მნიშვნელობის ცვლაც: აღ-დგომ-ა — ა-დგომ-ა, წარ-მატ-ებ-ა — წა-მატ-ებ-ა, გან-სვენ-ებ-ა — გა-სვენ-ებ-ა...

გვაქვს მნიშვნელობათა სრული ან ნაწილობრივი დაპირისპირების შემთხვევები.

სრულია ისეთი დაპირისპირება, როცა ზმნისწინთა პარალელური ფონეტიკური ვარიანტებით ყველა შემთხვევაში განსხვავებული მნიშვნელობები გამოიხატება: აღდგომა — ადგომა, აღზრდა — აზრდა, განახლება — გაახლება, წარმოდგომა — წამოდგომა, გარდასვლა — გადასვლა...

ნაწილობრივი განსხვავების დროს ორი ფორმა თანაბრად გამოიყენება რომელიმე ერთი (ან რამდენიმე) მნიშვნელობის გამოსახატავად, მაგრამ იმავდროულად ერთ-ერთ ამ ფორმათაგანს აქვს უნარი გამოხატოს ისეთი მნიშვნელობაც, რომელიც არასდროს გადმოიცემა მისი პარალელური ვარიანტით: აღწერა — აწერა, განმეორება — გამეორება, შთავონება — ჩავონება... დასაშვებია როგორც „სურათის აღწერა“, ასევე „სურათის აწერა“, მაგრამ: „მალაზიაში აღწერა“, არ ითქმის: „მალაზიაში აწერა“. ასევე: „ენის აღწერითი ანალიზი“, არ გამოიყენება „აწერითი“.

ამასთანავე იმ ფორმებს შორისაც, სადაც ნაწილობრივი სემანტიკური დაპირისპირება გვაქვს, თავს იჩენს სრული განსხვავების ტენდენცია.

მაგალითად, „ქონების აღწერა“ გულსხმობს ქონების აღნუსხვას, ხოლო „ქონების აწერა“ — ქონების აღნუსხვას იმ მიზნით, რომ შემდგომ სასამართლოს წესით იქნეს ჩამორთმეული ან ჩაბარებული: ასევე: აღ-შფოთ-ებ-ა აღელვებაა რაიმე დაუშვებელი, არაეთიკური ან უკანონო საქციელის გამო, რაც, ჩვეულებრივ, შესაბამის რეაქციას, გამოხატვას იწვევს, ხოლო ა-შფოთ-ებ-ა უპირატესად სულიერი განწყობის აღნიშვნაა, რათაც იგი უახლოვდება შე-შფოთ-ებ-ა ფორმით გამოხატულ მნიშვნელობას; შდრ.: აღ-ა-შფოთ-ებ-ს და ა-ა-შფოთ-ებ-ს, აღ-შფოთ-დ-ებ-ა და ა-შფოთ-დ-ებ-ა...

ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობების მიხედვით სემანტიკური დაპირისპირება პირიელ ფორმებში, ჩვეულებრივ, არ ხდება აწმყოს წრეში სავსებით გასაგები მიზეზის გამო: აწმყოს ფორმები (გარდა ერთი მცირერიცხოვანი რიგისა) ზმნისწინს არ დაირთავენ. მის საკომპენსაციოდ ზოგჯერ წარმოიქმნება ხელოვნური ფორმები: ღზრდ-ი-ს, შდრ.: ზრდ-ი-ს, ღძრ-ავ-ს, შდრ.: ძრ-ავ-ს (მყოფადის წრეში: აღ-ზრდ-ი-ს — ა-ზრდ-ი-ს, აღ-ძრ-ავ-ს — ა-ძრ-ავ-ს...).

მნიშვნელობათა განმასხვავებელი ფუნქციით ზმნისწინების ფონეტიკური ვარიანტების აღჭურვით ენა აღწევს გარკვეულ ეკონომიურობას, ინარჩუნებს უნარს მინიმალური ფორმობრივი საშუალებებით მაქსიმალური სემანტიკური გამომხატველობისა: ნაირგვარი ძირების გამოყენების ნაცვლად ლექსიკურ სხვაობას გამოხატავს ზმნისწინთა ფონეტიკური ნაირსახეობები: აღ-დგ-ომ-ა — воскресение, ა-დგ-ომ-ა- — встать...

ყველაფერი ზემოხსენებული არის ლექსიკურ მნიშვნელობათა გამოხატვის ერთ-ერთი ფაქულტატიური საშუალება ქართულში.

მორფოლოგია სწავლობს როგორც გრამატიკულ, ასევე ლექსიკურ მნიშვნელობათა გამომხატველ ინვენტარს ენაში; ანუ სწავლობს როგორც ფორმათწარმოებითს, ასევე სიტყვათწარმოებითს საშუალებებს ენისა. ამიტომაც გრამატიკულ მნიშვნელობათა გვერდით განიხილება ენაში ლექსიკურ მნიშვნელობათა გამოხატვის საშუალებანი, ამჯერად ფაქულტატიური, „არაკანონიკური“ საშუალებანი.

თ ა ვ ი I I I

ზმნისწინთა მორფოლოგიური ნაირსახეობების ზაკულტატიური დანიშნულებისათვის ქართულში

§ 40. ზმნისწინთა მორფოლოგიური ნაირსახეობანი, როგორც ცნობილია და ზემოთაც აღინიშნა, განასხვავებენ:

ლექსიკურ მნიშვნელობებს: ა-გება, ჩა-გება, და-გება, წა-გება, მო-გება, ამო-გება...

ხოლო გრამატიკულ მნიშვნელობათაგან:

ა) დროს (კეცავს — და-კეცავს...), რაც ისტორიულად ფაქულტატიური იყო მათთვის, ამჟამად კი ერთ-ერთი ძირითადია;

ბ) ასპექტს, ისტორიულად ასევე ფაქულტატიურს მათთვის: კეცა — და-კეცა, აშრო — და-აშრო...

და გ) მიმართულებას: ა-ვიდა, ჩა-ვიდა, გა-ვიდა, შე-ვიდა, წა-ვიდა, მი-ვიდა, მო-ვიდა, გადა-ვიდა, ამო-ვიდა, ჩამო-ვიდა, გადმო-ვიდა...

მიმართულების აღნიშვნა ძირითადი ფუნქციაა ზმნისწინისათვის ისტორიულადაც და ამჟამადაც.

მიმართულება შესაძლოა სხვადასხვა მოდიფიკაციებით იყოს გამოხატული.

მაგალითად, შემო- ზმნისწინი გადაადგილების (სკლის, სირბილის, ხოხვის, ცურვის, ფრენის, სროლის, წაღების, გადატანის...) აღმნიშვნელ ზმნებთან გამოხატავს გარედან შიგნით პირველი ან მეორე პირისაკენ მიმართულ მოქმედებას: შემო-ვიდა, შემო-ფრინდა, შემო-ისროლა, შემო-იტანა...

სხვა სემანტიკის ზმნებთან იმავე ზმნისწინს უნარი აქვს გამოხატოს რაიმე საგნის ირგვლივ, გარშემო მიმდინარე მოქმედება: შემო-

ტება, შემო-აკეთა, შემო-აკერა, შემო-აგლიჯა, შემო-ლობა, შემო-ახია...
შდრ.: შე-ტება, შე-აკეთა, შე-აგლიჯა, შე-ახია...

მასვე დაუქავშირდა ერთი რიგის ზმნებთან უნებლიე მოქმედების გამოხატვის ფუნქცია: შემო-აკვდა, შემო-ეჭამა... (ა. ფოცხიშვილი, 1969, გვ. 153—154)...

ყველა ეს ფუნქცია არსებითად გარკვეული მიმართულების სემანტიკური ნაირსახეობაა, რაც, რა თქმა უნდა, ხსენებული ზმნისწინის ძირითად დანიშნულებას წარმოადგენს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ზემოთქმული არ გამორიცხავს იმას, რომ იგივე მნიშვნელობები შესაძლოა სხვა საშუალებებით იქნეს ენაში გამოხატული. მაგალითად, უნებლიე მოქმედების ფუნქცია გამოიხატება არა მხოლოდ შემო- ზმნისწინიანი ფორმებით, არამედ — ზოგჯერ — სუბლექტური ფორმებითაც: და-ა-გდ-ო, მაგ-რამ: და-უ-ვარდ-ა...

იმავდროულად ზმნისწინს შეიძლება დაეკისროს ისეთი გრამატიკული ფუნქციის გამოხატვა, რომელიც მისთვის, ჩვეულებრივ, დამახასიათებელი არ არის.

ასეთია, მაგალითად, გვარის კატეგორია, უფრო ზედმიწევნით: აქტიურობა — პასიურობის ფუნქცია, რომლის გამოხატვა ორიოდ შემთხვევაში დაეკისრა ზმნისწინს.

§ 41. ჰ-ყავ-ს და ა-ქვ-ს სტატიკური ზმნებია, ორვალენტიანი, ინვერსიული წყობისა. უღვლილებისას ფუძეს იცვლიან — ჩაინაცვლებენ ე- პრეფიქსიანი ვნებითის ყალიბს:

რა ხდება:	აქვს	ჰყავს
რა მოხდება:	ეწნება	ეყოლება
რა მოხდა:	ექნა	ეყოლა
რა მომხდარა:	ჰქონია	ჰყოლია.

ეს ორი ზმნა რიგი თავისებურებით ხასიათდება.

ერთ-ერთი თავისებურება ისიცაა, რომ ზმნისწინთა დართვის შედეგად გვარის გრამატიკულ ფუნქციას იცვლის, სემანტიკურად აქტიური ხდება, გარდამავალ ზმნას უთანაბრდება, რაც თავს იმითაც

იქნეს, რომ უღვლილებსას უკვე საკუთრივ მოქმედებითი გვარის ზმნა შეენაცვლება:

რა ხდება:	მი-აქე-ს	მი-ჰყავ-ს
რა მოხდება:	წა-იღებ-ს	წა-იყვან-ს
რა მოხდა:	წა-იღ-ო	წა-იყვან-ა
რა მომხდარა:	წა-უღი-ა	წა-უყვანი-ა.

შესაძლოა გამოყენებულ იქნეს ყველა ზმნისწინი:

მო-აქვს, და-აქვს, ჩა-აქვს, გადა-აქვს...

მო-ჰყავს, და-ჰყავს, ჩა-ჰყავს, გადა-ჰყავს...

ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ზმნისწინთან ხდება სხვადასხვა ფუძის შენაცვლება:

მი-აქვს → { წა-ი-ღ-ებ-ს, წა-ი-ღ-ო...
 } მი-ი-ტან-ს, მი-ი-ტან-ა...

მო-აქვს → მო-ი-ტან-ს, მო-ი-ტან-ა...

და-აქვს → და-ა-ტარ-ებ-ს, და-ა-ტარ-ა...

ანდა:

მი-ჰყავს → წა-ი-ყვან-ს, წა-ი-ყვან-ა...

და-ჰყავს → და-ა-ტარ-ებ-ს, და-ა-ტარ-ა...

ყველაფერი ეს ფრიად ღირსსაცნობია ენაში ფორმათა სემანტიკური გადააზრების თვალსაზრისით: არსებითად უცვლელია ზმნური სტრუქტურა, სავსებით უცვლელი რჩება სინტაქსური წყობა და, მიუხედავად ამისა, აზრობრივად ზმნა მოქმედებითი გვარისა ხდება; შდრ.:

ჰ-ყავ-ს — ეკუთვნის, მასთანაა ვინმე.

მი-ჰ-ყავ-ს — 1. აიძულებს ან სა-შუალებას აძლევს მიჰყვებოდეს, მასთან ერთად მიდიოდეს სადმე. 2. მიდენის, მიერეკება. 3. მართავს, უძღვება (მანქანას, ნავს...). 4. იწვევს სამსახუროდ (ჯარში...).

„ამ ქალს ოთხი შვილი ჰყავს“.

„სადაც-კი გამოჩნდება ლამაზი ქალი, სულ მონასტერში მიჰყავთ“ (აკაკი). „ამდენი ცხენები აქეთ სად მიჰყავთ?“ (გ. წერეთელი).

ანდა:

ა-ქე-ს — ეკუთვნის, ფლობს რას- მე, მოეპოვება რამე. მი-ა-ქე-ს — 1. აქედან იქით რას- მე აღვიღს უნაცვლებს, ეზიდება. 2. სწევს საითკენმე (ხელს, თითს...). 3. იღებს, ისაკუთრებს.

„თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“ (დ. გუ- რამიშვილი). „ათი გზა მაქვს, ათივე შენკენ მოდის“ (გ. ორბელიანი). „ბამბა გასასყიდათ ქალაქში მიაქვთ“ (ი. გოგებაშვილი). „თითი თვალთან მიაქვს“. „წილი კი სრულად მიაქვს“ (ილია).

აზრობრივი სხვაობა ჰ-ყავს და მი-ჰ-ყავს, ა-ქე-ს და მი-ა-ქე-ს ფორმებს შორის აშკარაა, თუმცა მორფოლოგიურად და სინტაქსურად ეს არ ვლინდება.

მორფოლოგიური და სინტაქსური გამოხატვა ამ აზრობრივი ცვლილებისა მხოლოდ უღვლილებისას შეთავსებულ ფორმებში ხდება: წა-ი-ყვან-ს ის მას, წა-ი-ყვან-ა მან ის, წა-ი-ღ-ებ-ს ის მას, წა-ი-ღ-ო მან ის... მხოლოდ აქ ხდება მორფოლოგიური და სინტაქსური სტრუქტურების გადასვლა მოქმედებითი გვარის ფორმათა თარგზე.

§ 42. საპირისპირო შემთხვევასთან გვაქვს საქმე მაშინ, როცა მოქმედებითი გვარის ფორმა ზმნისწინის დართვით სტატიკური ზმნის სტატუსით აღიჭურვება:

დგ-ამ-ს — 1. ვერტიკალურ მდგო- მო-(ს)-დგ-ამ-ს — შთამომავლო- მარეობაში ამყოფებს, ფეხზე ბით მოსდევს, მოდგმაში აქვს, აჩერებს. 2. აშენებს, აგებს. 3. მის მოდგმას ახასიათებს. ზნედ წარმოადგენს, განახორციელებს აქვს, სჩვევია. (სცენაზე რაიმე პიესას)...

„მაგიდასთან სკამს დგამს“. „დგამენ ზვინებს დაყოფრებული ხე- ლები“ (შ. მღვიმელი). „დღეს ახალ ოპერას დგამენ“ (ი. გედევანი- შვილი).

„მამისეულ ოჯახში ნებიერად გაზრდილს, მეურნის ნიჭი არ მოს- დგამდა არსაკიძეს“ (კ. გამსახურდია). შდრ.: „მოჰკაწრავს ღვარი ტყე-

კლდეებს, მოაქვს და მოდგამს ყორედა“ (ვაჟა-ფშაველა), სადაც მო-
დგ-ამ-ს მოქმედებითი გვარის ზმნაა ფორმობრევადაც და აზრობრივა-
დაც.

მო(ს)-დგ-ამ-ს ფორმაში პოვნური გადააზრების თანამდევია რო-
გორც მორფოლოგიური, ასევე სინტაქსური ცვლილებანი.

დგ-ამ-ს, როგორც ეს მოქმედებითი გვარის ფორმებისთვისაა ნი-
შანდობლივი, სრული პარადიგმითაა წარმოდგენილი:

რა ხდება:	დგ-ამ-ს
რა ხდებოდა:	დგ-ამ-დ-ა
რა ხდებოდეს:	დგ-ამ-დ-ე-ს
რა მოხდება:	და-დგ-ამ-ს
რა მოხდა:	და-დგ-ა
რა მომხდარა:	და-უ-დგ-ამ-ს...

მო-(ს)-დგ-ამ-ს იმეორებს სტატიკურ ზმნათა ჩვენებას — მოეპოვე-
ბა მხოლოდ აწმყოს წრის პარადიგმები:

რა ხდება:	მო-(ს)-დგ-ამ-ს
რა ხდებოდა:	მო-(ს)-დგ-ამ-დ-ა
რა ხდებოდეს:	მო-(ს)-დგ-ამ-დ-ე-ს.

სხვა პარადიგმები მას არც საკუთარი წარმოებისა აქვს და არც
სხვა ყალიბით ხდება მისი შევსება.

რაც შეეხება სინტაქსურ კონსტრუქციას, იგი წყობით ინვერსი-
ულია: მო-(ს)-დგ-ამ-ს მას ის.

§ 43. ქართულში დამოწმებულია რაღი ფორმებისა, რომელთაც
აკისრათ მოჩვენებითობის ფუნქციის გამოხატვა: თავს ისულელებს,
იგიუებს (იგიუიანებს), იჭკვიანებს...

თავისი მორფოლოგიური სტრუქტურითაც და სინტაქსური წყო-
ბითაც ესაა მოქმედებითი გვარის ზმნები:

რა ხდება:	თავს ისულელებს
რა მოხდება:	თავს გაისულელებს
რა მოხდა:	თავი გაისულელა
რა მომხდარა:	თავი გაუსულელებია.

ორ ზმნისწინს ქართულში უნარი აქვს გამოხატოს მოქმედების.

ოდნაობა. ესაა მო- და წა-: მო-ი-სულელ-ებ-ს, წა-ი-სულელ-ებ-ს, მო-სულელ-ო, წა-სულელ-ო...

იმ შემთხვევაში, როცა ეს ზმნისწინები დაერთვიან ზემოხსენებულ სემანტიკის ზმნებს, მოქმედებითი გვარის სემანტიკა იცვლება სტატიკურობის სემანტიკით:

„თავს ისულელებს“ ნიშნავს: „თავს სულელად აჩვენებს“
(დინამიკა),
„მოისულელებს || წაისულელებს“ ნიშნავს: „სულელია, სულელივითა“ (სტატიკა).

და ასე: წაიგიყებს, წაიჭკვიანებს, წაიბრძენებს... მოიბრძენებს, მოიჭკვიანებს...

§ 44. ასე რომ, ზმნისწინს აღმოაჩნდა უნარი გვარების მიხედვით განასხვავოს ზმნური ფორმები. ეს უნარი ფაკულტატიურია მისთვის, დამოწმებულია მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაში, ზოგჯერ — კონტექსტურადაა გარჩეული ძირითადი მნიშვნელობისაგან:

მო-ი-სულელ-ებ-ს: 1. „თავს მოისულელებს“, ე. ი. თავს სულელად მოაჩვენებს (დინამიკა);
2. „მოისულელებს“, ე. ი. სულელია, სულელივითა (სტატიკა).

**მნიშვნელობათა გამოხატვის პარალელურ
საშუალებათა ფაქულტატიური გამოყენებისათვის**

§ 45. ამჟერად ყურადღებას ვამახვილებთ მრავლობითი რიცხვისა და ვნებითის წარმოებაზე. გვაქვს ორივე ამ მნიშვნელობის პარალელური საშუალებებით გამოხატვის შესაძლებლობა, რაც, როგორც წესი, ლექსიკურ სხვაობას არ იძლევა:

„ქალთა დღე“ იგივეა, რაც: „ქალების დღე“
 „ქაცთა შორის“ იგივე, რაც: „ქაცებს შორის“
 ი-მალ-ვ-ი-ს იგივე, რაც: ი-მალ-ებ-ა
 თეთრ-დ-ებ-ი-ს — თეთრ-დ-ებ-ა...

თუ სხვაობა დადასტურდა — სტილისტური იქნება.

იმედროულად ენამ ამ შემთხვევაშიც გამოძებნა იმის შესაძლებლობა, რომ ზემოხსენებული პარალელური ფორმები ლექსიკურ მნიშვნელობათა განსასხვავებლად გამოეყენებინა.

§ 46. -თ-ა სუფიქსიანი მრავლობითი ახალ ქართულში, ჩვეულებრივ, მყარ შესიტყვეებებში იხმარება: „ქალთა დღე“, „სტუდენტთა საბჭო“ და სხვა. აქ იგი ნათესაობითი ბრუნვის სემანტიკას გამოხატავს და არსებითად გატოლებულია რუსულ — ский... დაბოლოებიან მსაზღვრელთან (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 041). ამის გამოა, რომ „საბჭოთა ხელოვნება“ არსებითად იგივეა, რაც: „საბჭოური (და არა: საბჭოების) ხელოვნება“.

უფრო იშვიათია ახალ ქართულში -თ-ა სუფიქსიანი მრავლობითის გამოყენება მოთხრობითი და მიცემითი ბრუნვის ფუნქციით.

მიცემითი ბრუნვის ფუნქციით არის წარმოდგენილი, მაგალითად, „სხვათა“ ფორმა გამოთქმაში: „სხვათა შორის“, რომელიც არსებითად იგივეა, რაც — „სხვებს შორის“. ეს ორი ვარიანტი ახლაც

შეიძლება შეენაცვლოს ერთმანეთს: „სხდომას სხვათა შორის ესწრებოდნენ: ემ. ბენვენისტი, მ. კოპენი, გუგენჰაიმი, აგეჟი...“ (არნ. ჩიქობავა, 1970, გვ. 15, შენიშვნა). „სხვათა შორის“ აქ ნიშნავს: „სხვებს შორის“. მაგრამ ასეთი თავისუფალი მონაცვლეობა ამ კონკრეტული ფორმის შემთხვევაში სულ უფრო იზღუდება. არსებითად უკვე დამკვიდრდა სემანტიკური სხვაობა: „სხვათა შორის“ იგივეა, რაც რუსული между прочим, „სხვებს შორის“ — იგივე, რაც: среди других (ანუ: „სხვებთან ერთად ესეც“).

§ 47. მრავლობითი რიცხვის -ნ /-თ და -ებ სუფიქსებიანი წარმოება სემანტიკური დაპირისპირების მიზნით სხვა შემთხვევებშიც გამოიყენება. ამჟერად შევხებით ერთ საკითხს, კერძოდ, შემთხვევას, როცა ერთი დანიშნულების ამ ორი სუფიქსის გამოყენება განასხვავებს ვინ- და რა- ჯგუფის სახელებს. ამ განსხვავების ფაქულტატიურობა იმითაც ჩანს, რომ ერთი და იგივე პრინციპი ბოლომდე გატარებული არაა და ამის გამო ფორმოზრივ ერთი და იმავე რიგის დაპირისპირება სემანტიკურად ნაირგვარ ვითარებას იძლევა.

§ 48. ზედსართავი სახელი ძველ-ი შესაძლოა გასუბსტანტივედეს (გაარსებითდეს) და მრავლობითი რიცხვის ფორმით იქნეს წარმოდგენილი: ძველ-ნ-ი || ძველ-ებ-ი. რაიმე არსებითი სემანტიკური სხვაობა ამ ფორმებს შორის არ დასტურდება. სხვაობა თავს იჩენს -გან თანდებულებიანი წარმოების დროს:

ძველ-თა-გან — დროზე, პერიოდზე ითქმის: „ძველთაგან ასე ყოფილა“...

ძველ-ებ-ის-(ა)-გან — აღამიანებზე, კერძოდ, წინაპრებზე: „ძველ-ებისაგან ასე გამიგონია“...

„ძველთაგან“ ზმნისართად (ზმნის მსაზღვრელად) იქცა.

ეს პროცესი აღრიდანვე ილანდება: „ძველთაგან თურე ნასოფლარი ყოფილიყო“... „მას ძველთაგან მტერს და ახალს მოყვარეს დაადვა“... (სულხან-საბა ორბელიანი).

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ ძველ-ი სახელის ანტონიმი ახალ-ი ასეთ სხვაობას არ იძლევა: ახალ-თა-გან და ახლ-ებ-ის-(ა)-გან არსებითად ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხატავს.

§ 49. -ნ /-თ და -ებ სუფიქსებიანი მრავლობითების სემანტიკური დაპირისპირებისას ყურადღებას იქცევს ზემოაღწერილის საპირისპი-

რო ფაქტი: გაარსებითებულ რიცხვით სახელებთან უკვე -ნ /-თ სუფიქსიანი ფორმა გამოხატავს ვინ-ჯგუფის სახელს, -ებ სუფიქსიანი — რა-ჯგუფისას: ორ-ნ-ი, სამ-ნ-ი, ოთხ-ნ-ი... ადამიანებზე ითქმის, იმავე მნიშვნელობისაა, რაც რუსული: двое, трое, четверо..., ორ-ებ-ი, სამ-ებ-ი... — ცოდნის შეფასების აღნიშვნაა, რა-ჯგუფის სახელებია, რეივეა, რაც: ორ-იან-ებ-ი, სამ-იან-ებ-ი, ანუ: двойки, тройки...

-ნ /-თ სუფიქსიანი ფორმების გამოყენება უპირატესად ვინ-ჯგუფის სახელთა აღსანიშნად ძველთაგანვე იჩენს თავს. წარმოვადგენთ სხვადასხვა ეპოქის ქართულის ნიმუშებს:

XII საუკუნე: „მე, გლახ, ორნი დამიყრიან, გული ამად რად არ იენებს“. „ეამა, ადგეს ორნივე, არცა ქვე ასმათ მჯდომია“. „შორს გავგებნეს სამნივე დიდსა მეფესა ზღვათასა“ („ვეფხისტყაოსანი“).

XVII — XVIII საუკუნეები: „ორნივ მშიერნი ვართ“. „სამნი გაექცნენ“. „ფრანციიდან ქალწულები გამოგვეყვენ ოთხნი“. „ჩვენ თორმეტნი შიგ ვისხედით“. „ჩვენობას ორმოცი იყენენ“. „ათას რვაას სამოცი განკურნებულიყვენ“ (სულხან-საბა ორბელიანი).

XIX საუკუნე: „ერთი რამ ფიქრი აწუხებთ, ორნივ ერთ მეფეს ირჩევდენ“ (ვაჟა-ფშაველა).

XX საუკუნე: „ორივენი სმენად ვიქეციით“ (კ. გამსახურდია).

ერთა რამ იქცევს ყურადღებას: -ნ /-თ სუფიქსიანი გაარსებითებული რიცხვითი სახელები დამოუკიდებელივ ხმარებისას მხოლოდ ვინ-ჯგუფის პიროვნებას აღნიშნავენ და ხსენებული სუფიქსები ამ შემთხვევაში მაწარმოებელაა არა გრამატიკული რიცხვისა, არამედ განსხვავებული ლექსიკური მნიშვნელობისა: ორ-ნ-ი, სამ-ნ-ი... — ნიშნავს: „ორი ვინმე, ორი ვიღაც, ორი პიროვნება“, „სამი ვინმე, სამი პიროვნება...“

ამასთანავე, მაშინ, როცა ორ-ნ-ი, სამ-ნ-ი და მისთანა ფორმები მსაზღვრელად გამოდიან, ისინი შეჰაძლოა აღნიშნავდნენ როგორც ვინ, ასევე რა-ჯგუფის სახელებს. რა-ჯგუფის სახელებია წარმოდგენილი შემდეგ შემთხვევებში:

„წინა-უკანა იარნეს ორნი დღენი და ღამენი“. („ვეფხისტყაოსანი“). „ხელმწიფესთან მყოფს ხუთნი საქმენი უნდა სჭირდეს“ (სულხან-საბა ორბელიანი).

საგანგებო აღნიშვნას საჭიროებს ის ფაქტი, რომ რიცხვითი სახელების -ნ/-თ სუფიქსიანი წარმოება გამოხატავს საკუთრივ პიროვნებას, თორემ ამის გარეშე (არაპიროვნულად, კრებითად, მასის სახით)

ვინ-ჯგუფის სახელი შესაძლოა -ებ სუფიქსითაც აღინიშნოს: „ნაპო-
ლეონი ყოველთვის მზად იყო, ათასები დაეხოცნა, ათიათასები მოეს-
რნა“ (კ. გამსახურდია).

ანუ: ათას-ნი ცალკეულ პიროვნებათა ერთობლიობაა, ათას-
ებ-ი — გაუპიროვნებელი მასაა (ნაკრებია) ადამიანებისა.

§ 50. პირის ნაცვალსახელებმა (მე || ჩემ, შენ, ის || იმის, ჩვენ, თქვენ, ისინი || იმათ) შესაძლოა დაირთონ მრავლობითობის -ებ ნი-
შანი: ჩემ-ებ-ი, შენ-ებ-ი, ჩვენ-ებ-ი, თქვენ-ებ-ი, იმათ-ებ-ი... -ებ ფორ-
მანტს აქ უკვე აკისრია ნათესაობის, ახლობლობის, მახლობელთა წრის
გამოხატვის ფუნქცია: ჩემ-ებ-ი არსებითად იგივეა, რაც: ჩემ-იან-ი,
შენ-ებ-ი — შენ-იან-ი, იმის-ებ-ი — იმის-იან-ი... -ებ, კონტამინაციის
გზით, შეიძლება დაერთოს -იან სუფიქსიან ფორმებსაც: ჩემიან-ებ-ი,
შენიან-ებ-ი, იმისიან-ებ-ი...

ეს ფაქტი ვახსენებ კიდევ ერთი ფაქულტატიური მოვლენის ასახ-
სნელად, რომელიც მრავლობითი რიცხვის ფორმანტების გამოყენე-
ბას ეხება.

-გან თანდებულიანი წარმოების დროს გვექნება ასეთი შეპირისპი-
რება:

ჩემ-გან — ჩემ-ებ-ის-(ა)-გან
ჩემ-იან-ის-(ა)-გან
ჩემ-იან-ებ-ის-(ა)-გან

ასევე:

ჩვენ-გან — ჩვენ-ებ-ის-გან
ჩვენ-იან-ის-(ა)-გან
ჩვენ-იან-ებ-ის-(ა)-გან...

და სწორედ აქ, პირის ნაცვალსახელთა მრავლობითის შემთხვე-
ვაში, -ებ სუფიქსის საპირისპიროდ ჩნდება -თ-ა, — გრამატიკული წე-
სის მიხედვით ზედმეტი, არასაპირო:

ჩვენ-გან || ჩვენ-თა-გან — ჩვენ-ებ-ის-(ა)-გან
იმათ-გან || იმათ-თა-გან — იმათ-ებ-ის-ა(ა)-გან...

ჩვენ-თა-გან იგივეა, რაც: ჩვენ-გან, -თ-ა აქ მხოლოდ „აძლი-
ერებს“ (ან უკეთ: გრამატიკულად, აფიქსის საშუალებით გამოხატავს)
მრავლობითობას, ხოლო ჩვენ-ებ-ის-(ა)-გან ფორმაში -ებ უკვე სი-
ტყვათწარმოებითი დანიშნულებისაა — ნათესაური, ახლობლებს წრის
აღმნიშვნელ ფორმანტად გვევლინება. ამიტომაც ჩვენ-თა-გან (ჩვენ-

გან) და ჩვენ-ებ-ის-(ა)-გან ფაქტობრივ განსხვავებულ მნიშვნელობებს გამოხატავენ, თუმცა ფორმობრივ, გარეგნულად მარტოოდენ მრავლობითის სხვადასხვა ფორმანტის მქონებლობით განირჩევიან.

§ 51. ნაცვალსახელთა მრავლობითი რიცხვის ფორმებით გამოყენებისას შეინიშნება იმის ანალოგიური მოვლენა, რაც ზემოთ რიცხვით სახელებთან დაკავშირებით ითქვა: რა-ნ-ი, ესე-ნ-ი, ეგე-ნ-ი ადამიანზე ითქმის, რა-ებ-ი, ესე-ებ-ი, ეგე-ებ-ი — ყველა დანარჩენზე, უპირატესად კი უსულო საგნებზე: „რანი ვიყავით“, მაგრამ: „რაებს ამბობს!“ (არნ. ჩიქობავა, 1950, გვ. 040—041). ამასთან დაკავშირებით არსებობს მოსაზრება, რომ ძველ ქართულში -ებ სუფიქსიანი მრავლობითი უპირატესად გამოიყენება ნივთის კლასის სახელებთან (კ. დონდუა, 1967, გვ. 142—143). საერთოდ, ეს პრობლემა ძალზე ფართოა და შორსმიმავალი, მაგრამ თანამედროვე ქართულში, აშკარაა, რომ ამ შემთხვევაშიც მნიშვნელობათა განსხვავების ფაქტულტური საშუალებებთან გვაქვს საქმე.

§ 52. საცნაურია ისიც, რომ იგივე -ნ/-თ და -ებ შეპირისპირება შესაძლოა სულ სხვა ლინგვისტური სხვაობის გამოსახატავადაც იქნეს გამოყენებული: წყალ-ნ-ი და წყლ-ებ-ი, რა თქმა უნდა, უკვე ვინ- და რა-ჯგუფის მიხედვით კი არ განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ ხდება არათვლადი (ზოგადი) და თვლადი (კონკრეტული) საგნების დაპირისპირება:

„წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“. „წყალნი, მთით დაქანებულნი, აღმასებრ უფსკრულს ცვივიან“ (გ. ორბელიანი) — აღინიშნება წყლის ერთობლიობა;

„გზად წყლები გვხვდებოდა“. „წყლების მალაზია“ — იგულისხმება წყაროები ან რაიმე კურქელში ჩასხმული წყალი.

საერთოდ, ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ არათვლადი საგნები მრავლობითის მხოლოდ -ნ/-თ სუფიქსს იგულებენ: ქვიშანი, ცანი, მზენი, სისხლნი, ან: ქვიშათა, ცათა („მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა...“), მზეთა („მზეთამზე“), სისხლთა...

§ 53. -ავ და -ამ თემისნიშნისანი მოქმედებითები, როგორც ცნობილია, ვნებითში ორ ვარიანტს იძლეოდნენ:

მალ-ავ-ს → ი-მალ-ვ-ი-ს || ი-მალ-ებ-ი-ს
ა-სხ-ამ-ს → ი-სხ-მ-ი-ს || ი-სხ-მ-ებ-ი-ს...

ამათგან ი-მალ-ებ-ის, ი-სხ-მ-ებ-ის ახალ ქართულში დაბოლოების ცვლით დამკვიდრდა: ი-მალ-ებ-ა, ი-სხ-მ-ებ-ა...

ი-მალ-ვ-ის და ი-მალ-ებ-ა პარალელური ვარიანტებია, რომელთა შორის ლექსიკური სხვაობა, ჩვეულებრივ, არა გვაქვს.

იმავდროულად რამდენიმე შემთხვევაში ამ რიგის პარალელურმა ვარიანტებმა დამოუკიდებელი მნიშვნელობები შეიძინეს და სემანტიკურად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

ი-წვ-ის — ცეცხლი უკიდია (შე- შას, ქაღალდს...), ცეცხლით ის- პობა... გადატანით: დიდი, აუტა- ნელი სიციხეა.	ი-წვ-ებ-ა — ცეცხლზე ძალიან ფიცხდება (ხორცი, კარტოფი- ლი...).
--	--

შესაბამისი მოქმედებითი ორივე ფორმისათვის არის წვ-ავ-ს, რომელსაც ორი მნიშვნელობა მოეპოვება:

1. ცეცხლს უკიდებს (შეშას, ქაღალდს...), ბუგავს, ცეცხლით სპობს...

2. ცეცხლზე ძალიან აფიცხებს (ხორცს, კარტოფილს...).

ის, რაც მოქმედებითში მხოლოდ კონტექსტით განსხვავდება ანდა ზმნისწინს იყენებს ამ მიზნით (და-წვ-ავ-ს, მაგრამ: შე-წვ-ავ-ს), ვნებითში ორგვარი (ადრინდელი და გვიანდელი) წარმოებით განსხვავდება. პარალელური წარმოება, რომლის დანიშნულება სრულიადაც არ არის ლექსიკურ მნიშვნელობათა დაპირისპირება, ენამ სწორედ ამ მიზნით გამოიყენა.

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ი-წვ-ის და ი-წვ-ებ-ა სრული სინონიმებია, მაგრამ დასამოწმებლად მოტანილი მაგალითები ცხადყოფენ, რომ მათ შორის მაინცაა სემანტიკური სხვაობა:

„ჩვენი სახლი იწვის... ჩვენი...“ (რ. გვეტაძე). „გვწვავდნენ და ჩვენ არ ვიწოდით, ჩვენ მტრის დახვედრა ვიცოდით“ (ა. კალანდაძე). „ხორცი იწვება“...

ასე რომ, იწვის შეშა, ქაღალდი, სახლი... შესაძლოა სიცხით ან ტრფობის ალით იწოდეს ვინმე, მაგრამ: იწვება — ხორცი, კარტოფილი, ერბოკვერცხი.

სხვაგვარად, ი-წვ-ის იგივეა, რაც რუსული: горит, ი-წვ-ებ-ა — იგივე, რაც — жарится.

ხორცზე, კარტოფილზე, ერბოკვერცხზე თანამედროვე ქართულში მხოლოდ მაშინ ითქმის „იწვის“, როცა ისინი ზედმეტი წვით საჭმელად გამოუსადეგარი ხდებიან. სხვათა შორის, რუსულშიც горит სწორედ ამ შემთხვევაში ითქმება ხორცსა და მისთანებზე.

იქ კი, სადაც ზმნისწინის გამოყენება ხდება შესაძლებელი (მყოფადის წრე, II და III სერია), მნიშვნელობათა განსხვავება სწორედ მას აკისრია: ი-წვ-ი-ს — და-ი-წვ-ა, მაგრამ: ი-წვ-ებ-ა — შე-ი-წვ-ა.

ი-წვ-ი-ს ზმნის შესატყვისად მყოფადში პარალელურად გამოიყენება და-ი-წვ-ი-ს და და-ი-წვ-ებ-ა, უფრო ხშირიცაა და-ი-წვ-ებ-ა, რადგან აქ უკვე ზმნისწინი იღებს თავის თავზე მნიშვნელობათა განმასხვავებლის ფუნქციას: და-ი-წვ-ებ-ა — შე-ი-წვ-ებ-ა.

ამასთანავე, შე-ი-წვ-ებ-ა ფორმის აწმყოლ მხოლოდ ი-წვ-ებ-ა ივარაუდება.

ნათქვამის მიხედვით უღვლილების პარადიგმა ასეთი იქნება:

რა ხდება:	ი-წვ-ი-ს	ი-წვ-ებ-ა
რა მოხდება:	და-ი-წვ-ი-ს და-ი-წვ-ებ-ა	შე-ი-წვ-ებ-ა
რა მოხდა:	და-ი-წვ-ა	შე-ი-წვ-ა
რა მომხდარა:	და-მწვარ-ა	(შე-მწვარ-ა).

შ ე ნ ი შ ე ნ ა: ი-წვ-ებ-ა ფორმის III სერიაში I შედეგობითი (რა მომხდარა — შემწვარა) პრაქტიკულად იშვიათად გამოიყენება, მაგრამ ჩვეულებრივია II შედეგობითი — რა მომხდარიყო: შე-მწვარ-იყო...

ასე რომ, ყალიბების სხვაობა არსებითად აწმყოს წრის (უზმნისწინო) ფორმებისთვის გამოიყენება. იქ კი, სადაც ლექსიკური განსხვავების სხვა საშუალებაც გამოიძებნა (აქ: ზმნისწინი), ყალიბს ეს დანიშნულება ფაქტობრივ ალარც აქვს.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: მნიშვნელობისათვის „იწვება“, ჩვეულებრივ, შე- ზმნისწინი გამოიყენება. იშვიათი ხმარებისაა მო-: მო-ი-წვ-ებ-ა. მნიშვნელობისათვის „იწვის“ ამ მხრივ უფრო ფართო არჩევანია: დაიწვის, ჩაიწვის, გადაიწვის, ამოიწვის... და შესაბამისად: დაიწვება, ჩაიწვება, გადაიწვება, ამოიწვება...



ი-წირ-ვ-ი-ს — წირვა დგას, წირ-
ვა სრულდება, წირავენ. იხმარე-
ბა ი-წირ-ვ-ებ-ა ფორმაც, რომე-
ლიც ი-წირ-ვ-ი-ს და ი-წირ-ებ-ა
ფორმათა კონტამინაციითაა მი-
ღებული.

ი-წირ-ებ-ა — 1. მსხვერპლად
ელდება, მსხვერპლად ხდება რი-
სამე. 2. მიაქვთ როგორც შესა-
წირავი, სწირავენ. 3. მარტო,
უმწეოდ რჩება.

მოქმედებითი აქაც საერთოა: წირ-ავ-ს, ოღონდ განსხვავებული
ვალენტობის მიხედვით: ი-წირ-ვ-ი-ს ფორმისთვის ძირითადად ერთ-
ვალენტიანი—წირ-ავ-ს („მღვდელი წირავს...“), ზოგჯერ ორვალენტი-
ანად გაგებულის, ი-წირ-ებ-ა ფორმისთვის ან ორვალენტიანი
(„შვილს წირავს“ — „შვილი გაწირა“), ან სამვალენტიანი („შვილს
სამშობლოს სწირავს“ — „შვილი სამშობლოს შესწირა“). ამათგან
სამვალენტიანი ს-წირ-ავ-ს ვნებითად ე-პრეფიქსიან ფორმას ვარა-
უდობს: ე-წირ-ებ-ა.

განსხვავებული მნიშვნელობის მქონე მოქმედებები განსხვავე-
ბულად იუღვლიან:

რა ხდება:	წირ-ავ-ს	წირ-ავ-ს
რა მოხდება:	წირ-ავ-ს	გა-წირ-ავ-ს
რა მოხდა:	წირ-ა	გა-წირ-ა
რა მომხდარა:	უ-წირ-ი-ა	გა-უ-წირ-ი-ა

პირველი მნიშვნელობის შემთხვევაში ზმნისწინი არ გამოიყენება
და ამიტომაც აწმყო-მყოფადი მარტოოდენ კონტექსტითაა გარჩეული:

აწმყო: წირავს დღეს
მყოფადი: წირავს ხვალ.

განსხვავებულია ვნებითის ფორმათა უღვლილებაც:
ი-წირ-ვ-ი-ს ზმნას მხოლოდ აწმყოს წრის ფორმები აქვს:

ი-წირ-ვ-ი-ს
ი-წირ-(ვ)-ოდ-ა
ი-წირ-(ვ)-ოდ-ე-ს

ამის მიხედვით იგი ერთი რიგის სტატიკურ ზმნათა წყებაში დგება. ი-წირ-ებ-ა სრული პარადიგმაა წარმოდგენილი: იწირება, იწირებოდა, იწირებოდეს, გაიწირება... გაიწირა... გაწირულა...

* * *

ე-სხ-მ-ი-ს — ილაშქრებს ვინმეს ე-სხ-მ-ებ-ა — ისხმება რამეზე, წინააღმდეგ, თავდასხმას უწ- ისხმება ვინმესთვის. ასხამენ, ზედ ყობს, თავს ეცემა, არბევს. ეღვრება, ექცევა, ეფრქვევა (სითხე).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ეს ორი ფორმა სრულ სინონიმებადაა წარმოდგენილი, მაგრამ სულ უფრო ხელშესახებია ტენდენცია მათი სემანტიკურად განსხვავებისა:

„ქართველი ჯარი ხშირად გამოდიოდა თბილისიდან, მტერს მოულოდნელად ესხმოდა თავს და ეღვრდა მას“ (ი. გოგებაშვილი).

„დილის ნამი მარგალიტსავით ესხმებოდა მწვანე ფოთლებს“ (ა. ყაზბეგი).

სათანადო მოქმედებითი მხოლოდ ე-სხ-მ-ებ-ა ფორმას მოეპოვება: ა-სხ-ამ-ს — ე-სხ-მ-ებ-ა. ი- პრეფიქსიანი ფორმაც ამ მნიშვნელობისათვის იბრუნება: ი-სხ-მ-ებ-ა.

ე-სხ-მ-ი-ს ცალადაა დარჩენილი. მიზეზი ისაა, რომ თვით გამოხატავს აქტიურ მოქმედებას.

გარდა ამისა, იმავე ყალიბის ი- პრეფიქსიანი ვარიანტი, რომელიც, საერთოდ, იშვიათი ხმარებისაა, არასდროს გამოხატავს „დარბევის“ სემანტიკას: ი-სხ-მ-ი-ს იგივეა, რაც ი-სხ-მ-ებ-ა „იღვრება“.

ეს ფაქტიც მიანიშნებს იმაზე, რომ დაპირისპირება ე-სხ-მ-ი-ს — ე-სხ-მ-ებ-ა ფორმათმომართების საერთო წესიდან გამორჩეულია და, ამდენად, ფაკულტატიური.

§ 54. მოკლედ შევხებით მოქმედებითი გვარის ფორმათა პარალელური წარმოების შემთხვევებსაც მათი ფაკულტატიური გამოყენების თვალსაზრისით.

ქართულში გვარის ფორმებისათვის, როგორც წესი, ორგანული (სინთეზური) წარმოებაა დამახასიათებელი. მაგრამ ამასთან ერთად ზოგჯერ დასტურდება აღწერითი (ანალიზური) წარმოების ფორმებიც. უმეტეს წილ აღწერითი წარმოება მაშინ გვაქვს, როცა შეუძლებელი ხდება ორგანული წარმოების გამოყენება: შეუორაცხყოფს, პატივს სცემს... იმავდროულად გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა

ერთმანეთის პარალელურადაა წარმოდგენილი როგორც ორგანული, ისე აღწერითი წესით ნაწარმოები ფორმები. სხვაობა მათ შორის უპირატესად სტილისტურია.

რამდენიმე შემთხვევაა, როცა ორგანული და აღწერითი წარმოების ფორმები სემანტიკურად უპირისპირდებიან ერთმანეთს.

ა-ნათლ-ებ-ს — სწავლა-განათ- ნათელყოფს—ნათელს, გასაგებს
ლება შეაქვს, ცოდნას სძენს. ხდის, აშკარავენს, ამჟღავნებს.

შესაბამისად დაპირისპირებულია ვნებითის ფორმებიც:

ნათლ-დ-ებ-ა — სწავლა-განათლებას, ნათელი ხდება — გასაგები, აშკარა
ცოდნას იძენს. ხდება, მჟღავნდება.

ლექსიკური სხვაობა სრულია: პარალელურ ფორმათა ურთიერთ-შენაცვლება დაუშვებელია.

მასთან ერთად გვაქვს ნაწილობრივი სხვაობის შემთხვევებიც.

ა-სრულ-ებ-ს — სრულ სახეს აძ- სრულყოფს — უნაკლოს, უზა-
ლევს, ამთავრებს, აბოლავენს. დოს ხდის, ხვეწს, აუმჯობესებს,
აკეთებს, ახორციელებს (დავა- ავითარებს, ასრულებს, ამთავ-
ლებულს, განზრახულს, დაწესე- რებს.
ბულს...). მისდევს, ემორჩილება
(წესს, ბრძანებას, სურვილს).

„მონოგრაფიას ასრულებს“. „ჩვენთვის რაც უბრძანებია, იმას ვასრულებთ“ (ვაჟა-ფშაველა).

„სრულყოფს თავის ცოდნას“. „...ეგრეთ მოსწავლე სწავლასა რა სრულყოფს, განისვენებსა“ (დ. გურამიშვილი).

ამ ორ ფორმას, გარდა განსხვავებული მნიშვნელობებისა, მოეპოვება საერთო, გადამკვეთი მნიშვნელობაც: „სრულ სახეს აძლევს, ამთავრებს, აბოლავენს“. მაგრამ აშკარაა ტენდენცია, რომ სწორედ სრული ლექსიკური განსხვავება მოხდეს ამ ფორმებს შორის:

ა-სრულ-ებ-ს — სრულ სახეს აძლევს, ახორციელებს... ემორჩილება, მისდევს წესს (ბრძანებას...);

სრულყოფს — უნაკლოს ხდის, ხვეწს, აუმჯობესებს, ავითარებს... ეს სხვაობა ვნებითშიც აისახება: სრულდება — სრულყოფილი ხდება.

ა-ცხად-ებ-ს — სხვისთვის ცხადს ცხადყოფს — ცხადს ხდის, ნა-
ხდის, ვისმე ავებინებს. სხვის თელყოფს, ააშკარავებს.
გასაგონად ამბობს. საჯაროდ გა-
მოქვეამს, აღნიშნავს, აქვეყნებს.

ლექსიკური სხვაობა აქაც ნაწილობრივია, თუმცა სრული დაპი-
რისპირებისაკენ მისწრაფებაც უეჭველია.

ანალოგიური ვითარებაა ვნებითის შესაბამის ფორმებშიც: ცხად-
დ-ებ-ა — ცხადი ხდება (ამასთან დაკავშირებით იხ. ზემოთ გან-ცხად-
ებ-ა — გა-ცხად-ებ-ა ფორმათა ფორმობრივ-სემანტიკური ურთიერთ-
მიმართების შესახებ).

§ 55. ამრიგად, აღმოჩნდა იმის შესაძლებლობაც, რომ პარალე-
ლური წარმოებაც იქნეს გამოყენებული მნიშვნელობათა დაპირისპი-
რების, განსხვავების მიზნით.

უმეტეს წილ ამ დროს ხდება პოლისემანტიზმის, მრავალმნიშვნე-
ლოვანობის თავიდან აცილება.

ი-წვ-ი-ს || ი-წვ-ებ-ა გამოხატავდა როგორც მნიშვნელობას „ცეცხ-
ლი უკიდია“, ასევე მნიშვნელობას „ცეცხლზე ძალიან ფიცხდება“
(იხევე, როგორც ეს ამჟამადაც ნიშანდობილივია შესაბამისი მოქმე-
დებითისათვის წვ-ავ-ს). პარალელური წარმოების პოენიერებამ ენას
საშუალება მისცა ფორმობრივადაც განესხვავებინა ეს მნიშვნელო-
ბანი.

ზემოხსენებული ასეთ სახეს მიიღებს სქემაზე:

მოქმედებითი:		ვნებითი:	
ფორმა	მნიშვნელობა	ფორმა	მნიშვნელობა
წვ-ავ-ს	„ცეცხლს უკიდებს“	ი-წვ-ი-ს	„ცეცხლი უკიდია“
	„ცეცხლზე ფიცხებს“	ი-წვ-ებ-ა	„ცეცხლზე ფიცხდება“

თანამედროვე ქართულისათვის დაპირისპირების ეს საშუალება
ფაქულტატიურია. ამ ტიპის ფორმებში მნიშვნელობათგანსხვავების
ტენდენცია უპირატესად სალიტერატურო ენისთვისაა დამახასიათებე-

ლი, გაცილებით ნაკლებ — დიალექტებისათვის. თანაც დაპირისპირება ზოგჯერ (და, კერძოდ, ამ შემთხვევაში) სისტემის რომელიმე რგოლი-თაა შემოფარგლული: აწმყოს წრეში დაპირისპირების ეს პრინციპი მოქმედებს, სხვა ნაკვეთებში მნიშვნელობათა განსხვავება უკვე ზმნის-წინებით ხდება.

ამგვარი რამ, საერთოდ, დამახასიათებელია ფაკულტატივისათვის.

§ 58. ზემოდსახელებულისაგან უნდა განირჩეს ვნებითის ის პარალელური ფორმები, რომლებიც სემანტიკურადაც დაპირისპირებულნი არიან და წარმოების პრინციპიც სხვადასხვაგვარი აქვთ: გაინაზება — განაზდება, ეხერხება — ხერხდება, გაეხმაურება — განმაურდება... (ლ. ნოზაძე, 1961, გვ. 63).

განსხვავებული წარმოება თავისთავად ვარაუდობს სემანტიკურ სხვაობასაც.

თავისებურებას აქ უკვე ის წყვილები ქმნის, რომლებიც რაიმე სემანტიკურ სხვაობას არ იძლევიან: ემორჩილება — ჰმორჩილება, ეთვისება — უთვისდება, დაესახლება — დასახლება, ექვივრება — სჭირდება, ეძნელება — უძნელდება, დაეთანხმება — დასთანხმდება, ეარშიყება — უარშიყდება... (ა. შანიძე, 1980, გვ. 301—302; ი. იმნაიშვილი, 1968, გვ. 41). თუმცა ისიც უნდა ითქვას; რომ უმეტესად სრული სემანტიკური იგივეობა არც ამ შემთხვევებში გვაქვს.

გვარის ფორმათა ფაკულტატიური ბაზოქენეზისათვის ქართულში

§ 57. გვარის ენათმეცნიერული განმარტება საკმაოდ რთული საკითხების გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული. არსებითი მაინც ისაა, რომ გვარის ფორმებში „იცვლება განხილვის თვალსაზრისი, პროცესის რეალური შინაარსი კი ერთი და იგივეა“ (არნ. ჩიქობავა, 1952, გვ. 277).

მნატვარი ხატავს სურათს
სურათი იხატება მხატვრის მიერ.

ერთი და იგივე მოქმედება სხვადასხვა თვალსაზრისითაა შეფასებული: პირველ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა ქვემდებარე და აგენსი, მეორე შემთხვევაში სხვაგვარი ვითარებაა: ქვემდებარე პაციენსია, უბრალო დამატება — აგენსადაა წარმოდგენილი (ა. ხოლოდოვიჩი, 1979, გვ. 279—280).

რადგან გვარის სხვადასხვა ფორმაში „პროცესის რეალური შინაარსი ერთი და იგივეა“, ე. ი. რადგან აღსანიშნისადმი (გამოსახატავი აზრისადმი) მიმართება იდენტურია, გვარის ფორმები განასხვავებენ გრამატიკულ და არა ლექსიკურ მნიშვნელობებს.

ესაა გვარის მიხედვით ფორმათა დაპირისპირების ძირითადი წესი. ასეა ქართულშიც.

აქედან გამომდინარე, გვარის ფორმათა ნებისმიერი სხვაგვარი მნიშვნელობით დაპირისპირება ენისათვის ფაკულტატიურ მოვლენას წარმოადგენს.

§ 58. ქართულში გვარის ფორმები ნაირგვარი გრამატიკული მნიშვნელობით არიან შეპირისპირებული. ამ შეპირისპირებათა არსები-

თი სემანტიკური ნიშანი ისაა, რომ გვარის ფორმებს შორის არ აღი-
ნიშნება ლექსიკური სხვაობა.

ნიშანდობლივია, რომ სხვადასხვა გრამატიკული მნიშვნელობა გვა-
რის ფორმათა განსხვავებულ მიმართებებს იძლევა:

გამოიხატება გარდაქცევითობა:

ა-წითლ-ებ-ს — წითლ-დ-ებ-ა — (არა აქვს)

ა-ღუმ-ებ-ს — ღუმ-დ-ებ-ა — ღუმ ს...

გამოიხატება კაუზალობა და ნებისეული მოქმედება:

ა-ბალახ-ებ-ს — (არა აქვს) — ბალახ-ობ-ს

ა-ლაპარაკ-ებ-ს — ა-ლაპარაკ-დ-ებ-ა — (არა აქვს)

(არა აქვს) — ე-ლაპარაკ-ებ-ა — ლაპარაკ-ობ-ს.

ფორმათწარმოების ნაირსახეობანი ზოგჯერ ერთი და იმავე ზმნის
სისტემებს განასხვავებს იმის მიხედვით, თუ რა გრამატიკული მნიშ-
ვნელობები გამოიხატება:

გამოიხატება გარდაქცევითობა:

ა-დიდ-ებ-ს — დიდ-დ-ებ-ა — (არა აქვს)

გამოიხატება ნებისეული მოქმედება:

ა-დიდ-ებ-ს — (არა აქვს) — დიდ-ობ-ს.

გამოიხატება მიჩნევითობა, განწყობა:

(არა აქვს) — ე-დიდ-ებ-ა — (არა აქვს)

ზღრ.: „ოთახს ადიდებს“ (გარდაქცევითობა)

„სამშობლოს ადიდებს“ (ნებისეული მოქმედება).

ქველაფერი ეს მრავალი მოდიფიკაციით გვხვდება ენაში.

ღავასახელებთ ზოგიერთს.

ა-გუბ-ებ-ს — გუბ-დ-ებ-ა — (არა აქვს)

(არა აქვს) — ე-გუბ-ებ-ა — (არა აქვს);

ან:

ა-კობტავ-ებ-ს — კობტავ-დ-ებ-ა — (არა აქვს)

(არა აქვს) — ე-კობტავ-ებ-ა — კობტავ-ობ-ს;

ანდა:

ზვინ-ავ-ს — ი-ზვინ-ებ-ა — (არა აქვს)
ა-ზვინ-ებ-ს — ზვინ-დ-ებ-ა — (არა აქვს)...

სხვაც მრავალია გრამატიკული მნიშვნელობებით შეპირობებული მოდფიკაცია გვარის ფორმებისა.

ამჯერად ჩვენთვის არსებითია ის, რომ ზემოთ დაშვებული პირობა ყველა შემთხვევაში დაცულია: როგორადაც უნდა შეიცვალოს გრამატიკული მნიშვნელობები, რა სახითაც უნდა იცვალოს გვარის ფორმათა მიმართებანი, უცვლელი რჩება საგნობრივი მიმართება, ანუ: უცვლელი რჩება ლექსიკური მნიშვნელობა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: რასაკვირველია, იგულისხმება საგნობრივი მიმართების უცვლელობა თითოეულ რიგში. „ადიდებს“ ფორმა ორ განსხვავებულ ლექსიკურ მნიშვნელობას გამოხატავს: 1. „დიდს ხდის, დიდად აქცევს“, რომელიც უცვლელია რიგში: ა-დიდ-ებ-ს — დიდ-დ-ებ-ა, 2. „ხოტბას ასხამს, ქებას უძღვნის, ასახელებს“, რომელიც წარმოდგენილია რიგში: ა-დიდ-ებ-ს — დიდ-ობ-ს.

ვიმეორებთ: ეს არის გვარის ფორმათა წარმოებისა და გვართან შეთავსებულ გრამატიკულ მნიშვნელობათა გამოხატვის ძირითადი წესი ქართულში, რაც წარმოადგენს კიდევაც ქართული ენის მორფოლოგიის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ნიშან-თვისებას.

§ 59. ზემოხსენებული თავისთავად გულისხმობს, რომ ამ ძირითადი წესიდან ყოველი გადახრა ქართულში მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიურ შესაძლებლობად ისახება. ამ რიგისაა ის შემთხვევები, როცა გვარის სხვადასხვა ფორმა ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით უპირისპირდება ერთმანეთს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: შდრ.: ზემოთ განხილული შემთხვევა, როცა ერთი და იმავე გვარის ორი სხვადასხვა ფორმა განასხვავებდა ლექსიკურ მნიშვნელობებს: ი-წვ-ი-ს და ი-წვ-ებ-ა, ა-ნათლ-ებ-ს — ნათელყოფ-ს...

გვარის ფორმათა ფაკულტატიური გამოყენების ერთ-ერთ ნიმუშად შესავალ ნაწილში უკვე იყო დასახელებული მიმართება ა-პირ-ებ-ს — (პ) — პირ-დ-ებ-ა.

ფორმოზრივ აქ იგივე რიგი გვაქვს, რაც: ა-თეთრ-ებ-ს — თეთრ-დ-ებ-ა, ა-ბრალ-ებ-ს — ბრალ-დ-ებ-ა, ა-ვაჟკაც-ებ-ს — ვაჟკაც-დ-ებ-ა...

არსებითი განსხვავებაა სემანტიკური მიმართების თვალსაზრისით. ზემოდანახელებული ძირითადი წარმოების ფორმათა სემანტიკური მიმართება ასეთია:

„თეთრად ხდის, თეთრად აქცევს“ → „თეთრი ხდება“.

„ბრალს სდებს, ბრალად უთვლის“ → „ბრალი ედება“.

„ვაჟკაცობას სძენს, ვაჟკაცად აქცევს“ → „ვაჟკაცობას იძენს, ვაჟკაცი ხდება“...

თითოეულ წყვილში ერთი და იგივეა ლექსიკური მნიშვნელობა, სხვაობს გრამატიკული ფუნქცია.

სულ სხვა სიბრტყეზე ხდება ა-პირ-ებ-ს და (პ)-პირ-დ-ებ-ა ფორმათა სემანტიკური შეპირისპირება.

ა-პირ-ებ-ს — ფიქრობს გააკე- (პ)-პირ-დ-ებ-ა — პირობას, სიტყ-
თოს, განზრახული აქვს, სამოქ- ვას აძლევს; არწმუნებს, რომ
მელოდ ემზადება. შეუსრულებს რასმე.

„მე შენ როგორც გატყობ, დღეს შენი საქმის გათავებას არ აპირებ!“ (ილია). იგივე ფორმა იმავე მნიშვნელობით გამოიყენება მყარ შესიტყვებებში: „წვიმას აპირებს“ — საწვიმრად ემზადება, წვიმაა მოსალოდნელი, „გათენებას აპირებს“ — თენდება, რიყრაყია.

„თუ ის იმერელი წააქციე, რაც გინდა მთხოვე, — ჰპირდება ზაალი“ (მ. ჯავახიშვილი).

დიალექტებში (პ)-პირ-დ-ებ-ა ფორმას ე-პირ-ებ-ა შეენაცვლება ხოლმე: „გალმიდან მგელი გამოლმა ცხვარს ძმობას ეპირებოდა“ (ვაჟა-ფშაველა).

იგივე ე-პირ-ებ-ა შესაძლოა ა-პირ-ებ-ს ფორმის მნიშვნელობასაც იგულებდეს: „მგონი, ავდარს ეპირება! — წუხს მეთევზე“ (გალაკტიონი).

ყველა შემთხვევაში დარღვეულია გვარის კატეგორიის აგების ძირითადი პრინციპი.

ასე რომ, ა-პირ-ებ-ს — (პ)-პირ-დ-ებ-ა ფორმოზრივ კი განეკუთვნ-

ნება გვარის კატეგორიას, მაგრამ სემანტიკური თვალსაზრისით არა-ფერი აქვს მასთან საერთო.

რაც ითქვა, სქემაზე ასეთ სახეს მიიღებს:

ა) ფორმობრივი მიმართება:

ა-პირ-ებ-ს — (ჰ)-პირ-დ-ებ-ა — (არა აქვს).

ბ) სემანტიკური მიმართება:

ა-პირ-ებ-ს — (არა აქვს) — (არა აქვს): „განზრახული აქვს“,
(არა აქვს) — (ჰ)-პირ-დ-ებ-ა — (არა აქვს): „პირობას აძლევს“.

შენიშვნა: დიალექტური ა-პირ-ობ-ს ფორმა ამგვარი სემანტიკური გადახრის შედეგად ჩანს წარმოქმნილი: მთლიანად — ფორმობრივიადაც და სემანტიკურადაც — „ამოვარდნილია“ სისტემიდან.

ზემოთ გაანალიზებული ზმნებისათვის ამოსავალია არსებითი სახელი „პირი“, რომელსაც ოცამდე მნიშვნელობა აქვს:

1. ნაპრალი ტუჩებს შორის, ტუჩების მოხაზულობა...
2. ტუჩებს, ხორხსა და ყბებს შორის არსებული ღრუ...
3. სახე, პირისახე...
4. პიროვნება, ინდივიდი...
5. პირობა: „ახალგაზრდებმა შევეკარით პირი...“
6. ერთმანეთის მხარის დაჭერა, ერთსულოვნება...
7. ნება, უფლება: „ბავშვს პირი მიეცი, თავზე წაგაჯდებაო“...
8. ასლი...
9. ზევითა, გარეთა მხარე...
10. განაპირა ადგილი, კიდე...
11. იარაღის მჭრელი მხარე: „ნაჯახის პირი“...
12. დასაწყისი: „საღამოს პირი“ და სხვ.

ამ მრავალ მნიშვნელობათაგან ორიოდ გამოიყენება ზმნურ ფორმებში:

1. პირობა, შეთანხმება: (ჰ)-პირ-დ-ებ-ა,
2. იარაღის მჭრელი მხარე: პირ-ავ-ს („ლესავს“).

ამათგან პირველი, თავის მხრივ, უკვე საკუთრივ ზმნის დონეზე ორ ლექსიკურ მნიშვნელობას განასხვავებს:

ა) „განზრახვა“: ა-პირ-ებ-ს, ე-პირ-ებ-ა;

ბ) „პირობის მიცემა“: (ჰ)-პირ-დ-ებ-ა, ე-პირ-ებ-ა.

ხოლო მეორე ქმნის დამოუკიდებელ სისტემას:

პირ-ავ-ს — ი-პირ-ებ-ა.

დასაშვები ხდება კიდევ ერთი მნიშვნელობის გამოყენება ზმნურ სისტემაში: პირ-ი — „ჭურჭლის კიდე, ნაპირი, ზემოთა, ღია ნაწილი“ და აქედან: ამო-პირ-ავ-ს, მნიშვნელობით: „ამოყოფს, ამოაყვებს“, გვხვდება მხოლოდ ა-მო- ზმნისწინთან.

პირ-ავ-ს — ი-პირ-ებ-ა გვარის ფორმათა წარმოების ძირითად წესს მისდევს: პირ-ავ-ს „ლესავს“ — ი-პირ-ებ-ა „ილესება“.

პირ-ავ-ს ზმნის სასხვისო ქცევაა უ-პირ-ავ-ს „პირავს მისას“. აქაც ძირითადი წესი მოქმედებს.

უ-პირ-ავ-ს ზმნას ვნებითად ფორმობრივ შეესაბამება ე-პირ-ებ-ა (ესეც საერთო წესის კონკრეტული გამოვლინებაა; შდრ.: უ-წერ-ს — ე-წერ-ებ-ა...), მაგრამ გრამატიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით ასეთი მიმართება ქართულში არ არსებობს; ანუ: ე-პირ-ებ-ა არ გამოხატავს ფორმობრივი მიმართების მიხედვით სავარაუდო მნიშვნელობას „იპირება მისი || მისთვის“. სემანტიკურად ე-პირ-ებ-ა გვერდში ამოუდგება (ჰ)-პირ-დ-ებ-ა ან ა-პირ-ებ-ს ზმნებს, როგორც იმავე მნიშვნელობების გამომხატველი. ეს კი უკვე გადაზრდა ძირითადი წესიდან.

§ 60. ფორმობრივ ა-პირ-ებ-ს — ს-პირ-დ-ებ-ა — ს-პირ-ს იმავე რიგის მიმართებაა, რაც: ა-წუხ-ებ-ს — წუხ-დ-ებ-ა — წუხ-ს.

სემანტიკურად კი სავსებით განსხვავებული ვითარებაა.

აწუხებს — წუხდება — წუხს ერთი ლექსიკური მნიშვნელობის ფარგალში გამომხატავენ სხვადასხვა გრამატიკულ მნიშვნელობებს.

აპირებს — სპირდება — პირს ლექსიკურად დაპირისპირებულ ფორმებია.

ა-პირ-ებ-ს — (|| ა-პირ-ე-ებ-ს) „გასაპირად ხდის, აძნელებს, აფერხებს“.

ს-პირ-დ-ებ-ა — აუცილებელია ვინმესთვის ან რამესთვის.

პირ-ს — ძნელია, სამძიმოა.

რა თქმა უნდა, სემანტიკური დიფერენცირება გვიანდელია.

მაგრამ ამჟამად ფაქტია და, კერძოდ, მნიშვნელობათა განსასხვავებლად ფაკულტატიურ საშუალებათა გამოყენების ერთ-ერთი ნიმუში.

მეტაყ: თვით ჰირ-ს შეიძლება განსხვავებულ მნიშვნელობებს გამოხატავდეს კონტექსტის შესაბამისად:

ჰირ-ს — ძნელია, სამძიმოა.

ს-ჰირ-ს — დამართებული აქვს რაიმე სენი: „ქრონიკული ბრონქიტი სჰირს“.

ს-ჰირ-ს — თვისებად აქვს, ახასიათებს: „ერთი ცული ზნე სჰირთ: სიცრუე, გაზვიადება შემთხვევისა“ (ვაჟა-ფშაველა).

ს-ჰირ-ს — აქვს, მოეპოვება: „ქორს კი ჯავრი სჰირს მამლისა, მუქარას უთვლის შორითა“ (ვაჟა-ფშაველა).

ს-ჰირ-დ-ებ-ა ფორმას სტატიკურ ვარიანტად შეეთანაბრება ს-ჰირ-ი-ა (და არა ფორმობრივად მოსალოდნელი: ს-ჰირ-ს). ს-ჰირ-ი-ა იმავე პრინციპითაა ნაწარმოები, რაც: ს-წერ-ი-ა, ს-თეს-ი-ა, ს-ჩრ-ი-ა... ანალოგიურად დაისმის საკითხი ამ ფორმათა მიმართაც:

ს-წყინ-დ-ებ-ა — ბეზრდება, ყირ- ს-წყინ-ს — უქმაცოფილოა რამე-
კდება რამე. თი, გულს აკლია.

„ზოგჯერ ძაღლის ყეფა მოისმის, მაგრამ იმასაც მალე სწყინდება“ (თ. რაზიკაშვილი).

„ვაუკაცებს არ მოსწონდათ ძაღლუა მართას თვითნებობა, სწყინდათ, რომ წინ წაუარა უფროსებს“ (ვ. ბარნოვი).

აქაც ფორმობრივ გვარის მიხედვით შეთანაბრებული ზმნები ლექსიკური მნიშვნელობით სხვაობენ.

ამ ფუძის ზმნათა შესახებ ზემოთაც გვქონდა საუბარი, ფონეტიკურ მოვლენათა ფაკულტატიური დანიშნულებით გამოყენებასთან დაკავშირებით.

§ 61. ამრიგად, დადასტურდა ორიოდ შემთხვევა, როცა გვარის ფორმები გრამატიკულ მნიშვნელობათა ნაცვლად ლექსიკურ მნიშვნელობებს განასხვავებენ.

აქ იგულისხმება საკუთრივ სხვადასხვა გვარის ფორმათა შეპირისპირება.

შემთხვევათა რიცხვი, მართლაც, ძალზე მცირეა, მაგრამ სწორედ ამის გამო — უფრო მნიშვნელოვანი ფაკულტატიურ მოვლენათა პოვნის თვალსაზრისით.

ესაა ნათელი ნიმუში, რომ თვით მყარ ენობრივ სისტემაშიც კი გამოიძებნება განსხვავებული სემანტიკური გააზრების შესაძლებლობა.

თუმცა ისიც სათქმელია, რომ აბსოლუტურად მყარი რამ ენაში არ არსებობს.

ეს რომ არა, ენობრივი სისტემები იმდენად მყიდვე გახდებოდა, რომ ყოველი უმნიშვნელო ცვლილების საჭიროებაც კი სავსებით დაამსხვრევდა მათ.

ქცევის ფორმათა ფაკულტატიური გამოყენებისათვის პართულში

§ 62. ქცევის კატეგორია ქართულში ა. შანიძემ გამოყო და განმარტა როგორც კუთვნილებითი ურთიერთობის გამომხატველ ფორმათა სისტემა (ა. შანიძე, 1981, გვ. 378—394; ა. შანიძე, 1980, გვ. 323).

ქცევასთან დაკავშირებით რამდენიმე არსებითი ხასიათის საკითხი დაისმის, მათ შორის — მისი ონტოლოგიური ბუნების შესახებაც, მაგრამ ამჯერად არსებითია ის ფაქტი, რომ ქცევისეული პრეფიქსები, როგორც წესი, გამოხატავენ ან მიცემითი ბრუნვით წარმოდგენილი სახელის სხვადასხვა ფუნქციას: თანაობას (მი-ა-წერ-ს მას), დაინტერესებას (მი-უ-წერ-ს მას), ან მოქმედების შედეგის უკუქცევას (მი-ი-წერ-ს), რაც ხშირად სწორედ მოქმედების განკუთვნების აღნიშვნას ემსახურება: სუბიექტისთვისაა იგი განკუთვნილი (ი-წერ-ს ის მას), ირიბი ობიექტისათვის (უ-წერ-ს ის მას მას) თუ ნეიტრალურია ამ თვალსაზრისით (წერ-ს ის მას).

ასე რომ, ქცევა არსებითად გამოხატავს ერთი და იმავე მოქმედების ნაირსახეობას კუთვნილებითი ურთიერთობის თვალსაზრისით.

ამის გამო ქცევა, ბუნებრივია, ვერც სხვა გრამატიკულ ფუნქციებს აპირისპირებს და ვერც ლექსიკურ მნიშვნელობებს განასხვავებს.

ეს არის ქცევისეულ ფორმათა ურთიერთობის ძირითადი წესი.

ა-შენ-ებ-ს — აკეთებს, დგამს რაიმე ნაგებობას, აგებს...

ი-შენ-ებ-ს — აშენებს თავისას ან თავისთვის.

უ-შენ-ებ-ს — აშენებს მისას ან მისთვის.

მაშინ კი, როცა ქცევის ფორმები განასხვავებენ ლექსიკურ ან სხვა რომელიმე გრამატიკულ მნიშვნელობებს, საქმე გვაქვს ენაში ქცევის ფორმათა ფაკულტატიურ გამოყენებასთან.

§ 83. ქცევის ფორმებს რამდენიმე შემთხვევაში უნარი აღმოაჩნდა განასხვავოს ერთგზისი და მრავალგზისი ასპექტის გრამატიკული მნიშვნელობები:

უ-კბინ-ო-ს — ერთგზისია,
ჰ-კბინ-ო-ს — მრავალგზისი.

ამ რიგის მაგალითი დამოწმებულია ვაჟა-ფშაველასთან: „რა-გინდ ვარამმა მკბინოსა“.

„მკბინოს“ უსრულია და მრავალგზისი, „მიკბინოს“, — სრული და ერთგზისი (იხ.: ა. შანიძე, 1980, გვ. 350).

ეს დაპირისპირება თავს იჩენს სამივე პირში.

ა) სუბიექტური წყობის დროს:

ვ-კბინ-ო — ვ-უ-კბინ-ო
ჰ-კბინ-ო — უ-კბინ-ო
ჰ-კბინ-ო-ს — უ-კბინ-ო-ს...

ბ) ობიექტური წყობის დროს:

მ-კბინ-ო-ს — მ-ი-კბინ-ო-ს
გ-კბინ-ო-ს — გ-ი-კბინ-ო-ს
ჰ-კბინ-ო-ს — უ-კბინ-ო-ს...

ანალოგიურ მიმართებას ქმნიან აგრეთვე ფორმები:

ჰ-რქინ-ო-ს — უ-რქინ-ო-ს
ჰ-კოც-ნ-ა — ა-კოც-ა...

რაც შეეხება ს-ჩხვლიტ-ო-ს — უ-ჩხვლიტ-ო-ს ფორმებს, თუმცა თავისი მორფოლოგიური რაობით ისინი ზემოდასახელებული ფორმების ანალოგიურია, ასპექტური თვალსაზრისით სხვაობას გვიმოწმებენ: ს-ჩხვლიტ-ო-ს შესაძლოა იყოს ერთგზისიც (და მაშინ ასპექტობრივ ვერ დაუპირისპირდება უ-ჩხვლიტ-ო-ს ფორმას) და მრავალგზისიც (ამ შემთხვევაში ასპექტობრივი დაპირისპირება გვექნება).

ერთგზისი: „ქინძისთავს ს-ჩხვლეთ-ს“. არსებითად ეს იგივეა, რაც: „ქინძისთავს უჩხვლეთს“ ან: „ქინძისთავს ჩაასობს“. აქ ს-ჩხვლეთ-ს — უზმნისწინო და უზმოვანპრეფიქსო ფორმა — მყოფადის გაგებას გამო-

ხატავს, იმავეს, რასაც და-ჩხვლეტ-ს ან უ-ჩხვლეტ-ს, მაგრამ ამ უკანასკნელისაგან გარკვეული სემანტიკური ნიუანსით განირჩევა: ს-ჩხვლეტ-ს უპირატესად მოულოდნელობისა თუ სისწრაფის გაგებას შეიცავს; შდრ.:

ქინძისთავს ს-ჩხვლეტ-ს (მომავალში)

ქინძისთავს უ-ჩხვლეტ-ს.

თანაც ს-ჩხვლეტ-ს ამ შემთხვევაში სამვალენტია:

ს-ჩხვლეტ-ს ის მას ქინძისთავს.

ეს გაგება ს-ჩხვლეტ-ს ზმნას მყოფადის წრისა და მეორე სერიის სხვა პარადიგმებშიც გადაჰყვება: ს-ჩხვლეტ-და... ს-ჩხვლიტ-ა, ს-ჩხვლიტ-ო-ს... მაგრამ აღარ ექნება მესამე სერიის ნაკვთებში — საესებით გასაგები მიზეზის გამო: წარმოება აქ უ- ან ე- პრეფიქსებიანი ექნება და ამიტომაც ფორმობრივ ველარ განსხვავდება უ-ჩხვლეტ-ს ზმნის მესამე სერიისაგან. ორივე შემთხვევაში გვექნება: უ-ჩხვლეტ-ი-ა, ე-ჩხვლიტ-ა... უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ზემოხსენებული მნიშვნელობისათვის ს-ჩხვლეტ-ს ზმნას მესამე სერიის ნაკვთები არცა აქვს.

მრავალგზისი: „ოცამდე კაცი ფერდას ქვევით ხევში დადიოდა ზეა-ვზე; ექირათ გრძელი ჯოხები და მალლიდან ჩხვლეტდნენ, რომ ეპოვნათ „ზეავისგან“ ჩამოგდებული ადამიანი“ (ვაჟა-ფშაველა). „ეკლით ნუ მჩხვლეტ, დამიბრუნე ვარდები“ (აკაკი).

ჩხვლეტ-ს აქ უკვე აწმყოა, ფორმა ორვალენტია და მისი მყოფადის ფორმა იქნება ან და-ჩხვლეტ-ს (კანონიკური წარმოებისა), ან უ-ჩხვლეტ-ს (მყოფადის წარმოების თვალსაზრისით, არაკანონიკური). თანაც სემანტიკური თანათარობა არ ვარაუდობს ანალოგიურ ვითარებას გრამატიკული რაობის მიხედვითაც; შდრ.:

ერთი მხრივ: ჩხვლეტ-ს ის მას

და-ჩხვლეტ-ს ის მას

და-ჩხვლიტ-ა მან ის

მეორე მხრივ: ჩხვლეტ-ს ის მას

უ-ჩხვლეტ-ს ის მას

უ-ჩხვლიტ-ა მან მას.

პირველ შემთხვევაში სინტაქსურად ზმნა გარდამავალია — მოეპოვება პირდაპირი (უშუალო) ობიექტი, მეორე შემთხვევაში — გარდაუვალი: პირდაპირი ობიექტი არ იპოება.

ანუ: სემანტიკურად არსებითად ერთი და იგივეა:

„ჩანგალმა და-ჩხვლიტ-ა კაცი“

„ჩანგალმა უ-ჩხვლიტ-ა კაც-ს“.

სინტაქსურად (გრამატიკულად) — პრინციპულად განსხვავებული: კაც-ი პირველ შემთხვევაში პირდაპირი ობიექტია, კაც-ს მეორე შემთხვევაში — ირიბი ობიექტი, თუმცა ორივე შემთხვევაში სემანტიკურად მოქმედება მასზე გადადის.

ამის მიზეზია უ-ჩხვლეტ-ს ფორმის გრამატიკული პოლისემანტიკურობა: იგი შეიძლება იყოს სამვალენტური („კაცმა უჩხვლიტა ჩანგალი ვილაცას“) და ორვალენტური („ჩანგალმა უჩხვლიტა ვილაცას“). სწორედ ეს უკანასკნელია, ორვალენტური ჩხვლეტ-ს ფორმის რომ შეენაცვლება უღვლილების პარადიგმაში („ჩანგალმა მიჩხვლიტა გვერდში“, ვაჟა-ფშაველა).

უღვლილების პარადიგმა სქემაზე ასეთ სახეს მიიღებს:

რა ხდება:	—	ჩხვლეტ-ს
რა მოხდება:	ს-ჩხვლეტ-ს უ-ჩხვლეტ-ს	— დაჩხვლეტ-ს უ-ჩხვლეტ-ს
რა მოხდა:	ს-ჩხვლიტ-ა უ-ჩხვლიტ-ა	ჩხვლიტ-ა დაჩხვლიტ-ა უ-ჩხვლიტ-ა

ასპექტობრივ ს-ჩხვლიტ-ა, უ-ჩხვლიტ-ა ერთგზისია, ჩხვლიტ-ა, და-ჩხვლიტ-ა — მრავალგზისი. ამ თვალსაზრისით განსხვავდება ს-ჩხვლიტ-ა და ჩხვლიტ-ა ფორმებიც კი...

ნიშანდობლივია, რომ უ-ჩხვლეტ-ს, როგორც წესი, აწმყოს ფუნქციით არ გამოიყენება; შდრ.: უ-წერ-ს და და-უ-წერ-ს, უ-დარაჯ-ებს და და-უ-დარაჯ-ებს, უ-თამაშ-ებს და შე-უ-თამაშ-ებს...

ყოველივე ეს არსებითად ფაქულტატიური მოვლენაა თანამედროვე ქართულისათვის.

§ 64. ს-წერ-ს და ა-წერ-ს ფორმებში შეპირისპირება ხდება მიცემით-ბრუნვიან ობიექტთან მიმართების თვალსაზრისით:

ს-წერ-ს ის მას წერილს, „მას“ („ვილაცას“) — აღრესატი,

მი-აწერ-ს ოს მას დასკვნას, „მას“ („რალაცას“) — თანაობის ობიექტი.

გრამატიკული მიმართების თვალსაზრისით ანალოგიურად დგება საკითხი ს-წერ-ს და უ-წერ-ს ფორმათა შესახებაც: ს-წერ-ს ის მას წერილს, „მას“ ადრესატია, უ-წერ-ს ის მას წერილს, „მას“ დაინტერესების, ინტერესის ობიექტია, ფორმა — სასხვისო ქცევისაა.

ამ ძირითადი წესის გვერდით გვხვდება ფორმოზღვრული ანალოგიური მიმართების გამოყენება სულ სხვა დანიშნულებით:

ჰ-ენ-ებ-ს — ა-ენ-ებ-ს, ჰ-რგ-ებ-ს — ა-რგ-ებ-ს, ს-ტკენ-ს — ა-ტკენ-ს, ჰ-რქენ-ს, — უ-რქენ-ს, კბენ-ს — უ-კბენ-ს... — უკვე დროის (აწმყოსა და მყოფადის) მიხედვით დაპირისპირებული ფორმებია.

ქცევისეული ა- და უ- პრეფიქსები ამ რიგის ზმნებში არსებითად ზმნისწინის დანიშნულებითაა გამოყენებული.

ამიტომაცაა:

ჰ-კბენ-ს — უ-კბენ-ს მიმართება დროს განასხვავებს,

ჰ-კბინ-ა — უ-კბინ-ა — წყვეტილ მრავალგზის და წყვეტილ ერთგზის ასპექტს.

შდრ.: იმავე ფუძესთან ზმნისწინის გამოყენების შემთხვევები:

ერთი მხრივ: კბენ-ს — და-კბენ-ს — განსხვავებულია დრო,

მეორე მხრივ: კბინ-ა — და-კბინ-ა — სხვაობს ასპექტი.

შენიშვნა: უ-კბენ-ს ფორმასთან ჰ- პრეფიქსიანი ჰ-კბენ-ს იმიტომ, რომ აქ ირიბი ობიექტია, თუმცა სემანტიკურად პირდაპირთან გატოლებული; და-კბენ-ს ფორმასთან კი დასახელებულია კბენ-ს ჰ- პრეფიქსის გარეშე იმის გამო, რომ აქ ობიექტი უკვე პირდაპირია გრამატიკულადაც და სემანტიკურადაც; შდრ.: უ-კბინ-ა მან მას, მაგრამ: და-კბინ-ა მან ის.

წარმოვადგინოთ ზემოხსენებული სქემის სახით:

რა ხდება: (ჰ)-კბენ-ს

რა მოხდება: { უ-კბენ-ს
და-კბენ-ს

რა მოხდა: (ჰ)-კბინ-ა — { უ-კბინ-ა
და-კბინ-ა.

ქცევის პრეფიქსის მქონე ფორმა, ამ შემთხვევაში უ- პრეფიქსი-
ანი ფორმა, სემანტიკური თვალსაზრისით ბადალი აღმოჩნდა ზმნისწი-
ნიანი ფორმისა როგორც დროის, ასევე ასპექტის გამოხატვის სისტე-
მაში.

რა თქმა უნდა, ქცევის პრეფიქსისათვის ეს დანიშნულება არაძირი-
თალია.

§ 65. ფორმობრივ ა-მადლ-ი-ს და უ-მადლ-ი-ს ზმნები ნეიტრალუ-
რი და საობიექტო ქცევის მიმართებას ქმნიან; შდრ.: ა-თლ-ი-ს და
უ-თლ-ი-ს, ა-კრ-ავ-ს და უ-კრ-ავ-ს, ა-შენ-ებ-ს და უ-შენ-ებ-ს... მაგრამ
სემანტიკური სხვაობა მათ შორის სცილდება ქცევის კატეგორიის ფარ-
გლებს:

ა-მადლ-ი-ს — მადლად უთვლის, აყვედრის, ამუნათებს მისთვის ჩა- დენილ სიკეთეს, მასზე გაწეულ ამაგს. ამავე მნიშვნელობისაა ა-მადლ-ებ-ს ფორმაც.	უ-მადლ-ი-ს — მისი მადლიერია, მისდამი მადლობის გრძნობითაა გამსჭვალული.
---	---

„შემწეობას გაკვირებულებს. არ ამადლიდა“ (აკაკი).

„ქალი გულში აკმის უმადლოდა გადარჩენას“ (მ. მრეველიშვილი).
გრამატიკული მნიშვნელობის თვალსაზრისით სხვაობა ხელშესახე-

ბია: „ამადლის“ სემანტიკურად დინამიკურია, „უმადლის“ — სტატი-
კური.

ეს სხვაობა უღვლილებაშიც აისახა:

ნამყო უსრულის ფორმა (რა ხდებოდა) „ამადლის“ ფორმისა მხო-
ლოდ ასე იქნება: ა-მადლ-ი-დ-ა, „უმადლის“ ფორმისა კი — როგორც
უ-მადლ-ი-დ-ა, ასევე: უ-მადლ-ოდ-ა. -ოდ ამ ნაკვეთი, როგორც წესი,
გარდაუვალი ზმნებისთვისაა ნიშანდობლივი, როგორც დინამიკური
(ვნებითი), ასევე სტატიკური ფორმებისათვის. უ-მადლ-ი-ს — უ-მადლ-
ოდ-ა იმავე რიგის მიმართებაა, რაც: მღერ-ი-ს — მღერ-ოდ-ა.

ეს ხდება მიზეზი იმისაც, რომ უ-მადლ-ი-ს ფორმის უღვლილება,
სტატიკურ ფორმათა მსგავსად, იზღუდება: მისთვის უპირატესად აწმ-
ყოს წრის ფორმების წარმოებაა ნიშანდობლივი. და-უ-მადლ-ი-ს,
და-უ-მადლ-ა იშვიათი ხმარებისა ხდება. ბრძანებითის ფორმასაც —
უ-მადლ-ე („შენს სილამაზეს უმადლე! იმან გადაგარჩინა!“), აკაკი),
რომელიც ნამყო ძირითადის ნაკვეთს იყენებს, სულ უფრო დაბეჭითე-

ბით ცვლის აწმყოს კავშირებითის ნაკეთი იმავე დანიშნულებით: უ-მადლ-ოდ-ე („შენს სილამაზეს უმადლოდე!...“).

ყველაფერი ეს ზემოდასახელებული ფაქულტატიური დაპირისპირების სიღრმისეული გავრცელების შედეგია.

* * *

ა-ღრ-ი-ს — ერთმანეთს უპირისპირებს მსგავსება-განსხვავების გამოსარკვევად. აღარებს, ამსგავსებს. უ-ღრ-ი-ს — ტოლია, ეთანაბრება, ეთანასწორება.

„ორ საგანს ერთმანეთს აღრის“.

„ორი თუნგი ღვინო უღრის ღირებულებით ერთ კოდ პურს“ (ილია).

აქაც ზემოგანხილულის ანალოგიური ვითარებაა.

ა-ღრ-ი-ს და უ-ღრ-ი-ს დინამიკურობა-სტატიკურობის ფუნქციით არიან დაპირისპირებული, თუმცა ფორმოზრივ აქაც ნეიტრალურ და საობიექტო ქცევათა შეთანაბრებაა.

სემანტიკურმა სხვაობამ უღვლილება ც განასხვავა:

რა ხდება:	ა-ღრ-ი-ს	უ-ღრ-ი-ს
რა ხდებოდა:	ა-ღრ-ი-დ-ა	უ-ღრ-ი-დ-ა
რა ხდებოდეს:	ა-ღრ-ი-დ-ე-ს	უ-ღრ-ი-დ-ე-ს
რა მოხდება:	შე-ა-ღრ-ი-ს	ე-ღრ-ებ-ა
რა მოხდა:	შე-ა-ღარ-ა	—
რა მომხდარა:	შე-უ-ღრ-ი-ა	—

ა-ღრ-ი-ს ფორმას სრული პარადიგმა აქვს, უ-ღრ-ი-ს ფორმას — ნაკლული, თანაც მყოფადის წრეში ფუძე ეცვლება: უ-ღრ-ი-ს — ე-ღრ-ებ-ა.

ღირსსაცნობი ფაქტია: უ-მადლ-ი-ს და უ-ღრ-ი-ს, ორივე, სტატიკური ზმნის სტატუსით ფუნქციონირებს, რამაც ცვლილება შეიტანა უღვლილების პარადიგმაშიც.

უღვლილება იცვალა, მაგრამ ეს ცვლილება სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა: ერთ შემთხვევაში ნამყო უსრულში -ოდ წარმოჩნდა (უ-მადლ-ოდ-ა), მეორე შემთხვევაში ფუძე იცვალა მყოფადში (ე-ღრ-ებ-ა).

ეს კი ნიშნავს, რომ სემანტიკური სტატუსის ცვლილება ენამ უღვ-

ლილების ცვლითაც გამოხატა, ოღონდ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მისთვის დასაშვები შესაძლებლობა გამოიყენა.

შ ე ნ ი შ ე ნ ა: გვხვდება შე-უ-ღრ-ი-ს, შე-უ-ღარ-ა, ოღონდ ესენი შე-ა-ღრ-ი-ს, შე-ა-ღარ-ა ფორმების პარალელურ სემანტიკურ ვარიანტებად გაიზარებინან, ანუ: შე-ა-ღრ-ი-ს || შე-უ-ღრ-ი-ს ფორმებს შორის ქცევებრივი ან რაიმე სხვა ფუნქციური სხვაობა არა გვაქვს, შე-უ-ღრ-ი-ს სემანტიკურად იგივეა, რაც შე-ა-ღრ-ის (იხევე, როგორც: ა-ჩვენ-ებ-ს და უ-ჩვენ-ებ-ს, ა-კლ-ი-ა და უ-კლ-ი-ა...). ბუნებრივია, რომ ასეთ ვითარებაში შე-უ-ღრ-ი-ს ვერ ჩაითვლება უ-ღრ-ი-ს ზმნის პარადიგმულ ფორმად.

* * *

ნახ-ავ-ს—თვალთ აღიქვამს, იხი- ი-ნახ-ავ-ს — იცავს, ფარავს, მალავს... ლავს. იტოვებს...

„ვნახავ, როგორ არიან“.

„ანდერძა მამა-პაპისას ფრთხილად ვინახავ უბეში“ (ვაჟა-ფშაველა). „ღვინოს სამყოფზე მეტს ინახავდა“ (ილია).

შღრ.: მალ-ავ-ს — „ფარავს, უჩინარს ხდის“...

ი-მალ-ავ-ს — „მალავს თავისას“.

ფორმობრივ იდენტური მდგომარეობაა:

ნახ-ავ-ს — ი-ნახ-ავ-ს

მალ-ავ-ს — ი-მალ-ავ-ს.

მნიშვნელობის თვალსაზრისით — პრინციპულად განსხვავებული.

პირველ შემთხვევაში ლექსიკური სხვაობაა, მეორე შემთხვევაში — ოდენ-გრამატიკული.

რაც შეეხება უ-პრეფიქსიან ფორმას (უ-ნახ-ავ-ს), იგი კონტექსტის შესაბამისად განასხვავებს ორ ლექსიკურ მნიშვნელობას, გამოხატულს როგორც ნახ-ავ-ს, ასევე ი-ნახ-ავ-ს ზმნებით:

„თოფის ფალიას ნახავს“, შესაბამისი სასხვისო ქცევაა: „თოფს ფალიას უნახავს“: შიშიამ თოფს ფალია უნახა (თ. რაზიკაშვილი).

„რასაც შოულობს, ინახავს“, სასხვისო: „რასაც შოულობს, უნა-

ავს“: რასაც შოულობდა და პოულობდა, თინა გოგოს უნახავდა (ს. მგალობლიშვილი).

სემანტიკური სფეროების განაწილების თვალსაზრისით ზემოთქმული სქემაზე ასეთ სახეს მიიღებს:

ნახ-ავ-ს	უ-ნახ-ავ-ს
ი-ნახ-ავ-ს	

მო- ზმნისწინი ხსენებულ ზმნებს მნიშვნელობას უცვლის: მო-ნახ-ავ-ს „მოძებნის“ — მო-უ-ნახ-ავ-ს „მოუძებნის, მონახავს მისთვის“.

ნახ-ავ-ს ზმნის ვნებითად ფორმობრივ ი-ნახ-ებ-ა ივარაუდება. ასეთი ფორმა მართლაც იპოება, მაგრამ არა ვნებითის, არამედ უპირატესად პოტენციალისის (შესაძლებლობის) მნიშვნელობით: „ავი თვალით არ ინახება“, ნიშნავს: „ავი, ცუდი თვალით ნახვა არ შეიძლება“.

ი-ნახ-ავ-ს ფორმობრივ სათავისო (სასუბიექტო) ქცევაა, ანუ: გარდამავალი უკუქცევითი ზმნაა. წესის მიხედვით, მას ვნებითი არ უნდა ჰქონდეს (ა. შანიძე, 1980, გვ. 309), მაგრამ აქვს კი: ი-ნახ-ებ-ა („გაქანდა იმ ოთახისაკენ, სადაც ინახებოდა ყუთი“, ნ. ლომოური). მართალია, აღნიშნავენ, რომ ვნებითი შესაძლოა ჰქონდეთ იმ ზმნებს, „რომლებიც სათავისოა ფორმით, ფუნქცია კი საარვისოსი აქვთ“ (ა. შანიძე, 1980, გვ. 309), მაგრამ ი-ნახ-ავ-ს, როგორც ჩანს, ამ ზმნათა წყებაში ვერ ჩადგება, რადგან „სათავისობა“, მოქმედების შედეგის სუბიექტისადმი უკუქცევითობა, ამ ზმნის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ნიშან-თვისებაა, რომლითაც იგი განსხვავდება ლექსიკურად მასთან შეთანაბრებულ მი-ნახ-ავ-ს, ფარ-ავ-ს ზმნებისაგან.

ე-ნახ-ებ-ა ზმნაც პოლისემანტიკურია:

ა) „ავ თვალს არ ენახება“, — პოტენციალისი.

ბ) „ნიადაგს აშორებულ სახლს ტენი არ ეკარება, კედლები მშრალად ენახება“ (თ. სახოკია), — სასხვისო ქცევის სემანტიკა.

თავისებურება სხვადასხვა.

ნახ-ავ-ს ზმნას კაუზატივის გამოხატველად ესადაგება როგორც ა-ნახ-ებ-ს, ასევე ა-ნახ-ვ-ებ-ს.

ა-ნახ-ებ-ს ზმნას ვნებითად მოუღის ე-ნახ-ებ-ა, რომლის შესახებაც ზემოთ გვქონდა საუბარი.

ა-ნახ-ე-ებ-ს ზმნის ვნებითა ე-ნახ-ე-ებ-ა.

თავის მხრივ ე-ნახ-ებ-ა და ე-ნახ-ე-ებ-ა ერთმანეთს მიემართება როგორც არაკაუზალური ფორმა კაუზალურს:

„გაგონილი ექნება ან ენახება“ (ე-ნახ-ებ-ა ნიშნავს: „ნანახი ექნება“).

„რაწამს გაიგო, რომ მაყვალა ენახებოდა, მზად იყო მწყემსთან თუნდა შუალამემდის დარჩენილიყო“ (ა. ყაზბეგი). ე-ნახ-ე-ებ-ოდ-ა ნიშნავს: „თავის ნახვის საშუალებას, უფლებას მისცემდა“.

ასე რომ, ფაკულტატიურმა დაპირისპირებამ ამ შემთხვევაშიც წარმოაჩინა გაცილებით უფრო სიღრმისეული სხვაობანი.

§ 66. ცალკე უნდა შევეხოთ „ჰერ“ ფუძის შემცველ ფორმათა ურთიერთობას. აქ ქცევისეული ფორმების როგორც ლექსიკური, ასევე გრამატიკული მნიშვნელობების მიხედვით დაპირისპირება იჩენს თავს.

ა-ჰერ-ს — ი-ჰერ-ს — უ-ჰერ-ს ფორმობრივ იმავე რიგის მიმართებაა, რაც ა-წერ-ს — ი-წერ-ს — უ-წერ-ს.

ვნახოთ, როგორ განიმარტება ეს ფორმები სემანტიკური თვალსაზრისით.

ა-ჰერ-ს — ძალის მოხმარებით ზევიდან აბჯენს (რასმე), აწევა.

ი-ჰერ-ს — 1. ხელს სტაცებს, ხელში (ბრჭყალებში, პირში...) იგდებს.
2. აკავებს, იკავებს, მოძრაობის საშუალებას არ აძლევს.
3. იმაგრებს... 4. აპატიმრებს, ატუსაღებს. 5. იპყრობს, ეუფლება, ეპატრონება. 6. ქირით აპყავს. 7. აჰერს თავისას. 8. უჰერს თავისას, მაგრად იყრავს. 8. ღონივრად დაირტყამს (მათრახს...).

უ-ჰერ-ს — 1. ძალის მოხმარებით სხედასხვა მხრიდან ერთდროულად აწევა. 2. მჭიდროდ აყრავს, შემოკრული აქვს. 3. იჰერს მისას ან მისთვის. 4. არ აძლევს, უკავებს. 5. ღონივრად არტყამს, გადაჰყრავს (მათრახს, სახრეს...).

„გველეშაპს შუბს აჰერს“ (შ. არაგვისპირელი). „მზე აჰერს“. „ფეხს მაგრად აჰერს“.

„ვინ მოთვლის, რამდენ თევზსა და ფრინველს ვიჰერდით“ (ვაჟა-ფშაველა). „გამიშვი, მთად წავიდე... გამიშვი... ნუ მიჰერ“ (ა. ყაზბეგი).

„მტევნებს ვაზი ველარ იჭერს“ (შ. მღვიმელი). „ბანდიტებს იჭერენ“.
„ბნელი თანდათან იჭერდა არემარეს“ (აკაკი). „მშუცელზე ხელს იჭერს“.
„ქამარს იჭერს“.

„თოფს მაგრა უჭერდა ხელებს“ (ე. ნინოშვილი). „მხედარი ზურგზე
ეკრა და თავს უჭერდა“ (აკაკი). „ბინას არ გიჭერ, იცხოვრე!“ (ვაჟა-
ფშაველა). „ცხენს მათრახს გადაუჭერს“.

ზემოთ მოტანილი განმარტებებიდან ნათლად ჩანს, რომ ქცევებრი-
ვი მიმართება შემდეგ შემთხვევებში გვაქვს:

ა) ა-ჭერ-ს და უ-ჭერ-ს ფორმებს შორის, როცა გამოიხატება მნიშ-
ვნელობა: „ძალის მოხმარებით აწვება“ („ფეხზე აჭერს“ და „ფეხზე
უჭერს“).

ბ) ი-ჭერ-ს და უ-ჭერ-ს ფორმებს შორის, როცა გამოიხატულია მნიშ-
ვნელობა: „ხელში იგდებს, აკაეებს, ეუფლება“ და „ლონივრად დაჰ-
კრავს“ („ჩიტს იჭერს“ და „ჩიტს უჭერს“... „მათრახს გადაიჭერს“ და
„მათრახს გადაუჭერს“).

გ) ა-ჭერ-ს და ი-ჭერ-ს ფორმებს შორის, მნიშვნელობისას: „ძალის
მოხმარებით ზევიდან აბჯენს, აწვება“ („მშუცელზე ხელს აჭერს“ და
„მშუცელზე ხელს იჭერს“).

ერთადერთი მნიშვნელობაა, როცა ქცევებრივი მიმართება სამივე
ფორმისთვისაა ნიშანდობლივი: „ძალის მოხმარებით აწვება“:

ხელზე ა-ჭერ-ს
ხელზე ი-ჭერ-ს
ხელზე უ-ჭერ-ს.

და ისიც სემანტიკური ნიუანსითაა განსხვავებული:

ა-ჭერ-ს — „აწვება ზემოდან ქვემოთ...“

უ-ჭერ-ს — „ერთდროულად აწვება ყოველი მხრიდან“.

ამას ემატება ისიც, რომ ა-ჭერ-ს და უ-ჭერ-ს სტატიკურ ზმნათა-
სემანტიკითაც გამოიყენებიან:

„მზე აჭერს“ იგივეა, რაც: „ცხელა“,

„ფეხსაცმელი უჭერს“ — „ფეხსაცმელი მოჭერილი აქვს“.

რასაკვირველია, ამოსავალი, ბაზისური ლექსიკური მნიშვნელობა ამ
ფორმებს ერთი აქვთ. ესაა „დაკაეება, შემაგრება“, აქედან: „ძალის
მოხმარება დასაკაეებლად, შესამაგრებლად“, შემდეგ: „დაუფლება, და-
პატრონება“ და ა. შ.

უ-პერ-ს ზმნის თვით ეს მნიშვნელობაც კი — „ლონივრად დარტყმა“ ამოდის ხსენებული სემანტიკიდან, ანუ: ისე ძლიერ დაარტყამს, რომ მათრახს (სახრეს...) ირგვლივ შემოაყრავს, ირგვლივ შემოუჭერს, შდრ.: „თოკს შემოუჭერს წელზე (მხრებზე, კისერზე...)“.

ეს კი ნიშნავს, რომ ამ ზმნათა მნიშვნელობების და, მით უფრო, ლექსიკური მნიშვნელობების, დიფერენციაცია და ახალ მნიშვნელობათა განვითარება მეორეული ფაქტია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამჟამად უკვე შეიქმნა ის ვითარება, როცა ა-პერ-ს — ი-პერ-ს — უ-პერ-ს ფორმათა ურთიერთმიმართება უმეტეს წილ სცილდება ქცევის კატეგორიის ფარგლებს:

„დედაბოძი სახლის თაღს იჭერს“

და:

„დედაბოძს სალტე უჭერს“.

ანდა:

„თოკი ბიჭებს მაგრად იჭერს“

და:

„თოკს ბიჭებს მაგრად გადაუჭერს ბეჭებზე“.

ან თუნდაც:

„მზე აჭერს“ და „ცხვირში უჭერს“

„ხელზე ხელს აჭერს“ და „მის ხელს ხელში იჭერს“...

ამ ფორმებს შორის ლექსიკურ სხვაობას ნათლად წარმოაჩენს ის სიტყვები, რომლებიც მათ სინონიმებად და, ამდენად, კონტექსტში მათ შემცვლელებად, იგულისხმებიან:

ი-პერ-ს — ამაგრებს, იმაგრებს...

ი-პერ-ს — იკავებს, აჩერებს, ხელში იგდებს...

უ-პერს — ყოველი მხრიდან აწვება, შემოკრული აქვს...

გადა-უ-პერ-ს — გადაჭკრავს, დაარტყამს...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ამგვარი უხვი სემანტიკური დიფერენციაცია, რა თქმა უნდა, თავიდან ვერ აიცილებს ომონიმურ ფორმებს. მაგალითად, მ-ი-პერ-ს შეიძლება ნიშნავდეს როგორც „მაპატიმრებს“ (შდრ.: გ-ი-პერ-ს, ი-პერ-ს), ასევე: „მჭიდროდ შემოკრული მაქვს“ („ფეხსაცმელი მიჭერს“; შდრ.: გ-ი-პერ-ს, უ-პერ-ს), ანდა: „იჭერს ჩემთვის“ („ჩიტს მიჭერს“, „ჩიტს დამიჭერს“). ამ რიგის

სემანტიკური დამთხვევები თუ შეხვედრები სავსებით მოსალოდნელია ხსენებულ ზმნათა თავისებური ურთიერთობის გამო. სხვაობას ადვილად ამყარებს კონტექსტი („ხელზე მიჭერს“ და „ჩიტს მიჭერს“), პარადიგმული რიგი (მ-ი-ჭერ-ს, გ-ი-ჭერ-ს, ი-ჭერ-ს და მ-ი-ჭერ-ს, გ-ი-ჭერ-ს, უ-ჭერ-ს), ზმნისწინი (და-მ-ი-ჭერ-ს, მაგრამ: მო-მ-ი-ჭერ-ს)...

„ჭერ-“ ღრეკადი (ხმოვანმონაცვლე) ფუძეა:

ა-ჭერ-ს — და-ა-ჭირ-ა
ი-ჭერ-ს — და-ი-ჭირ-ა
უ-ჭერ-ს — და-უ-ჭირ-ა...

ეს კი ნიშნავს, რომ პირველი და მეორე სერიის ფუძეთა დაპირისპირება ხდება გახმოვანების საფუძველზე:

I სერია: ი-ჭერ-ს, ი-ჭერ-დ-ა, ი-ჭერ-დ-ეს...

II სერია: და-ი-ჭირ-ა, და-ი-ჭირ-ო-ს...

იმავდროულად, როგორც ეს, საერთოდ, არის დამახასიათებელი ფუძედრეკადი ზმნებისათვის ახალ ქართულში (და განსაკუთრებით კი ქართული ენის დიალექტებში), ხმოვანმონაცვლეობის პრინციპი იცვლება აფიქსაციის (ანუ: თემატურ და ათემატურ ფუძეთა დაპირისპირების) პრინციპით: მიმართება ღრეკ-ს — ღრიკ-ა იცვლება მიმართებით ღრიკ-ავ-ს — ღრიკ-ა.

ასევე მოხდა ჩვენი საანალიზო ფუძეების შემთხვევაშიც:

ი-ჭერ-ს — და-ი-ჭირ-ა → ი-ჭირ-ავ-ს — და-ი-ჭირ-ა...

შენიშვნა: ისტორიულად უფრო რთული ვითარებაა. დამოწმებულია ფორმა და-მჭირ-ვ-ა, რომელიც ვარაუდობს ზმნას და-ი-მჭირ-ავ-ს. ამ უკანასკნელის ფონეტიკურ ნაირსახეობად მიიჩნევა და-ი-ჭირ-ავ-ს (ა. შანიძე, 1980, გვ. 409).

ახალ ქართულში ი-ჭერ-ს და ი-ჭირ-ავ-ს სინონიმებად გაიგება: „ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი“ იგივეა, რაც: „ვერ დაიჭერს სიკვდილსა...“

უ-ჭერ-ს და უ-ჭირ-ავ-ს კი სემანტიკურად განსხვავდა:

უ-ჭერ-ს — 1. ძალის მოხმარებით სხვადასხვა მხრიდან ერთდროულად აწევა. მჭიდროდ აკრავს. 2. იჭერს მისას ან მისთვის. 3. ურტყამს...

უ-ჭირ-ავ-ს — 1. რამე აქვს ხელში, უკავია... 2. ფლობს, დაატრონებულია. იგვივია, რაც: უ-ჭერ-ი-ა.

როგორც ვხედავთ სხვაობა სრულია.

„სალტეებს უჭერენ ურმის ბორბლებს“ (მ. მრეველიშვილი). „საყელო უჭერს“. „ჩიტს დაუჭერს“...

„ყველას დანა უჭირავს და ყურძენს კალათში კრეფს“ (ი. გოგებაშვილი). „პასუხსაგები პოსტი უჭირავს“...

უ-ჭერ-ს უპირატესად დინამიკური ზმნაა, თუმცა ზოგ კონტექსტში სტატიკური ზმნის ფუნქციაც აქვს („ფეხსაცმელი უჭერს“ ნიშნავს: „ფეხსაცმელი მოჭერილი აქვს“).

უ-ჭირ-ავ-ს სტატიკური ზმნაა, თავისი სემანტიკითაც და ფორმობრივი ქმედებითაც. ნიმუშად უღვლილებას დავასახელებთ:

რა ხდება:	უ-ჭერ-ს	უ-ჭირ-ავ-ს
რა ხდებოდა:	უ-ჭერ-და	—
რა ხდებოდეს:	უ-ჭერ-დ-ე-ს	—
რა მოხდება:	მო-უ-ჭერ-ს	ე-ჭირ-ებ-ა
რა მოხდა:	მო-უ-ჭერ-ა	ე-ჭირ-ა
რა მომხდარა:	მო-უ-ჭერ-ი-ა	ს-ჭერ-ი-ა...

უ-ჭირ-ავ-ს ზედმიწევნით იმეორებს სტატიკური ს-წერ-ი-ა, უ-კავ-ი-ა ტიპის ზმნათა უღვლილებას.

უ-ჭირ-ავ-ს არსებითად ინვერსიული ზმნაა: „უჭირავს მას ის“. ვისაც რამე უჭირავს, ან სულიერია, ან სულიერთან გატოლებული საგანი. ამიტომაც რეალურ მოქმედ პირად იგი გაიგება. ამის საფუძველზე „მას“ რეალური სუბიექტია. შდრ.: ის მას ი-კავ-ებ-ს, უ-კავ-ებ-ს, მაგრამ: უ-კავ-ი-ა მას ის. უ-ჭირ-ავ-ს სწორედ უ-კავ-ი-ა ზმნის ბადალია სემანტიკურად. უ-კავ-ი-ა ფორმობრივადაც უ-წერ-ი-ა, უ-ხატ-ია ზმნათა რიგში დგას. უ-ჭირ-ავ-ს მხოლოდ სემანტიკურადაა მათ წყებაში გაერთიანებული, მაგრამ იმავდროულად სემანტიკა არსებით ზეგავლენას ახდენს ამ ზმნის ფორმათწარმოებაზე: სტატიკურ ზმნათა თარგზე ცვლის მას.

ა-ჭერ-ს ზმნა არ გადადის წარმოების ახალ პრინციპზე: არ არსებობს ა-ჭირ-ავ-ს.

რაც შეეხება მიმართებას ი-ჭირ-ავ-ს — უ-ჭირ-ავ-ს, ფორმოზრივ იგი იმავე ტიპისაა, რაც: ი-დრიკ-ავ-ს — უ-დრიკ-ავ-ს. მაგრამ მხოლოდ ფორმოზრივ!

ღირსსაცნობი მოვლენაა.

ი-დრეკ-ს — უ-დრეკ-ს — დაპირისპირება ხდება ქცევის ღონეზე.

ენაში მოხდა ცვლილება, შეიცვალა წარმოების პრინციპი: ხმოვან-მონაცვლე ფუძე გადავიდა აფიქსურ წარმოებაზე (მნიშვნელობის უცვლელად!):

ი-დრიკ-ავ-ს იგივეა, რაც: ი-დრეკ-ს,

უ-დრიკ-ავ-ს იგივეა, რაც: უ-დრეკ-ს.

ფორმათწარმოების პრინციპის ცვლის შემდგომაც სემანტიკური მიმართება უცვლელი დარჩა:

ი-დრიკ-ავ-ს — უ-დრიკ-ავ-ს — დაპირისპირება ხდება ისევ ქცევის ღონეზე.

სულ სხვა ვითარებაა „ჭერ-“ ფუძესთან დაკავშირებით.

ი-ჭერ-ს — უ-ჭერ-ს — ქცევებრივი დაპირისპირების გარდა, ეს ფორმები ლექსიკურადაც სხვაობენ (იხ. ზემოთ).

იცვალა წარმოების პრინციპი.

ი-ჭირ-ავ-ს იგივეა, რაც: ი-ჭერ-ს.

მაგრამ უ-ჭირ-ავ-ს უკვე სულ სხვაა ლექსიკურადაც და გრამატიკულადაც, ვინემ უ-ჭერ-ს.

დაპირისპირება ი-ჭირ-ავ-ს — უ-ჭირ-ავ-ს ასევე სულ სხვა სემანტიკურ სფეროში ხდება, ვინემ ი-ჭერ-ს — უ-ჭერ-ს.

ი-ჭერ-ს — „აკავებს, ამაგრებს, ეუფლება...“

უ-ჭერ-ს — „ყოველი მხრიდან აწეება...“

უ-ჭირ-ავ-ს — „უკავია, ხელში აქვს, ფლობს...“

ფორმოზრივ ერთი თარგისაა მიმართებაცა და ცვლილებაც.

სემანტიკურად კი აბსოლუტურად განსხვავებულ შედეგებს ვიღებთ.

§ 67. ქცევის ფორმათა ასეთი გადასხვაფერების შემთხვევები, რა თქმა უნდა, თვით ენის პოტენციითაა შეპირობებული. ენაში ყოველთვის არის შესაძლებლობა, ამოსავალი, ბაზისური მნიშვნელობა რო-

მელიმე კონტექსტში იცვალის, ახალი სემანტიკური ნიუანსი შეიძინოს, რაც შემდგომ შესაძლებელია გახდეს მისი სავსებით ახლებური გააზრების საფუძველი.

უწინარეს ყოვლისა, ახალი მნიშვნელობის დამკვიდრება მისი გამოყენების სიხშირესთან არის დაკავშირებული.

ა-ყენ-ებ-ს და ი-ყენ-ებ-ს ფორმები ურთიერთმიმართ ქცევის მიხედვითაა შეთანაბრებული:

ა-ყენ-ებ-ს — ისე აჩერებს, რომ იდგეს, მდგომარედ ამყოფებს...

ი-ყენ-ებ-ს — თავის წინ აყენებს, თავისთან აჩერებს...

„შემოიყვანა ერთი მშვენიერი გოგო, დააყენა სუტ-კენინას წინ“ (ილია).

„ადამიანი თუ განადირდა, გვერდით ადამიანს ველარ იყენებს“ (ილია).

მაგრამ ამგვარი შეთანაბრება ნაკლები სიხშირისაა.

უფრო მეტია შემთხვევები, როცა ა-ყენ-ებ-ს და ი-ყენ-ებ-ს ლექსიკურად განსხვავდება ერთმანეთისაგან:

ა-ყენ-ებ-ს — 1. ნიშნავს, რაიმე მოვალეობას აკისრებს. 2. დააბინავებს. 3. ამყოფებს, დატოვებს, გააჩერებს. 4. აწყვეტინებს მოძრაობას, აჩერებს. 5. სათანადო წესით მიიღებს, დაამზადებს (ღვინოს...). 6. შექმნის ამა თუ იმ მდგომარეობას. 7. ტეხს აურზაურს... და სხვანი.

ი-ყენ-ებ-ს 1. აშვერილად იჩერებს. 2. აპყავს (მოსამსახურედ...) 3. იჩერებს, იკეთებს...

„სოფლის მამასახლისად დააყენეს“. „ჩვენ დაგვაყენეს დიდი ბატონის ნათლიდედასთან“ (ილია). „ლევანის ცოლმა აღარ დააყენა ოქახში გოგო“ (ე. ნინოშვილი). „გააქციონ ცხენები — შენც გააქციე, დააყენონ — შენც დააყენო“ (ხალხური ზღაპარი). „ჩინებული ღვინო დააყენა“. „ყვავილებმა ირგვლივ სურნელება დააყენეს“. „მიიხმო მამასახლისი და ერთი ვაი-ვაგლახი დააყენა“ (ე. ნინოშვილი).

„საზარელ ფაფარს ყალყზე იყენებს ქარიშხალით ალექსილი ზღვა“ (ი. მაჩაბლისეული თარგმანი). „ერთ აღვოკატს-კი აღარ სჯერდებოდნენ მოცილეები, ორსა და სამს იყენებდა თითოეული მათგანი“ (ე. ნინოშვილი). „მამაკაცები იყენებენ თმასა და წვერს“ (ვაჟა-ფშაველა).

ი-ყენ-ებ-ს ფორმა გამო- ზმნისწინის დართვისას სავსებით განსხვავებულ მნიშვნელობას გამოხატავს:

გამო-ი-ყენ-ებ-ს — მოიხმარს, ისარგებლებს; გამოსადეგად გაიხდის.

„იქნება გამოიყენოთ ჩემი გამოცდილება!“ (ვ. ბარნოვი).

ამჟერად ისეთი ვითარება შეიქმნა ენაში, რომ ა-ყენ-ებ-ს უპირატესად გამოხატავს მნიშვნელობებს: „მდგომარედ აჩერებს... ნიშნავს... აწვევტინებს მოძრაობას... ამზადებს (ღვინოს...), შექმნის ამა თუ იმ მდგომარეობას“, ხოლო ი-ყენ-ებ-ს კი — „სარგებლობს, გამოსადეგად იხდის“.

ეს კი საფუძველს უქმნის ამ ფორმათა სემანტიკურ დაშორებას, რის შედეგადაც იჩქმალება საკუთრივ ქცევებრივი დაპირისპირება და წინ წამოიწევს ხოლმე ლექსიკური. საქმე ისაა, რომ ი-ყენ-ებ-ს უმეტეს წილ გამო-ი-ყენ-ებ-ს ზმნის აწმყოდ გაიგება. რა თქმა უნდა, იმ პარადიგმებში, სადაც ზმნისწინთა ხმარება შეუზღუდავია, ასეთი ვითარება აღარა გვაქვს: და-ი-ყენ-ებ-ს, ჩა-ი-ყენ-ებ-ს, მო-ი-ყენ-ებ-ს.. ამჟერად საკითხი მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვეთებს ეხება.

§ 68. საერთო ამოსავალი (ბაზისური) მნიშვნელობა ივარაუდება ყიდ-ი-ს და ი-ყიდ-ი-ს ფორმებისთვისაც. ესაა „ალებშიცემობა“. მაგრამ ალებშიცემობის ორი სახეობის — შეძენისა და გაცემის — აღნიშვნის აუცილებლობამ ერთმანეთს ლექსიკურად დაუპირისპირა ეს ორი ფორმა.

ყიდ-ი-ს — ფულით აძლევს, ფულ-ზე ცვლის, საფასურის აღებით გასცემს.

ი-ყიდ-ი-ს — ფულით იძენს, საფასურის მიცემით შეიძენს, მოიპოვებს.

„რა ვქნათ, შენი ქირიმე, მაზანდა ასეა, გაღის და ცყილით“ (რ. ერისთავი).

„ნაყმევი მამულს ვერ იყიდის“ (ილია).

„თხა ვიყიდე, თხა გავყიდე, სარგებელი ვერა ვნახეო“ (ანდაზა).

ღირსსაცნობია, რომ სხვა ენებში, მაგალითად, რუსულში, ამ მნიშვნელობათა განსასხვავებლად ორი სხვადასხვა ძირის ზმნაა გამოყენებული: ყიდის продаёт — იყიდის купит.

ამ მნიშვნელობებისათვის ფორმათა ასეთი განაწილება ქართულში სავსებით ბუნებრივია: ნეიტრალური ქცევის ფორმა გაცემას, გატანებას, გასაღებას აღნიშნავს, სათავისო ქცევისა კი — შეძენას, მოპოვებას.

ესაა ქართული ენის საერთო ტენდენციის კონკრეტული გამოვლინება. შდრ.: ამ თვალსაზრისით: ი-ძენ-ს, ი-ღებ-ს, ი-ნახ-ავ-ს, ი-ყვან-ს, ი-შოვ-ნ-ი-ს, ი-პოვ-ნ-ი-ს და სხვა.

ყიდ-ი-ს აწმყოა და მყოფადს, ჩვეულებრივ, გა- ან მი- ზმნისწინებით იკეთებს: გა-ყიდ-ი-ს, მი-ყიდ-ი-ს... ასეა სხვა სერიებშიც: გა-ყიდ-ა, გა-უ-ყიდ-ი-ა...

ი-ყიდ-ი-ს მყოფადია, აწმყოდ მიმღეობის ფუძიან წარმოებას იყენებს: ყიდულ-ობ-ს.

სასხვისო ქცევის უ-ყიდ-ი-ს ფორმა უზმნისწინოდ, როგორც წესი, ი-ყიდ-ი-ს ზმნას ესადაგება: უ-ყიდ-ი-ს ნიშნავს: „იყიდის მისთვის“. გა- ზმნისწინის პოვნიერებისას კი უკვე ყიდ-ის ზმნის სასხვისო ქცევას: გა-უ-ყიდ-ი-ს.

რაც შეეხება ვნებითს — ი-ყიდ-ებ-ა, იგი „ყიდის“ და „იყიდის“ ფორმას თანაბრად მოუღის: „იყიდება“ აღნიშნავს იმასაც, რასაც ყიდიან, და იმასაც, რასაც იყიდიან, რისი ყიდვაც შეიძლება.

მასდარში გარჩეულია უზმნისწინო და ზმნისწინიანი ფორმები:

ყიდ-ვ-ა — შეძენა რაიმე საფასურის გაცემით,
გა-ყიდ-ვ-ა — საფასურის აღებით რისამე გაცემა.

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ ეს მნიშვნელობები ფაქულტატიურად განსხვავდება მიმღეობის დონეზეც:

ნა-ყიდ-ი ისაა, რაც იყიდეს,
გა-ყიდ-ულ-ი კი ის, რაც გაყიდეს.

ეს მაშინ, როცა, ჩვეულებრივ, ნამყო დროის საობიექტო მიმღეობის -ილ||-ულ სუფიქსიანი და ნა- პრეფიქსიანი წარმოება ამ პრინციპით არ განასხვავებს მნიშვნელობებს; შდრ.: ნა-კეთ-ებ-ი და გა-კეთ-ებ-ულ-ი, ნა-ზარდ-ი და გა-ზარდ-ილ-ი, ნა-ხატ-ი და და-ხატ-ულ-ი...

* * *

ა-მეტ-ებ-ს — აჭარბებს, მეტს სჩადის. ი-მეტ-ებ-ს — არ ინდობს, არ ზოგავს, არ ენანება.

„მოპოვებულ მიღწევათა დახასიათებისას მომხსენებელი ოდნავადაც არ ამეტებდა“.

„ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისა შვილსა, მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ ჰყვარება“ (ილია). „ხუთ მანეთსაც ველარ იმეტებ“ (ა. ბელიაშვილი).

ა-მეტ-ებ-ს ფორმისთვის სავარაუდო ვნებით* მეტ-დ-ებ-ა არ იბო-ება.

ი-მეტ-ებ-ს ფორმას შეეფარდება ი-მეტ-ებ-ა და ე-მეტ-ებ-ა, შე-ეფარდება ოდენ სემანტიკურად, რადგან ფორმოზღერე, თავისი ყალიბის მიხედვით, მას სუფიქსით ნაწარმოები ვნებითის ფორმა უნდა ჰქონ-დეს. ესაა კარგად ცნობილი წესი ქართული ენისა.

ი-მეტ-ებ-ა, უპირატესად გა-ზმნისწინიანი, შესაძლებლობას გა-მოხატავს, პოტენციალისია: „ისეთია, გასაცემად არ გაიმეტება“.

ე-მეტ-ებ-ა („არ ენანება, არ ეზოგება, არ იშურებს“) ყალიბით ვნებითია, მაგრამ სემანტიკა სტატიკური ზმნისა აქვს და უღვლილები-თაც მას მიჰყვება: მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვეთები ეპოება: ემეტება, ემეტებოდა, ემეტებოდეს.

„დიდხანს ყოყმანობდა წერეთელი: მისი ნაერთგულარი ბაქარას შვილები დასაკარგავად არ ემეტებოდა“ (აკაკი).

იგივე ე-მეტ-ებ-ა შესაძლოა ა-მეტ-ებ-ს ზმნისაც ამოუდგეს სემან-ტიკურად გვერდით, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა მიჩნევას, განწყო-ბას გამოხატავს: ე-მეტ-ებ-ა „მეტად, ზედმეტად მიაჩნია, ეზედმეტე-ბა...“ ამ შემთხვევაში მას აწმყოს წრის გარდა, შესაძლოა, ჰქონდეს მეორე სერიის ფორმებიც: ე-მეტ-ა, ე-მეტ-ოს („მეტად, ზედმეტად მოეჩვენა, მოეჩვენოს“).

ა-მეტ-ებ-ს და ი-მეტ-ებ-ს ნეიტრალური და სასუბიექტო ქცევაა ფორმოზღერე ურთიერთის მიმართ, სემანტიკურად კი ორი დამოუკიდებ-ბელი ერთეულია.

სწორედ ესაა თანამედროვე ქართულისათვის ფაკულტატიური მოვლენა.

ამოსავალში როგორც ა-მეტ-ებ-ს, ასევე ი-მეტ-ებ-ს დაკავშირებუ-ლია მეტ-ი სახელის მნიშვნელობასთან. ამ სახელისგან ნაწარმოები ზმნების ბაზისური მნიშვნელობაა „მეტად, ზედმეტად აქცევს, გახ-დის || გაიხდის“, რაც შემდგომ ორ დამოუკიდებელ ლექსიკურ მნიშ-ვნელობად იქცა.

ის, რომ მნიშვნელობა „არ ინდობს, არ ზოგავს, არ ენანება, თავი-დან იცილებს...“ სწორედ ი-მეტ-ებ-ს ფორმას დაუკავშირდა, შეპირო-ბებულთა სემანტიკურად მასთან ახლო მდგომი ი-შორ-ებ-ს, ი-ცილ-

-ებ-ს ზმნების სტრუქტურით. ი-მეტ-ებ-ს არსებითად სემანტიკური ნაირსახეობაა, ფუნქციური ნიუანსია ი-შორ-ებ-ს, ი-ცილ-ებ-ს ზმნებისა.



ა-ცნ-ობ-ს — უცნობ ვისმეს ნაცნობად ხდის ვინმესთვის... უცნობ ვითარებაში არკვევს ვისმე, აგებინებს, ურკვევს.

ი-ცნ-ობ-ს — 1. ნაცნობობა აქვს ვინმესთან. 2. გაცნობილია რასმე. იცის რამე. 3. მიხვდება, გამოიცნობს. 4. გაეცნობა ვისმე.

„თავის მეგობარს აცნობს მშობლებს“. „საქმის ვითარებას აცნობს“.

„მე იმ დღიდან ვიცნობ ბეროს“ (გ. ლეონიძე). „მე სხვებზე უფრო კარგად ვიცნობ ჩემს შვილს“ (ე. ნინოშვილი). „მგელმა თქვა: ჩემს დამკვერ ძალს ერთი შეხედვით ვიცნობო“ (ანდაზა).

გარდა იმისა, რომ ფორმობრივ ქცევის მიხედვით შეპირისპირებული ზმნები სემანტიკურად სხვაობენ, რის გამოც მათი ურთიერთმიმართება ქცევებრივი ურთიერთობის ფარგლებს სცილდება, თავისებურება სხვადაა.

მნიშვნელობისათვის „ნაცნობობა აქვს... გაცნობილია რასმე“ ი-ცნ-ობ-ს ზმნა სტატიკურია და ამის გამო დეფექტური უღვლილების მქონე: მოუპოვება მხოლოდ აწმყოს წრის ფორმები: იცნობს, იცნობდა, იცნობდეს.

იგივე ი-ცნ-ობ-ს დინამიკურია, როცა გამოხატავს მნიშვნელობას: „მიხვდება... გაეცნობა ვისმე“: იცნობს, გამოიცნობს, გამოიცნო, გამოუცვნიას... იცნობს, გაიცნობს, გაიცნო, გაუცვნიას... თანაც „იცნობს“ აქ მყოფადია.

ვნებითი პრეფიქსიანია: ი-ცნ-ობ-ა, ე-ცნ-ობ-ა.
თავისებურება აქაცაა.

ი-ცნ-ობ-ა („ცნობა, გაცნობა შეიძლება“) შესაძლებლობას გამოხატავს, პოტენციალისია: „კაცი ისე არსად იცნობა, როგორც გზაში“ (აფორიზმი). საკუთრივ ვნებითის ფუნქციით იგი არ იხმარება. მისი ზმნისწინიანი ვარიანტი გა-ი-ცნ-ობ-ა იმავე დანიშნულებისაა და, მიუხედავად ზმნისწინის მქონებლობისა, ზოგად აწმყოს გამოხატავს (შდრ.: გა-ი-ცნ-ობ-ს, რომელიც მყოფადია). ამ ზმნათა ამგვარი მნიშვნელობაა მიზეზი იმისა, რომ მათ მხოლოდ აწმყოს წრე მოუპოვებათ.

ე-ცნ-ობ-ა ორი მნიშვნელობის გამომხატველია შესაბამის კონტექს-

ტეზი: 1. „ნაცნობად იხდის ვისმე, წარმოდგენას იღებს რისამე შესახებ“, 2. „ნაცნობად ეჩვენება, ნაცნობად მიაჩნია, ეცნაურება“.

პირველი მნიშვნელობით იგი ეთანაბრება როგორც ა-ცნ-ობ-ს, ასევე ი-ცნ-ობ-ს ზმნებს, კერძოდ, ი-ცნ-ობ-ს ზმნის მნიშვნელობას „ნაცნობობას დაამყარებს ვისმესთან, გაეცნობა“.

„სტუდენტები ეცნობიან ახალ მასალას“. „სტუდენტები ეცნობიან ახალ ლექტორს“.

მეორე მნიშვნელობით იგივე ზმნა ეთანაბრება ი-ცნ-ობ-ს ფორმას და ისიც მხოლოდ ასეთი მნიშვნელობისას: „ნაცნობობა აქვს ვინმესთან, გაეცნობილია რასმე“.

„რაღაც მეცნობა ეს კაცი“ (ა. ბელიაშვილი). „ის, რასაც კითხულობდა, თითქოს მეცნო“ (ილია).

სავსებით გარკვეული სემანტიკური მიზეზების გამო მეორე მნიშვნელობით გამოყენებული ე-ცნ-ობ-ა ზმნა დეფექტური უღვლილებობისაა, არ მოეპოვება მყოფადის წრე: ეს ზმნა განწყობას გამოხატავს, რომელიც შესაძლოა ვისმე ჰქონდეს აწმყოში (ე-ცნ-ობ-ა, ე-ცნ-ობ-ოდ-ე-ს), ან ჰქონოდა წარსულში (ე-ცნ-ობ-ოდ-ა, ე-ცნ-ო, ს-ცნ-ობ-ი-ა...), მაგრამ ენობრივად დაუშვებელი ხდება იმის აღნიშვნა, ეს განწყობა რეალურად ექნება თუ არა მას მომავალში, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვარაუდი, სურვილი ან შიში გამოიხატება: „ვითუ ეცნოს!“

რაც შეეხება ცნ-ობ-ს ზმნას, იგი „საშუალ“ ნაირსახეობად მოუღდის ზემოდასახელებულ ფორმებს და, მიუხედავად ზოგი სემანტიკური გადახრისა, არსებითად კანონიკური ფორმაწარმოების ფარგლებში რჩება...

* * *

ფორმობრივ (ს)-ძლევ-ს და ა-ძლევ-ს იმავე მიმართებას გვიმოწმებენ, რასაც: ხევ-ს — ა-ხევ-ს (მო-ა-ხევ-ს), სემანტიკური თვალსაზრისით კი აქაც არსებითი სხვაობაა:

ს-ძლევ-ს — ერევა, სჯობნის, აჯო- ა-ძლევ-ს — აწოდებს, განუკუთბებს, ამარცხებს. ვენებს, ატანს.

მტერს „თავგანწირულად ებრძოდნენ და კიდევცა სძლევდნენ“ (ი. გოგებაშვილი).

„ამხანაგს წიგნს აძლევს“. „წარჩინებული მუშაობისათვის ჯილდოს აძლევენ“...

ენებითის ფორმებია ი-ძლევ-ა და ე-ძლევ-ა.

ი-ძლევ-ა ზემოდასახელებულ ორივე ზმნას მოუდის ვნებითად, მნიშვნელობას კონტექსტი განასხვავებს:

„თუ იძლეოდნენ, მოასწრებდნენ სიმაგრეებს შეფარებოდნენ“ (ვ. ბარნოვი). „თუ იძლეოდნენ“ = „თუ დამარცხდებოდნენ“.

„ძველთესლის ყანა გემრიელსა და გამძლე პურს იძლევა“ (ი. გოგებაშვილი). „ჩამომესახლე და ჭირასაც აღარ იძლევი?“ (აკაკი).

ი-ძლევ-ა მეორე მნიშვნელობით მხოლოდ ფორმითაა ვნებითი, სემანტიკურად იგი აქტიური ზმნაა („იძლევა“ ნიშნავს „აძლევს“) და, მიუხედავად იმისა, რომ ი- პრეფიქსიანია, ორი პირის გაგებას შეიცავს, ორვალენტიანია: იძლევა ის მას.

ე-ძლევ-ა მხოლოდ ა-ძლევ-ს ზმნას ეთანაბრება სემანტიკურად, თუმცა გარკვეული სემანტიკური გადახრები ახასიათებს; აღნიშნავს: „აძლევენ, აწოდებენ, მის განკარგულებაში გადაღის; ენიჭება, მიეცემა (ფიქრს, საქმეს, ძილს, განცხრომას...)“.

„თუ აქლემს საკმარისი საქმელი ეძლევა, მაშინ კუზი მას მაღალი და გაჭიკნილი აქვს“ (ი. გოგებაშვილი).

„როცა თავს კლდის ყბაში დაიგულებდა, მაშინ-კი გული ეძლეოდა“ (თ. რაზიკაშვილი).

„თქვენ შემთხვევა გეძლევათ, რომ თავი გამოიჩინოთ ვაჟკაცობით“ (ა. ყაზბეგი).

„ხალხის განწყობილებას დიდი მნიშვნელობა ეძლევა“.

„ნადირნი დიდი სიცივის დროს ხანგრძლივ ძილს ეძლევიან“ (ი. გოგებაშვილი).

ს-ძლევ-ს და ა-ძლევ-ს, ორივე, ძალ-ი || ძალ-ა არსებითი სახელისგანაა ნაწარმოები და ეს ბაზისური სემანტიკა ორივე შემთხვევაში ილანდება. მაგრამ მნიშვნელობათა დაცილებამ არა მხოლოდ სემანტიკურად დააშორა ეს ორი ფორმა. ეს ჩანს თუნდაც მათი უღვლილებით: ს-ძლევ-ს უღვლილებისას ხმოვანმონაცვლე ზმნაა (ს-ძლევ-ს—ს-ძლი-ა), ა-ძლევ-ს ძირმონაცვლეა (ა-ძლევ-ს — მი-ს-ცემ-ს — მი-ს-ც-ა). უღვლილების ეს თავისებურება ვნებითშიც ვლინდება. ღირსსაცნობია: ზემოთ აღინიშნა, რომ ი-ძლევ-ა ორი მნიშვნელობის გამომხატველია, ვნებითად შეეთანაბრება როგორც ს-ძლევ-ს, ასევე ა-ძლევ-ს ზმნას. ეს კი განაპირობებს მის სხვადასხვანაირ უღვლილებას სხვადასხვა მნიშვნელობათა გამოხატვის დროს:

რა ხდება: ი-ძლევ-ა „მარცხდება“ ი-ძლევ-ა „აძლევს...“
 რა მოხდება: და-ი-ძლევ-ა მი-ს-ცემ-ს
 რა მოხდა: ი-ძლი-ა || და-ი-ძლი-ა მი-ს-ც-ა
 რა მომხდარა: ძლევულა მი-უ-ც-ი-ა...

პირველ შემთხვევაში უღვლილება კანონიკურია.

მეორე შემთხვევაში ვნებითს შეენაცვლება მოქმედებითის ფორმები, იგივე ფორმები, რომლებიც შესაბამის მოქმედებითს შეენაცვლებიან ხოლმე:

ა-ძლ-ევ-ს — მი-ს-ცემ-ს — მი-ს-ც-ა — მი-უ-ც-ი-ა...

შენიშვნა: ძველ ქართულში ს-ძლევ-ს ზმნა სხვა პრინციპით იუღლებოდა: ს-ძლევ-ს — ს-ძლ-ო „სძლია“; აქ -ევ თემის ნიშნადაა გაგებული. ა-ძლევ-ს ზმნასთან შედარებით არსებითი სხვაობა ამ შემთხვევაშიცაა...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ა-ძლევ-ს ზმნა შე- ზმნისწინის დართვისას იღებს მნიშვნელობას „სთავაზობს, შესთავაზებს...“ ამ დროს უღვლილებისას ძირის შენაცვლება არ ხდება: შე-ა-ძლევ-ს, შე-ა-ძლი-ა, შე-უ-ძლევ-ი-ა (ა. შანიძე, 1980, გვ. 511).

§ 69. ზემოხსენებული ფაკულტატიური მოვლენები ფორმათა ურთიერთმიმართების პრაქტიკულად ამოუწურავ ვარიაციულობას უქმნის საფუძველს ენაში.

მაგალითად, ა-ღ-ებ-ს და ი-ღ-ებ-ს ლექსიკურად უპირისპირდება ერთმანეთს, ხოლო, ერთი მხრივ, ა-ღ-ებ-ს და უ-ღ-ებ-ს, მეორე მხრივ, ი-ღ-ებ-ს და უ-ღ-ებ-ს უკვე საკუთრივ კუთვნილებითი, ქცევებრივი ურთიერთმიმართების დონეზეა შეთანაბრებული:

კარს აღებს — კარს უღებს
 ბილეთს იღებს — ბილეთს უღებს.

უ-ღ-ებ-ს ფორმას უფრო ფართო სემანტიკური სფერო აღმოაჩნდა (პოლისემანტიკური ზმნაა), იგი შესაძლოა შეუთანაბრდეს როგორც ა-ღ-ებ-ს, ასევე ი-ღ-ებ-ს ზმნებს სასხვისო ქცევის ფორმად:

ა-ღ-ებ-ს	უ-ღ-ებ-ს
ი-ღ-ებ-ს	

ა-ღ-ებ-ს — „ხსნის რასმე: დახურულს, დაკეტილს“, უ-ღ-ებ-ს — „აღებს მისას ან მისთვის“.

ი-ღ-ებ-ს — „ხელში იჭერს, ეუფლება რასმე, ითვისებს, ისაკუთრებს რასმე“, უ-ღ-ებ-ს — „იღებს მისას ან მისთვის“.

ზემოთ ი-ცნ-ობ-ს ფორმა იყო დასახელებული სემანტიკურად დაპირისპირებულ ა-ცნ-ობ-ს ფორმასთან.

თავად ი-ცნ-ობ-ს ფორმა ენაში შესაძლოა გამოყენებულ იქნეს როგორც სტატიკური („გაცნობილია, ნაცნობობა აქვს“), ასევე დინამიკური („მიხვდება, გაეცნობა“) ზმნის ფუნქციით. პირველ მნიშვნელობისათვის ი-ცნ-ობ-ს აწმყოა, მეორისათვის — მყოფადი: ი-ცნ-ობ-ს „გაცნობილია, იცის ახლა“, ი-ცნ-ობ-ს „მიხვდება, ნაცნობად მიიღებს მომავალში“. აქედან ამოსვლით — კიდევ ერთი თავისებურება: ორი გრამატიკული მნიშვნელობის მქონე ეს ერთი და იგივე ფორმა შესაძლოა უღვლილების ერთ პარადიგმაში მოხვდეს და ერთმანეთისაგან განიჩეს როგორც აწმყო და მყოფადი, ოღონდ აწმყო სტატიკური იქნება, მყოფადი — დინამიკური:

რა ხდება: ი-ცნ-ობ-ს „მისი ნაცნობია“

რა მოხდება: ი-ცნ-ობ-ს „მიხვდება, რომ მისი ნაცნობია“

რა მოხდა: ი-ცნ-ობ „მიხვდა, რომ მისი ნაცნობია“...

ან თუნდაც ის თავისებურებანი, რომლებიც ამ სისტემას ახასიათებს:

ა-ცლ-ი-ს — ი-ცლ-ი-ს — უ-ცლ-ი-ს (ა-ცალ-ა...).

ა-ცდ-ი-ს — ი-ცდ-ი-ს — უ-ცდ-ი-ს (ა-ცად-ა...).

„ცალ-“ და „ცად-“ ერთმანეთთან ვ. თოფურიაშვილმა დააკავშირა, რის საფუძველზეც გამოყო ძირი ც- და სუფიქსები -ალ, -ად (ვ. თოფურია, 1942 ა, გვ. 491).

ამჯერად ჩვენთვის ამ ორი რიგის ფორმათა სემანტიკური შეთანაბრებაა არსებითი.

ა-ცლ-ი-ს — 1. დროს აძლევს, ად-როვებს. 2. აძრობს, აშორებს, აცილებს. ა-ცდ-ი-ს — დროს აძლევს, ადროვებს, აცლის.

„სულის მოთქმას არ აცლის“. „რაკი ზედაპირს ააცილიდა, მერე ადვილი იყო ამოჩიჩქნა...“ (ვაჟა-ფშაველა). „ბავშვი ფრთხილად ააცალა და გამდელს გააყოლა“ (რ. გვეტაძე).

„სულის მოთქმას არ აცდის“. „არჩილმა აცადა“ (ილია).

„ცად-“ ფუძე ყოველთვის მოცდის, დალოდინების მნიშვნელობითაა გამოყენებული, მაგრამ ზუსტი ქცევებრივი მიმართება მაინც დარღვეულია: ა-ცდ-ი-ს ცალკე დგას, ი-ცდ-ი-ს „ელოდება“ ერთვალენტია (ნაცვლად იმისა, რომ ორვალენტიანი იყოს, როგორც ეს კანონიკური სათავისო ქცევის შემთხვევაში გვაქვს) და ამიტომაც არსებითად ნეიტრალური ქცევის სტატუსით ფუნქციონირებს. უ-ცდ-ი-ს საობიექტო ქცევაა ი-ცდ-ი-ს ფორმისა:

ი-ცდ-ი-ს — ელოდება: „იცადეს, იცადეს და, ბოლოს, რომ მოეწყინათ, გაუდგნენ გზას შინისკენ“ (აკაკი).

უ-ცდ-ი-ს — ელოდება ვისმე ან რასმე: „უცადეს, უცადეს და, ბოლოს, რომ მოსწყინდათ, შინ წავიდნენ“.

ლექსიკურად სავსებით განსხვავდება ცად- ძირიანი ფორმებისაგან ცდ-ი-ს: „1. მოქმედებს რისამე შესასრულებლად. 2. ამოწმებს, არკვევს ვისიმე ან რისამე ავკარგიანობას; ცოდნის შემოწმების მიზნით ეკითხება ვისმე, ვისიმე ცოდნას არკვევს“.

„ბელსა სცდის“. „ძიძიას შესტრფოდნენ ბევრნი... რამდენჯერმე მისი მოტაცებაც-კი სცადეს“ (ა. ყაზბეგი).

„ხუმრობ თუ მცდი?“ (ა. ცაგარელი).

ცალ- ფუძეს მხოლოდ მაშინ აქვს მოცდის, ლოდინის მნიშვნელობა, როცა ა- პრეფიქსითაა ნაწარმოები: „სულის მოთქმას აცდის“ იგივეა, რაც „სულის მოთქმას აცდის“.

ასე რომ, ა-ცდ-ი-ს და ა-ცლ-ი-ს შესაძლოა სემანტიკურად გაუთანაბრდნენ ერთმანეთს.

სულ სხვა ვითარებაა მაშინ, რომ ცალ- ფუძისგან ფორმები იწარმოება ი- და უ- პრეფიქსებით:

ი-ცლ-ი-ს — 1. დროს პოულობს, თავისუფალი დრო აქვს. 2. იცილებს, იშორებს, თავს აღწევს რასმე.

უ-ცლ-ი-ს — 1. ცლის მისას, უცარიელებს. 2. აშორებს, აცილებს მისას ან მასთან მყოფს.

„გაგი შინ მისასვლელად ვეღარ იცლიდა“ (ა. ყაზბეგი). „მთავრობა... ამოდენა მშვიერ-მწყურვალ, უბინაო, უმამულო ხალხს თავიდან იცლიდა“ (ილია). „ნაქურდალისგან ხელს იცლის“.

„ბინას დაუცლის“. „პატარა ყმაწვილები კვერცხებს ხშირად უცლი-
ან მწყურებს“ (ი. გოგებაშვილი).

ყველაფერმა ამან შექმნა თავისებური ვითარება.

ა-ცლ-ი-ს და ი-ცლ-ი-ს ფორმებს შორის არის მიმართება არა ქცე-
ვის, არამედ გვარის დონეზე: ი-ცლ-ი-ს „საშუალო“, სტატიკური ფორ-
მის ფუნქციის მქონეა. სამაგიეროდ, ქცევებრივი მიმართებაა ი-ცლ-ი-ს
და უ-ცლ-ი-ს ფორმებს შორის (როგორც ნეიტრალურსა და საობიექ-
ტოს შორის; შდრ.: წუხ-ს — უ-წუხ-ს).

ა-ცლ-ი-ს, მნიშვნელობით „ადროვებს“, ნეიტრალურ ქცევად მო-
უდის სათავისო ქცევის ფორმას ი-ცლ-ი-ს, როცა ეს უკანასკნელი გა-
მონხატავს მნიშვნელობას „დროს პოულობს, თავისუფალი დრო აქვს“.

იგივე ა-ცლ-ი-ს მაშინ, როცა გამოიხატება მნიშვნელობა „აშორებს,
(მო)აცილებს“, უკვე სათანაოა (კომიტატივია) და ამ სემანტიკურ დო-
ნეზე მიემართება ქცევის ფორმებს: სათავისოს ი-ცლ-ი-ს (მნიშვნელო-
ბით: „იშორებს, იცილებს“) და სასხვისოს უ-ცლ-ი-ს (როცა ეს ფორმა
გამონხატავს მნიშვნელობას „უშორებს, უცილებს“):

ბეწვს აცლის სახიდან
ბეწვს იცლის სახიდან
ბეწვს უცლის სახიდან.

ამათგან ა-ცლ-ი-ს და უ-ცლ-ი-ს თავისუფლად, მნიშვნელობის შე-
უცვლელად, შეიძლება შეენაცვლონ ერთმანეთს. ფორმათა სემანტიკურ
ნეიტრალიზაციასთან გვაქვს აქ საქმე; შდრ.: აჩვენ-ებ-ს და უჩვენ-
-ებ-ს — იდენტური მნიშვნელობის ფორმებია ლექსიკურადაც და გრა-
მატიკულადაც.

ი-ცლ-ი-ს და უ-ცლ-ი-ს ფორმები სათავისო და სასხვისო ქცევის
დონეზე მიემართებიან აგრეთვე ცლ-ი-ს ფორმას, რომლის მნიშვნელო-
ბაა „დააცარიელებს; გაათავისუფლებს რასმე იმისგან, რაც მასში არის“:

ცლ-ი-ს „აცარიელებს“
ი-ცლ-ი-ს „იცარიელებს“
უ-ცლ-ი-ს „უცარიელებს“.

ჩანთას დაცლის, ჩანთას დაიცლის, ჩანთას დაუცლის.

ამრიგად, იმის მიხედვით, თუ რა ლექსიკურ მნიშვნელობას გამოხა-

ტავს, ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა ფორმასთან შედის ქცევებრივ მიმართებაში.

გამოიხატება მნიშვნელობა „დროს აძლევს, აღროვებს“:

ა-ცლ-ი-ს — ი-ცლ-ი-ს

გამოიხატება მნიშვნელობა „აშორებს, (მო)აცილებს“.

ა-ცლ-ი-ს — ი-ცლ-ი-ს — უ-ცლ-ი-ს

გამოიხატება მნიშვნელობა „აცარიელებს“:

ცლ-ი-ს — ი-ცლ-ი-ს — უ-ცლ-ი-ს.

ყველაფერი ეს უშუალო შედეგია ქცევის ფორმათა ფაქულტატიური დანიშნულებით გამოყენებისა.

ის ფაქტი, რომ ენას უნარი შესწევს დაარღვიოს კანონიკური ფორმათწარმოების ფარგლები, მისსავე სიცოცხლისუნარიანობასა და სიძლიერეს მოასწავებს, რადგან ამ შემთხვევაში იგი თავიდან იცილებს ფორმათა გაქვავებასა და სემანტიკურ სიხისტეს.

ამ რიგის სემანტიკური გადახრები ენის შინაგანი პოტენციის გამოვლინებას წარმოადგენენ, მრავალფეროვნებასა და მოქნილობას ანიჭებენ ენას.

ეს შესაძლებლობანი უხვად აღმოაჩნდა ქართულში ქცევის კატეგორიას. ზემოთ მხოლოდ რამდენიმე ფორმა იყო დასახელებული ამის ნიმუშად, უფრო გავრცელებული და, ამის გამო, უფრო თვალშისაცემიც.

პირის ნიშანთა ფაკულტატიური დანიშნულებისათვის პართულში

§ 70. პირის ნიშანთა დანიშნულებაა გრამატიკული პირის აღნიშვნა. გამოიხატება მოსაუბრე, საუბრის ადრესატი ან საუბრის ობიექტი. ყველაფერი ეს კარგად არის ცნობილი.

ამჯერად ჩვენ მხოლოდ ის იშვიათი შემთხვევები გვინტერესებს, როცა პირის ნიშნები ლექსიკურ მნიშვნელობათა განსასხვავებლად გამოყენებული.

მიუხედავად იმისა, რომ პირის კატეგორია ერთ-ერთი სტაბილური ზმნური კატეგორიაა, ამ შემთხვევაშიც აღმოჩნდა შესაძლებელი მისი ფაკულტატიური გამოყენება სულ სხვა დანიშნულებით.

§ 71. ამ დროს არსებითი მნიშვნელობა ენიჭება ენის მფლობელის დამოკიდებულებას ენობრივი მოვლენებისადმი.

ამიტომაც ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ კ. გამსახურდიას ერთი მოსაზრება. საუბარია ერთ-ერთი ლექსის სათაურის შესახებ: „ამ ლექსის სათაური იყო „ყვავის გურია“ კი არა, „ყვავის გურია“. ამიტომ გურულები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამდნენ ჩემს წინაშე და მიმტკიცებდნენ, რომ გურია ყვავისა კი არ არისო, საქართველოსიაო“ (კ. გამსახურდია, 1965, გვ. 493). შემდეგ: უნდა იყოსო ჰქონდა, მიჰქრის... „მიჰქრის — ეს ხომ ღიმილის მომგვრელი სიტყვაა, ე. ი. მის წარმომთქმელს თავში უქრის... ჩანს — რა ქართულია? უცილოდ უნდა დაიწეროს სჩანს...“ (კ. გამსახურდია, 1967, გვ. 261).

წმინდა გრამატიკული პოზიციიდან უთუოდ მცდარ ამ მსჯელობაში ნათლადაა წარმოჩენილი ლექსიკურ და გრამატიკულ მნიშვნელობათა ფაკულტატიური განსხვავების ტენდენცია.

განმასხვავებელთა როლში პირის ნიშნები გამოდიან.

მი-ჰ-ქრ-ი-ს მესამე პირის ფორმაა, ერთვალენტიანი;

მ-ი-ქრ-ი-ს პირველი ობიექტური პირის ფორმაა, ორვალენტიანი.

მი- ელემენტი პირველ შემთხვევაში ზმნისწინია, მეორე შემთხვევაში — პირველი ობიექტური პირის მ- და ქცევისეული ი- პრეფიქსებისაგან შედგება.

იმის გამო, რომ მი- და მ-ი- გარეგნულად თანხვდება ერთმანეთს, განმასხვავებლის როლში მორფოლოგიურად სავსებით ზედმეტი ჰ- პირის ნიშანი გამოდის.

მი-ჰ-ქრ-ი-ს ერთვალენტიანი ზმნაა, ამიტომაც ორი პირის ნიშანი (ჰ- და -ს) მორფოლოგიურად ზედმეტია, ლექსიკურად კი — მეტყველის ენობრივი ალღოს მიხედვით — საჭირო აღმოჩნდა.

ანუ: მი-ჰ-ქრ-ი-ს ობიექტურად მცდარი ფორმაა, სუბიექტურად — გარკვეული გამართლება ეძებნება.

სხვა პირებში ლექსიკური სხვაობა ადვილად წარმოჩნდება:

მი-ვ-ქრ-ი-ვარ

(მ-ი-ქრ-ი-ს)

მი-ჰ-ქრ-ი-ხარ

გ-ი-ქრ-ი-ს

(მი-ქრ-ი-ს)

უ-ქრ-ი-ს.

„ყვავის“ გაიგება როგორც ყვავ-ი არსებითი სახელის ნათესაობითი ბრუნვის ფორმა: ყვავ-ის. ამიტომაც გასარჩევად გამოიყენება მორფოლოგიურად ზედმეტი ჰ- პირის ნიშანი: ჰ-ყვავ-ი-ს. ჰ- არსებითად მიანიშნებს ფორმის ზმნურობაზე, განსხვავებით სახელადი ყვავ-ის ფორმისა.

ასე რომ, ჰ- პრეფიქსს აქაც ლექსიკურ მნიშვნელობათა განმასხვავებლის დანიშნულება აკისრია.

სხვა პირებში გარჩევა ამ შემთხვევაშიც ადვილად ხერხდება: ვ-ყვავ-ი-ვარ, ჰ-ყვავ-ი-ხარ. რა თქმა უნდა, ეს ფორმები არასდროს დაემთხვევა სახელად ფორმებს.

ნიშანდობლივი ცდაა, ბოლომდე იქნეს გატარებული ფორმობრივი განსხვავება და ამ მიზნით სამივე პირში არსებითად ზედმეტი ელემენტებია გამოყენებული:

„ვარ“, „ხარ“ მეშველი ზმნები ზედმეტია, რადგან პირები ისედაც გარჩეულია ვ- და ჰ- (ან ნული) პირის ნიშნებით; ვ-ყვავ-ი, ჰყვავ-ი.

შესამე პირში კ- ზედმეტია, რადგან ზმნა ერთვალენტია და ორი პირის ნიშანი კი აღმოაჩნდება: კ- პრეფიქსი და -ს სუფიქსი (მი-კ-ქრ-ი-ს, კ-ყვაე-ი-ს).

ჩან-ს და ს-ჩან-ს შემთხვევაშიც ლექსიკურად დაპირისპირების ცდაა:

ჩან-ს — 1. შედგენილი შემასმენ- ს-ჩან-ს — 1. დანახვა შეიძლება, ლის ზმნური ნაწილი, მნიშვნე- . ხილული არის. 2. ირკვევა, ცხადი ლობით: „უნდა იყოს“ 2. ეტყობა, ხდება. სავარაუდოა.

„მხედრები დაქანცულნი ჩანდნენ“ (ყ. განაახურდია). „ჩანს, ბარ- შიაც თოვლი მოსულა...“ (შ. არაგვისპირელი).

...„თვალით ძლივსა ჩანან“ (ი. გოგებაშვილი). „ამ ოხუნჯობაში ჩან- და, რომ ის უბრალო ზალხის შვილი იყო“ (კ. ლომთათიძე).

ჩან-ს და ს-ჩან-ს ერთმანეთში ირევა. ეს ნათელი ხდება დასახელებული ნიმუშებითაც. გარდა ამისა, ზოგი ავტორი ს-ჩან-ს ფორმას იმ მნიშვნელობის გამოსახატავად იყენებს, რაც ზემოთ ჩან-ს ფორმის განმარტებაშია და, პირიქით, ჩან-ს ზმნით გამოხატავს მნიშვნელობას „დანახვა შეიძლება... ირკვევა, ცხადი ხდება“.

ყველაფერი ეს აშკარა მერყეობაზე მიანიშნებს.

მასთან ერთად კი იმის მანიშნებელიცაა, რომ ამგვარ გარჩევას არსებითად ენობრივ მოვლენათა სუბიექტური შეფასება უღევს საფუძვლად.

§ 72. ქართულში კიდევ დაიძებნება რამდენიმე შემთხვევა, როცა პირის ნიშნები ლექსიკურ მნიშვნელობათა განსასხვავებლად გამოყენებული.

თვლ-ი-ს — რისამე რაოდენობას ს-თვლ-ი-ს — მიაჩნია, ჰგონია. ჩა- არკვეს. ჩა-თვალ-ა ნიშნავს „მი- -ს-თვალ-ა ნიშნავს: „მიიჩნია“. ათვალა“.

ს- პრეფიქსი მორფოლოგიურად ზედმეტია. მისი პოვნეირება სუბიექტური ფაქტორით აიხსნება — ცდაა, ფორმოზრივდაც განსხვავდეს ლექსიკურად დაპირისპირებული ფორმები.

რაც შეეხება მაინცდამაინც ს-თვლ-ი-ს („მიაჩნია“) ფორმაში მის

გაჩენას, ამას საკუთრივ ენის მორფოლოგიურ წყობაში შეიძლება და-
ეძებნოს ახსნა.

საქმე ისაა, რომ ამ მნიშვნელობით გამოყენებულ ზმნას ობიექტუ-
რი წყობა ასეთი ექნება: მ-თვლ-ი-ს, გ-თვლ-ი-ს.

„ის მე თავის მეგობრად მთვლის“,

„ის შენ თავის მეგობრად გთვლის“.

აქედან — მესამე პირში: ს-თვლ-ი-ს.

„ის მას თავის მეგობრად სთვლის“.

პარადიგმა ფორმობრივ „ამოსწორდა“:

მ-თვლ-ი-ს

გ-თვლ-ი-ს

ს-თვლ-ი-ს.

ეს კი, თავის მხრივ, მოსახერხებელი აღმოჩნდა ლექსიკურად და-
პირისპირებულ ფორმათა გასარჩევად.

* * *

წევ-ს — პორიზონტალურ მდგო-
მარეობაშია, მთელი ტანით სიბრ-
ტყეზეა მოთავსებული (ცოცხალი
არსება); შდრ.: დევ-ს || ძევ-ს.

ს-წევ-ს — ეწევა, ექაჩება, ეზი-
დება, ძალისმიყენებით (გადა)აად-
გილებს.

„კამეჩი წევს და იცოხნის“ (ხალხური ლექსი).

„სპილო მძიმე რამეებს სწევს“ (ი. გოგებაშვილი).

ს-წევ-ს ფორმა ორვალენტია, გარდამავალი. ს- პრეფიქსი შე-
ნარჩუნებულია ლექსიკურ მნიშვნელობათა განსასხვავებლად. ეს ნიშა-
ნი თავს იჩენს პირველ პირშიც: ვ-ს-წევ. თუ რატომ, ამას თავისი მი-
ზეზი აქვს.

წევ-ს („პორიზონტალურ მდგომარეობაში“) და ს-წევ-ს („ეწევა,
ექაჩება...“) პირველი და მეორე პირის ფორმებში მეშველი ზმნის უქონ-
ლობა-მქონებლობითაა გარჩეული:

ვ-წევ-(ვ) არ

(ს)-წევ-ხარ

ვ-წევ

(ს)-წევ

მესამე პირში გვექნებოდა:

წევ-ს (ის)

წევ-ს (ის მას)

ფორმობრივ განურჩეველია.

ამის გამო მოხდა ასეთი შეპირისპირება: წევ-ს — ს-წევ-ს. უფრო ზუსტად: წევ-ს — სწევ-ს, რადგან აქ ს- პრეფიქსი გაიგება არა პირის ნიშნად, არამედ ფუძის შემადგენელ ელემენტად.

იმავდროულად (ს)წევ-ს, კონტექსტის მიხედვით, განარჩევს ორ ახლო მდგომ მნიშვნელობას, რომლებიც სხვა შემთხვევაში ზმნისწინებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან:

ს-წევ-ს — დადებულს ან დაბლა ს-წევ-ს — ეწევა, ექაჩება, ეზიდე-
მოთავსებულს აიღებს, ზევითკენ ბა, ადგილს უნაცვლებს.
წაიღებს, ქვევიდან ზევით გადა-
აადგილებს.

პირველი მნიშვნელობისათვის ა(ღ)- ზმნისწინი გამოიყენება, მეორე მნიშვნელობისათვის — მი-, მო-, გა-, გამო-...

„ქედს მალლა ავწევდი და ასე წელმოწყვეტილი არ ვიქნებოდი“ (ვაჟა-ფშაველა).

„...მოიმარჯვა მშვილდი, გაუდო ისარი და მოსწია ლარსა“ (ვაჟა-ფშაველა).

სწორედ ამ მნიშვნელობათა განსხვავება ხდება ფაკულტატიურად ს- ელემენტის უქონლობა-მქონებლობით:

ვ-წევ — „დადებულს ვიღებ, დადებული ზევითკენ ამაქვს“.

ვ-ს-წევ — „ვეწევი, ვეზიდები, ადგილს ვუნაცვლებ“.

ასე რომ, მივიღეთ სამი პარადიგმა:

ვ-წევ-(ვ)არ	ვ-წევ	ვ-ს-წევ
(ს)-წევ-ხარ	ს-წევ	ს-(ს)-წევ
წევ-ს	სწევ-ს	სწევ-ს.

ვ-წევ → ა-ვ-წევ;

ვ-ს-წევ → მო-ვ-ს-წევ, მი-ვ-ს-წევ, გა-ვ-ვ-ს-წევ...

თუმცა ზმნისწინის პოზიტივებისას ს- შეიძლება არც გამოიყენებოდეს: მნიშვნელობები ისედაც გარჩეულია ზმნისწინის საშუალებით.

შენიშვნა: ამ შემთხვევაში ს- პრეფიქსის შენარჩუნებას უთუოდ იმანაც შეუწყო ხელი, რომ ს-წევს- ზოგჯერ შესაძლოა სამვალენტიანიც იყოს: „კაბას სწევდა პატარა ფეფე დედას და საცოდავად ელრიგებოდა“ (ე. გაბაშვილი). „ბედსა სწევს“. „ღმერთო ძლიერო, ჩვენი სამშობლოს მტერს ჩავგვრისათვის მოსწიე რისხვა“ (გ. წერეთელი).

§ 73. ზემოთ, ზმნისწინთა ძველ და ახალ სახეობათა ფაკულტატიური დანიშნულების რკვევისას, დასახლებული იყო ალ-დგ-ა და ა-დგ-ა ფორმათა სემანტიკური დაპირისპირების ფაქტიც.

თავის მხრივ, ალ-დგ-ა დაუკავშირდა ორ მნიშვნელობას:

ა) „მკვდრეთით აღდგომა, გაცოცხლება“,

ბ) „აღდგენა“.

ენამ აქაც სცადა სხვაობის დამყარება და ეს დანიშნულება მორფოლოგიურად ზედმეტ ს- პირის ნიშანს დააქისრა:

„ალ-ს-დგ-ა მკვდრეთით“,

მაგრამ:

„ალ-დგ-ა თავის უფლებებში“.

„როცა, სატრფოვ, ტანჯულთ ცრემლი
ვარდს აესხმის მარგალიტად,
მაშინ მითხარ — „ქრისტე აღსდგა“,
მაშინ გეტყვი — „ჰეშმარიტად!“
(ი. გრიშაშვილი).

ან: „მსურს შენი კოცნით აღვსდგე მკვდრეთით, ავმალღდე ცამდე“ (ი. გრიშაშვილი). „ისევ აღვსდექი! მუხრანის ბოლოს ჩასაფრებულნი ვსინჯავ იარაღს“ (გ. ლეონიძე). შდრ.: „საქართველო ათაჯერ დაცემულა, მაგრამ მაინც ისევ აღმდგარა“ (ჯეჟა-ფშაველა).

იმავედროულად შეიძლება შეგვხვდეს როგორც „დანგრეული ქალაქი აღდგა“, ასევე: „დანგრეული ქალაქი აღსდგა“.

მეორე შემთხვევაში მეტაფორული გამოთქმბა, მკვდრეთით აღდგომა იგულისხმება.

პირველ კონსტრუქციაში კი — ვინმეს მიერ დანგრეული ქალაქის აღდგენა.

§ 74. დადასტურდა ისეთი შემთხვევაც, როცა ლექსიკურ მნიშვნელობათა გარჩევის უნარი აღმოაჩნდა პირის ნიშნის პოზიციას. კერ-

ძოდ, რა ადგილს იკავებს პირის ნიშანი: მოსდევს, როგორც წესია, ზმნისწინს, თუ მის წინაა გადასმული:

ჩა-ვ-დი-ვარ

ჩა-დი-ხარ

ჩა-დი-ს

ვ-ჩად-ი-ვარ

ს-ჩადი-ხარ

ს-ჩადი-ს.

მეორე შემთხვევაში ზმნისწინი ფუძისეულ ელემენტადაა გააზრებული.

ჩა-დი-ს — ზევიდან ქვევით მი- ს-ჩადი-ს — აკეთებს, შერება, იქმს დის, მიემართება. რასმე.

„თავდაღმართში ჩადიოდა ურემი“ (შ. არაგვისპირელი).

„მაგან იცის, რომ ჩვენი მოკვლით ვერაფერს ირგებს და ცოდვას-კი დიდსა სჩადის“ (ვაჟა-ფშაველა).

შდრ.: ფორმობრივ ანალოგიური ვითარება: აღ-ვ-იარ-ებ და ვ-აღ-იარ-ებ, რომელსაც თან არ სდევს რაიმე სემანტიკური სხვაობა.

§ 75. ამრიგად, პირის ნიშნის მორფოლოგიურად უმართებულო გამოყენება ანდა მისი პოზიცია ზმნისწინთან მიმართებაში გააზრებულ იქნა როგორც ლექსიკურ მნიშვნელობათა განსხვავების შესაძლებლობა.

ბუნებრივია, ეს ფაქტიც მნიშვნელობათა გამოხატვის ფაქულტატიურ საშუალებათა რიგს განეკუთვნება.

თ ა ვ ი VIII

ზმნურ ფუძეთა წარმოების ფაკულტატიური გამოყენებისათვის ქართულში

§ 76. თემის ნიშანი არის ის ფორმანტი, რომელიც აწარმოებს პირველი სერიის საყრდენ ფუძეს: მალ- → მალ-ავ, ა-კეთ- → ა-კეთ-ებ, დეგ- → დგ-ამ და ა. შ.

ქართულში (როგორც სალიტერატურო ენაში, ასევე დიალექტებში) ხშირად ხდება თემის ნიშანთა მონაცვლეობა. ეს ფაქტი მით უფრო თვალშისაცემია, თუკი სხვადასხვა დიალექტის მონაცემებს შევეუდარებთ სალიტერატურო ენას.

ჩვეულებრივ, ასეთ მონაცვლეობას რაიმე სემანტიკური ცვლილება თან არ ახლავს:

ა-კეთ-ებ-ს :	ა-კეთ-ამ-ს :	ა-კეთ-ან-ს
მალ-ავ-ს :	მალ-ამ-ს :	მალ-ან-ს
მარგლ-ავ-ს :	მარგლ-ამ-ს :	მარგლ-ი-ს
ა-პირ-ებ-ს :	ა-პირ-ობ-ს...	

სხვა ვითარებაა მაშინ, როცა თემის ნიშანთა ცვლა ზმნური ფუძის წარმოების განსხვავებულ პრინციპებთანაა დაკავშირებული.

მაგალითად, შხამ-ი არსებითი სახელისაგან შესაძლოა იწარმოოს ორი განსხვავებული სტრუქტურის ზმნა:

$$\text{შხამ-ი} \rightarrow \begin{cases} \text{შხამ-ავ-ს} \\ \text{ა-შხამ-ებ-ს} \end{cases}$$

შხამ-ავ ფორმის სტრუქტურაა : ძირი + თემის ნიშანი,

ა-შხამ-ებ ფორმისა — ა + ძირი + თემის ნიშანი.

ეს სტრუქტურები ფუნქციონირებენ პირველ სერიაში.

მეორე სერიაში გვექნება:

მო-შხამ-ე: ზმნისწინი + ძირი + -ე (I და II პირში),

ჩა-ა-შხამ-ე: ზმნისწინი + ა- + ძირი + -ე (I და II პირში).

ასე რომ, მეორე სერიაში ამ ორ სტრუქტურას შორის სხვაობას არსებითად ა-პრეფიქსის უქონლობა-მქონებლობა ქმნის.

განსხვავებულ სტრუქტურებს განსხვავებულ გრამატიკულ მნიშვნელობათა გამოხატვა აკისრია:

· შხამ-ავ-ს — „შხამით მოქმედებს, შხამით წამლავს“ — ქურვილობაა, ინსტრუმენტატივია.

ა-შხამ-ებ-ს — „შხამად უქცევს“ — გარდაქცევითობაა.

ამდენად, ამ შემთხვევაში ინსტრუმენტატივისა და გარდაქცევითობის გრამატიკული მნიშვნელობები განსხვავდა.

შემდეგ:

წუხ-ს, ფიქრ-ობ-ს სტატიკაა,

ა-წუხ-ებ-ს, ა-ფიქრ-ებ-ს — დინამიკა.

აქ უკვე სტატიკური და დინამიკური ფორმები განასხვავა ნაირგვარმა მორფოლოგიურმა სტრუქტურამ.

ფორმობრივ და სემანტიკურ სხვაობას ქმნიან შესაბამისი ვნებითის ყალიბებიც:

ინსტრუმენტატივი: შხამ-ავ-ს → ი-შხამ-ებ-ა,

გარდაქცევითობა: ა-შხამ-ებ-ს → შხამ-დ-ებ-ა.

მოქმედებითისა და ვნებითის სემანტიკური მახასიათებლები ზედმიწევნით ანალოგიურია..

შემდეგ:

ბრუნ-ავ-ს — (არა აქვს) : სტატიკა,

ა-ბრუნ-ებ-ს — ბრუნ-დ-ებ-ა : დინამიკა.

(იგივე ვითარებაა ფიქრ-ობ-ს, ა-ფიქრ-ებ-ს — ფიქრ-დ-ებ-ა, წუხ-ს, ა-წუხ-ებ-ს — წუხ-დ-ებ-ა მიმართებების დროსაც).

ფორმობრივი მიმართებით ბრუნ-ავ-ს — ა-ბრუნ-ებ-ს იგივეა, რაც შხამ-ავ-ს — ა-შხამ-ებ-ს, მაგრამ სემანტიკურად ამ ორ მიმართებას შორის არსებითი სხვაობაა.

ამიტომაცაა ვნებითის ფორმებთან სავსებით განსხვავებული მიმართება რომ გვაქვს ამ შემთხვევაში: ბრუნ-ავ-ს უვნებითოდაა წარმოდგენილი.

გრაზტიკულმა მნიშვნელობამ განსაზღვრა ფორმათწარმოების განსხვავებული ტიპი.

ყველაფერი ეს თემის ნიშანთა განაწილებისა და ზმნურ ფუძეთა წარმოების ძირითადი წესის ფარგლებს განეკუთვნება სალიტერატურო ენაშიც და დიალექტებშიც.

იმავდროულად რამდენიმე შემთხვევაში განსხვავებული ვითარებაა დამოწმებული.

§ 77. უბირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს თემის ნიშნების შენაცვლებით ლექსიკურ მნიშვნელობათა განსხვავების ფაქტი.

ამჯერად არ ვეხებით იმას, იყო თუ არა ისტორიულად ეს მოვლენა ქართული ენის მოქმედი წესი.

ის კი აშკარაა, რომ ფაქტობრივ, დამოწმებული ძეგლების მიხედვით, თემის ნიშანთა მონაცვლეობის საფუძველზე ლექსიკურ მნიშვნელობათა დაპირისპირება ფაქულტატიური საშუალებაა მხოლოდ.

დავასახელებთ ნიმუშებს.

წამალ-ი — 1. გარკვეული წესით (საგანგებო რეცეპტით) დამზადებული სამკურნალო საშუალება (დასალევი, წასაცხები...), მედიკამენტი. 2. საწამლავი. 3. საღებავი. 4. თოფის ტყვია.

„ზოგიერთი აბები, თუ ცოტას ყლაპავთ, წამალია, თუ ბევრს — საწამლაია“ (ილია).

„დედავ, გამიშვი, ქალაქში წავალ, წამალს ვიყიდი, თავს მოვიწამლავ“ (ხალხური ზღაპარი).

„შემოდგომის უჩინარ მხატვარს ნაირნაირი წამლებით მოუჩითავს უკრაინის გულუხვი მიწის მკერიდი“ (ე. გამსახურდია).

„ტოროლას მაინც არ მოვკლავ, ბევრიც რომ აქონდეს წამალი“ (ხალხური ლექსი).

დასახელებულ მნიშვნელობათაგან ზმნურ სისტემაში ფუნქციონირებს ორი — „სამკურნალო საშუალება“ და „საწამლაი“.

სწორედ ამ მნიშვნელობათა გასარჩევადაა გამოყენებული სხვადასხვა თემის ნიშანი:

წამალ-ავ-ს — 1. საწამლავით კლავს, მომაკვდინებლად მოქმედებს. 2. ამწარებს, ძლიერ ტანჯავს. 3. წამალს ასხურებს მცენარეს მავნებლების მოსასპობად.

წამალ-ობ-ს — მკურნალობს, წამლით ჯანმრთელობას აღუდგენს.

„გველის შხამი ყმაწვილებს უფრო ძლიერ წამლავს, ვიდრე დიდებ-სა“ (ი. გოგებაშვილი). „აშკარა იყო, რომ მის სულსა და გულში ზადი რამ უნდა დარჩენილიყო, რომელიც წამლავდა ონისეს არსებას“ (ა. ყაზბეგი). „ჩემი ჯიში არ იგუებს არადროს შაბიამნის და გოგირდის წვენს, რითაც ვენახებს წამლავენ“ (ვაჟა-ფშაველა).

„რატომ არა წამლობ, ავადმყოფი ხარ...“ (ე. გაბაშვილი). „ის ცხო-ნებული უფრო კარგად გვწამლობდა“ (ნ. ლომოური).

შ ე ნ ი შ ვ ნ ა : საცნაურია ამ მხრივ წამალ-ი სიტყვის მნიშვნე-ლობათა განსასხვავებლად ორი ფორმის გამოყენება: საკუთრივ წამალ-ი „სამკურნალო საშუალება, მედიკამენტი“ და ნაზმნარი ფორმა, საობიექტო მიმღეობა მყოფადი დროისა, გასუბსტანტი-ვებული: სა-წამალ-ავ-ი „შხამი“.

მნიშვნელობათა ის სხვაობა, რომელიც აწმყოს წრეში სხვადასხვა თემის ნიშნის (-ავ და -ობ) გამოყენებით მიიღწევა, დანარჩენ პარადიგ-მებში გარჩევის სხვაგვარ საშუალებას მიძარტავს. კერძოდ, გამოიყე-ნება უღვლილების ორი განსხვავებული პრინციპი: წამლ-ავ-ს დინამი-კურ ზმნათა სისტემას იმეორებს, წამლ-ობ-ს — სტატიკურისას (მიპ-ყვება მკურნალ-ობ-ს, ექიმ-ობ-ს ზმნათა უღვლილების წესს):

რა ხდება:	წამლ-ავ-ს	(ს)-წამლ-ობ-ს
რა მოხდება:	მო-წამლ-ავ-ს	უ-წამლ-ებ-ს
რა მოხდა:	მო-წამლ-ა	უ-წამლ-ა
რა მომხდარა:	მო-უ-წამლ-ავ-ს	უ-წამლ-ი-ა

|| მო-უ-წამლ-ია

წამლ-ავ-ს მოქმედებითა და თავისი ვნებითი მოეპოვება: ი-წამლ-ებ-ა.

წამლ-ობ-ს „საშუალ“ (სტატიკურ) ფორმათა რიგში დგება. არა აქვს არც მოქმედებითი და არც ვნებითი. აქტიურ სემანტიკას არსებითად თვით წამლ-ობ-ს ფორმა გამოხატავს.

მასდარი: მო-წამლ-ვ-ა — წამლ-ობ-ა.

მიმღეობის ფორმები მო-მ-წამლ-ვ-ელ-ი, → მო-მ-წამლ-ელ-ი, მო-ს-წამლ-ი || მო-ს-წამლ-ავ-ი, მო-წამლ-ულ-ი, მო-წამლ-ი სემანტი-კურად დაკავშირებულია წამლ-ავ-ს ზმნასთან.

წამლ-ობ-ს ფორმისგან მიმღეობა არ იწარმოება. სემანტიკური შემკვლეულია მ-კურნ-ალ-ი, სა-მკურნ-ალ-ო, ნა-მკურნალ-ევი-ი..., რომლე-ხიც კურნ-ავ-ს ზმნისგან ან მკურნალ-ი მიმღეობისგანაა ნაწარმოები.



მართ-ავ-ს — 1. წესრიგში მოკ-ყავს, აწესრიგებს. 2. იწყებს, აჩა-ლებს... 3. ხელმძღვანელობს, გა-ნაგებს...

(3)-მართ-ებ-ს — სესხად აქვს აღ-ებული, ვალად ადევს. მოვალეა, ვალდებულია.

„ზოგი ურემს მართავს“ (ი. გოგებაშვილი). „ხოშისა გამოჰქონდა ქმრის ლოგინი გარეთ და ტირილს მართავდა“ (ვაჟა-ფშაველა). „ბანკს მართავდა მთავრობისაგან დანიშნული სამი კაცი“ (ილია).

„შენ ქმარსა მართებს ჩემი ხუთი თუმანი“ (ს. მგალობლიშვილი). „მეც კაცი ვარ, შენც კაცი ხარ, ერთმანეთის პატივისცემა გვმართებს“ (ილია).

ძირია მართ-, იგივე, რაც მართ-ალ-ი ფორმაში გამოიყოფა.

განსხვავება ხდება არა მხოლოდ ლექსიკურად, არამედ გრამატიკული მნიშვნელობის მიხედვითაც, როგორც დინამიკური და სტატიკური ფორმებისა, რაც ვლინდება მათი უღვლილებითაც:

რა ხდება:	მართ-ავ-ს	(3)-მართ-ებ-ს
რა ხდებოდა:	მართ-ავ-დ-ა	(3)-მართ-ებ-დ-ა
რა ხდებოდეს:	მართ-ავ-დ-ე-ს	(3)-მართ-ებ-დ-ე-ს
რა მოხდება:	წარ-მართ-ავ-ს	ე-მართ-ებ-ა
რა მოხდა:	წარ-მართ-ა	ე-მართ-ა
რა მომხდარა:	წარ-უ-მართ-ავ-ს	3-მართ-ებ-ი-ა.

მართ-ავ-ს ზმნის ვნებითია ი-მართ-ებ-ა.

3-მართ-ებ-ს „ვალად აქვს“ სტატიკურია, მაგრამ ამ ლექსიკური მნიშვნელობისათვის არც მოქმედებითი აქვს და არც ვნებითი.

იმავედროულად არსებობს იმავე ფუძისგან და- ზმნისწინით ნაწარმოები და-3-მართ-ებ-ს, ლექსიკურად სრულიად განსხვავებული („შე-ამთხვევს, უზამს, შეჰყრის რასმე“), რომელსაც თავისი ვნებითი მოეპოვება: (და)-ე-მართ-ებ-ა.

ნიშანდობლივია: თუმცა მართ-ებ-ს და და-მართ-ებ-ს თავიანთი

სტრუქტურით აბსოლუტურად იდენტური ზმნებია, განსხვავებული ლექსიკური და გრამატიკული მნიშვნელობების გამო საესეზით განსხვავებულად იუღლებიან:

რა ხდება:	(3)-მართ-ებ-ს	
რა მოხდება:	ე-მართ-ებ-ა	და-მართ-ებ-ს
რა მოხდა:	ე-მართ-ა	და-მართ-ა
რა მომხდარა:	ჰ-მართ-ებ-ი-ა	და-უ-მართ-ებ-ი-ა.

ღირსსაცნობია (3)-მართ-ებ-ს და და-ე-მართ-ებ-ა ფორმათა ურთიერთობა უღვლილების თვალსაზრისით:

რა ხდება:	(3)-მართ-ებ-ს	ე-მართ-ებ-ა
რა მოხდება:	ე-მართ-ებ-ა	და-ე-მართ-ებ-ა
რა მოხდა:	ე-მართ-ა	და-ე-მართ-ა
რა მომხდარა:	ჰ-მართ-ებ-ი-ა	და-ჰ-მართ-ებ-ი-ა.

ანუ: ე-მართ-ებ-ა კონტექსტის მიხედვით ან (3)-მართ-ებ-ს ზმნის მყოფადია, ან და-ე-მართ-ებ-ა ზმნის აწმყო. ანალოგიისათვის შდრ.:

რა ხდება:	ღულს	ი-ღულ-ებ-ს
რა მოხდება:	ი-ღულ-ებ-ს	მო-იღულ-ებ-ს
რა მოხდა:	ი-ღულ-ა	მო-ი-ღულ-ა
რა მომხდარა:	უ-ღულ-ი-ა	მო-უ-ღულ-ებ-ი-ა.

მასდარი მართ-ავ-ს ზმნისა არის მართ-ვ-ა.

(3)-მართ-ებ-ს ზმნას მასდარი არა აქვს.

და-მართ-ებ-ს ზმნის მასდარად ივარაუდება და-მართ-ებ-ა, რაც იშვიათი ხმარებისაა.

მართ-ავ-ს ზმნის მიმღეობური ფორმები შეუზღუდავად იწარმოება: წარ-მ-მართ-ვ-ელ-ი, გამ-მართ-ვ-ელ-ი, სა-მართ-ავ-ი, მართ-ულ-ი... (3)-მართ-ებ-ს ზმნისგან მიმღეობები არ იპოება.

და-მართ-ებ-ს ზმნისგან მიმღეობათა წარმოება იზღუდება: მოიპოვება ოდენ საობიექტო მიმღეობები: და-სა-მართ-ებ-ი, და-სა-მართ-ებ-ელ-ი, და-მართ-ებ-ულ-ი...

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: და-მართ-ებ-ს ფორმას შეიძლება შეენაცვლოს და-მართ-ავ-ს: „რასაც თავის თავს ცუდს დამართავს თვითარჩული კაცი, მისთვის ახია, — ჰკუას ისწავლის, მეორედ არ იქმს“

(ი. მაჩაბლისეული თარგმანი). და-მართ-ებ-ს და და-მართ-ავ-ს ფორმებში თემის ნიშანთა იმ რიგის მონაცვლეობაა, რასაც მნიშვნელობის ცვლა თან არა სდევს. ფაქტი დიალექტურია.

* * *

ა-ხლ-ი-ს — 1. რასმე ესერის. ა-ხლ-ებ-ს—აკარებს, ახებს (ხელს, პირს).
2. ახეთქებს, არტყამს.

„ქვას ახლის“. „თავს იქით-აქეთ აწყვეტდნენ, ახლიდნენ ქვასა და ხესა“ (დ. გურამიშვილი).

„ჩიტის ბუდეს ხელს ნუ ახლებ!“ (ი. გრიშაშვილი).

იპოება აგრეთვე ა-ხლ-ავ-ს ფორმაც: „თან დაპყვება, ვინმესთან არის“.

„თუ თავი შენი შენ გახლავს, ლარიბად არ იხსენები“ („ვეფხისტყაოსანი“).

ზემოგანხილულთაგან განსხვავებით ა-ხლ-ი-ს, ა-ხლ-ებ-ს, ა-ხლ-ავ-ს ფორმებში პოზიტიური ხლ- ფუძე, როგორც ჩანს, სხვადასხვა წარმომავლობისაა (იხ. § 81), ოღონდ ამჯერად ის იქცევა ყურადღებას, რომ საკუთრივ აწმყოსა და მასზე დაფუძნებულ ნაკვეთებში ამ ზმნებს შორის სხვაობის გამოხატვა თემის ნიშნებს, ანუ: აწმყოს ფუძის ნაირგვარ წარმოებას აკისრია.

განსხვავებულია მყოფადის წარმოებაც.

სხვაობა, უკვე სულ სხვა პრინციპით, თავს იჩენს მეორე სერიაშიც.

არსებითია ის ფაქტი, რომ ა-ხლ-ავ-ს ფორმაში ა- ფუძისეულად გაიგება. ამიტომაც გვაქვს ე-ახლ-ებ-ა, თუმცა მასდარში ეს პრეფიქსი უკვე აღარ ჩანს: ხლ-ებ-ა, თან-ხლ-ებ-ა, ა- ელემენტის ფუძისეულად გააზრება შემთხვევითი არ უნდა იყოს: ა-ხლ-ავ-ს ნაწარმოები ჩანს ახლ-ო (შდრ.: ახალ-ი) ზმნიზედისაგან. თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ თვით ახლ-ო ფორმაში იყოს ა- ფუძეს მიხორცებული პრეფიქსი. ზმნიზედებში მართლაც გვაქვს ამ რიგის პრეფიქსები: ა-ქ, ი-ქ... მაგრამ ჭერჯერობით ყველაფერი ეს მხოლოდ ვარაუდია...

შემდეგ: ა-ხლ-ებ-ს ოდენ კონტექსტით განასხვავებს აწმყოსა და მყოფადს. მეორე სერიაში, პირველ და მეორე პირში აღუდგება ფუძისეული ე- ხმოვანი, თუმცა პარალელური წარმოებაცა აქვს, -ე სუ-

ფიქსიანი და მაშინ ფუძე შეკუმშულადაა წარმოდგენილი: ვ-ა-ხელ || ვ-ა-ხლ-ე.

ა-ხლ-ი-ს ზმნა მეორე სერიაში ფუძეს ა- გახმოვანებით აღიდგენს: და-ა-ხალ-ა.

ა-ნლ-ავ-ს ფორმა ფუძეს იცვლის, ვნებითის ყალიბს იყენებს. მეორე სერიაში პარალელური ფორმები აქვს — ე- პრეფიქსიანი და -დ სუფიქსიანი.

სქემაზე ზემოთქმული ასეთი სახით წარმოვიღებთ:

რა ხდება:	ა-ხლ-ი-ს	ა-ხლ-ებ-ს	ა-ხლ-ავ-ს
რა მოხდება:	და-ა-ხლ-ი-ს	ა-ხლ-ებ-ს	ე-ახლ-ებ-ა
რა მოხდა:	და-ა-ხალ-ა	ა-ხლ-ო	ე-ახლ-ა ახლ-დ-ა
რა მომხდარა:	და-უ-ხლ-ი-ა	უ-ხლ-ი-ა	ჰ-ხლ-ებ-ი-ა.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: ე-ახლ-ებ-ა შეიძლება დინამიკური ზმნის ფუნქციითაც იქნეს გამოყენებული და მაშინ იგი ზმნისწინსაც იგულებს: მი-ე-ახლ-ებ-ა, მი-ე-ახლ-ა...

* * *

ყურადღებას იქცევს ასეთი მიმართებაც:

ა-ცხ-ებ-ს — ზედ უსვამს, სცხებს. ა-ცხ-ობ-ს — პურეულის ცომს გახურებულ რამეში ან რამეზე (ღუმელში, ტაფაზე...) ათავსებს, შუშავს და საკმელად გამოსადეგს ხდის.

„ჭრილობაზე წამალს აცხებს“.

„ორი დედაკაცი იდგა და აცხობდა პურსა“ (თ. რაზიკაშვილი).

მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში სხვაობას მხოლოდ თემის ნიშნები ქმნიან, შესაბამისი ვნებითები ნათელს ხდიან, რომ არსებითად ორ სხვადასხვა ფუძესთან გვაქვს საქმე:

ა-ცხ-ებ-ს → ე-ცხ-ებ-ა, ფუძე: ცხ-,

ა-ცხ-ობ-ს ← ცხვ-ებ-ა, ფუძე: ცხვ-.

ამასვე ადასტურებს ა-ცხ-ებ-ს და ა-ცხ-ობ-ს ფორმათა ნამყო ძირითადის ფორმა: წა-ე-ა-ცხ-ე, მაგრამ: გამო-ე-ა-ცხვ-ე.

არაა გამორიცხული, რომ ა-ცხ-ობ-ს ← ა-ცხ-ებ-ს, ვე:ო მონაცვ-
ლებით, როგორც ეს ივარაუდება კიდევ სპეციალურ ლიტერატურა-
ში. მით უმეტეს, რომ დიალექტებში იმავე ცვლილების საფუძველზე
ცხვ-ებ-ა ფორმისაგან ვიღებთ ცხობ-ა ფორმას: „პური ცხობა“.

შენიშვნა: საბოლოოდ საკითხი, რა თქმა უნდა, ასე მარტი-
ვად ვერ გადაწყდება. ცხ-ელ-ი, სი-ცხ-ე, და-ცხ-ებ-ა ფორმები,
ჩანს, ცხ- ძირისგანაა ნაწარმოები. იმავედროულად გვაქვს ცხვ-
-ებ-ა, სადაც ძირია ცხვ-. სემანტიკურად ეს ფორმები ადვილად
უკავშირდება ერთმანეთს. საკითხი მათი ფორმოზოგიური მიმართუ-
ბაა. ცხ- და ცხვ-, ყოველ შემთხვევაში, ცხ-ელ-ი, და-ცხ-ებ-ა და
ცხვ-ებ-ა ფორმების მიხედვით, ახლომდგომი ძირებია. რა და-
მოკიდებულება აქვს ამ ძირებს ისტორიულად ერთმანეთთან, —
სარკვევია...

* * *

ანალოგიურად დაისმის საკითხი ამ ზმნათა მიმართაც:

და-ი-წყ-ებ-ს — შეუდგება რაიმე და-ი-წყ-ობ-ს — თავისთვის ან თა-
მოქმედებას, მოჰყვება რასმე. და- ვისას დაილაგებს, წინ დაიდებს.
საბამს მისცემს რასმე.

„რაწამსაც ავდარს დაიწყებს, მთებს შევცქერით ქალითა“ (ვაჟა-
ფშაველა).

„მკერდზე ხელები დაიწყო“ (ა. ქუთათელი). „გვერდით ვაზნები
დაიწყო“ (ს. კლდიაშვილი).

ანალოგიური ვითარებაა საობიექტო ქცევის შემთხვევაში:

და-უ-წყ-ებ-ს — და-უ-წყ-ობ-ს.

ნეიტრალური ქცევა მხოლოდ -ობ თემისნიშნაან ზმნას მოეპოვება:
და-ა-წყ-ობ-ს.

სხვაობა ვნებითშიცაა:

ი-წყ-ებ-ა — ი-წყ-ობ-ა

ე-წყ-ებ-ა — ე-წყ-ობ-ა...

ნამყო ძირითადი: და-ვ-ი-წყ-ე — და-ვ-ი-წყ-ე-ე.

ძირები განსხვავებულია: წყ- და წყვ-.

თემის ნიშანთა სხვაობაც ამითაა შუპირობებული.

შენიშვნა: დიალექტებში დასაშვებია -ებ თემის ნიშნის ნაცვლად გამოყენებულ იქნეს -ობ: და-ი-წყ-ობ-ს, მნიშვნელობით „შეუღდება რაიმე მოქმედებას“. მაგრამ პირიქით არასდროს არა გვაქვს: და-ა-წყ-ობ-ს, და-ი-წყ-ობ-ს ვერ იგუებებს -ებ თემის ნიშანს. ამ რიგის მონაცვლეობას, ბუნებრივია, აქ არ განვიხილავთ.

* * *

მსგავსი ვითარებაა ამ შემთხვევაშიც:

ხრ-ავ-ს — 1. ღრღნის მაგარ რას- ხრ-ი-ს — 1. ღრეკს ქვევითყენ-
მე. 2. ხორცმცირე ძვალს კბილე- დაბლა სწევს. 2. ღუნავს.
ბით ხორცს აცლის.

„ძვლებს ხშირად ხრავდა“ (ი. გოგებაშვილი).

„ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ქარი ჰქრის, ფოთლები მიჰქრიან ქარ-
დაქარ, ხეთა რიგს, ხეთა ჯარს რკალად ხრის...“ (გალაკტიონი).

ამ ფუძეთა სხვადასხვაობა მათი მორფოლოგიური ქმედებითაც
ვლინდება.

ნამყო ძირითადში გვაქვს:

ხრ-ავ-ს-	}	და-ვ-ხარ-(ი)	ხრ-ი-ს-	}	და-ვ-ხარ-ე
		და-ხარ-(ი)			და-ხარ-ე
		და-ხრ-ა			და-ხარ-ა

პირველი ფუძე კუმშვადია მესამე პირში, მეორე — უკუმშველი.

პირველს სუფიქსი არა აქვს, ე. წ. ნართაული, უფუნქციო -ი ელემენტით ფორმდება (მო-ვ-კალ-ი ზმნის ტიპისაა), მეორე — ე- სუფიქსიანია (ვა-ვ-თალ-ე ზმნის რიგისაა).

ყველა ეს თავისებურება კი აწმყოში („რა ხდება“ პარადიგმაში) სხვადასხვა თემის ნიშანთა მქონეობით გამოიხატა.

§ 78. ასე რომ, გამოიყო ორი სახეობა: ერთ შემთხვევაში ორი სხვადასხვა თემის ნიშანი ლექსიკურად განასხვავებს ერთსა და იმავე ძირს (წამლ-ავ-ს და წამლ-ობ-ს...), მეორე შემთხვევაში — სხვადასხვა ძირის მქონე ფორმებს (ა-ხლ-ი-ს, ა-ხლ-ებ-ს და ა-ხლ-ავ-ს...).

ფაქულტატიურად ითვლება ეს მოვლენა იმდენად, რამდენადაც ლექსიკური მნიშვნელობების განსხვავება თემის ნიშნებს, ჩვეულებრივ, არ ეკისრება.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ამგვარად გარჩეული ფორმები სხვა რიგის თავისებურებებსაც ავლენენ: იუღელიან სხვადასხვა პრინციპით, ავლენენ ფუძის განსხვავებულ გახმოვანებას, განირჩევიან აფიქსაციითაც...

§ 79. ქართულში გამოიყოფა რიგი ე. წ. ფუძედრეკადი ზმნებისა, რომლებიც წარმოშობით რთული სტრუქტურისა ჩანან: შეიცავენ ძირსა და ძირზე მიხორცებულ სუფიქსს: დრ-ეკ-ს, კრ-ებ-ს, ა-ბნ-ეკ-ს, ა-დგ-ენ-ს (ვ. თოფურია, 1936, გვ. 231—232; თ. გამყრელიძე, გ. მაკუაერიანი, 1965, გვ. 308).

ამ ზმნათა ძირითადი თავისებურება ახალ ქართულში ისაა, რომ პირველი და მეორე სერიის ფორმები გახმოვანებითაა დაპირისპირებული: დრეკ-ს — დრიკ-ა, კრებ-ს — კრიბ-ა...

რამდენიმე შემთხვევაში ხერხდება ძირთან შეზრდილი სუფიქსის გამოყოფა იმავე ძირის მქონე თემისნიშნაან ფორმებთან შეპირისპირების საფუძველზე.

ჩვეულებრივ, ამ რიგის პარალელური ფორმები რაიმე არსებითი ხასიათის სემანტიკურ გადახრას არ გვიჩვენებენ: გამოიხატება ერთი და იგივე ან ძალზე ახლო მდგომი ლექსიკური მნიშვნელობები:

ფშენ-ეტ-ს — ხმელ რამეს (ფოთოლს, ყვავილს...) რამეზე შეხებით, სრესით წვრილ ნაწილებად აქცევს, ფშენის. მარცვალს აცლის...

ფშენ-ი-ს — წვრილ-წვრილ ნაწილებად, ნამცეცებად აქცევს, ფშენეტს. მარცვალს აცლის, აყრევიანებს ტაროს.

„მონუცს მუხლებზე ტყავი გადაეფარებინა, ზედ დაედო ერთი სიბიჭვა და მეორით ბალახებს ფშენეტდა და აფქვილებდა“ (ა. ყაზბეგი).

„სახნისი თითქო დაცურავდა მიწაში, ისე მისრიალებდა და ფშენი-და მიწას“ (დ. კლდიაშვილი).

მართალია, განსხვავებულმა წარმოებამ სემანტიკური განსხვავებისაკენ მიდრეკილებასაც შეუწყო ხელი. მაგალითად, იგივე ფშენ-ი-ს ამ მნიშვნელობასაც გამოხატავს: „ამტკრევს, ამსხერევს“, ხოლო ფშენ-ეტ-ს ასეთ გამოთქმაშიც გამოიყენება: „ხელებს იფშენეტს“. სემანტიკური დაცილება ხელშესახებია.

ამ რიგის მოვლენები კი, თავის მხრივ, სრული ლექსიკური სხვაობის ტენდენციას ამჟღავნებენ.

დავასახელებთ ორიოდ ნიმუშს.



სრ-ეს-ს — 1. ზელს, კმუჟნის, სრ-ავ-ს — ხოცაეს, ჟლეტს, ანად-
ფშენის, ჭყლეტს. 2. თელავს, ანა- გურებს, სპობს.
დგურებს, სპობს.

„თბილ ფქვილს ბოჩი თითებით სრესდა“ (რ. გვეტაძე). „ლტოლ-
ვილნი სრესდნენ თავისებზე ცხენის ტერფითა“ (ვ. ბარნოვი).

„სრავდნენ მტრებს“ (ვაჟა-ფშაველა).

სრ-ეს-ს ფორმისათვის ძირითადად ივარაუდება პირველი მნიშვნე-
ლობა: „ზელს, კმუჟნის, ფშენის, ჭყლეტს“, მაგრამ, იმის გამო, რომ
სრ-ავ-ს იშვიათი ხმარებისა გახდა, მან სხვა მნიშვნელობაც შეიძინა
ამჟამად: „თელავს, ანადგურებს, სპობს“; ანუ: ის მნიშვნელობა, რო-
მელიც სრ-ავ-ს ფორმით გამოიხატება.

ყოველ შემთხვევაში, სრ-ეს-ს და სრ-ავ-ს დაპირისპირებულია სე-
მანტიკურად.



სხლ-ეტ-ს — სწრაფად, მოწყვე- სხლ-ავ-ს — სასხლავით ზედმეტ
ტით აცილებს, გლეჯს, წყვეტს. რქას, შტოს აჭრის (ვაზს...).

„სრულ ლაშქარსა ვარ, რაც კია ძუძუს მამსხლიტა დეღამა“ (ვაჟა-
ფშაველა).

„ხვადაბუნების პაწია ვენახებს სხლავდნენ“ (კ. გამსახურდია).

სხვაობა ამ ფორმებს შორის შენიშნული ჰქონდა ნ. მარსაც (ნ. მა-
რი, 1925, გვ. 141).

ამოსავალი, ბაზისური სემანტიკა ამ ფორმებისათვის ერთი ივარა-
უდება. სემანტიკური დაცილება ფორმობრივ სხვაობას უნდა მოჰყო-
ლოდა.



თვლ-ემ-ს — ძილი ეკიდება, ძი- თვლ-ი-ს — 1. რისამე რაოდენო-
ლი ერევა, ძილ-ღვიძილშია. ბას არკვევს. 2. (ს)-თვლ-ი-ს —
მიაჩნია, ჰგონია.

„მხედარს თვლემს, თავს აკანტურებს“ (ვაჟა-ფშაველა). „შხუის
ლიახვი და თვლემს ქალაქი დიდი ვერხვებით გადაჩრდილული“ (გ. ლე-
ონიძე).

„ჩვენ გვეყვანდა ძალიან ბევრი ფუტკარი, მამაჩემი დილა-სალამოს თვლიდაო“ (ხალხური ზღაპარი). „ჩემს თავს მოვალედა ვთვლი, გითხრა ჩემი სათქმელი“ (ვაჟა-ფშაველა).

ორივე ეს ზმნური ფუძე უკავშირდება თვალ-ი არსებით სახელს, მნიშვნელობით „მხედველობის ორგანო...“ თვლ-ის და ს-თვლ-ის ფორმათა ფაქულტატიურ დაპირისპირებაზე ზემოთ გვქონდა საუბარი. ამჯერად ამას თვლ-ემ-ს ფორმაც დაემატა.

* * *

შესაძლოა ამავე პრინციპით იყოს დაპირისპირებული ეს ფორმებიც:

წნ-ეხ-ს — წნეხით ტყეპნის, წნეხ-წნ-ავ-ს — რამდენიმე წვერს
ში ატარებს. წურავს. (წნელს, თმას...) ერთმანეთში ჩაგრეხით აერთებს.

„სახლის პატრონი საწნეხელში უკვე ჩასულიყო და ფეხით წნეხდა ყურძენს“ (ნ. ლორთქიფანიძე).

„წნავდა ცხრილს ან ცხავს“ (ვაჟა-ფშაველა). „მოჰქონდა წნელი, წნავდა გოდრებს“ (ვ. ბარნოვი).

სემანტიკური სხვაობა ამ ფორმებს შორის, რა თქმა უნდა, დიდია, მაგრამ არაა გამორიცხული, რომ ამოსავალში მათ საერთო ჰქონდეთ ტყეპნის, ჩაგრეხის, დაჭყლეტის მნიშვნელობა. თუ ასეა, მაშინ ესენიც ზემოგანხილულ ფორმათა რიგში ჩადგებიან.

§ 80. ზემოთ აღინიშნა, რომ თემის ნიშანთა ცვლა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ზმნური ფუძის წარმოების განსხვავებულ პრინციპებთან (იხ.: § 76).

ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, განსხვავებულია გრამატიკული ფუნქცია. მაგრამ უცვლელი რჩება ლექსიკური მნიშვნელობა:

შხამ-ავ-ს — ა-შხამ-ებ-ს
ზვინ-ავ-ს — ა-ზვინ-ებ-ს
ბოდ-ავ-ს — ა-ბოდ-ებ-ს
წვეთ-ავ-ს — ა-წვეთ-ებ-ს
გოზ-ავ-ს — ა-გოზ-ებ-ს || ა-გოზ-ავ-ს
ხშ-ავ-ს — ა-ხშ-ობ-ს...

პარალელურ წარმოებებს შორის განსხვავებულია გრამატიკული მნიშვნელობები:

ინსტრუმენტატივისა და გარდაქცევითობისა (შხამ-ავ-ს — ა-შხამ-ებ-ს):

დინამიკურობა-სტატიკურობისა (წვეთ-ავ-ს — ა-წვეთ-ებ-ს);

ნეიტრალური და თანაობის ფუნქციისა (გოზ-ავ-ს — ა-გოზ-ებ-ს)...

ასეთ ვითარებაში ენის ფაკულტატიურ შესაძლებლობად წარმოჩნდება ზემოხსენებული ყალიბების დაპირისპირება ლექსიკური მნიშვნელობების მიხედვით; ე. ი. ის შემთხვევები, როცა ფორმათწარმოებითი ინვენტარი არსებითად სიტყვათწარმოებითი დანიშნულებითაა გამოყენებული.

ამ რიგის ნიმუშები, ფაკულტატიურობის პირობაზე, საკმაო რაოდენობით დაიძებნება ქართულში.

• • •

ბედ-ავ-ს — თამამად, შეუპოვრად ა-ბედ-ებ-ს — ბედად აძლევს, დააკეთებს, ამბობს რასმე, არ ერიდება ვისმე; კადნიერად იქცევა. უკვებავს, მის ბედად ისურვებს.

„ემაგ შერცხვენილ ხმლისა პატრონი ჩემთან მოსვლასა როგორ ბედავდი“ (ილია).

„ვაუიანობას აბედებს“.

ორივე სახელისათვის ამოსავალია არსებითი სახელი ბედ-ი („განგება, სვე, წერა, ხვედრი, იღბალი...“). შესაბამისად, ამოსავალი მნიშვნელობები ხსენებულ ზმნათათვის უნდა ყოფილიყო:

ბედ-ავ-ს — ბედს იწვევს, ბედს სცდის...

ა-ბედ-ებ-ს — ბედად უხდის, ბედად უქცევს, ბედად აძლევს, ბედად უსურვებს...

ჩანს, აქედანაა განვითარებული ამ ფორმათა ამჟამინდელი მნიშვნელობანი, რომლებიც უკვე სრულ ლექსიკურ სხვაობას გვიმოწმებენ.

ბედ-ავ-ს ზმნის ვნებითა (გა)-ი-ბედ-ებ-ა, რომელიც უპირატესად პოტენციულის ფუნქციით გამოიყენება.

ა-ბედ-ებ-ს ზმნას, თუ მისი ყალიბის მიხედვით ვიმსჯელებთ, -დ სუფიქსიანი ვნებითი უნდა ჰქონოდა (შდრ.: ა-კეთ-ებ-ს — კეთ-დ-ებ-ა, ა-თავ-ებ-ს — თავ-დ-ებ-ა...), მაგრამ რეალურად მოეპოვება ე-პრე-

კიქსიანი ვნებით: ე-ბედ-ებ-ა („ვაჟაკნი იმედიანნი ჩვენს ბატონს ბედებისა“, ვაჟა-ფშაველა). ყალიბით იგი უ-ბედ-ავ-ს ზმნას შეესაბამება, სემანტიკურად — ა-ბედ-ებ-ს ზმნას.

მასდარი: გა-ბედ-ვ-ა, და-ბედ-ებ-ა.

შეუზღუდავად იწარმოება მიმღეობის ფორმებიც:

გა-მ-ბედ-ავ-ი, გა-სა-ბედ-ავ-ი, გა-ბედ-ულ-ი, გა-უ-ბედ-ავ-ი...

და-მ-ბედ-ებ-ელ-ი, და-ბედ-ებ-ულ-ი, და-სა-ბედ-ებ-ელ-ი, და-უ-ბედ-ებ-ელ-ი...

თავისებურება აქაც შეინიშნება.

ხშირად გა-მ-ბედ-ავ-ი ფორმის მნიშვნელობით გამოიყენება გა-ბედ-ულ-ი: „გაბედული კაცი“ იგივეა, რაც „გამბედავი კაცი“.

უფრო ზუსტად: გა-მ-ბედ-ავ-ი მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს, გა-ბედ-ულ-ი კი — ადამიანიც, ცხოველიც, ნაბიჯიც. იერიშიც...

ამ ყაიღისაა გა-უ-ბედ-ავ-ი ფორმაც; დასაშვებია როგორც „გაუბედავი კაცი“, ასევე „გაუბედავი ნაბიჯი“.

* * *

ზიდ-ავ-ს — მიაქვს, სწევს რასმე, ა-ზიდ-ებ-ს — გული ერევა, გუ-ეწევა, ათრევს... ლის ზიდილი აქვს.

„ციყვი გამხმარ კაკალს დაულალავად ზიდავს და ზიდავს ფულტროში“ (ი. გოგებაშვილი).

„ბევრი სოკო ჭამა და ახლა აზიდებს“.

ლექსიკური სხვაობა სრულია.

ამოსავალი მნიშვნელობა ორივე ზმნისათვის უნდა ყოფილიყო „მოქაჩვა, ქაჩვა, დაზიდება, დაძაბვა“.

ზიდ-ავ-ს ფორმას ვნებითად მოუღის ე-ზიდ-ებ-ა, რომელიც როგორც ლექსიკურად, ასევე გრამატიკულად ზუსტი ბადალია თვით ზიდ-ავ-ს ფორმასა, სხვაობა მხოლოდ ყალიბებშია. სემანტიკური თვალსაზრისით ზიდ-ავ-ს და ე-ზიდ-ებ-ა თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს.

ა-ზიდ-ებ-ს ფორმას ვნებითი არ მოეპოვება ადვილად ასახსნელი მიზეზის გამო: მოხდა გადააზრიანება, იგი აღარ გაიგება მოქმედებითად, გამოხატავს გარკვეულ მდგომარეობას. კონსტრუქცია ინვერსიულია: აზიდებს მას. წარმოშობით ა-ზიდ-ებ-ს, გ-ა-ზიდ-ებ-ს, მ-ა-ზიდ-ებ-ს ორვალენტიანი ზმნაა, ერთი — გრამატიკული სუბიექტის პირი — დაკარგული აქვს და ახლა ერთვალენტიანად გაიგება. ამგვარი რამ,

საერთოდ, დამახასიათებელია იმ ზმნებისათვის, რომლებიც ქართულში სნეულებრივ მდგომარეობას გამოხატავენ: აციებს, ათრთოლებს, აყრეოლებს, აცხცახებს, აზიდებს, აბოდებს... მას.

* * *

ს-ცოდ-ავ-ს — 1. დანაშაულს სჩადის, ღვთის (განგების...) წინაშე. ა-ცოდ-ებ-ს — სხვისათვის შესადის, ბრალის ხდის ვისმე ან რასმე.
2. არასწორად იქცევა, აშავებს.

„მე ხომ ამისთანას არაფერს ვცოდავ“ (ილია).

„თავს ნუ მაცოდებ!“ . „და მერე მაგითი გინდა, თავი შემაცოდო?“ (ვ. ლომთათიძე).

ს-ცოდ-ავ-ს უღვლილებისას ფუძემონაცვლეა:

რა ხდება: ს-ცოდ-ავ-ს

რა მოხდება: შე-ს-ცოდ-ებ-ს.

თუმცა პარალელურად მოიპოვება შე-ს-ცოდ-ავ-ს ფორმაც.

„ღმერთს ნუ შესცოდებ!“ . „უნდა სცოდნოდა, რომ შესცოდავდა“ (გ. ლეონიძე).

ამის გამო ს-ცოდ-ავ-ს ზმნას ორი სახის მასდარი მოეპოვება: ცოდ-ვ-ა (< ს-ცოდ-ავ-ს) და შე-ცოდ-ებ-ა (< შე-ს-ცოდ-ებ-ს).

„ხიფათს ნუ შემამთხვევ, ცოდვაში ნუ გამხვევ!“ (ილია).

„ეს ამბავი, ჩვენის ფიქრით, მცირე შეცოდებად არ ჩაეთვლება“ (ილია).

იმავდროულად შე-ცოდ-ებ-ა არის ა-ცოდ-ებ-ს ზმნის მასდარიც:

„მტირალი მანდილოსანი ხან თანაგრძნობას, ხან შეცოდებას გამოიწვევდა ვაჟის გულში“ (გ. წერეთელი). „შეცოდება“ აქ „შებრალებას“ გულისხმობს.

ღირსსაცნობია, რომ ამავე მნიშვნელობით შესაძლოა ცოდ-ვ-ა ფორმაც იქნეს გამოყენებული: „გოგოს ცოდვით აღარა ვართ, ქალბატონის მზემა“ (ილია). „მაინც ცოდვაა, ქართველთ ხანჯლით მოკვდეს გიორგი“ (ვ. ბარნოვი). ცოდ-ვ-ა აქ „სიბრაულეს, საბრალოს“ ნიშნავს.

ს-ცოდ-ავ-ს ზმნისგან ნაწარმოებ მიმღეობებში ორი სხვადასხვა ლექსიკური მნიშვნელობა ზოგჯერ მხოლოდ კონტექსტით განიარჩევა:

შე-მ-ცოდ-ვ-ელ-ი შეიძლება იყოს ისიც, ვინც ს-ცოდ-ავ-ს, რაიმეს

აშავებს, და ისიც, ვინც ი-ცოდ-ებ-ს, იბრალებს, შეიბრალებს ვისმე ან რასმე.

„ღეე, თვით ღმერთმა განიკითხოს მოსისხლენი და შემცოდველნი!“ (ი. მაჩაბლისეული თარგმანი).

„განმკითხველი და შემცოდველი არავინაა ამ ქვეყანაზე!“

ამიტომაცაა, ვინც სცოდავს, მის მიმართ შე-მ-ცოდ-ე ფორმის გამოყენება რომ გახშირდა: „შემცოდე ცის და ქვეყნის წინაშე შენდობას ვითხოვ მაგდალინელი“ (აკაკი). „ნუთუ მამასა არღა ჰქონდეს გულისტიკვილი, ოდეს იხილოს განსაცდელში შემცოდე შვილი?!“ (ნ. ბარათაშვილი).

ცოდ-ვ-ილ-ი, უ-ცოდ-ვ-ელ-ი ფორმობრივადაც და სემანტიკურადაც ს-ცოდ-ავ-ს ზმნას მიემართება:

ცოდვილ-ი — ცოდვის ჩამდენი, ვისაც ცოდვა აქვს ჩადენილი...

უცოდველ-ი — ცოდვის არჩამდენი, ვისაც ცოდვა არა აქვს ჩადენილი...

სა-ცოდ-ავ-ი ფორმობრივ ს-ცოდ-ავ-ს ზმნისაგანაა ნაწარმოები, მაგრამ სემანტიკურად ა-ცოდ-ებ-ს ზმნას მიემართება:

სა-ცოდ-ავ-ი — საბრალო, შებრალების ღირსი, შესაბრალისი.

ა-ცოდ-ებ-ს ზმნის შესაბამისი მიმღეობებია: შე-მ-ცოდ-ებ-ელ-ი, შე-ცოდ-ებ-ულ-ი, შე-უ-ცოდ-ებ-ელ-ი, შე-სა-ცოდ-ებ-ელ-ი.

ყველა მათგანისათვის ნიშანდობლივია კონტექსტით გარჩევა ორი განსხვავებული მნიშვნელობისა.

„ელენეს შემცოდებელი მხოლოდ მელანო იყო“ (დ. კლდიაშვილი).

შე-მ-ცოდ-ებ-ელ-ი აქ იგივეა, რაც: „შემბრალებელი“.

„შემცოდებელი აქ არვინ მეგულება!“

შე-მ-ცოდ-ებ-ელ-ი აქ „ცოდვის, დანაშაულის ჩამდენს“ გულისხმობს.

„შეცოდებული გლახაკი ზოგჯერ მტრად მოგეკიდება“.

შე-ცოდ-ებ-ულ-ი ნიშნავს: „შებრალებული“.

„ლომმა იშფოთა, იბრძოლა, დაეცა ძალმოდებული. ევედრა. კოლოს, ამანაც შეუწდო შეცოდებული“ (რ. ერისთავი).

შე-ცოდ-ებ-ულ-ი აქ იგივეა, რაც: „ჩადენილი ცოდვა, დანაშაული“.

„შეუცოდებელი გული აქვს“.

შე-უ-ცოდ-ებ-ელ-ი — „შეუბრალებელი“.

„შეუცოდებელი არავინაა“.

შე-უ-ცოდ-ებ-ელ-ი — „უცოდველი, უდანაშაულო“.

„შესაცოდებელი არაფერი აქვს“.

შე-სა-ცოდ-ებ-ელ-ი — „შესაბრალებელი“.

„შესაცოდებელი აქ არაფერი იყო“.

შე-სა-ცოდ-ებ-ელ-ი — „ცოდვის, დანაშაულის ჩასადენი“.

ს-ცოდ-ავ-ს ზმნას ვნებითი არა აქვს.

ა-ცოდ-ებ-ს ზმნა ყალიბის მიხედვით -დ სუფიქსიან ვნებითს ვარაუდობს, აქვს კი — ე- პრეფიქსიანი: ე-ცოდ-ებ-ა. ფორმოზრივ ესაა ს-ცოდ-ავ-ს ზმნის ვნებითი (შდრ.: ჰ-ბურ-ავ-ს — ე-ბურ-ებ-ა).

ე-ცოდ-ებ-ა ინვერსიული ზმნაა (ეცოდება მას ის), სემანტიკურად ეთანაბრება ი-ცოდ-ებ-ს ფორმას.



თავ-ობ-ს — მოთავე არის, სათა-ვეში უდგას რასმე. იწყებს, ინი-ციტივას იჩენს .

ა-თავ-ებ-ს — ასრულებს, ამთავერებს, აბოლოებს (გადატანით: ბოლოს უღებს, კლავს).

„ელგუჯა! — წამოიძახა ისევ იმ ყარაულმა, რომელიც იმათში თავობდა“ (ა. ყაზბეგი).

„პურის ჭამას რომ ვათავებდი, ერთი დროშკა მოადგა ჩვენს ღუქნის კარებს“ (ილია).

თავ-ობ-ს || თა-ობ-ს ზმნისთვის მასდარად თა-(ვ)-ობ-ა ივარაუდება. იშვიათი ხმარებისაა. მიმღეობა შეზღუდულად იწარმოება. რეალურად გამოიყენება მხოლოდ მო-თავ-ე. თეორიულად დასაშვები სხვა ფორმები მიმღეობისა, როგორც წესი, არა გვაქვს.

ა-თავ-ებ-ს ზმნისგან კი მასდარიცა და მიმღეობაც შეუზღუდველად იწარმოება: გა-თავ-ებ-ა, გა-მ-თავ-ებ-ელ-ი, გა-სა-თავ-ებ-ელ-ი, გა-თავ-ებ-ულ-ი, გა-უ-თავ-ებ-ელ-ი.

ა-თავ-ებ-ს ფორმას მოეპოვება კანონიკური წარმოების ვნებითი: თავ-დ-ებ-ა.

თავ-ობ-ს „საშუალო“ ფორმაა. არ ეპოვება შესაბამისი არც მოქმედებითი და არც ვნებითი. ბუნებრივიცაა! ფორმათწარმოების მიხედვით მოქმედებითად მას ა-თავ-ებ-ს ფორმა უნდა ჰქონოდა (შდრ.: თა-მაშ-ობ-ს — ა-თამაშ-ებ-ს), მაგრამ ა-თავ-ებ-ს სულ სხვა მნიშვნელობის გამოსახატავად გამოიყენა ენამ.

ქურდ-ავ-ს — მალულად, ფარუ- ა-ქურდ-ებს-ს — ქურდად ხდის, ლად სტაცებს, ართმევს რასმე ქურდად აქცევს. სხვას. ძარცვავს, ჰპარავს.

„ხალხს ძარცვავდნენ და ქურდადდნენ“ (ი. მაჭავარიანისეული თარგმანი).

„გაქირვებამ გააქურდა“.

ორივე ზმნა ნაწარმოებია არსებითი სახელისაგან ქურდი-ი („სხვისი საკუთრების მალულად, ფარულად მიმტაცებელი“).

ამოსავალი სემანტიკა ორივე შემთხვევაში შენარჩუნებულია, მაგრამ ამას ხელი არ შეუშლია ამ ფორმათა სრული განსხვავებისათვის ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით.

ქურდ-ავ-ს იმ სემანტიკურ რიგში შედის, სადაც გვაქვს: ჰპარავს, ძარცვავს, ართმევს...

ა-ქურდ-ებს-ს ზმნის სემანტიკური რიგია: ავაზაკებს, აყაჩაღებს...

ა-ქურ-დ-ებს-ს გარდაქცევითობას გამოხატავს (შდრ.: ა-შხამ-ებს-ს), მაგრამ ქურდ-ავ-ს აღარ არის ინსტრუმენტატივი (შდრ.: შხამ-ავ-ს).

„საშუალი“ ვარიანტი მოეპოვება მხოლოდ ქურდ-ავ-ს ზმნას — ქურდ-ობ-ს („ქურდია; ქურდობას, ძარცვას ეწევა“).

ყურადღებას იქცევს ამ წყვილის მიმართება ფორმებთან (ჰ)-პარ-ავ-ს და ა-პარ-ებს-ს.

ჰ-პარ-ავ-ს — პარვით, ფარულად ა-პარ-ებს-ს — მალვით, ფარულად, ითვისებს სხვის ქონებას.

შეუმჩნევლად მიჰყავს ან მიიქვს.

მალვით აჩეჩებს რასმე.

„გუგული კვერცხებსა ჰპარავს და რაკი მოასწრებს ჩიტი ქურდს ბუდეში, გამოეკიდება“ (ი. გოგებაშვილი).

„ჩასძახა ორმოსა შიგან და უთხრა: კარგად არა ვიქმ, რომ გაგაპარო“ (სულხან-საბა ორბელიანი). „ამმარებული ღვინო შეაპარა“.

ლექსიკურად ამ ორ ფორმას ბევრი რამა აქვთ საერთო. არსებითია — მალულად, ფარულად მოქმედება.

ჰ-პარ-ავ-ს ზუსტი სემანტიკური ეკვივალენტია ქურდ-ავ-ს ფორმისა როგორც გრამატიკული, ასევე ლექსიკური თვალსაზრისით. მაგრამ ვითარება იცვლება სხვა ქცევის ფორმებში:

ი-პარ-ავ-ს — მალულად, ქურდულად მიაქვს ან მიჰყავს რამე და ითვისებს: „ქურდი თამამად მიდიოდა და იპარავდა, რასაც მოასწრებდა“ (ვაჟა-ფშაველა).

ი-ქურდ-ავ-ს — ქურდავს თავის თავს. თავს ზიანს აყენებს.

ამოსავალში ი- პრეფიქსის პოზიტივობა უკუქცევითობას უკავშირდება. არსებითად სწორედ ესაა ამ ორი ფორმისთვის საერთო, თორემ სხვა მხრივ სავსებით საპირისპირო მოვლენებს გამოხატავენ.

ა-პარ-ებ-ს არც გრამატიკული და არც ლექსიკური თვალსაზრისით არ თანხვედება ა-ქურდ-ებ-ს ფორმას.

ასე რომ, მიუხედავად ცალკეული ფორმობრივი და სემანტიკური თანხვედრისა, თვით შინაგანი მიმართება ქურდ-ავ-ს — ა-ქურდ-ებ-ს და პ-პარ-ავ-ს — ა-პარ-ებ-ს წყვილებს შორის არსებითად სხვაობს.

* * *

ნათლ-ავ-ს — განსაზღვრულ სამღვდელმსახურო წესს ასრულებს ვისიმე (ჩვეულებრივ, ბავშვის) მორწმუნეთა კრებულში ჩასარიცხად და ოფიციალური სახელის („ნათლობის სახელის“) დასარქმევად.

ა-ნათლ-ებ-ს — სწავლა-განათლება შეაქვს, ცოდნას სძენს. ათვითცნობიერებს.

ლექსიკური სხვაობა სრულია.

ნათლ-ავ-ს ზმნის სასუბიექტო მიმღეობაა მო-მ-ნათლ-ავ-ი, მო-მ-ნათლ-ვ-ელ-ი, მაგრამ, ჩვეულებრივ, გამოიყენება სულ სხვა წარმოების ნათლ-ი-ა.

სხვა მხრივ რაიმე თავისებურება არა გვაქვს.

* * *

ნიშნ-ავ-ს — 1. გამოხატავს, აზრობრივად უდრის, ტოლია, ბადალია... 2. თანამდებობას აღლევს, რამე პოსტზე აყენებს. 3. ნიშანს ადებს, ნიშანს უკეთებს (გადატანით: წინდავს).

ა-ნიშნ-ებ-ს — ნიშნის მიცემით (მი)ახვედრებს, (გა)აგებინებს რასმე.

„ქოჩორამ სწრაფად ერთნაირი ხმა მისცა თავის წიწილებს, რაც უსათუოდ ნიშნავდა: თავს უშველეთ, შინისაკენ გაიქეციეთ!“ (ი. გოგებაშვილი). „თვითმპყრობელი მეფეები ხალხის დაუკითხავად ნიშნავდნენ მოხელეებსა“ (ი. გოგებაშვილი). „კნიაზო, შენ ქალაღს ნიშნავ! — შეპყვირა სვიმონის მოპირდაპირემ“ (ე. გაბაშვილი).

„მოწინავემ ხელით ანიშნა და უკანები შედგნენ“ (ა. ყაზბეგი).

ნიშნ-ავ-ს ფორმის ვნებითა ი-ნიშნ-ებ-ა, ოღონდ იგი არ გამოიყენება პირველი მნიშვნელობისათვის: „გამოხატავს, აზრობრივად ტოლია...“ უთუოდ იმიტომ, რომ ამ მნიშვნელობით ნიშნ-ავ-ს არსებითად სტატიკური ფორმაა, აქედან გამომდინარე ყველა მორფოლოგიური თავისებურებით: ვნებითის წარმოება იქნება ეს, უღვლილება თუ სხვა. მაგრამ: „მოხელეს ნიშნავს“ — „მოხელე ინიშნება“, „ქალაღს ნიშნავს“ — „ქალაღი ინიშნება“.

რაც შეეხება ა-ნიშნ-ებ-ს ზმნას, მას ვნებითად ე-ნიშნ-ებ-ა მოუღდის, მაგრამ უპირატესად გამოიხატება მიჩნევის, მიხვედრის სემანტიკა (და არა — პასივისა). „ქვირემა თითზე იკბინა, თითქოს რაღაც ენიშნაო“ (ილია). საკუთრივ პასივის ფუნქციით იგი შედარებით იშვიათად გამოიყენება: „გაიანეს ენიშნება პენსია სამოცი თუმანი“ (ე. გაბაშვილი).

თანაც აქ ფორმათა მიმართების თვალსაზრისითაც არის სხვაობა: ფორმობრივ ე-ნიშნ-ებ-ა ნაწარმოებია ნიშნ-ავ-ს ზმნისგან (ა-ნიშნ-ებ-ს ზმნისგან ნაწარმოები ვნებითი -ღ სუფიქსიანი იქნებოდა);

ე-ნიშნ-ებ-ა მნიშვნელობით „ეცნობა რაიმე ნიშნის მიხედვით, ნიშნად მიიღებს, გუშანს აიღებს“ უკავშირდება ა-ნიშნ-ებ-ს ზმნას;

ე-ნიშნ-ებ-ა მნიშვნელობით „ინიშნება მისთვის“ დაკავშირებულია უ-ნიშნ-ავ-ს ზმნის სემანტიკასთან.

ასე რომ, ფორმობრივი და სემანტიკური მიმართებანი არ თანხვდება ერთმანეთს.

შე- ზმნისწინიანი ი-ნიშნ-ებ-ა მნიშვნელობას ისხვაფერებს:

ი-ნიშნ-ებ-ა—1. შეირჩევა, დგინდება რისამე დრო, ადგილი...

2. საპუშაოზე ნიშნავენ ვისმე, ამა თუ იმ თანამდებობაზე განამწესებენ. 3. ნიშანს ადებენ...

გადატანით: იწინდება.

შე-ი-ნიშნ-ებ-ა — შეიმჩნევა, შენიშვნა შეიძლება.

„ჩვენში იმისთანა მომრავლებელი მოსამართლენი ინიშნებიან, რო-
შელნიც ხალხის ენის უცოდინარნი არიან“ (ილია).

„სად და ვის მოჰკითხავდი აზრსა, გონებას, თავგანწირულებას საქ-
ვეყნო საქმისათვის. აკი არც არაფერი შეინიშნებოდა ამგვარი“ (ილია).

* * *

პირ-ავ-ს — მკრელ იარალს
(ცულს, წალდს...) ლესავს.

ა-პირ-ებ-ს — ფიქრობს გააკეთოს,
განზრახული აქვს, სამოქმედოდ
ემზადება.

„მწყემსი ღამით იარალს პირავს“ (ი. მოსაშვილი).

„მე შენ როგორც ვატყობ, დღეს შენი საქმის გათავებას არ აპი-
რებ!“ (ილია).

ა-პირ-ებ-ს ზმნისა და ფორმოზრივ მისი შესაბამისი ჰ-პირ-დ-ებ-ა
ვნებითის თავისებურ (ფაქულტატიურ) დაპირისპირებაზე ზემოთ, გვა-
რის ფორმათა განხილვისას აღინიშნა.

პირ-ავ-ს — ი-პირ-ებ-ა მოქმედებითისა და ვნებითის ფორმები ამ
მხრივ რაიმე გადახრას არ გვიჩვენებენ.

როგორც პირ-ავ-ს, ასევე ა-პირ-ებ-ს ზმნებისათვის ამოსავალია
პირ-ი არსებითი სახელი, ოღონდ სხვადასხვა მნიშვნელობით:

პირ-ი — „იარალის მკრელი მხარე“ → პირ-ავ-ს,

პირ-ი — „ნება, უფლება...“ → ა-პირ-ებ-ს.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: პირ-ი სახელის სხვა მნიშვნელობა: „ჭურჭლის
ზემოთა ღია ნაწილი ნაპირი, კიდე, ბაკო“ ედება საფუძვლად
ამო-პირ-ავ-ს ზმნის მნიშვნელობას: „ამოავსებს, ამოყორავს...“
რა თქმა უნდა, არც ეს მნიშვნელობა თანხვდება ა-პირ-ებ-ს
ზმნის მნიშვნელობას.

* * *

მნიშვნელობათა განსხვავების ანალოგიური ტენდენცია შეიძლება
წარმოჩნდეს ბერტყ-ავ-ს („ქნევით ან ჯოხის ცემით მტვერს აყრევი-
ნებს“) — ა-ბერტყ-ებ-ს („უბარტყუნებს; ძირს მთელის ძალით დას-
ცემს“), ზეთქ-ავ-ს („ხლენს“) — ა-ზეთქ-ებ-ს („ახლის, არტყამს, ძირს
მთელი ძალით დასცემს, ანარცხებს“) და ზოგ სხვა ფორმებს შორი-
საც.

თვით პრინციპი და მისი ადგილი ენაში კი, ვფიქრობთ, ზემოგანხილული ნიმუშებითაც საცნაურია.

§ 81. ზემოდასახელებულ მიმართებათაგან უნდა განიჩინოს შემდეგი ტიპის შეპირისპირება:

ხერხ-ავ-ს — ხერხით ქრის...

ა-ხერხ-ებ-ს — უნარს იჩენს რისამე კეთებისა. მოხერხებით აკეთებს, აღწევს, აგვარებს საქმეს.

„ერთი რომ ქრიდა და კათავდა, მეორე მორებად ხერხავდა“ (ლ. ქიაჩელი).

„მარჯვე ბიჭი იყო გიორგი და ყველაფერს ახერხებდა“ (ვ. ბარნოვი).

ერთი შეხედვით აქ ისეთივე ვითარებაა, როგორც ბედ-ავ-ს — ა-ბედ-ებ-ს, ზიდ-ავ-ს — ა-ზიდ-ებ-ს, ან: პირ-ავ-ს — ა-პირ-ებ-ს ფორმებს შორის დადასტურდა.

სინამდვილეში აქ საქმე სულ სხვაგვარადაა.

ისტორიულად ქართულში ხერხ-ი და კერჯ-ი არა მხოლოდ ლექსიკურად, არამედ ფონემატურადაც გარჩეული ფორმები იყო:

ხერხ-ი — საქრელი იარაღი...

კერჯ-ი — ფანდი, ილეთი; სულხან-საბა ორბელიანი: „საქმის მცოდნელობა“.

„განხერხა ხერხითა რკინისაჲთა“ (ი. აბულაძე, 1973, გვ. 562).
მაგრამ:

„ვერჯი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“.

შემდგომ ქართულში ხ←ვ გადასვლის გამო ეს ორი ფორმა გარეგნულად დაემთხვა ერთმანეთს.

ასე რომ, ხერხ-ი „საქრელი იარაღი“ და ხერხ-ი „ილეთი, ფანდი“ ომონიმებია ერთმანეთის მიმართ და არა ერთი ძირის ფორმები.

ამის შედეგია მათი განსხვავებული ენობრივი ქმედებაც.

ამავე რიგისაა ა-ხლ-ი-ს (ძველი ქართული: ა-ვლ-ი-ს) — ა-ხლ-ებ-ს || ა-ხლ-ავ-ს.

თ ა ვ ი IX

მიმღეობის ფორმათა ფაკულტატიური გამოყენებისათვის ქართულში

§ 82. ქართულში გვაქვს მიმღეობის ფორმათა პარალელური წარმოების შემთხვევები. ვგულისხმობთ იმ ფორმებს, რომელთა შორის რაიმე სემანტიკური სხვაობა არც არის და არც ივარაუდება:

და-მ-ხატ-ავ-ი — და-მ-ხატ-ვ-ელ-ი
და-მ-კარგ-ავ-ი — და-მ-კარგ-ვ-ელ-ი
გა-მ-ცვდ-არ-ი — გა-ცვეთ-ილ-ი
წა-მ-ხდ-არ-ი — წა-ხდ-ენ-ილ-ი
მ-წუხ-არ-ი — მ-წუხ-არ-ე
მ-ღვიძ-არ-ი — მ-ღვიძ-არ-ე
მ-ქმუნ-ავ-ი — მ-ქმუნ-ვ-არ-ე...
გა-სა-თხარ-ი — გა-სა-თხარ-ელ-ი
და-სა-ყარ-ი — და-სა-ყარ-ელ-ი...

დასახელებული ფორმები ერთმანეთის მიმართ მორფოლოგიურ სინონიმებს წარმოადგენენ: მორფოლოგიური ფუნქცია მათ არსებითად იდენტური აქვთ. იმავედროულად ლექსიკურადაც ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხატავენ.

ეს ნათლად ჩანს მათი განმარტებიდანაც:

და-მ-კარგ-ავ-ი — ოგივეა, რაც და-მ-კარგ-ვ-ელ-ი — ვინც (და)-
დამკარგველი. კარგავს.

„ქურდმა ერთი ცოდვა ქნა და დამკარგავმა — ათასიო“ (ანდაზა).

„თავის დამკარგველი თმას დასტიროდაო“ (ანდაზა).

მ-წუხ-არ-ი — იგივეა, რაც მ-წუხ-არ-ე.

მ-წუხ-არ-ე—ვინც წუხს, მგლო-ვიარე, დადარდიანებული, ნაღვ-ლიანი.

ეს ორი ფორმაც ძირითადად ერთსა და იმავე მნიშვნელობას გამოხატავს, მაგრამ აქ უკვე თავს იჩენს განსხვავების ტენდენციაც, მართალია, მინიმალურია, მაგრამ მაინც!

კერძოდ, მ-წუხ-არ-ი უპირატესად გაარსებითებულია და ამიტომაც არ-ებითი სახელის დანიშნულებით გამოიყენება, მ-წუხ-არ-ე უმეტეს-წილ ზედსართავის ფუნქციის გამოხატველია.

სავსებით დასაშვებია ფორმაა „მწუხარე ადამიანი“, ასევე „მწუხარე ამბავი“ და მისთ.

„მწუხარე დედას თვალი მოარიდა“ (ნ. ლომოური).

„ყური დაუგდე მწუხარე ამბავს“ (ი. ევლოშვილი).

„მწუხარე თვალებით შემომხედა“ (ვაჟა-ფშაველა).

ამ კონტექსტში მ-წუხ-არ-ი, როგორც წესი, არ გამოიყენება.

სწორედ ამგვარი ნიუანსური სხვაობა უქმნის შესაძლებლობას, მიმღობის პარალელური ფორმები გამოიყენებულ იქნენ უფრო ღრმა და არსებითი სემანტიკური სხვაობის გამოსახატავად.

§ 83. ქართულ მიმღობებში ეს ტენდენცია ადრევე იქნა შენიშ-ნული.

გვქონდა და ამჟამადაც გვაქვს შემთხვევები, როცა მიმღობის ერ-თსა და იმავე ფორმას განსხვავებულ მნიშვნელობათა გამოხატვა ეკის-რება:

სა-რწყ-ავ-ი ისაა, რაც უნდა მოირწყას და ისიც, რითაც უნდა მო-ირწყას: „სარწყავი მიწა“ და „სარწყავი წყალი“.

და-სა-ჭრელი შეიძლება იყოს დანაც და პურიც.

სა-წერ-ი ისიცაა, რითაც წერენ და ისიც, რაზეც წერენ, ანუ: სა-წერი კალამიც შეიძლება იყოს და ქალღლიც.

სა-კერ-ავ-ი კაბაცაა და ისიც, რითაც კაბას კერავენ...

ამიტომაც თ. ჟორდანიას მართებულად თვლიდა, რომ ერთმანეთი-საგან სემანტიკურად უნდა განვასხვავოთ სა-ხნ-ავ-ი და სა-ხნ-ის-ი ტი-პის პარალელური წარმოება: სა-ხნ-ავ-ი ისაა, რაც უნდა მოიხნას, სა-ხნ-ის-ი — რითაც უნდა მოიხნას (თ. ჟორდანიას, 1889, გვ. 91—92).

მით უფრო, რომ ასეთი ტენდენცია თვით იჩენს თავს ენაში.

სხვაობას გა-ტეხ-ილ-ი და გა-მ-ტყდ-არ-ი ტპის ფორმებს შორის ა. შანიძე ასე განმარტავს: „გატეხილია, რაც გატეხეს და გამტყდარია, რაც გატყდა“ (ა. შანიძე, 1980, გვ. 572).

ეს საკითხი მასდარების მიმართაც დაისმის: ტეხ-ა და ტყდომ-ა ხეთქ(ვ)-ა და სკდომ-ა, მი-ყვან-ა და მი-ყოლ-ა, მი-ძღუნ-ა და მი-ძლოლ-ა (არნ. ჩიქობავა, 1956, გვ. 514), რაც შესაბამის სხვაობას იძლევა მიმღეობებშიც: გა-ტეხ-ილ-ი და გა-მ-ტყდ-არ-ი, გა-ხეთქ-ილ-ი და გა-მ-სკდ-არ-ი, მი-ყვან-ილ-ი და მი-ყოლ-ილ-ი, მი-ძღუნ-ილ-ი და გა-ძლოლ-ილ-ი...

ამ ფორმებს შორის სემანტიკური სხვაობა მეორეულ, გვიანდელ მოვლენად მიიჩნევა (არნ. ჩიქობავა, 1956, გვ. 517).

სხვაობის მიზეზი ამ შემთხვევაში ისაა, რომ ქართულში არსებული ზოგადი წესის საპირისპიროდ, მასდარისა და მიმღეობის ფორმები ნაწარმოებია როგორც მოქმედებითი, ასევე ვნებითი გვარის ზმნებისაგან:

ტეხ-ს→ტეხ-ა, გა-ტეხ-ილ-ი, გა-სა-ტეხ-ი, გა-მ-ტეხ-ი...
ტყდ-ებ-ა→ტყდ-ომ-ა, გა-მ-ტყდ-არ-ი.

ანდა: როგორც აწმყოს, ასევე მყოფადის ფუძეებისაგან:

მი-ჰ-ყავ-ს→მი-ყოლ-ა, მი-ყოლ-ილ-ი...
მი-ი-ყვან-ს→მი-ყვან-ა, მი-ყვან-ილ-ი...

ამრიგად, ფაქტია, რომ მიმღეობათა პარალელური წარმოება საფუძვლად შეიძლება დაედოს სემანტიკურ განსხვავებას.

§ 84. მიმღეობის პარალელურ ფორმებს შორის სემანტიკური განსხვავების ტენდენცია ნაირგვარი მოდიფიკაციებით იჩენს თავს.

სასუბიექტო მიმღეობის პრეფიქსად გვხვდება მ- და მ-ა-: აღ-მ-შენ-ებ-ელ-ი — აღ-მ-ა-შენ-ებ-ელ-ი. ა- პრეფიქსი ზმნის (ა-შენ-ებ-ს) ფორმიდანაა გადასული მიმღეობაში (გ. დეეტერსი, 1930, გვ. 225; არნ. ჩიქობავა, 1942, გვ. 230 — 235; ი. ქავთარაძე, 1954, გვ. 256; ე. ოსიძე, 1957, გვ. 189). რაიმე ლექსიკური სხვაობა ამგვარი წარმოების ფორმებს შორის, ჩვეულებრივ, არ ივარაუდება, ოღონდ ეგაა: სტილისტურად განსხვავებული ელფერის მატარებელნი არიან (ფ. ერთელიშვილი, 1959).

იმედროულად ენამ ამ სახის ფორმობრივი სხვაობა ლექსიკურ მნიშვნელობათა დასაპარისპირებლადაც გამოიყენა (თ. სანიკიძე, 1975, გვ. 49—50; მ. ხომასურიძე, 1981, გვ. 20—21).

და-მა-ხასიათ-ებ-ელ-ი — რაც და-მ-ხასიათ-ებ-ელ-ი — ის, ვინც
ვისმე ან რასმე ახასიათებს, ვი- სხვას ახასიათებს, სხვას დახა-
სიმე ან რჩსამე არსებითი ნიშან- სიათებას აძლევს.
თვისების მაჩვენებელი.

მ-ყვარდა „ჩვენი ცხოვრების დამახასიათებელი ამბების მოყოლა“
(დ. კლდიაშვილი).

„აი, ფინთო, ფინთო, დამხასიათებელო!“ (რ. ინანიშვილი).

ა-ხასიათ-ებ-ს ორგვარ გრამატიკულ მნიშვნელობას გამოხატავს:

1. ვისიმე ან რისამე ნიშანდობლივ თვისებებს აღნიშნავს:

„მააწავლებელი მოსწავლეს ახასიათებს“.

2. მისთვის დამახასიათებელი არის, ნიშანდობლივ თვისებად აქვს:

„ამ მოსწავლეს კარგი ზნე ახასიათებს“.

პირველ შემთხვევაში დინამიკაა გამოხატული, მეორე შემთხვევა-
ში სტატკა.

ზმნის დონეზე ეს გრამატიკული მნიშვნელობები კონტექსტითლა
განიჩევა. მიმღეობამ პარალელურ ფორმათა პოენიერება გამოიყენა
მათ განსასხვავებლად.

• • •

მა-სესხ-ებ-ელ-ი — ვინც ასეს- მ-სესხ-ებ-ელ-ი — ვინც ისესხა
ხებს, რაიმეს ვალად აძლევს ან სესხულობს, სესხის ამღები.
სხვას.

„მასესხებელს სარგებელი შემოსდის“.

„რა წესი უნდა შევიტანოთ წესდებაში, რომ ყველა მსესხებელმა
ფული მამულს მოახმაროს?“ (ილია).

მამღეობა ფაკულტატიურად განასხვავებს იმ მნიშვნელობებს,
რომლებსაც ა-სესხ-ებ-ს და სესხ-ულ-ობ-ს ზმნები განარჩევენ.

გარჩევა შესაძლოა ზმნისწინმაც იკისროს: გა-მ-სესხ-ებ-ელ-ი — მ-სესხ-ებ-ელი. გა-მ-სესხ-ებ-ელ-ი იგივეა, რაც: მა-სესხ-ებ-ელი.

ნიშანდობლივი ფაქტია: ენა ცდილობს განსხვავებულ მნიშვნელობათა ფორმობრივ დაპირისპირებასაც და ამ მიზნით სხვადასხვა შესაძლებლობას იყენებს, ერთ შემთხვევაში კანონიკურს (გა- ზმნისწინიანი ფორმა), მეორე შემთხვევაში — ფაკულტატიურს (მ-ა- პრეფიქსიანი ფორმა).



მა-წვალ-ებ-ელ-ი—ვინც ან რაც მ-წვალ-ებ-ელ-ი — ერეტიკოსი, სხვას აწვალებს, ტანჯავს, არ ას- მწვალებლობის მიმდევარი. ვენებს, აწუნებს.

„გადავუხდი შენს მაწვალებელს!“ (ე. ნინოშვილი).

„შუა საუკუნეების ევროპაში მწვალებლებს ცეცხლზე წვავენენ“.

აქ თავისებური ვითარებაა: ძველ ქართულში წვალ-ებ-ა ნიშნავდა: „ერესი, განხეთქილება“, აქედან მ-წვალ-ებ-ელ-ი „ერეტიკოსი“, რომელიც ტერმინად დამკვიდრდა. იმავდროულად ახალ ქართულში არსებობს წვალ-ებ-ა ფორმა მნიშვნელობით „ტანჯვა, წამება“. მის მიმღობადაც ივარაუდება და არის კიდევ მ-წვალ-ებ-ელ-ი („გელა იყო ლოთი, ჭირვეული და, საზოგადოდ, ადამიანის უსამართლოდ მწვალებელი“, ა. ყაზბეგი), მაგრამ გარჩევის ტენდენციამ საფუძველი შეუქმნა ამ მნიშვნელობისათვის მა-წვალ-ებ-ელ-ი ფორმის გავრცელებას.

ამ რიგის დაპირისპირება სპორადულად ძველ ქართულშივე შეინიშნებოდა: მა-ვასხ-ებ-ელ-ი „გამსესხებელი“—მ-ვასხ-ებ-ელ-ი „მსესხებელი“ (მ. ზომასურიძე, 1981, გვ. 20). სწორედ ამ შესაძლებლობის უფრო ფართო გამოყენებასთან გვაქვს საქმე ახალ ქართულში, მაგრამ იგი მაინც ფაკულტატიურ მოვლენად გვევლინება ენის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზე.

§ 85. ყურადღებას იქცევს ის შემთხვევები, როცა მიმღობის პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთი მნიშვნელობას იეწროებს და იმავდროულად გასუბსტანტივებისაკენ იჩენს მიდრეკილებას მაშინ, როცა მეორე ფორმა ინარჩუნებს ამოსავალ სემანტიკას; შდრ.: მ-კითხ-ავ-ი, სა-წებ-ელ-ი, მ-ხატ-ვ-არ-ი..., ერთი მხრივ, და წა-მ-კითხ-

ვ-ელ-ი, და-სა-წებ-ი, და-მ-ხატ-ავ-ი..., მეორე მხრივ (თ. სანიკიძე, 1975, გვ. 49—50).

ნიშანდობლივია, რომ ამოსავალი სემანტიკის მქონე ფორმები უპირატესად ზმნისწინიანებია, ანდა შეუზღუდავად იგუებენ ზმნისწინს.

§ 86. დრეკ-ს ზმნა იწარმოებს მოქმედებითი გვარის პარალელურ ვარიანტს დრიკ-ავ-ს.

წარმოება განსხვავებულია, მნიშვნელობის მხრივ კი სრული იგივეობაა.

თითოეულ ამ ფორმას თავ-თავისი ვნებითი შეესაბამება:

დრეკ-ს → დრკ-ებ-ა

დრიკ-ავ-ს → ი-დრიკ-ებ-ა.

დრკ-ებ-ა და ი-დრიკ-ებ-ა ფორმებს შორის უკვე სემანტიკური განსხვავების ტენდენცია იჩენს თავს.

დრკ-ებ-ა — „შინდება, უკან იხევს წინააღმდეგობის წინაშე შიშის გამო“ — უპირატესად შინაგან, მორალურ (სულიერ) მხარეს გულისხმობს, ი-დრიკ-ებ-ა — „ილუნება, იხრება“ — გარეგნულს, ფიზიკურს. დრკება ადამიანი შიშის, უბედურებას, მოულოდნელობის გამო, იდრიკება — ფოლადის ფირფიტა, სახაზავი ზედაწოლის გამო. ანუ: დრკება იგივეა, რაც: კრთება, ფრთხება, შინდება, იდრიკება — იგივე, რაც: იხრება, ილუნება.

„არ დრკები, მხნედ ებრძვი“ (ვაჟა-ფშაველა).

„გაწოწლოკინებული ტოტი ლერწამივით იდრიკებოდა და იკაკვებოდა“ (თ. რაჭიკაშვილი).

ვნებითში წარმოჩენილი სხვაობა მიმღეობებშიც აისახა:

შე-დრეკ-ილ-ი — რაც შედრიკეს ან შეიდრიკა, შეხრილი, შეღუნული, შეზნექილი.

შე-მ-დრკ-ალ-ი — რაც ან ვინც შედრკა, დაძვრთხალი, შეშინებული.

„თოფი აიღო, ლულებს გაუსვა ხელი, დაზიანებული ან შედრეკილი ხომ არ არისო“ (ს. იორამიშვილი).

„შემდრკალი ხალხი ახლებსაც შეაკრთობს“ (ვ. ბარნოვი).

შე-დრეკ-ილ-ი ფუძედ მოქმედებითის ფორმას იღებს (დრეკ-ს), მაგრამ სემანტიკურად ი-დრიკ-ებ-ა ზმნის კორელატია.

სემანტიკური დაპირისპირება შე-მ-დრკ-ალ-ი და შე-დრეკ-ილ-ი ფორმებს შორის მეორეული ჩანს. „ვეფხისტყაოსანში“ შე-დრეკ-ილ-ი გამოყენებულია შე-მ-დრკ-ალ-ი ფორმის მნიშვნელობით:

„რა უარეა მამაცსა ომშიგან პირის მხმეველსა,
შედრეკილ-შეშინებულსა და სიკვდილისა მეჰველსა...“

ზოგ გამოცემაში ამ ფორმას ასწორებენ: „შემდრკალსა, შეშინებულსა...“ (იხ. „ვეფხისტყაოსანი“, 1966, გვ. 264).

უარყოფითი მიმღეობა ორივე ფორმისათვის ერთი და იგივეა — შე-უ-დრეკ-ელ-ი.

სემანტიკური სხვაობა დრკ-ებ-ა და ი-დრიკ-ებ-ა ფორმებს შორის მასდარშიც წარმოჩნდა:

შე-დრკ-ომ-ა — უკან დახევა, შე- შე-დრეკ-ა — მიწოლით შეღუნ-
კრთომა, შეშინება... ვა, შეზნექა, შეხრა.

§ 87. კრთ-ის ზმნა კონტექსტის მიხედვით ორ მნიშვნელობას გამოხატავს:

1. თრთის, კანკალებს, ცახცახებს: „ცირცელი კრთოდა და კანკალებდა“ (თ. რაზიკაშვილი).
2. ციმციმებს, ციმციმით ბრწყინავს: „და მის ზვირთებში კრთის ლაუვარდი ცისა კამარა“ (ნ. ბარათაშვილი).

მოქმედებითა ა-კრთ-ობ-ს || ა-კრთ-ომ-ებ-ს, რომელიც კრთ-ის ზმნის მხოლოდ პირველ მნიშვნელობას შეესაბამება: „აშინებს, აფრთხოებს“ („ლამის წყვილიაღში კისკისი მისი აკრთობდა ყველასა“, ვაჟაფშაველა).

ენებითი კრთ-ებ-ა უპირატესად ა-კრთ-ობ-ს ზმნის შესატყვისად გვევლინება: „მუდამ დაფიქრებული დადიოდა, ხშირად კრთებოდა, თითქოს ვიღაცამ შეაშინაო“ (ა. ყაზბეგი). ზოგჯერ შესაძლოა გამოხატავდეს იმ მნიშვნელობასაც, რომელიც გულისხმობს „ციმციმებს“, „ციმციმით ბრწყინავს“ („ფუნთუშა დაწვებზე ლალ-იაგუნდი კრთებოდა“, რ. ერისთავი).

მასდარი კრთ-ომ-ა საერთოა ორივე მნიშვნელობისათვის. გარჩევა კონტექსტით ხდება.

1. თრთოლა, კანკალი, ცახცახი, ყრუოლა: „მახარემ იგრძნო ეთერის კრთომა და შეებრალა“ (შ. არაგვისპირელი). ამ მნიშვნელობით

შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კრთ-ობ-ა ფორმაც (ნაწარმოებია ა-კრთ-ობ-ს ზმნისგან): „ყმა სახელდებით უყვიის, ლამის სიტყვითა კრთობასა“ („ვეფხისტყაოსანი“).

2. ციმციმი, ბრწყინვა: „აქ მწუხარე სასაფლაოს ვარდით და გვირილით ეფინება ვარსკვლავების კრთომა მხიარული“ (გალაკტიონი). ამ მნიშვნელობის გამოსახატავად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს კრთ-ოლ-ა („უთხრა: არ გიშლი, დიაცო, ფერთა მი-და-მო კრთოლასა“, „ვეფხისტყაოსანი“) და კრთ-ოლ-ვა („ნიშნად ამ არეული გრძნობისა წამწამებზე კრთოლვით მარგალიტებრ ცრემლები გვეკიდებია!“ აკაკი).

ეს ვითარება თავისებურად გამოიხატა მიმღეობის ფორმებში: ერთმანეთს დაუპირისპირდა შე- ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები:

შე-მ-კრთ-ალ-ი — შეშინებული, მ-კრთ-ალ-ი — ღია, ბაცი ფერი-
დამფრთხალი, შეცბუნებული. სა; სუსტი, ბუნდოვანი, ძნელად
გასარჩევი.

„ვაჭრები არიან შემკრთალნი და ხიზნავენ ყველაფერს“ (ვ. ბარნოვი).

„მკრთალი ნათელი სავსე მთვარისა მშობელ ქვეყანას ზედ მოჭფენოდა“ (ილია).

შე-მ-კრთ-ალ-ი ფორმისათვის ამოსავალია კრთ-ი-ს ზმნის მნიშვნელობა „თრთის, კანკალებს, შინდება, ცბუნდება“.

მ-კრთ-ალ-ი ფორმას საფუძვლად ედება მნიშვნელობა „ციმციმებს“, აქედან: „ოღნავ ციმციმებს“ → „ბუჟუტავს, ინავლება“, რაც შემდგომ უფრო შორს მიმავალ სემანტიკურ ნაირსახეობებს იძლევა: „გაფითრებული“ → „ღია, ბაცი ფერისა“ → „ბუნდოვანი, ძნელად გასარჩევი“.

რა თქმა უნდა, შე-მ-კრთ-ალ-ი და მ-კრთ-ალ-ი ფორმებს შორის ამგვარი სემანტიკური სხვაობა მეორეულია.

დამოწმებულია შემთხვევები, როცა მ-კრთ-ალ-ი იმავე მნიშვნელობას გამოხატავს, რასაც შე-მ-კრთ-ალ-ი:

„რა გათენდა, ქუში ადგა, ჰგავს თუ აღენს პირით აღსა,
ხმოზა ბრძანა ვაზირისა, მიიყვანდეს შიშით მკრთალსა“

(„ვეფხისტყაოსანი“)

მნიშვნელობათა გადაკვეთა სხვა შემთხვევებშიც ხდება.

გვაქვს როგორც „ძიღამკრთალი“, ასევე „ფერგამკრთალი“.

პირველ შემთხვევაში გა-მ-კრთ-ალ-ი შეშინების, დაფრთხობის სემანტიკის გამომხატველია, მეორე შემთხვევაში იგივეა, რაც „გაფრთხობილი, ბაცი ფერისა“.

მ-კრთ-ალ-ი მაშინ, როცა გამომხატავს მნიშვნელობას „ღია, ბაცი ფერისა, ბუნდოვანი“, შესაძლოა ზმნისწინებსაც იკუთვნდეს. გა-მ-კრთ-ალ-ი უკვე იყო დასახელებული. დასაშვებია ასევე მი-მ-კრთ-ალ-ი („რაც მიმკრთალდა, მკრთალი ფერისა“), გამო-მ-კრთ-ალ-ი („კრთომით, ციმციმით გამოჩენილი“)...

ზოგი სხვა ნიმუშიც დაიძებნება.

და მაინც ტენდენცია ისეთია, რომ ენამ ამ ფორმათა იმგვარი დაპირისპირება დაამკვიდროს, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული შე-მ-კრთ-ალ-ი და მ-კრთ-ალ-ი ფორმებთან დაკავშირებით. ეს კი ქართულისათვის ამ ეტაპზე ფაქულტატიური მოვლენაა. მისი ფაქულტატიურობა თუნდაც იმით იჩენს თავს, რომ ჯერ კიდევ ხშირია ფორმათა შერევა.

ღირსსაცნობია ის ფაქტი, რომ მ-კრთ-ალ-ი შესაძლოა ზმნის ფუძედ იქნეს გამოყენებული: მკრთალ-დ-ებ-ა, ა-მკრთალ-ებ-ს და ამ შემთხვევაში აღინიშნება მხოლოდ „ღია, ბაც ფერად იქცევა, უფერულდება“ / „ღია, ბაც ფერად აქცევს, აუფერულებს“.

შე-მ-კრთ-ალ-ი ფორმისგან იწარმოება უარყოფის გამომხატველი შე-უ-მკრთალ-ი, რომელიც მნიშვნელობით იგივეა, რაც შე-უ-კრთომ-ელ-ი „ვინც ვერ შეაკრთეს; უშიშარი, უდრეკი“, შდრ.:

„მიიბრძვის კლდესავით შეუკრთომელი“ (გ. ლეონიძე).

„მსურდა გეტქვა, თუ რამდენად ჩემი იყავ ერთგული და შეუმკრთალი“ (ს. შანშიაშვილი). აქედან ვითარდება ახალი მნიშვნელობა: „შეუშფოთებელი, აუმღვრეველი“: „ცა ისეა მოწმენდილი, ცა ისეა შეუმკრთალი, რომ ანგელოზს დაინახავს მოდარაჯე კაცის თვალი“ (გალაკტიონი).

* * *

* შევნიშნავთ: ზემოთ ითქვა, რომ კრთ-ებ-ა უპირატესად აღნიშნავს „შინდება“, „ფრთხება“, მაგრამ შეუძლია გამომხატოს ეს მნიშვნელობაც: „ციმციმით ბრწყინავს“. ეს მნიშვნელობები განასხვავებენ ამ

ფორმის უღვლილებების ტიპებს. პირველი მნიშვნელობისათვის სრული პარადიგმა იპოვება: კრთ-ებ-ა, კრთ-ებ-ოდ-ა, კრთ-ებ-ოდ-ე-ს, შე-კრთ-ებ-ა, შე-კრთ-ა, შე-მკრთალ-ა... მეორე მნიშვნელობისათვის — მხოლოდ აწმყოს წრის ფორმები: კრთ-ებ-ა, კრთ-ებ-ოდ-ა, კრთ-ებ-ოდ-ე-ს.

რაც შეეხება კრთ-ი-ს ფორმას, უღვლილებისას მან ზემოდასახელებული ორი მნიშვნელობა შეიძლება განასხვავოს იმით, რომ „ფრთხება“ მნიშვნელობისათვის გამოიყენებს კრთ-ომ ფუძეს, „ციმციმებს“ მნიშვნელობისათვის — კრთ-ოლ ფუძეს: კრთ-ი-ს „შინდება, ცახცახებს, კანკალებს...“ — ი-კრთ-ომ-ებ-ს — ი-კრთ-ომ-ა... მაგრამ: კრთ-ი-ს „ციმციმებს“ — იკრთ-ოლ-ებ-ს — ი-კრთ-ოლ-ა...

ყველაფერი კი, ჩანს, დაიწყო იმით, რომ კრთ-ი-ს „შინდება, ცახცახებს, კანკალებს“ მეტაფორულად იქნა გამოყენებული: „სხივი, შუქი ცახცახებს, კანკალებს“ → „ციმციმებს“ → „ბუუტავს“...

§ 88. და-ვარდ-ებ-ა ზმნას („ძირს დაეცემა, წაიქცევა“ → გადატანით: „მუშაობის ან მოძრაობის უნარს დაკარგავს, ჯან-ღონე გამოელევა, დაკნინდება, სულიერად დაეცემა“) საობიექტო მიმღეობად ორი ფორმა მოუღის: და-ვარდ-ნ-ილ-ი (შდრ. მასდარი: და-ვარდ-ნ-ა) და და-ვრდ-ომ-ილ-ი (შდრ. მასდარი: და-ვრდ-ომ-ა). ამათგან და-ვარდ-ნ-ილ-ი უფრო ფართო მნიშვნელობისაა:

1. დაგდებული, დაცემული, წაქცეული: „ძირს დავარდნილ ვარდს ფეხი დავაბიჯე“ (რ. გვეტაძე).
2. დაუძღურებული, დასუსტებული, დაკნინებული: „ერთი დავარდნილი ავადმყოფის ამბავი წარმოდგა სცენაზე“ (გ. წერეთელი).

და-ვრდ-ომ-ილ-ი კი გამოიყენება მხოლოდ იმ მნიშვნელობისათვის, რომელიც და-ვარდ-ნ-ილ-ი ფორმისათვის არსებითად გადააზრინების შედეგადაა მიღებული: „დაუძღურებული, დასუსტებული, დაკნინებული“: „ეგ ვილაც გლახა არის, დავრდომილი და უპატრონო“ (ილია).

მიმღეობის პარალელურ ფორმათა პოვნეირება ხელს უწყობს ტენდენციას, თითოეული ამ ფორმისათვის თითო მნიშვნელობა იქნეს დატოვებული:

და-ვარდ-ნ-ილ-ი — დაგდებული, დაცემული, წაქცეული...

და-ვრდ-ომ-ილ-ი — დაუძღურებული, დასუსტებული, დაკნინებული.

ეს ტენდენციაც ქართულისათვის ამჟამად ფაქულტატიურად მოჩანს, რადგან, ჩვეულებრივ, ამ რიგის მიმღეობათა პარალელური

ფორმები რაიმე სემანტიკურ სხვაობას არ გვიჩვენებენ; შდრ., მაგალითად:

და-რჩ-ენ-ილ-ი — ვინც ან რაც დარჩა: „მასპინძელმა სამიოდე დარჩენილი სტუმარი სადარბაზო ოთახში გაიყვანა“ (ნ. ლორთქიფანიძე).

და-რჩ-ომ-ილ-ი — იგივეა, რაც და-რჩ-ენ-ილ-ი: „უბალნოდ დარჩომილი ლოყის თავები უბრწყინავდა წითლად“ (მელანიძე).

აქვე შეიძლება დავასახელოთ და-მ-რჩ-ალ-ი, რომელიც მნიშვნელობით იგივეა, რაც და-რჩ-ენ-ილ-ი: „ოხერმა, ოხრად დამრჩალმა, ოხრადვე იხეტიალოს“ (ბაჩანა).

§ 89. ყიდ-ვ-ა და ს-ყიდ-ვ-ა ლექსიკური თვალსაზრისით ერთობადალი ფორმებია:

ყიდ-ვ-ა — ფულით რისამე შეძენა

ს-ყიდ-ვ-ა — ფულით რისამე შეძენა, ყიდვა.

ს-ყიდ-ვ-ა, ძველი ს-ყიდ-ა-მ, ს-პრეფიქსიან მასდარებს განეკუთვნება, იმავე რიგისაა, რაც: ს-ლვ-ა-მ, ს-რბ-ა-მ, ს-რბოლ-ა-მ, ახალი: ს-ვლ-ა, ს-რბოლ-ა. ძველ ქართულში გვხვდება ზმნის პირიელ ფორმებშიც: გან-ი-ს-ყიდ-ებ-ი-ს (სახარებაჲ მათესი, 10, 29). გამოიყენებოდა მიმღეობებშიც: გან-მ-ს-ყიდ-ელ-ი, სა-ს-ყიდ-ელ-ი, ს-ყიდ-ულ-ი.

როგორც ითქვა, ყიდ-ვ-ა და ს-ყიდ-ვ-ა ლექსიკურად იდენტურია. განსხვავება სტილისტურია ძირითადად.

შესაბამისი მიმღეობები კი უკვე ლექსიკურად განირჩევა ერთმანეთისაგან:

სა-ყიდ-ელ-ი — 1. რაც უნდა სა-ს-ყიდ-ელ-ი — გასამრჩელო, იყიდონ (საყიდელი ნივთი). 2. საფასური, ფასი. რითაც უნდა იყიდონ (საყიდელი ფული).

„დარწმუნებული იყო, რომ ღვინო სოფლის დღეობისათვის საყიდელი გაუხდებოდა“ (ნ. ლორთქიფანიძე)... „საყიდელი ფული როდი ჰქონდა“ (ქ. ლომთათიძე).

„დაიკლო კალატოზმა დღიური სასყიდელი“ (ვ. ბარნოვი).

სა-ს-ყიდ-ელ-ი ფორმას სხვა მნიშვნელობაც ჰქონდა: „რაც უნდა იყიდონ, ყიდვისთვის განკუთვნილი“ („რაც რამ გასაყიდი აქვს ამ სოფლებს, ფოთში ყიდის, სასყიდელია-და, კიდევ იქ ყიდულობს“, ე. წინოშვილი). თანამედროვე სალიტერატურო ენაში ამგვარი სემანტიკური დამთხვევა სა-ყიდ-ელ-ი და სა-ს-ყიდ-ელ-ი ფორმებისა აღარ შეინიშნება, ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით ეს ფორმები უკვე გაემიჯნენ ერთმანეთს.

ამავე ფუძეებისაგან ნამყო დროის საობიექტო მიმღებები განსხვავებული პრინციპითაა ნაწარმოები: შე-ს-ყიდ-ულ-ი და ნა-ყიდ-ი (შდრ.: გა-ყიდ-ულ-ი). ერთი შეხედვით ეს ორი ფორმა სემანტიკურად სავსებით ფარავს ერთმანეთს:

შე-ს-ყიდ-ულ-ი — ფასის გადახდით შეძენილი, ნაყიდი.

ნა-ყიდ-ი — ფასის გადახდით შეძენილი, შესყიდული.

მაგრამ გარკვეული ნიუანსობრივი სხვაობა ამ შემთხვევაში მაინც გვაქვს:

შესყიდული შეიძლება იყოს მამული და მისთ.

ნაყილია წიგნი, ღვინო, სახლი და მისთ.

„ბეტრემ ნაყიდი წისქვილის ქვები დაუდო ურემზე“ (ილია). ამ კონტექსტში დაუშვებელია „შესყიდული“.

„გლუხაკობას გაზიზნულთაგან შესყიდულ მამულს არავინ ედავება“ (ი. მაჭავარიანისეული თარგმანი). ამ კონტექსტში, ჩვეულებრივ, არ ითქმის „ნაყიდი“.

ახალ ქართულში ამ ფორმებს შორის ასეთი სხვაობა ილანდება:

ნაყიდი ისაა, რასაც არცთუ დიდი ოდენობის თანხით შეიძენენ, შესყიდული კი ის, რაც საკმაოდ დიდი რაოდენობის თანხის გაღებით იქნა შეძენილი. გარდა ამისა, შე-ს-ყიდ-ულ-ი გარკვეულად ვარაუდობს: იმას, რომ შეძენილი საგანი ადრე სხვისი კუთვნილება იყო, ნა-ყიდ-ი ამ თვალსაზრისით ნეიტრალურია. „შესყიდული“ მნიშვნელობით ახლთა „გამოსყიდული“ ფორმასთან; შდრ.: „მოსყიდული“.

ეს ნიუანსი განარჩევს პირიელ ფორმებსაც: ი-ყიდ-ი-ს და შე-ი-ს-ყიდ-ი-ს...

ამგვარი ნიუანსების გამოხატვა ენის უინაგანი მოქნილობითაა შეპირობებული, უნარით — გამოიყენოს უმცირესი ფორმობრივი შესაძლებლობანიც კი სემანტიკური დიფერენციაციისათვის.

§ 90. ა-რიგ-ებ-ს ზმნას ორი მნიშვნელობა აქვს:

1. ბევრ ვისმე მისცემს, მრავალს უწილადებს: „შეუდგნენ პურის ჭამასა, ზორცს არიგებდნენ სწორ-სწორა“ (ვაჟა-ფშაველა).
2. ჰკუას ასწავლის, რჩევას აძლევს: „მამალი მედიდურად მიდი-მოდიოდა და ქათმებს არიგებდა, რომ არ გაფანტულიყვნენ“ (ვაჟა ფშაველა).

ნამყო დროის ნა- პრეფიქსიანი მიმღეობა ამ ზმნისაგან იქნება და-ნა-რიგ-ებ-ი.

ეს ფორმაც არსებითად ბისემანტიკურია:

1. ბევრისთვის მიცემული, განაწილებული.
2. მიცემული რჩევა || ჰკუანასწავლები.

სწორედ ამის გამო, მნიშვნელობათა გასარჩევად, წარმოიქმნა უმართებულო ფორმა და-ნა-რიგ-ევ-ი.

ნა- პრეფიქსთან -ევ და -ებ მონაცვლეობს მაშინ, როცა ერთმანეთის პარალელურად დამოწმებულია შესაბამისი ზმნის -ობ და -ებ თემისნიშნიანი ფორმები: თამაშ-ობ-ს → ნა-თამაშ-ევ-ი, მაგრამ ა-თამაშ-ებ-ს → ნა-თამაშ-ებ-ი (შლრ.: თ. ზურაბიშვილი, 1972, გვ. 139, 142).

ა-რიგ-ებ-ს მხოლოდ -ებ თემისნიშნიანია, ამიტომაც მნიშვნელობისათვის „მიცემული რჩევა“ წარმოქმნა და-ნა-რიგ-ევ-ი ფორმისა ფაქულტატიური მოვლენაა ქართულისათვის.

„გლახებმა მალე გაიგეს თეიმურაზის უვარგისობა და იმის დანარიგევს რომ ერთ ყურში შეიშვებდნენ, უმაღვე მეორე ყურიდან გაიფრენდნენ“ (მ. ჯავახიშვილი).

ამით მოხდა გამიჯვნა და-ნა-რიგ-ებ-ი ფორმისაგან, რომელიც გამოხატავს მნიშვნელობას: „ბევრისათვის მიცემული, განაწილებული“.

შეიწინა: ნა- პრეფიქსთან -ევ და -ებ პარალელურად იმ შემთხვევაშიც დაიშვება, როცა ნასახელარ ზმნასთან გვაქვს საქმე. -ებ სუფიქსით ამ დროს მიმღეობა იწარმოება, -ევ სუფიქსით — წინა ვითარების სახელი. პირველ შემთხვევაში წარმოება ზმნისგან ხდება, მეორე შემთხვევაში — საკუთრივ სახელისაგან: ნა-აბანო-ებ-ი ისაა, ვინც იაბანოვა, ვინც ტანი აბანოში იბანა; სულხან-საბა ორბელიანი: „ბანება ქმნილი“, „ნა-აბანო-ევ-ი კი ყოფილი აბანოა; სულხან-საბა ორბელიანი: „აბანო ყოფილი“. პირველი იწარმოება ი-აბანოვ-ებ-ს ზმნის-

გან, მეორე — „აბანო“ სახელისაგან (იხ.: თ. ზურაბიშვილი, 1972, გვ. 149). და-ნა-რიგ-ე-ვი, რა თქმა უნდა, ამ ტიპის არაა, არც წარმოებით და არც სემანტიკით.

§ 91. მესამე ტიპის („უნიშნო“) ვნებითს შესაბამისი მიმღეობა ეწარმოება მ-არ აფიქსებით. წარმოებისას გამოიყენება მეორე სე-რის ფუძე:

გა-თბ-ა → გა-მ-თბ-არ-ი
და-დნ-ა → და-მ-დნ-არ-ი
და-დგ-ა → და-მ-დგ-არ-ი
და-ჯღ-ა → და-მ-ჯღ-არ-ი...

ამ სისტემიდან ამოვარდნილია წვ-ებ-ა ზმნა, რომლის შესაბამისი მიმღეობაა და-წოლ-ილ-ი (და არა: * და-მ-წვ-არ-ი).

მიზეზი ისაა, რომ და-მ-წვ-არ-ი მიმღეობად მოუდის ი-წვ-ი-ს || ი-წვ-ებ-ა ფორმას, თუმცა მორფოლოგიური ჩვენების მიხედვით მას -ულ სუფიქსიანი მიმღეობა უნდა შეესაბამებოდეს: ხშ-ავ-ს (ი-ხშ-ვ-ი-ს || ი-ხშ-ვ-ებ-ა) → და-ხშ-ულ-ი, მაგრამ: წვ-ავ-ს (ი-წვ-ი-ს || ი-წვ-ებ-ა) → და-მ-წვ-არ-ი. მოსალოდნელი კი იყო * და-წვ-ულ-ი.

ამგვარ გარდაქმნებს თავისი საფუძველი აქვს.

რამდენიმე შემთხვევაში ერთმანეთის გვერდით დადასტურდა ვნებითის ძველი და ახალი წარმოების ფორმები: ი-ლიმ-ი-ს || ი-ლიმ-ებ-ა, ი-ცოხნ-ი-ს || ი-ცოხნ-ებ-ა და მისთ.

ასეთი დაპირისპირებისას იქმნება სემანტიკური განსხვავების ტენდენცია: ი-ლიმ-ი-ს ტიპის ფორმები სუბიექტის გარკვეულ აქტი-ურობას გულისხმობენ, რითაც ე. წ. „საშუალო“ ფორმებს უთანაბრ-დებიან. ანუ: გრამატიკული სემანტიკით ერთ დონეზე დგებიან: წუხ-ს, ტირ-ი-ს, ი-ლიმ-ი-ს... თუმცა ფორმოზოგიური ისინი იდენტური არ არიან.

ასეთმა გააზრებამ საფუძველი შეუქმნა მიმღეობათა პარალელურ ვარიანტებს:

ი-ლიმ-ი-ს → მ-ლიმ-არ-ი, შდრ.: წუხ-ს → მ-წუხ-არ-ი,
ი-ლიმ-ებ-ა → გა-ლიმ-ებ-ულ-ი, შდრ.: წუხ-დ-ებ-ა → შე-წუხ-ებ-ულ-ი.

ამის გათვალისწინებით უნდა აიხსნას ი-წვ-ი-ს — ი-წვ-ებ-ა ფორ-
შათაგან მიმღეობის წარმოების თავისებურებანი.

ი-წვ-ი-ს ზმნა, ყალიბის მიხედვით (წვ-ავ-ს ზმნის ვნებითია), ნამ-
ყო ღრობის ტაბიკტო მიმღეობად -ულ || -ილ სუფიქსიან ფორმას
ვარაუდობს. ძველი ქართული ამას უწევდა ანგარიშს და იყო კიდე-
ვაც შე-წვ-ულ-ი (ა. შანიძე, 1980, გვ. 577). მეგრული ჰე-ილ-ი ფორ-
მაც („დამწვარი“) მიმღეობის ამგვარ წარმოებას უქერს მხარს (ქ.
ლომთათიძე, 1953, გვ. 78).

იმავდროულად თავი იჩინა სხვა ტენდენციამაც: გრამატიკული
სემანტიკის მიხედვით ი-წვ-ი-ს ჩაღვა ი-ლიმ-ი-ს ტიპის ფორმათა
რიგში და მიმღეობაც შესაბამისად იწარმოვა: და-მ-წვ-არ-ი (შდრ.:
მ-ლიმ-არ-ი).

ამის გამო წვ-ებ-ა ზმნისათვის სავარაუდო * და-მ-წვ-არ-ი მიმ-
ღეობის ადგილი დაკავებული აღმოჩნდა.

შემდეგ: დგ-ებ-ა, ჯდ-ებ-ა, სხდ-ებ-ი-ან, წვ-ებ-ა ფორმოებრივ
იდენტურნი არიან.

და მაინც წვ-ებ-ა ზმნას გარკვეულად განსხვავებული მორფო-
ლოგიური ქმედება ახასიათებს:

ა) დასახელებულ ფორმათა სტატიკური ვარიანტებია: დგ-ა-ს,
ზი-ს, სხედ-ს || სხედ-ან. მათგან განსხვავებული სტრუქტურისაა
წევ-ს.

ბ) მასდარში ამ ზმნათა ფუძე, ჩვეულებრივ, -ომ სუფიქსითაა
გართულებული: დგ-ომ-ა, ჯდ-ომ-ა, სხდ-ომ-ა. წევ-ს || წვ-ებ-ა აქაც
განკერძოებით დგას: წოლ-ა.

ყველაფერი ეს ხელს უწყობს წევ-ს || წვ-ებ-ა ფორმათა განცალ-
კევების შესაძლებლობას. ამიტომაც აღმოჩნდა დასაშვები მისთვის
მიმღეობის ფორმად და-წოლ-ილ-ი.

საერთოდ, -ილ სუფიქსიანი მიმღეობა ამ რიგის არც სხვა ზმნე-
ბისთვისაა უცხო. იქმნება გარკვეული თანაფარდობა:

და-მ-დგ-არ-ი — და-დგ-ომ-ილ-ი

და-მ-ჯდ-არ-ი — და-ჯდ-ომ-ილ-ი

(არა აქვს) — და-წოლ-ილ-ი.

აქედან და-დგ-ომ-ილ-ი და და-ჯდ-ომ-ილ-ი დასაშვები, მაგრამ
ძალზე იშვიათი ხმარების ფორმებია (შდრ.: ვან-დგ-ომ-ილ-ი). და-
წოლ-ილ-ი კი ერთადერთი შესაძლებელი ვარიანტია.

ასე რომ, და-წოლ-ილ-ი ფორმის პოვნეობა ამ თვალსაზრისითაც გამართლებულია.

გასარკვევია და-მ-დგ-არ-ი — და-დგ-ომ-ილ-ი პარალელურ ფორმათა არსებობის მიზეზი.

ამისთვის უნდა გავითვალისწინოთ მისი უღვლილების თავისებურება.

ეს ზმნა უღვლილებისას ფუძეს იცვლის:

რა ხდება: დგ-ა-ს

რა მოხდება: ი-დგ-ებ-ა || ი-დგ-ომ-ებ-ა

რა მოხდა: ი-დგ-ა

მყოფადში („რა მოხდება“ ნაკეთში) პარალელურად აღმოჩნდა დგ-ომ- ფუძე, აღებული დგ-ომ-ა მასდარისაგან. იმავე ფუძისგან არის ნაწარმოები მიმღეობის ფორმა და-დგ-ომ-ილ-ი.

მაშასადამე:

დგ-ა-ს → მ-დგ-არ-ი

ი-დგ-ომ-ებ-ა → და-დგ-ომ-ილ-ი.

ამის მიხედვით უნდა ყოფილიყო:

წევ-ს → *მ-წვ-არ-ი

ი-წოლ-ებ-ა → და-წოლ-ილ-ი.

გვაქვს კი მხოლოდ ასე:

წევ-ს — (არ არის)

ი-წოლ-ებ-ა — და-წოლ-ილ-ი.

თუ რატომ არაა დანაკლისი ფორმა, ამაზე ზემოთ ითქვა.

დგ-ომ-, წოლ- ფუძეებისგან მიმღეობა შეიძლება იწარმოოს მ-არ-ე აფიქსებითაც; ე. ი. გვექნება:

დგ-ა-ს → მ-დგ-არ-ი

ი-დგ-ომ-ებ-ა. → $\left\{ \begin{array}{l} \text{და-დგ-ომ-ილ-ი} \\ \text{მ-დგ-ომ-არ-ე} \end{array} \right.$

შესაბამისად:

წევ-ს → (არ არის)

ი-წოლ-ებ-ა → $\left\{ \begin{array}{l} \text{და-წოლ-ილ-ი} \\ \text{მ-წოლ-არ-ე.} \end{array} \right.$

ამათგან მ-წოლ-არ-ე ფორმას მოეპოვება პარალელური ვარიანტი მ-წოლ-ი-არ-ე (შდრ.: მ-გლოვ-ი-არ-ე, მ-სხმო-ი-არ-ე, მ-გრძნობ-ი-არ-ე, მ-შობ-ი-არ-ე...).

ნიშანდობლივია, რომ მ-გრძნობ-ი-არ-ე რიგის ფორმებს პარალელური ვარიანტი (მ-გრძნობ-არ-ე ტიპისა), ჩვეულებრივ, არ ეპოვებათ. მ-გლოვ-არ-ე ფრაზაში „მათზე მგლოვარეც დალბა თავშალი“ (გ. ლეონიძე) უფრო პოეტური სიტყვათწარმოების ნაყოფი ჩანს.

მ-წოლ-ი-არ-ე ამ თვალსაზრისითაც თავისებურია.

მ-წოლ-არ-ე და მ-წოლ-ი-არ-ე მნიშვნელობით სხვაობენ:

მ-წოლ-არ-ე ისაა, ვინც მოცემულ მომენტში წევს (ტახტზე, ლოჯინზე, მიწაზე...);

მ-წოლ-ი-არ-ე კი ის, ვისაც წოლითი რეჟიმი აქვს ან ლოგინადაა ჩავერდნილი.

„დედას შვილი ისევ ლოგინში მწოლარე ეგონა“ (ილია). „მინდვრად გავიდა და დაინახა მწოლარე აქლემი“ (ი. გოგებაშვილი).

„მწოლიარე ავადმყოფი“. „ვერ დადის, მწოლიარეა“.

ყველაფერი ეს მნიშვნელობათა განსხვავების ფაკულტატიურ საშუალებებად გვევლინება, თუმცა თვით ფორმათწარმოების პრინციპი (როგორც ეს მოსალოდნელიც იყო!) საკუთრივ ენის შინაგან შესაძლებლობებში პოულობს საფუძველს.

§ 12. მიმღეობას ნაირგვარი შესაძლებლობა აღმოაჩნდა მნიშვნელობათა ფაკულტატიური განსხვავებისათვის. ეს შეპირობებულა თვით მიმღეობათა წარმოების მრავალფეროვნებით.

სემანტიკური სხვაობა პარალელური წარმოების ფორმებს შორის რამდენიმე შემთხვევაში სრული იყო — დიფერენციაციის პროცესი დასრულებული ჩანდა.

ამასთანავე ისეთი ნიმუშებიც იქნა დასახელებული, სადაც ეს პროცესი შედარებით მკრთალად ილანდება. ჩანს, განსხვავების ტენდენციას არცთუ დიდი ხნის წინ უჩენია თავი და ამიტომაც ჭერჭერობით ბოლომდე მიყვანილი არ არის. მომავალში, შესაძლოა, ეს პროცესი გალრმავდეს ან ენამ საერთოდ უარყოს იგი.

თ ა ვ ი X

სიტყვათწარმოებითი საშუალებების
ფაკულტატიური გამოყენებისათვის ქართულში

§ 93. მნიშვნელობათა ცვლილებისა და გადააზრებების შემთხვევები დამახასიათებელი მოვლენაა ნებისმიერი ენისათვის და, კერძოდ, ქართულისათვისაც.

აი, რამდენიმე საყოველთაოდ ცნობილი ნიმუში ამისა:

ფორმა	აღრინდელი მნიშვნელობა	ახლანდელი მნიშვნელობა
ცხედარ-ი	სულხან-საბა ორბელიანი: „ცხედარი ითქმის შიშველი საგებელთაგან, ხოლო სარეცლად — დაგებული და გარდაგებული“. ნ. ჩუბინაშვილი: „საწოლი ტახტი“	მკედარი ადამიანის სხეული, გვამი.
მღერ-ა	სულხან-საბა ორბელიანი: „თამაშობაში ნახე... მღერა არს... ქაღრაყთა და ნარდთა და ყოველთა სამორინოთა თამაშობა და ოროლთა მრავალგვარად ბრუნებასაც მღერად იტყვიან“.	ნ. ჩუბინაშვილი: „მსოფლიური გალობა, სიმღერა“. მუსიკალური ნაწარმოების შესრულება ადამიანის ხმით. გალობა, სიმღერა.

ამგვარი ცვლილების საფუძველი კონტექსტია (ბ. ფოჩხუა, 1974, გვ. 301 — 305).

ღროთა განმავლობაში კი ის მნიშვნელობა, რომელიც ადრე ოდენ კონტექსტური (და გარკვეულად — ფაკულტატიური) იყო, შესაძლოა ძირითად მნიშვნელობად იქცეს მოცემული კონკრეტული ფორმისათვის.

ახალ მნიშვნელობაზე გადასვლის ნიმუშად შეგვიძლია დავასახელოთ აგრეთვე როკ-ვა და მე-სვე-ური:

ფორმა	ადრინდელი მნიშვნელობა	ახლანდელი მნიშვნელობა
როკ-ვა	სულხან-საბა ორბელიანი: „ცეკვა“	ცეკვა. სტომა. ალტყინებულ ცეკვა, ექსტაზური ცეკვა.
მე-სვე-ური	სვის დამწყები. მკაში, თოხნაში მეთაური მუშა, რომელსაც მის-ღვევს დანარჩენები.	1. სვის დამწყები. მკაში, თოხნაში მეთაური მუშა... 2. წინამძღოლი, მეთაური, ინიციატორი...

ორივე ფორმას შემორჩა ძველი და განუვითარდა ახალი მნიშვნელობა. ტენდენცია კი ისეთია, რომ ახალი, მოგვიანებით განვითარებული მნიშვნელობა მათთვის ძირითადი და თანდათანობით ერთადერთიც გახდეს.

მნიშვნელობათა ამგვარი გადასვლები, თავდაპირველად მარტო-ოდენ ცალკეულ კონტექსტებში წარმოჩენილი, შემდგომ, ენის განვითარების გარკვეულ საფეხურზე, როგორც წესი, ახალი მნიშვნელობის დამკვიდრებით მთავრდება ხოლმე.

მნიშვნელობათა ცვლა შესაძლოა დაკავშირებული იყოს ფორმათა საწარმოებელი ფორმანტების განსხვავებულ, ახლებურ გააზრებასთან, თუმცა ლექსიკური მნიშვნელობის თვალსაზრისით ახალ გაგებას სიტყვა თავის მთლიანობაში იძენს.

§ 94. -იან, -ოვან და -ოსან სუფიქსები ქართულში მქონებლობის სემანტიკას გამოხატავენ (ა. შანიძე, 1980, გვ. 122—126). სხვაობა მათ შორის, ჩვეულებრივ, სტილისტურია, ზოგჯერ გამოიხატება მნიშვნელობის განსხვავებული ელფერი (ნიუანსი). ამ თვალსაზრისით სხვადასხვა ფუძე სხვადასხვაგვარად იგუებს ამ ფორმანტებს. მაგალითად, კლდ-იან-ი და კლდ-ოვან-ი, ქუდ-იან-ი და ქუდ-ოსან-ი არსებითად პარალელური ფორმებია, რაიმე სემანტიკური სხვაობა მათ შორის არ იგულებია. იმავედროულად მანდილ-იან-ი და მანდილ-ოსან-ი სტილისტურად განსხვავებული ფორმებია: მანდილ-იან-ი ნეიტრალურია, ოდენ ფაქტის აღმნიშვნელი: „მანდილის მქონებელი“, მანდილ-ოსან-ი კი კდემამოხილი, დარბაისელი ქალის ცნების გამოხატველ ფორმად იქცა, ე. ი. ლექსიკური მნიშვნელობის გამოხატეასთან ერთად შეფასებასაც ახდენს.

ბალახ-იან-ი და ბალახ-ოვან-ი უკვე სემანტიკური ელფერით განსხვავდება ერთმანეთისაგან: ბალახ-იან-ი — ბალახით დაფარული ადგილია, ბალახ-ოვან-ი კი ის, რაც ბალახის მქონებლობით გამოირჩევა.

ასევე: წებო-იან-ი ისაა, რასაც წებო აქვს ან რაშიც წებო ასხია, წებ-ოვან-ი კი წებოს თვისების მქონეობას გულისხმობს.

ამ სახის სემანტიკური გადახრები საფუძველს უქმნიან უფრო შორსმიმავალ სემანტიკურ ცვლილებებს, ისეთს, როცა ფორმებს ლექსიკური თვალსაზრისით უკვე აღარაფერი აქვთ საერთო:

ხელ-ი → { ხელ-იან-ი: ხელის ან სახელურის მქონე.
ხელ-ოვან-ი: თავისი ხელობის, თავისი საქმის ზედმიწევნით მცოდნე. ხელოვნების მუშაკი...
ხელ-ოსან-ი: რაიმე ხელობის მცოდნე.

ამჭერად ყურადღებას ვამახვილებთ ამ რიგის სემანტიკურ ცვლილებებზე. ეს ცვლილებანი იმიტაც არიან ღირსსაცნობი, რომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში მნიშვნელობათა განსხვავებულ მიმართებებს გვიმოწმებენ, ანუ: ფორმობრივ ერთი და იგივე დაპირისპირება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სემანტიკურად განსხვავებულ დამოკიდებულებას ქმნის.

• • •

ხუთ-იან-ი — ცოდნის შეფასების ხუთ-ოსან-ი — ის, ვინც ხუთიანიშანი. ანებს იღებს, ხუთებზე სწავლობს.

„საკლასო ეურნალში ხუთიანები ჩამწკრივდა“.

„ხუთოსანი მოწაფე“.

და ასე: ორ-იან-ი — ორ-ოსან-ი, სამ-იან-ი — სამ-ოსან-ი...

ხუთ-იან-ი აქ მქონებლობას არ გამოხატავს. ამოსავალში კი, რა თქმა უნდა, გამოხატავდა. მნიშვნელობათა გადასვლა ასე წარმოგვიდგება: „ხუთის მქონე, ხუთი ბალის შემცველი“ → „ნიშანი ხუთი“.

ხუთ-იან-ი მქონეობას დღესაც შეიძლება გამოხატავდეს.

მაგალითად, ასე ეწოდება სათამაშო ქალაქს (ბანქოს), რომელზედაც ხუთი ქულაა გამოსახული: „ჯერის ხუთიანი“.

მშვილდ-იან-ი — ვისაც მშვილ-
დი აქვს, ვინც მშვილდისრითაა
შეიარაღებული.

მშვილდ-ოსან-ი — ის, ვისი ხე-
ლობაა მშვილდით ნადირობა ან
სპორტულ შეჯიბრში გამოსვლა.
მშვილდოსნობაში გაწაფული.

„ბუჩქებში მშვილდიანი ბავშვი იმალებოდა“.

„ბრწყინავს ოქროს ჩაბალახით გორგასალი — ომის ღმერთი! ყველა
განთქმულ მშვილდოსანზე ისარი აქვს მტკავლით მეტი“ (გ. ლეონიძე).

ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მშვილდი (ე. ი. მშვილდიანი იყოს),
მაგრამ გაწაფული არ იყოს მშვილდის სროლაში (ე. ი. მშვილდოსა-
ნი არ იყოს). სწორედ ამ მნიშვნელობათა გასარჩევადაა გამოყენე-
ბული ზემოდასახელებული ორი ფორმა.

* * *

ჯერ-იან-ი—ჯერის მქონე, ჯერათ ჯვარ-ოსან-ი—ჯვაროსნული ლაშ-
შემკული (|| ჯვარ-იან-ი). ქრობის მონაწილე.

„ბოროტი სულების დასაფრთხობად ჯვრიანი კოლოკები ამარ-
თეს და კოცონები ააბრიალეს“ (ლ. ქიაჩელი).

„ალექსი კომნენი ისედაც დაეჭვებული იყო ჯვაროსანთა გამარჯ-
ვებაში“ (კ. გამსახურდია).

* * *

ხმ-იან-ი — ხმის მქონე, მაღალი
ხმის მქონე, ხმამაღალი.

ხმ-ოსან-ი—ძველ მმართველობა-
ში: ხმის მიცემის უფლების მქო-
ნე. ქალაქის თვითმმართველო-
ბის ან ერობის საბჭოს დებუ-
ტატი.

შდრ.: ხმ-ოვან-ი — ხმის გამომცემი, ხმამაღალი.

„უხმოსთან ვიყავ ხმიანი და უსიტყვო — ხმიანთანა“ (ილია).

„ჩვენი ქვეყნის მთელი ხმოვანი ბუნება აღმოიტყვის თამარის ამ
უცნაურ ამბავსა“ (შ. დადიანი).

„შეგვხვდი ქალაქის თავს, ანდრონიკაშვილს, ერთად რამდენიმე ხმოსანთან“ (დ. კლდიაშვილი).

* * *

ფრთ-ოსან-ი — ფრინველი, ჩიტი. ფრთ-იან-ი — ის, რასაც ფრთები ასხია.

ამ ორი ფორმით გამოხატული მნიშვნელობები ახლო დგანან ერთმანეთთან, მაგრამ სემანტიკური დაშორების ტენდენცია იმიტაც გამოიხატება, რომ მათი თავისუფალი მონაცვლეობა ენაში გამოირიცხება: ცვლილება უკვე სემანტიკური იქნება და არა ოდენ სტილისტური, როგორც ეს ჩვეულებრივ ივარაუდება.

დასაშვებია მაგალითად, „ფრთიანი გუთანი“ — გუთანი, რომელსაც ბელტის გადასაბრუნებლად ფრთის მსგავსი მოწყობილობა აქვს. შეუძლებელია ამ შემთხვევაში „ფრთოსანი“ ფორმის ჩანაცვლება.

ასევე: „ფრთოსნებმა ჟივილ-ხივილი დაიწყეს“. აქ უკვე „ფრთიანი“ არის გამოუსადეგარი.

„დასხლტა ისარი ფრთიანი — გაგორდა თათრის შობილი“ (რ. ერისთავი).

ფრთ-ოსან-ი ამ ფრაზაში სულ სხვა გაგებას შეიტანს.

„არ ვიცით — ვის უმიზნებს „ნოვოე ობოზრენიე“ ამ ფრთოსანს ისარს მაშინ, როდესაც მშვილდსა მალავს“ (ილია).

„მხარგრძელნი ფრთოსანნი ნელ-ნელა მიცურავენ თვალუწვდომელ ცის სივრცეში“ (თ. რაზიკაშვილი).

ფრთ-იან-ი ამ კონტექსტში ვერ გამოიყენება.

ამიტომაც პოეტურ ნებელობად მოჩანს ფრთ-იან-ი ამ ფრაზაში: „დიდი გამართეს ზეიმი მწერთა, ოთხფეხთ და ფრთიანთა“ (ვაჟა-ფშაველა).

* * *

საქმ-იან-ი — 1. საქმის მქონე. საქმის მოყვარული. საქმის მცოდნე, მოსაქმე, გამრჯე. 2. საქმის შესაფერისი, საქმესთან დაკავშირებული, საქმისთვის განკუთვნილი.

საქმ-ოსან-ი — ის, ვინც თავის საქმიანობაში პირადი, პრაქტიკული (ჩვეულებრივ, კომერციული) ინტერესებით ხელმძღვანელობს.

„ოთარაანთ ქერივი მაშინვე გამოიცვალა და ისევ საქმიან დედა-კაცად იქცა, რაკი სიტყვა საქმეზე მიდგა“ (ილია). „ოყენენ ერთ სიცილში, ოხუნჯობაში და ხან საქმიან ლაპარაკში“ (დ. კლდიაშვილი).

„ყველა სასტუმრო, ბაკი და სახლი სავსე იყო იმპერიის სხვადასხვა ადგილიდან ბედის საქებნელად მისული საქმოსნებით“ (ბ. ჩხეიძე).

შდრ.: მანდილ-ოსან-ი და საქმ-ოსან-ი.

პირველ შემთხვევაში მოკრძალება და პატივისცემაა გამოხატული, მეორე შემთხვევაში სავსებით საპირისპირო ემოცია აღინიშნება.

ამის მიზეზი, როგორც ჩანს, ისაა, რომ სიტყვამ „საქმე“ გარკვეულ კონტექსტში უარყოფითი ელფერი შეიძინა: „საქმის ჩაწყობა“ ანდა: „აქა კვაკმა ახალი დიდი საქმეები გააიმასქნა“ (მ. ჯავახიშვილი).

სწორედ ეს მნიშვნელობა აღმოჩნდა ამოსავალი საქმ-ოსან-ი ფორმისათვის, საპირისპიროდ საქმ-იან-ი ფორმისა, სადაც „საქმე“ თავისი დადებითი სემანტიკური ელფერით იქნა გამოყენებული.

ღირსსაცნობი აქ ისაა, რომ „საქმე“ ფორმის ეს ორი განსხვავებული ელფერი სიტყვათწარმოებით დონეზე ენამ ერთი მნიშვნელობის მქონე ორი სხვადასხვა ფორმანტის გამოყენებით დააპირისპირა.

ანუ: საკუთრივ „საქმე“ ამ ნიუანსებს მხოლოდ კონტექსტით განსხვავებს, მისგან ნაწარმოებმა საქმ-იან-ი და საქმ-ოსან-ი ფორმებმა კი მქონებლობის -იან და -ოსან სუფიქსები გამოიყენეს ამ დანიშნულებით, თუმცა ეს ფუნქცია ამ ფორმანტებს ენაში, ჩვეულებრივ, არა აქვთ.

§ 95. -ობ-ა მასდარისეული სუფიქსია, რომელიც სახელებში აბსტრაქტულობის ფუნქციით იქნა გამოყენებული: მტრ-ობა, მეგობრ-ობა, ყრმ-ობა-ა...

ეს სუფიქსი, როგორც წესი, გამოიყენება მაშინ, როცა კონკრეტული მნიშვნელობის მქონე სახელისაგან აბსტრაქტული სემანტიკის გამომხატველი სახელია საწარმოებელი: მტერი → მტრ-ობა-ა; ანდა იმ შემთხვევაში, როცა საჭირო ხდება მოქმედების სახელის (მასდარის) წარმოება: მტრ-ობა-ს → მტრ-ობა-ა.

ერთი ფორმა (მტრ-ობა-ა) ითავსებს ამ ორ მნიშვნელობას და კონტექსტის შესაბამისად გამოავლენს თითოეულ მათგანს.

იმავდროულად ქართულში მოგვეპოვება რიგი სახელებისა, რომლებიც იმთავითვე, თავისთავად (ძირის სემანტიკის მიხედვით) გამო-

ხატავენ აბსტრაქტულ ან მოქმედების სახელის მნიშვნელობას: ზე-
იმ-ი, თამაშ-ი, ვარჯიშ-ი, ლაპარაკ-ი, საუბარ-ი...

ენაში თავი იჩინა უმართებულო ტენდენციამ, ხსენებული სახელე-
ბიც გაფორმებულიყო იმ აფექსებით, რომელთა გარეშეც გამოიხატე-
ბოდა შესაბამისი მნიშვნელობა:

თამაშ-ი („თავშესაქცევი, გასართობი მოქმედება... გარკვეული წე-
სით ჩატარება რაიმე სპორტული შეჯიბრისა... ცეკვა“) → თამაშ-ობ-ს
(„თავს იქცევს, ერთობა... მონაწილეობს სპორტულ შეჯიბრში... ცეკ-
ვავს...“) → თამაშ-ობ-ა („თავშესაქცევი, გასართობი მოქმედება...
გარკვეული წესით ჩატარება რაიმე სპორტული შეჯიბრისა... ცეკ-
ვა“...“).

თამაშ-ობ-ა მნიშვნელობით ზედმიწევნით იგივეა, რაც თამაშ-ი.

„მე იმდენად არა მშიოდა, რამდენადაც „სტუმრობიას“ თამაში
მინდოდა“ (აკაკი). „ერთი შესანიშნავი მოკაღრავე პოლკოვნიკი გვეწე-
ვია, შენტან თამაში სურს“ (აკაკი).

„დასვენება და თამაშობა მხოლოდ იმისთვის არის საამური, ვინც
გაისარჩავ“ (ი. გოგებაშვილი). „ქართული ხალხური თამაშობანი დაუშ-
რეტელი წყაროა ბავშვთა ფიზიკური აღზრდის საშუალებათა გამრავ-
ალფეროვნებისათვის“.

ამ ვითარებაში თამაშ-ობ-ა ტიპის ფორმები ზედმეტად ამძიმებენ
ენას და ენაც, ჩვეულებრივ, უარს ამბობს მათზე.

მაგრამ მოხდა ისე, რომ ზეიმ-ი ზეიმ-ობ-ა სემანტიკურად განსხ-
ვავდა. ზეიმ-ობ-ა ფორმამ უარყოფითი ელფერი მიიღო და გამოყე-
ნებულ იქნა უაზრო, უშინაარსო დროსტარების აღსანიშნად: „ფორმი-
თა და შინაარსით დახვეწილი საღამოების გამართვა გემართებს ჩვენი
სახელოვანი ადამიანებისათვის. და ეს სავესებით შესაძლებელია, თუ
საქმეს მკოდნე ხელოვანი მოკიდებს ხელს, თუ გადაჭრით უარე-
ყოფთ და უარს ვიტყვით პროვინციულ, მეშჩანურ ზეიმობაზე“ („ლი-
ტერატურული საქართველო“, 1981 წ., № 34).

შდრ.: „ხალხი დიდ ზეიმსა და ამბავს მოელოდა“ (ლ. ქიაჩელი).

ზეიმ-ი და ზეიმ-ობ-ა ფორმათა ამგვარი დაპირისპირება უახლესი
მოვლენაა. ჯერ კიდევ ახლო წარსულში თამაშ-ი — თამაშ-ობ-ა ფორ-
მათა მსგავსად ზეიმ-ი და ზეიმ-ობ-ა ერთმანეთის ზუსტ სინონიმებად
გამოიყენებოდა.

ამჟამინდელი სემანტიკური სხვაობა, რა თქმა უნდა, ფაქულტატი-
ურ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

§ 90. ფორმანტი -ეულ წარმომავლობას აღნიშნავს: მამის-ეულ-ი, ხილ-ეულ-ი, შალ-ეულ-ი... მაშინ, როცა ადამიანისაგან წარმომავლობა გამოიხატება, -ეულ მიერთვის ნათესაობითა ბრუნვის ფორმას: მამა → მამ-ის-ეულ-ი, ერისთავ-ი → ერისთავ-ის-ეულ-ი... სხვა შემთხვევებში -ეულ, ჩვეულებრივ, უშუალოდ ფუძეზეა დართული: ხილ-ი → ხილ-ეულ-ი, თევზ-ი → თევზ-ეულ-ი, შალ-ი → შალ-ეულ-ი... ამავე სუფიქსითაა ნაწარმოები: ღირს-ეულ-ი („ის, ვინც საპატივცემულო, დამსახურებულ, დვაწლმოსილ პიროვნებათა რიგს განეკუთვნება“), შორ-ეულ-ი („ის, ვინც შორსაა“ → „ის, რაც შორსაა“).

-ეულ სუფიქსი რიცხვით სახელებთანაც გამოიყენება.

ერთ-ეულ-ი აღნიშნავს ერთის კუთვნილს, ერთისგან მომდინარეს. აქედან განვითარდა სხვა მნიშვნელობებიც: ერთნიშნა რიცხვი ან მრავალნიშნა რიცხვის უკანასკნელი ციფრი, სიდიდე, აღებული სხვა ერთგვაროვან სიდიდეთა საზომად (სიგრძის, ღრვის, წონის ერთეული), ცალკეული დაუყოფადი ნაწილი მსგავსთა შორის (აღმინის-ტრაკიული ერთეული).

სამ-ეულ-ი ნიშნავს სამი ცალისგან (ერთეულისგან) შემდგარი რამ, ოთხ-ეულ-ი — ოთხი ერთეულისგან და ა. შ.

თუკი სამ-ეულ-ი სამი ერთეულისაგან შედგენილი სიდიდეა, მესამეულ-ი ის იქნება, რაც ღრვის მიხედვით მესამე ჯერზე დადგა. ანალოგიურად განიმარტება ამ რიგის ყველა სხვა წარმოება.

თავისებური აღმოჩნდა ორ-ი რიცხვითი სახელისაგან ნაწარმოები ორ-ეულ-ი ფორმის ლექსიკური მნიშვნელობა: „სავსებით სხვისი მსგავსი ადამიანი; ლანდი, ჩრდილი, გამოსახულება“. შდრ.: მეორეულ-ი — „რისამე განვითარების მეორე საფეხურისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისება“.

ასე რომ, მეორეულ-ი იმეორებს მესამეულ-ი, მეოთხეულ-ი ტიპის ფორმათა ჩვენებას, ორეულ-ი კი თავისი სემანტიკური რაობით არსებითად განსხვავდება სამეულ-ი რიგის ფორმათაგან.

დარღვეულია სემანტიკური შესატყვისობაც: ერთეულია ის, რაც ერთს განეკუთვნება, სამეული — ის, რაც სამს განეკუთვნება, ანუ: ის, რაც ერთისგან, სამისგან არის შედგენილი. მაგრამ ორეული უკვე ისაა, ვინც ან რაც სავსებით სხვისი მსგავსია. სემანტიკურად იგი გაორ-ებ-ა ფორმასთან მიდის. ეს კი „ორად ქცევას, ორად გარდაქმნას“ გამოხატავს და არა ორისგან მომდინარეობას.

ორეულ-ი ფორმას რთული სემანტიკური სტრუქტურა აქვს.

სემანტიკური გადაზრების გზა, ჩანს, ასე უნდა ვივარაუდოთ: „საერთო წარმომავლობის ორი რამ, ერთისგან წარმოქმნილი ორი რამ“ → „სავსებით ვინმეს ან რაიმეს მსგავსი“ → „ვილაც (ან რალაც) სხვისი სახით“.

-ეულ სუფიქსის ამ დანიშნულებით გამოყენება ფაკულტატიურია ქართულისათვის.

§ 97. ფაკულტატიური არაძირითადს, არაკანონიკურს ნიშნავს, მაგრამ იმთავითვე გულისხმობს, რომ ამ რიგის წარმოებაც თვით ენის შინაგანი ბუნებით უნდა იყოს შეპირობებული. ყოველგვარი ხელოვნური ჩარევა ამ მხრივ თავიდანვე განწირულია.

უშედეგოდ დამთავრდა ცდა, ბერძნული ენის კვალობაზე მდებრობითი სქესის გამოსახატავად სპეციალური ფორმები შეექმნათ ქართულში. მაგრამ ეს ცდა გარკვეულად აისახა სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონშიც კი.

„მეფე ეწოდების კაცსა კელმწიფესა, მაღალსა და გვრგვნოსანსა, ხოლო მეფა — ქალსა, რომელ არს დედუფალი“.

დედოფლის აღსანიშნავად სხვა ფორმებიცაა დასახელებული: მეფია და მათფა („მათფა — მეფაჲ, დედუფალი“).

ანდა: „ქალწული — ვაჟი უბიწო, ქალწულა — ქალი უბიწო“.

ნ. ჩუბინაშვილი შენიშნავს: „მეფე — ხელმწიფე... მეფა იხმარების ზოგჯერ მდებრობითად...“ ქალწული მისთვის უბიწო ვაჟიცაა და ქალიც, ქალწულა — მხოლოდ უბიწო ქალი.

ასე რომ, იყო ცდა, -ა სუფიქსით აღენიშნათ მდებრობითი სქესი.

ამ ცდამ მხატვრულ ლიტერატურაშიც გაჟონა: „მშვენიერთა ხელმწიფავ, მკლავს სიშორე შენითა“ (ა. ჭავჭავაძე).

ქართულში გვაქვს -ა ხმოვანზე დაბოლოებული სახელები. როგორღა უნდა გარჩეულიყო ამ შემთხვევაში სქესი?

სქესის გარჩევა რომ ქართული ენის შინაგანი მოთხოვნილება ყოფილიყო, ენა ისევე, როგორც სხვა მრავალ შემთხვევაში, უთუოდ გამოძებნიდა საამისო საშუალებას.

ამჯერად კი ისევ ხელოვნური ხერხი იქნა გამოყენებული: ერთმანეთს დაუპირისპირდა -ა-ზე დაბოლოებული სახელის ფუძე და იმავე სახელის სახელობით ბრუნვისნიშნის ფორმა. სულხან-საბა ორბელიანი განმარტავს: „მონა — ნასყიდი ვაჟი, მონაჲ — ნასყიდი ასულა;

ყრმა — მონა, გინა შაგირდი, ყრმაჲ — ქალწულას უწოდენ“. დასახელებულია ასეთი ფორმაც „ყრმაა“, მნიშვნელობით „მკვევალი“.

ქართულისათვის ამგვარი წარმოება არაბუნებრივი იყო და ამის გამო მიუღებელიც. თვით ფაქტი კი ღირსსაცნობია, როგორც ენის სტრუქტურაში ხელოვნური ჩარევის ცდა, რაც იმთავითვე უგულვებელყოფილი აღმოჩნდა.

ნიშანდობლივია: ენაში ფეხს იკიდებენ მნიშვნელობათა განსახვევებლად გამოყენებული მხოლოდ ის, თუნდაც ფაკულტატიური, საშუალებანი, რომელნიც თვით ამ ენის სტრუქტურითაა ნებადართული და გამართლებული.

თ ა ვ ი XI

სინონიმთაგან ნაწარმოები ფორმების სემანტიკური ლაპირისპირებისათვის ქართულში

§ 98. სინონიმთა განმარტება, მათი რაობის განსაზღვრა დღესაც პრობლემატურია. ამჯერად საფუძვლად ვიღებთ დებულებას: „სინონიმები ერთი მნიშვნელობის, ე. ი. ერთგვარი საგნობრივი მიმართების მქონე სიტყვებია“ (ბ. ფოჩხუა, 1974, გვ. 31).

ქართულ სინონიმთა ლექსიკონში (ა. ნეიმანი, 1978) სინონიმებად დასახელებულია ზვეწნა და მუდარა, გესლი და შხამი...

სინონიმთაგან შეიძლება იწარმოოს ზმნური ფორმები, რომლებიც ურთიერთმიმართ ასევე სინონიმები იქნებიან: ა-ზვეწნ-ებ-ს და ა-მუდარ-ებ-ს (მდრ.: ე-ზვეწ-ებ-ა და ე-მუდარ-ებ-ა), გესლ-ავ-ს და შხამ-ავ-ს (ი-გესლ-ებ-ა და ი-შხამ-ებ-ა)...

ასეა აბსოლუტურ უმრავლეს შემთხვევაში.

იმავედროულად ზოგჯერ საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე: სინონიმთაგან ნაწარმოები ზმნები სემანტიკურად განირჩევიან ერთმანეთისაგან.

§ 99. თავდაპირველად შევეხებით სრულ სინონიმებს.

ს-ძაგ-ს — ეზიზღება, სძულს, ს-ძულ-ს — მტრული გრძნობა, მტრული გრძნობა, სიძულვილი სიძულვილი აქვს ვისიმე ან რი-აქვს ვისიმე ან რისამე მიმართ. სამე მიმართ. ეზიზღება, სძაგს.

„ნე-კი ჩემი თავი მძაგს და მეზიზღება“ (ილია).

„სძულს უგულოდ სიყვარული, ზვეწნა, კოცნა, მტლაშა-მტლუში“ („ვეფხისტყაოსანი“).

სინონიმური მიმართება შენარჩუნებულია ნაწარმოებ ფორმებშიც:

სა-ძაგ-ელ-ი — საძულველი, სა- ზიზღარი, ძალიან ცუდი. სა-ძულ-ვ-ელ-ი — საძაგელი, სა- ზიზღარი, სიძულვილის ღირსი.

„რა საძაგელი კაცი უნდა იყოს და უზრდელი, რომ ნახვისთანავე უსიამოვნობით გული შემიწუხაო!“ (აკაკი).

„შიძლება ირმას ერჩიოს საძულველ კაცთან ფუფუნებით ცხოვრება?!“ (რ. გვეტაძე).

ანალოგიური მიმართებაა ვნებითებშიც:

ს-ძაგ-დ-ებ-ა — სძულდება, ზი- ზღდება, სიძულვილი, ზიზღი აღეძვრება. ს-ძულ-დ-ებ-ა — სძაგდება, ზი- ზღდება, სიძულვილი, ზიზღი აღეძვრება.

„ბიწიერება უმეტესი ძალით სძაგდება და კეთილის სიყვარული უფრორე უმტკიცებდა“ (ნ. ავალიშვილისეული თარგმანი).

„რაც-კი იგაჟინებს, ხშირად ბოლოს გეძულდება ხოლმე“ (ი. მაჩაბლისეული თარგმანი).

იმავედროულად ურთიერთმიმართ სინონიმური ამ ორი ფორმისგან იწარმოება მოქმედებითი გვარის ზმნები, მნიშვნელობის თვალსაზრისით განსხვავებული:

ა-ძაგ-ებ-ს—ვისიმე ძვირს, ცუდს, აუგს ამბობს. ავად, გაკილვით იხსენიებს. ა-ძულ-ებ-ს—სიძულვილს უნერგავს, საძულველად უხდის, აზარებს. თავს აბეზრებს, თავს (შე)-აწყენს.

„აწ რომ ავი არ ვაძაგო, კარგი როგორ უნდა ვაქო?“ (დ. გურამიშვილი).

„ასე ურიგოდ კაცი ატარე, კარგი აძულე, ავი აყვარე!“ (დ. გურამიშვილი). „ხვეწნით თავს აძულებდა“ (ა. ყაზბეგი).

სემანტიკური სხვაობა სრულია.

სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს:

ძაგ-ებ-ა — ბოროტად კსენება,

ძულ-ვ-ებ-ა — საძაგლად მიაჩნდეს.

სემანტიკური სხვაობა, როგორც ვნახეთ, მასდარშიც აისახა.

ასე რომ, სინონიმთაგან ნაწარმოები ფორმები ერთმანეთს სემანტიკურად დაუპირისპირდნენ, განსხვავებული მნიშვნელობების გამოხატვა დაეკისრათ.

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ სტატიკური ზმნა და მისგან ნაწარმოები დინამიკური ფორმა ერთმანეთისაგან ლექსიკურად განსხვავდნენ:

ს-ძაგ-ს („სძულს“) → ა-ძაგ-ებ-ს („აუგად ახსენებს“).

ღირსსაცნობია, რომ ზმნისწინით გაფორმებისას სემანტიკურად დაპირისპირებული ფორმები კვლავ სინონიმები ხდებიან:

ა-ძაგ-ებ-ს („აუგად ახსენებს“) → შე-ა-ძაგ-ებ-ს („შეაძულებს“)
ა-ძულ-ებ-ს („სიძულვილს იწვევს“) → შე-ა-ძულ-ებ-ს („სიძულვილს გამოიწვევს, შეაძაგებს“).

შე-ა-ძაგ-ებ-ს და შე-ა-ძულ-ებ-ს სინონიმებია.

და ერთიც: ლექსიკურად განსხვავებულ ფორმათა ვნებითები ისევე, როგორც სტატიკური ფორმები, ურთიერთმიმართ სინონიმებია:

ს-ძაგ-ს („სძულს“) → ა-ძაგ-ებ-ს („აუგად იხსენებს“) → ს-ძაგ-დ-ებ-ა („სძულდება“)

ს-ძულ-ს („სძაგს“) → ა-ძულ-ებ-ს („სიძულვილს იწვევს“) → ს-ძულ-დ-ებ-ა („სძაგდება“).

ამგვარად, სემანტიკური თვალსაზრისით სხვაობენ მხოლოდ უზმნისწინო მოქმედებითი გვარის ფორმები.

* * *

მხეც-ი — 1. გარეული მტაცებელი ცხოველი, ნადირი; საერთოდ, გარეული ცხოველი. 2. სასტიკი, ავი, უსამართლოდ მკაცრი ადამიანი.

ნადირ-ი — 1. გარეული მტაცებელი ცხოველი, მხეცი. საერთოდ, გარეული ცხოველი. 2. ავი, სასტიკი, უსამართლოდ მკაცრი ადამიანი.

„უსასტიკესი მხეცია ავზა“ (ყ. გამსახურდია). „ხომ იცი, რა მხეცია ის ვაჟბატონი...“ (დ. კლდიაშვილი).

„გაუვალსა და დაბურულ ტყეებში ბევრგვარი ნადირი ბუდობს“ (ი. გოგებაშვილი). „დაუმსახურებლად მიაფურთხეს მას სახეში — რას ერჩოდნენ ეს მხეცები, ეს ნადირები, რას ერჩოდნენ!“ (ქ. ლომთათიძე).

ლექსიკური იგივეობა უდაოა. აშკარა სინონიმებთან გვაქვს საქმე. ორივე სახელისაგან იწარმოება ზმნა:

მხეც-ობ-ს — მხეცის თვისებებს ავლენს: სისასტიკეს, სიძვეს, სიველურეს. მხეცივით იქცევა.

ნადირ-ობ-ს — 1. გარეულ ცხოველებს ან ფრინველებს ზოცავს თოფით და მისთ. 2. გამოსაკვებად იჭერს ნადირს. 3. სდევნის ვისმე ხელში ჩასაგდებად, დასაჭერად.

„თავაშებულთა და მხეცობს“. „ღუელი, ჩემის აზრით, მხეცობაა“ (აკაკი).

„სადაც მწყერზე ნადირობა გახშირებულთა, იქ ყანის მოსავალი მციოვია“ (ი. გოგებაშვილი). „ნეტა, რატომ არ ეშინიათ ფშაველებს და თუშებს, ტყეში რომ დადიან და ნადირობენ“ (თ. რაზიკაშვილი). „ლომი მხოლოდ ღამე ნადირობს“. (ი. გოგებაშვილი). „ყაჩაღებზე ნადირობს...“

ეს ორი ფორმა, რა თქმა უნდა, სინონიმებად ვერ მიიჩნევა.

ნიშანდობლივია: მხეც-ი და ნადირ-ი ფორმებისათვის ზემოთ ორორი მნიშვნელობა იყო ნაჩვენები. ამ სახელთაგან ნაწარმოებ ზმნებში იმ ორიდან თითო მნიშვნელობა შემოვიდა: მხეც-ობ-ს ფორმისათვის საყრდენია მნიშვნელობა „სასტიკი, ავი, უსამართლოდ მკაცრი ადამიანი“, ნადირ-ობ-ს ფორმისათვის კი — „გარეული მტაცებელი ცხოველი“. სხვა მნიშვნელობები ამ უკანასკნელში ხსენებული ამოსავალი სემანტიკის ბაზაზეა განვითარებული.

ანალოგიურადაა დაპირისპირებული შესაბამისი მოქმედებითი გვარის ფორმებიც:

ა-მხეც-ებ-ს — მხეცს დაამსგავსებს, სასტიკს, ავს, ველურს ხდის.

ა-ნადირ-ებ-ს — აძლევს ან შესაძლებლობას აძლევს ინადიროს. ნადირს აკვლევინებს ან აჭერინებს. სანადიროდ მიჰყავს.

„უბრალო შეკამათებაც კი ამხეცებს“.

„ძალს ვანადირებ კურდღელზე“ (ვაჟა-ფშაველა).

სულ სხვაგვარია ვითარება შესაბამის ვნებიანებში:

მხეც-ღებ-ა — მხეცივით იქცე- ნადირ-ღებ-ა — ნადირით იქ-
ვა, ავი, სასტიკი, ველური ხდება. ცევა, ავი, სასტიკი, ველური ხდებ-
ბა.

ეს ორი ფორმა ისევე სინონიმია ურთიერთმიმართ, როგორც მხეც-ი და ნადირ-ი, ოღონდ ამ მნიშვნელობით: „სასტიკი, ავი, უსამართლოდ მკაცრი ადამიანი“.

ამ რიგის მოვლენები, რასაკვირველია, ქართული ენის ფორმათწარმოების ძირითად ფონდს არ განეკუთვნება. მკვეთრად გამოხატულ ფაქულტატიურ ფაქტებთან გვაქვს საქმე.

§ 100. უფრო ხშირია ე. წ. ნაწილობრივი სინონიმები.

ღონე — 1. კუნთების მოქმედების ძალა, ენერჯია. აქტიური მოქმედების ფიზიკური ან სულიერი შესაძლებლობა. უნარი, 2. ხერხი, ღონისძიება, საშუალება, შესაძლებლობა.

ძალა — 1. კუნთების ენერჯია, ღონე. 2. პიროვნების ან ჯგუფის მოქმედების უნარი. 3. მექანიკური ზემოქმედება. ინტენსივობა. 4. სავალდებულო ხასიათი. 5. ადამიანთა ჯგუფი.

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ (ანდაზა). „პირდაპირ მისვლას მოერიდა და ისევ სხვა ღონე იღონა“ (ვაჟა-ფშაველა).

„ძალა აღმართსა ხნავსო“ (ანდაზა). „ხალხის ძალამ და სახსარმა არ იციის გადაჯიშება“ (გ. ლეონიძე). „ღენის ძალა“. „თემობას დაეკარგა თავისი ძალა“ (ა. ყაზბეგი). „შეიარაღებული ძალები“.

ასე რომ, „ღონე“ და „ძალა“ სინონიმებია იმ შემთხვევაში, როცა გამოიხატება მნიშვნელობა: „კუნთების ენერჯია. მოქმედების ფიზიკური ან სულიერი შესაძლებლობა, უნარი“.

სულხან-საბა ორბელიანი ასე განმარტავს:

ღონე — ნაწილი სიმცნისა და ძლიერებისა.

ძალა — ძლიერების ნაწილი.

ხშირია „ძალა“ და „ღონე“ ფორმათა კომპოზიტად გამოყენება:

„ძალ-ღონე“ („გული არ იშლის გულობას, მაგრამ ვერ მოსდევს ძალ-ღონე“, აკაკი).

„ძალა“ და „ღონე“ მრავლისაგან მრავალ კონტექსტში თავისუფლად შეენაცვლება ერთმანეთს:

ღონეს მოიკრეფს — ძალას მოიკრეფს

ღონე შესწევს — ძალა შესწევს

ღონე ერჩის — ძალა ერჩის

ღონე ელევა — ძალა ელევა

ღონე მიეცა — ძალა მიეცა

მეტი რა ღონეა — მეტი რა ძალაა...

მაგრამ გამოირიცხება მათი თავისუფალი მონაცვლეობა ასეთ კონტექსტებში: „ღენის ძალა“, „შეიარაღებული ძალები“, „თემობას დაეკარგა თავისი ძალა“...

სხვაობის ტენდენცია მეტნაკლებად ილანდება ამ სახელთაგან ნაწარმოებ ფორმებში. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ „ღონიერი“ და „ძლიერი“ არსებითად ერთსა და იმავე თვისებაზე მიუთითებს და ზოგჯერ თავისუფლადაც შეენაცვლება ერთმანეთს („ღონიერი კაცი“ იგივეა, რაც: „ძლიერი კაცი“), აშკარაა სემანტიკური სხვაობაც ამ ფორმებს შორის: „ღონიერი“ უპირატესად ფიზიკურ, გარეგნულ ფაქტორზე მიუთითებს, „ძლიერი“—შინაგანზე, გონებრივზე, სულიერზე, მორალურზე. „ღონიერი პიროვნება“ და „ძლიერი პიროვნება“ სემანტიკურად ერთმანეთს არ ეტოლება. აქ უკვე სხვადასხვა ნიშნის მიხედვითაა პიროვნება დახასიათებული.

სხვაობა სიტყვათწარმოებით პოტენციაშიც იჩენს თავს: „ძლიერი“ ფორმისაგან იწარმოება აბსტრაქტული სახელი „სიძლიერე“. ბუნებრივიცაა, რადგან „სიძლიერე“ სწორედ შინაგან, მორალურ ფაქტორს წარმოაჩენს. „ღონიერი“ ფორმა კი მოკლებულია ამის უნარს.

სხვაობა მაქსიმალურად წარმოჩნდება „ღონე“ და „ძალა“ სახელთაგან ნაწარმოებ ზმნურ ფორმებში.

ა-ღონ-ებ-ს—ადარდიანებს, მწუ- ა-ძალ-ებ-ს—ძალით აძლევეს რას-
ზარებას ჰვერის. აჯავრიანებს, მე. იძულებით აკეთებინებს.
აფიქრებს, აწუხებს.

„ეს სიტყვები აღონებენ გულს“ (ილია). „გულსაც ეგ უტეხს და ეგ აღონებს“ (აკაკი).

„მე არაფერს არ ვმუშაობ, მაგრამ სხვებსაც არ ვაძალებ“ (აკაკი).
სრული ლექსიკური სხვაობაა, რაც შესაბამისად აისახება ყველა პირიელ ფორმაში (უღვლილების პარადიგმაში), ასევე მასდარსა (და-ლონ-ებ-ა — და-ძალ-ებ-ა) და მიმღეობებში (და-მ-ლონ-ებ-ელ-ი, და-სა-ლონ-ებ-ელ-ი, და-ლონ-ებ-ულ-ი, მაგრამ: და-მ-ძალ-ებ-ელ-ი, და-სა-ძალ-ებ-ელ-ი, და-ძალ-ებ-ულ-ი...).

ენებითი: ღონ-ღ-ებ-ა.

ამ ტიპის ენებითის წარმოება იყო მოსალოდნელი ა-ძალ-ებ-ს ფორმისაგანაც. გვაქვს კი ე-ძალ-ებ-ა, რომელიც სემანტიკურად აქტიურ მოქმედებას გამოხატავს: „ნუ ეძალები წყალიდსა, უნდა ეძებდე ფონებსო“ (ანდაზა).

ისიც უნდა ითქვას, რომ ა-ძალ-ებ-ს და ეძალ-ებ-ა სემანტიკურად საკმაოდ შორდება ერთმანეთს. ასე რომ, მათი, როგორც მოქმედებით-ენებითის, ურთიერთმიმართება ფრიალ პირობითია.

სხვაგვარი ვითარებაა „ლონიერი“ და „ძლიერი“ სახელებისაგან ნაწარმოები ზმნების ურთიერთმიმართებისას.

ა-ლონიერ-ებ-ს—ლონიერს ხდის, ა-ძლიერ-ებ-ს — ძლიერს, ღონი-ლონეს, ძალას მატებს, აძლი-ერს ხდის, ძალას მატებს, ალო-ნიერებს.

„თუ კულტურა, ინტენსიური ცხოვრება ერს არ აღონიერებს, არ აძლიერებს და, პირიქით, ღონისგან სცლის, ვიღა ოხერი იქნება ინატროს და თავი გამოიღოს კულტურული, ინტენსიური ცხოვრებისათვის?“ (ილია).

აქ „აღონიერებს“ და „აძლიერებს“ თავისუფლად ენაცვლება ერთმანეთს, ერთ კონტექსტშიცაა წარმოდგენილი. მაგრამ გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა მათი შენაცვლება დაუშვებელი ხდება: „იმ ქალის სიკვდილს თქვენ გაბრალებენ და ყველა საბუთები ეჭვს აძლიერებენ“ (ა. ყაზბეგი). ამ შემთხვევაში „აღონიერებს“ დაუშვებელი ფორმაა.

ამრიგად, ამ ორი ზმნის მიმართება ზუსტად ემთხვევა მათთვის საყრდენი „ლონიერი“ და „ძლიერი“ სახელების ურთიერთობის პრინციპს.

ამის მიხედვით, ა-ლონიერ-ებ-ს და ა-ძლიერ-ებ-ს ფორმათა მიმართება ენის ძირითად პრინციპს მიჰყვება, ა-ლონ-ებ-ს და ა-ძალ-ებ-ს კი ფაკულტატიური ურთიერთობის ნიმუშია.

თანხმობა — 1. ერთსულოვნება, დასტურ-ი — თანხმობა, დათან-
 ურთიერთშეწყობა, ერთმანეთთან ხმება, დადებითი პასუხი.
 შეგუება, მეგობრული, კეთილი
 განწყობილება. 2. დადებითი პა-
 სუხი, დასტური.

„ამხანაგებში თუ არ სუფევს სიყვარული და სრული თანხმობა, იმათ: საქმე უკულმა წავა“ (რ. ერისთავი). „დუმილი თანხმობის ნიშან-ნაო“.

„სიტყვა „ქარგი“ ხშირად ნიშნავს ლაპარაკის დროს დათანხმებას და დასტურსა“ (აკაკი).

საქმე გვაქვს ნაწილობრივ სინონიმებთან.

ზმნურ ფორმებში ეს ორი სახელი განსხვავებული მნიშვნელობებით მონაწილეობს.

„თანხმობა“ იმ მნიშვნელობით გამოიყენება ზმნურ ფუძეში, რითაც იგი განსხვავდება „დასტური“ ფორმისაგან: „ერთსულოვნება, ურთიერთშეწყობა“.

იმ დანიშნულებით კი, რაც ამ ორ ფორმას საერთო აქვს, ზმნის ფუძედ „დასტური“ გამოიყენება: „დადებითი პასუხი“.

ა-თანხმ-ებ-ს—თავისი აზრის თა- ა-დასტურ-ებ-ს — რისამე დას-
 ნაზიარს ხდის, თავისი აზრის ტურს იძლევა, ამტკიცებს.
 მხარდამკერად ხდის. დასტურს
 ათქმევინებს.

„კიდევ რამდენს იტყვიან ამ გრძნობაზე, მაგრამ ნათქვამი ვერ შეუთანხმებიან“ (აკაკი).

„ააშენოს, ააშენოს! — ადასტურებს ხალხი“ (ვაჟა-ფშაველა).

ა-თანხმ-ებ-ს ზმნას ვნებითად მოუღის როგორც მოსალოდნელი თანხმ-დ-ებ-ა, ასევე ე-თანხმ-ებ-ა. ეს უკანასკნელი საურთიერთო მნიშვნელობის გამომხატველია.

ე-თანხმ-ებ-ა შესაბამის კონტექსტში ორ სხვადასხვა მნიშვნელობას გამოხატავს:

1. თანახმა უხდება, ვისიმე აზრს იზიარებს: „ეტყობოდა, რომ ის სულ სხვა აზრისა იყო და სულ არ ეთანხმებოდა მოხუც მეურ-მესა“ (ი. გოგებაშვილი).

2. შეესაბამება, შეეფარდება: „ეს განზრახვა ეთანხმება ჩვენი ხალხის ჩვეულებასა“ (ილია).

თანხმ-დ-ებ-ა შემდეგ მნიშვნელობებს გამოხატავს:

1. თანახმა ხდება, თანხმობას იძლევა: „პირობაზე თანხმდება“.
2. ეგუება, (შე)ეწყობა, შეთანხმებას აღწევს: „ვერ თანხმდებიან ერთმანეთში“.
3. თანხმობას აძლევს, თანხმობას უცხადებს, ეთანხმება: „რაიბული არა სთანხმდებოდა, — თქვენს ცხენებთან კიდეც შემძლია ვიარო, არც ისე დაებერებულვარო“ (ვაჟა-ფშაველა).

ამათგან ე-თანხმ-ებ-ა და თანხმ-დ-ებ-ა ერთმანეთს შეიძლება შეენაცვლოს შემდეგ შემთხვევებში:

- ა) „რაიბული არა სთანხმდებოდა“ იგივეა, რაც: „რაიბული არ ეთანხმებოდა“;
- ბ) „ვერ თანხმდებიან ერთმანეთში“ იგივეა, რაც: „ვერ ეთანხმდებიან ერთმანეთს“.
- გ) „პირობაზე თანხმდება“ შეიძლება შეიცვალოს ასე: „პირობაზე ეთანხმება“.

მაშასადამე, იმ შემთხვევაში, როცა გამოიხატება მნიშვნელობა „ერთმანეთთან შეგუება“ ან „დადებითი პასუხი“ ე-თანხმ-ებ-ა და თანხმ-დ-ებ-ა შესაძლოა ურთიერთმონაცვლე ფორმებად იქნეს გამოყენებული.

მაგრამ მნიშვნელობიდან „ეგუება, ვისიმე აზრს იზიარებს“ ე-თანხმ-ებ-ა ივითარებს ახალ მნიშვნელობას: „შეესაბამება, შეეფერება, შეეფარდება“ („ეს განზრახვა ეთანხმება ჩვენი ხალხის ჩვეულებას“, ანუ: „შეესაბამება, შეეფარდება...“). ამ შემთხვევაში თანხმ-დ-ებ-ა ფორმით მისი შეცვლა გამორიცხულია.

ა-დასტურ-ებ-ს ფორმის ვნებითა დასტურ-დ-ებ-ა, მაგრამ იგი ყოველთვის ვერ შეესატყვისება სემანტიკურად შესაბამის მოქმედებითს.

„შემოწმებამ ფაქტები დაადასტურა“.

ამ შემთხვევაში სავსებით დასაშვებია:

„შემოწმებით ფაქტები დაადასტურდა“.

მოქმედებითისა და ვნებითის ფორმებს შორის სრული სემანტიკური შესატყვისობა გვაქვს.

მაგრამ: „ამენოს, ამენოს! --- ადასტურებს ხალხი“.

ამ კონტექსტში დაუშვებელია დასტურ-დ-ებ-ა ფორმის გამოყენება.

ენებითად აქ უფრო ე-თანხმ-ებ-ა და თანხმ-დ-ებ-ა შეიძლება იქნეს გამოყენებული — ფორმოზებრივ სხვა. მაგრამ სემანტიკურად ადასტურ-ებ-ს ფორმის ამ მნიშვნელობასთან შეთანხმებული ზმნები.

ეს რთული სემანტიკური თანხვედრანი და დაცილებანი გამოწვეულია ამ ფაქტულტატიური მოკლეებით, რომლებიც ა-თანხმ-ებ-ს და ადასტურ-ებ-ს ფორმათა ანალიზისას იქნა აღნიშნული.



უქმ-ი --- 1. უსარგებლო, გამოუსადეგარი, უნაყოფო. 2. უსაქმო, არაფრის გამკეთებელი, მცონარა, ზარმაცი. 3. არასამუშაოდღე. 4. გამოუყენებელი, ღირებულების უქონელი.

ფუჭ-ი --- 1. უსარგებლო, გამოუსადეგარი. უქმი, უნაყოფო, 2. უგულო, ჭიანი (კაკალი, თხილი...), 3. უშინაარსო, უაზრო, ამაო, 4. ღირებულების უქონელი, უვარგისი.

„სადაც აზრო არ არი, იქ ენა, რაც უნდა კარგი იყოს, სულ უქმია“ (ილია). „ფხანა გულისა რის მაქნისია? უქმი კაცის საქმეა“ (ილია). „მაგრამ უქმს რომ ვტეხთ, ეს განა კარგი საქციელია?“ (აკაკი). ბოლო კონტექსტში, ჩვეულებრივ, „უქმე“ იხმარება (და არა „უქმი“).

„ხვალე არ უნდა ჰგვანდეს დღევანდელს, თუ კაცს პროგრესი, წინსვლა ადამიანისა ფუჭ სიტყვად არ მოაჩნია“ (ილია). „ჩემი ამაგი ფუჭად ჩაივლის“ (ილია). „ფუჭი კაკალი არც ყვავს არგია. არც კაცსაო“ (ანდაზა). „იმედი ფუჭი გამოდგა“ (დ. კლდიაშვილი).

აქაც ნაწილობრივი ლექსიკური სხვაობაა.

„ჩემი ამაგი ფუჭად ჩაივლის“ და მისთანა კონტექსტებში თავი-სუფლად მონაცვლეობს უქმ-ი: „ჩემი ამაგი უქმად ჩაივლას“.

მაგრამ: „ფუჭი კაკალი“ გამოთქმის ნაცვლად დაუშვებელია „უქმი კაკალი“...

ამ სახელებისაგან აწარმოება ზმნები:

ა-უქმ-ებ-ს — უქმს ხდის, სპობს, ა-ფუჭ-ებ-ს — უვარგისი ხდის. ძალას უკარგავს. რუყნის, (წა)ახდენს.

„ცხვირწინ ბაზარს ვაუქმებთ, რომ ცხრა მთას იქით ახალი აგინი-
ნოთ“ (ილია).

„მწყერი წამს: ჰია-თატლებს. რომელნიც ყანას აფუჭებენ“ (ი. გო-
გებაშვილი). „მე კი უბედურებაში ჩამავდო ი ცოდვიშვილმა, და თი-
ოთსაც ვაფუჭდა და მეც მათუქმებს“ (აკაკი).

აქ უკვე სრული ლექსიკური სხვაობაა, რადგან ზემოდასახელებულ
სახელთა სეკუნდარული მნიშვნელობა აღმოჩნდა მათთვის ამოსავალი.

* * *

მწყერიც-ი --- 1. სივრცეც ერთი მე-
ორის მიყოლებით განლაგებული
საგნები. როგო. წყება. 2. გარკვე-
ული თანამიმდევრობით: განლაგ-
ბული ოდენობანი (მათემატიკაში,
ენათმეცნიერებაში...).

რიც-ი --- 1. ერთ ხაზზე განლა-
გებული საგნების ერთობლიობა.
2. ჯერო. თანამიმდევრობა. 3. ნა-
წილი, წყება. 4. წესი, წესრიგი.
5. ჩვეულება. 6. რაზმი...

ვახი „სულ ღარსა და მწყერივზეა ჩარეგებული“ (ილია). „ესასრუ-
ლო მწყერიც“. „აწმყოს მწყერიც“.

„შემოლობილი ეზოების წინ მაღალი ალვის ხეების რიგებმა ჩაიშ-
რიალეს“ (ლ. ქიაჩელი). „გთხოვთ ხმა აღარ ამოიღოთ, მინამ თქვენი
რიგი არ მოვას“ (ილია). „როცა პირველ რიგს ბარტყებისას დააფ-
რენენ, ჩიტები ხელახლად წმენდენ ბუდეს“ (ი. გოგებაშვილი). „მას-
პინძელი ხარ. ხომ იცო, რიგია, მოიღობინეო“ (აკაკი). „ფუტკრების მე-
შაობა უახრო ფაც-ფუტად გერევენათ. ძაგრამ როცა დააკვირდებით,
შენიშნავთ საკვირველ რიგსა და წესადრებას“ (ი. გოგებაშვილი).

აქაც ნაწილობრივი სინონიმებია.

მათგან ნაწარმოები ხშირად კი სხვებით განსხვავებულ მნიშვნე-
ლობებს გამოხატავენ:

ი-მწყერიც-ებ-ს --- მწყერიცად აწ-
ყობა; აყენებს მრავალს.

არიც-ებ-ს --- 1. ბევრ ვისმე მოს-
ცემს. მრავალს უწილადებს. 2.
ქელაქ ასწავლის, რჩევას აძლევს.
3. ჩხუბს. დავას აწყვეტინებს, 4
სქმნის აგვარებს.

„შტაბის ეზოში გვარდილებს ურიგებდნენ ახალ ტანისამოსს, ია-
რალს. ფულს და შემდეგ ამწყერიცებდნენ შტაბის წინ“ (რ. გვეტაძე).

„შეუდგნენ პური ჭამასა. ხორცი არიგებდნენ სწორ-სწორად“ (ვაჟა-ფშაველა). „გარიგებს დედობრივის ხმით, იყო ჭკვიანად, დინჯადა“ (ვაჟა-ფშაველა). „არც ერთ ხსენებულ სახელმწიფოს და არც მეორეს ერთმანეთთან ვერ ათავსებს, ვერ არიგებს“ (ილია). „შე ჩემით ვარიგებ საქმეს“ (დ. კლდიაშვილი).

ა-მწკრივებ-ს ფორმის ვნებითია მწკრივ-დ-ებ-ა.

„ვდგებით რიგ-რიგად, ერთი მეორის: გვერდში, ვმწკრივდებით“ (კ. ლომთათიძე).

ა-რიგ-ებ-ს ფორმას ვნებითად რიგ-დ-ებ-ა აქვს, მაგრამ ეს უკანასკნელი ვერ იგუიერს ა-რიგ-ებ-ს ფორმით გამოხატულ ყველა მნიშვნელობას.

დასაშვებია:

არიგებს საჩუქრებს... საჩუქრები რიგდება (დარიგდება)

არიგებს მოჩხუბრებს... მოჩხუბრები რიგდებიან (შერიგდებიან).

არიგებს საქმეს — საქმე რიგდება (გარიგდება).

„უნდა მისცეს ხალხს წესი და რიგი: როგორ დარიგდეს პური, ქადის ნაჭრები, ხორცი, ლუდი“ (ვაჟა-ფშაველა).

„განქორწინებას ცოტადა უკლდათ, მაგრამ, როგორც იყო, ბოლოს რიგდებოდნენ“ (ე. ნინოშვილი).

„საქმე მართო ამისთანა კაცებისაგან რიგდება“ (ილია).

მაგრამ ა-რიგ-ებ-ს, მნიშვნელობით: „ჭკუას ასწავლის, რჩევას აღლევს“, ვნებითის ფორმას ვერ იკეთებს.

ა-რიგ-ებ-ს ზმნის ზემოდასახელებული მნიშვნელობები სხვადასხვა ზმნისწინებს იგუიერენ:

საჩუქრებს, ჭკუას — და-ა-რიგ-ებ-ს,

მოჩხუბრებს — შე-ა-რიგ-ებ-ს ან მო-ა-რიგ-ებ-ს,

საქმეს — გა-ა-რიგ-ებ-ს...

* * *

ყადრ-ი... ფასი. ღირებულება, დაფასება, მნიშვნელობა.

ფა-ი 1. საქონლის ფულადი ღირებულება. 2. ფულადი საზღაური გაწეული შრომისათვის, გასამრჯელო, ქირა. 3. ღირებულება, მნიშვნელობა.

„მეცხვარემ და ნამეტნავად თუშმა, იცის ყადრი ამ ერაგელის და მართლა საქებარის ოთხფენისა“ (ილია).

„რაიბულს ის აზრი ჰქონდა, რომ ღვინოც კარგი ყვადნა და ფასიც ცოტა მიეცა“ (ვაჟა-ფშაველა). „კვირაში იღებდა თავის შრომის ფასად შვიდ მანეთს“. (გ. წერეთელი). „თქვენს თვალში მართალს თავისი ფასი არა აქვს“ (ილია). „სიტყვას ფასი და ყადრი ჰქონდა“ (ს. მგალობლიშვილი).

„წიგნის ფასი“ და „წიგნის ყადრი“ სინონიმური კონსტრუქციებია, როცა წიგნის მნიშვნელობა იგულისხმება, მაგრამ ფულადი ღირებულებისათვის მხოლოდ „წიგნის ფასი“ გამოიყენება.

ყადრი სახელისაგან ოდენ უ- პრეფიქსიანი მოქმედებითი გვარის ზნა იწარმოება: უ-ყადრ-ებ-ს „თავის თანასწორად, ტოლად, ღირსად თვლის, მიიჩნევს“. გამოიყენება მყარ შესიტყვებებში: „თავს უყადრებს“ ან „თავს არ უყადრებს“.

„არწივი ყორნებს თავს არ უყადრებდა“ (ვაჟა-ფშაველა).

ფასი-ი სახელისაგან ზმნურ ფორმათა წარმოება შეუზღუდავია: ა-ფას-ებ-ს, ი-ფას-ებ-ს, უ-ფას-ებ-ს.

ამათგან ა-ფას-ებ-ს და უ-ფას-ებ-ს გამოიყენება მნიშვნელობებით: 1. ფასს ადებს და 2. რისამე მნიშვნელობას აღიარებს, პატივს სცემს ვისმე.

„თავის წონა ოქროდ აფასებდნენ ყველაფერს“ (ი. მაჭავარიანისეული თარგმანი). „საუკეთესო ღვინო ჩაფი აბაზად ბევრჯერ ჰქონდა ნაყიდი. დღეს შვიდ აბაზად უფასებდნენ“ (ვაჟა-ფშაველა).

„ათასებს ჩემს ვულწრთელობას და ვულწრთელადაც მექცევა“ (ი. ეკალაძე). „ცოდვას ერიდება და ღმერთი და ხატიც უფასებს ამავს“ (ვაჟა-ფშაველა).

რაც შეეხება ი- პრეფიქსიან ფორმას (ი-ფას-ებ-ს), იგი გამოიყენება მხოლოდ ამ მნიშვნელობით: „თავი დიდად მოაქვს, დიდად მიიჩნია. თავს სწვებზე მაღლა აყენებს“. გვხვდება მყარ შესიტყვებებში: „თავს იფასებს“. როგორც წესი, ამ შესიტყვებას სტილისტურად უარყოფითი ელფერი ახლავს: თავის დაფასება, ჩვეულებრივ, პიროვნების კარგ თვისებად არ ითვლება.

ვნებითი იწარმოება მხოლოდ ა-ფას-ებ-ს და უ-ფას-ებ-ს ფორმებით: ფას-დ-ებ-ა და უ-ფას-დ-ებ-ა.

ფას-დ-ებ-ა იგულებს ა-ფას-ებ-ს ზმნის ორივე მნიშვნელობას:

1. ფასი ედება: „ღვინო ფასდება შვიდ აბაზად“.

2. ანგაროში ეწევა, პატივსა სცემენ: „მამა-პაპათა ღვაწლი აღრე თუ გვიან ფასდება“.

უ-ფას-დ-ებ-ა კი გამოიყენება მნიშვნელობისათვის „ანგაროშს უწე-ვენ, ამაგს არ უვიწყებენ, პატივს სცემენ“: „ეჰ, ამაგი არ მიფასდება, — ამბობდა ყორანი“ (ვაჟა-ფშაველა).

ლექსიკურ მნიშვნელობათა ამგვარი გარჩევა ფორმათწარმოების დროს ფრიად საცნაურია ენის სემანტიკური ბუნების გამოსარკვევად.

* * *

დრო — 1. მატერიის არსებობის ჟამ-ი — დრო, ხანი.
ერთ-ერთი ძირითადი ფორმა. 2.
ხანა, ჟამი. 3. ალო, ვადა. 4. სე-
ზონი. 5. ეპოქა.

„დრო იყო — ძუძუსა ეწოვდი, დრო მოვიდა — ჰურსა ვჰამ“ (ილია). „როცა ზამთარი მოახლოვდება, მუშა ფუტკრებისათვის დას-ვენების დრო დგება“ (ი. გოგებაშვილი). „შემოდგომა ყველა დროს სჯობაო“ (ი. გოგებაშვილი). „სხვა დრო დაგვიდგა“ (ა. აბაშელი).

„ეს დრო და ჟამი ცვალებადია“ (აკაკი). „წადი, კობავ, აჩქარდი, თორემ ვინ იცის, რა ჟამი მოვა!“ (ა. ყაზბეგი).

ამის მიხედვით ნათელია, რომ „დრო“ და „ჟამი“ ერთმანეთის მი-მართ ნაწილობრივი სინონიმებია.

მაგრამ ჟამ-ი ფორმას სხვა მნიშვნელობაც აქვს: „შავი ჭირი“, აქე-დან კი „უქმური, პირქუში ადამიანი“.

„ორი მოწიფული შვილი ჟამმა მოუკლა“ (ნ. ლორთქიფანიძე). „ვინ იცის, იქნება ჟამი სჭირთ და ჩვენც არ დაგვხოცოს“ (ე. ნინო-შვილი).

სემანტიკური გადასვლა ადვილი ასახსნელია: ჟამ-ი „დრო, ხანა“ → ცუდი, შავი ჟამი „ცუდი, უბედური დრო, ხანა“ → ჟამი „ცუდი, უბედური დრო, ხანა“, აქედან კი: „სენიანობის ხანა“ → „ავადმყო-ფობა, მძიმე სენი“ → „შავი ჭირი“, → „ჭირი, გაჭირვება“, რაც, თა-ვის მხრივ, ხდება პირქუში ადამიანის ეპითეტის: ჟამი კაცი → ჟამი „პირქუში, ბოროტი ადამიანი“.

ორივე სახელისაგან იწარმოება ზმნები.

ა-დროვ-ებ-ს — დროს მისცემს,
დააცდის, დააცლის.

ა-ყამ-ებ-ს — 1. ამუქებს, აპირ-
ქუშებს, ხასიათს (წა)ახდენს,
ბრიყვულად იქცევა. 2. დროს
(გადა)აცდენს.

პირველი მნიშვნელობისათვის ა-ყამ-ებ-ს, ჩვეულებრივ, ჩა-
ზმნისწინს ჰგუობს (ჩა-ა-ყამ-ებ-ს), მეორე მნიშვნელობისათვის — და-
ზმნისწინს (და-ა-ყამ-ებ-ს, გამოიყენება ამ მნიშვნელობითაც: „გა-
უთხოვრად დატოვებს, დააბერებს“).

ა-დროვ-ებ-ს ზმნისათვის ვნებითად ე-დროვ-ებ-ა ივარაუდება.
იგი მხოლოდ იმ მნიშვნელობით გამოიყენება, რაც შესაბამის მოქ-
მედებითს აქვს: ა-დროვ-ებ-ს „დროს მისცემს“ → ე-დროვ-ებ-ა „დრო
მიეცემა“.

ა-ყამ-ებ-ს ფორმას ვნებითად ყამ-დ-ებ-ა მოუღის, რომელიც სხვა-
დასხვა ლექსიკურ მნიშვნელობებს გამოხატავს:

1. ყამი, დრო დგება: „საღამო ყამდებოდა“ (დ. კლდიაშვილი)
2. მწიფდება: „ნაყოფი თანდათან ყამდებოდა, მოსაწყვეტად მო-
იწეოდა“ (ვ. ბარნოვი).
3. პირქუშდება, ავდება: „იხედაც გულღრძო იყო და ახლა კიდევ
უფრო ყამდება“.

ყურადღებას იქცევს ის ფაქტი, რომ ყამ-დ-ებ-ა არსებითად ა-ყამ-
ებ-ს ფორმის მხოლოდ ერთ მნიშვნელობასთან პოულობს საერთოს:
„ამუქებს, აპირქუშებს“.

რაც შეეხება მნიშვნელობას „დრო, ხანი“, აქ საკმაოდ შორეული
კავშირია: ა-ყამ-ებ-ს, და-ა-ყამ-ებ-ს „დროს (გადა)აცდენს“ და ყამ-დ-
ებ-ა „დრო, ყამი დგება“.

მნიშვნელობა „მწიფდება“ გადააზრიანების, მეტაფორული გამო-
ყენების შედეგი ჩანს.

§ 101. ცალკე უნდა გამოიყოს ერთი თავისებური შემთხვევა.

„მიჯნა“ და „საზღვარი“ || „ზღვარი“ ლექსიკურად თანათარღი
ფორმებია:

მიჯნა — საზღვარი, ზღვარი. სა- სა-ზღვარ-ი — მიჯნა, ზღვარი. ხა-
მანი. ზო, რომელიც რისამე ფარგლებს
აღნიშნავს, რომელიც ორ ტერი-
ტორიას ყოფს ურთიერთისაგან.

„ვენახი რომ გაყვეს ცალყურაანთ, მიჯნამ ზედ იმ ხის ძირზე გაი-
არა“ (ვ. ბარნოვი).

„რაც უფრო უახლოვდებოდნენ იმერეთის საზღვარს, ლაზიკა მით
უფრო აფაციცებდა თვალებს“ (ნ. ლორთქიფანიძე).

ორივე სახელისაგან იწარმოება ზმნები:

მიჯნა-ავ-ს — მიჯნას ავლებს, მიჯ- საზღვრ-ავ-ს — საზღვარს ავლებს,
ნით ყოფს. თიშავს, აშორებს საზღვრით ყოფს, მიჯნავს, საზღ-
ერთმანეთისაგან. ვართვავს, მიჯნავს, საზღ-
ვარს უღებს. გადატანით: განმარ-
ტავს, რისამე ფარგლებს არკვევს.

„მიწის ნაკვეთებს მიჯნავს“.

„ჩრდილოეთით საქართველოს საზღვრავს კავკასიის მთები“
(ი. გოგებაშვილი).

ამ ზმნებს შეესაბამება როგორც ი-, ასევე ე- პრეფიქსით ნაწარ-
მოები ვნებითები.

ი- პრეფიქსით წარმოებისას ლექსიკურა სიახლოვე ხელშესახე-
ბია:

ი-მიჯნ-ებ-ა — მიჯნით იყოფა, ი-საზღვრ-ებ-ა — საზღვრით (გა-
ერთმანეთისგან ცალკეცდება, ერთ- მო)ყოფა, საზღვრად აქვს, სა-
მანეთს შორდება. ზღვრად ერტყმის. გადატანით:
განიმარტება, რისამე ფარგლები
ირკვევა.

„ამიერ და იმიერ კავკასია კავკასიონის ქედით იმიჯნება“.

„აქარას უქირავს ჩრდილოეთის ნაწილი მესხეთისა და ისაზღვრე-
ბა: ჩრდილოეთით — გურიით, აღმოსავლეთით — ახალციხის მხრითა“
(ი. გოგებაშვილი). „მაგრამ არის მეორე ძალაც, რომლის მეოხებითაც
ფასი თუ სპაყიდელი განისაზღვრება“ (ილია).

რაც შეეხება ე- პრეფიქსიან წარმოებას, სწორედ აქ იქმნება თა-
ვისებური ვითარება.

ე-მიჯნ-ებ-ა—1. ესაზღვრება, მო-
მიჯნავეა. 2. იმიჯნება მისგან,
ეთიშება, შორდება.

ე-საზღვრ-ებ-ა — მოსაზღვრეა,
ემეზობლება, საერთო საზღვარი
აქვს.

პირველი თავისებურებაა ის, რომ ე-მიჯნ-ებ-ა კონტექსტის მიხედ-
ვით ანტონიმურ მნიშვნელობებს გამოხატავს: „უახლოვდება, ესაზღ-
ვრება, ემეზობლება“ და „ეთიშება, შორდება“. პირველი მნიშვნელო-
ბით იგი იმავდროულად ე-საზღვრ-ებ-ა ფორმის სინონიმია, მეორე
მნიშვნელობით — მისივე ანტონიმი.

მეორე თავისებურება ამ ზმნათა გრამატიკული მნიშვნელობით
ვლინდება: ფორმით ვნებითებია, დინამიკური და ამ მნიშვნელობით
გამოიყენება კიდევაც ე-მიჯნ-ებ-ა ზმნა, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როცა
გამოხატავს: „იმიჯნება მისგან, ეთიშება, შორდება“: ე-მიჯნ-ებ-ა —
გა-ე-მიჯნ-ებ-ა — გა-ე-მიჯნ-ა...

ხოლო მაშინ, როცა გამოიხატება „ემეზობლება, მოსაზღვრეა,
მომიჯნავეა“, ორივე ფორმა სტატიკურობის გრამატიკულ მნიშვნელო-
ბას იძენს და ამას უღვლილებითაც ავლენს: იპოვება მხოლოდ აწმ-
ყოს წრის ფორმები:

ე-საზღვრ-ებ-ა — ე-საზღვრ-ებ-ოდ-ა — ე-საზღვრ-ებ-ოდ-ე-ს;

ე-მიჯნ-ებ-ა — ე-მიჯნ-ებ-ოდ-ა — ე-მიჯნ-ებ-ოდ-ე-ს.

იმ შემთხვევაში კი, როცა ე-საზღვრ-ებ-ა გაიგება ასე: „ისაზღვ-
რება მისთვის“, სადაც ნაგულისხმევია ი-საზღვრ-ებ-ა ფორმის გადა-
ტანითი მნიშვნელობა („განიმარტება, რისამე ფარგლები ირკვევა“),
ე-პრეფიქსიანი ზმნა დინამიკურია და უღვლილებაც სრული სახით
აქვს წარმოდგენილი: ე-საზღვრ-ებ-ა (რაიმე საკითხი) — გან-ე-საზღვრ-
ებ-ა — გან-ე-საზღვრ-ა...

მესამე თავისებურება კი ისაა, რომ ი- და ე- პრეფიქსიანი ფორმე-
ბი არსებითად ლექსიკურად დაპირისპირებულნი არიან:

ი-საზღვრ-ებ-ა — საზღვრით (გა- ე-საზღვრ-ებ-ა — მოსაზღვრეა,
მო)იყოფა, საზღვრად აქვს... ემეზობლება.

ანალოგიური ვითარებაა მაშინ, როცა ე-მიჯნ-ებ-ა გამოიყენება
მნიშვნელობით: „მომიჯნავეა, ესაზღვრება“, მაგრამ სრული ლექსი-
კური შესატყვისობაა მაშინ, როცა გამოიხატება „ეთიშება, შორდება“,
შდრ.:

ი-მიჯნ-ებ-ა — მიჯნით იყოფა, ე-მიჯნ-ებ-ა — იმიჯნება მისგან, ერთმანეთისაგან ცალკევდება, ეთიშება, შორდება. ერთმანეთს შორდება.

§ 102. ასე რომ, სინონიმებისაგან ნაწარმოები ფორმები რიგ შემთხვევაში ლექსიკურ სხვაობას გვიმოწმებენ, რასაც ხშირად თანსდევს გრამატიკული განსხვავებაც.

სხვაობა შეიძლება იყოს სრული ან ნაწილობრივი.

რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ფაქულტატიურობა ყველა შემთხვევაში ერთნაირადაა წარმოჩენილი. ერთი რამ კია: ყველა დასახელებული წარმოება და მასთან დაკავშირებული სემანტიკური ცვლა მეტნაკლებად არატიპიურია ქართულისათვის.

საერთოდ, ენაში სინონიმები ფრიად მრავალგვარი ნაირსახეობით მიემართებიან ერთმანეთს. მაგალითად, „წვერიანი ჯოხი“ სემანტიკურად ზედმიწევნით იგივეა, რაც „წვეტიანი ჯოხი“ (აქ თავი იჩინა წვერ-ი და წვეტ-ი სახელების სინონიმურმა მნიშვნელობებმა), მაგრამ „წვერიანი ნიკაპი“ უკვე სულ სხვა რამაა, ვინემ „წვეტიანი ნიკაპი“ (აქ ის მნიშვნელობები წარმოჩნდა, წვერ-ი და წვეტ-ი ფორმებს რომ აპირისპირებენ ლექსიკურად). ამ დაპირისპირების წარმოჩენა კი წვერ-იან-ი და წვეტ-იან-ი ფორმებთან შეხამებულ სახელებს აკისრიათ: ჯოხ-ი მხოლოდ საერთო მნიშვნელობის წარმომჩენი შეიძლება იყოს, ნიკაპ-ი კი — მხოლოდ განსხვავებულისა.

ეს თავის გავლენას იქონიებს სიტყვათწარმოებაზეც.

დასაშვებია წვერ-ოსან-ი, დაუშვებელია * წვეტ-ოსან-ი.
რატომ?

იმიტომ, რომ -ოსან სუფიქსი იგუებს იმ მნიშვნელობას, რითაც წვერ-ი ფორმა („ადამიანის ყბებსა და ნიკაპზე ამოსული თმა“) განსხვავდება წვეტ-ი ფორმისაგან (რომლის მნიშვნელობაა მხოლოდ „რისამე დავიწროებული ბოლო. წამახული, გაღესილი“), მაგრამ ვერ იგუებს იმავე სიტყვის სხვა მნიშვნელობებს. ამიტომაც ვერც წვეტ-ი იწარმოება -ოსან სუფიქსით და ვერც წვერ-ი იმ შემთხვევაში, როცა იგი სხვა მნიშვნელობებს გამოხატავს („რისამე წვეტიანი ბოლო“, „თოკის ან ძაფის ერთ-ერთი შენაგრები“, „რაიმე წვრილის ერთ-ერთი ბოლო“...).

სინონიმურია (თანაფარდია) ეს ორი კონტექსტი:

ორი წლის წინ
ორი წლის უკან

მაგრამ საკმარისია წლ-ის ფორმის ნაცვლად ჩავსვათ კაც-ის ან სხვა რომელიმე სიტყვა, რომ კონსტრუქციები ანტონიმური (დაპირისპირებული) გახდებინ:

ორი კაცის წინ
ორი კაცის უკან.

ამგვარად, გარკვეული ლაბილურობა, საერთოდ, დამახასიათებელია ენისათვის. სწორედ იგი ქმნის საფუძველსაც და საჭიროებასაც, გამოყენებულ იქნეს ესა თუ ის ფორმობრივი საშუალება მნიშვნელობის თვით უმცირესი ნიუანსის გამოსახატავად.

ასე ჩნდება ხელსაყრელი ნიადაგი გამოხატვის ფაკულტატიურ საშუალებათა გამოსაყენებლად (რა თქმა უნდა, წარმოების ძირითადი წესის გვერდით).

ძირითადი დებულებანი და დასკვნები

1. განვიხილეთ გრამატიკულ და ლექსიკურ მნიშვნელობათა გამოხატვის ფაკულტატიური საშუალებანი ქართულში. წარმოდგენილი იყო მხოლოდ რამდენიმე ნიმუში. საკითხის სრული ამოწურვა მიზნად არც დაგვისახავს და ვერც დავისახავდით. ფაკულტატიური საშუალებანი იმ ენობრივ მოვლენათა რიგს განეკუთვნება, რომლებიც ლამის ყოველდღიურად იჩენენ თავს ენაში. ბევრი მათგანი უკვალოდ იკარგება, ზოგიც უფრო ხანგრძლივად შემორჩება ენას. უმცირესი ნაწილი კი საბოლოოდ მკვიდრდება და დროთა განმავლობაში შესაძლოა სიტყვათწარმოების ძირითად წესადაც იქცეს. ეს ბუნებრივი პროცესია: ენა იცვლება, ვითარდება; ის, რაც ერთ პერიოდში მის ძირითად წესად ფუნქციონირდება, ან სულ ქრება, ან აღრინდელ აქტიურობას კარგავს. მას გამოხატვის ახალი საშუალებანი შეენაცვლებიან, ძველი მორფოლოგიური ინვენტარი ახალი დანიშნულებით გამოიყენება. ამიტომ ენაში ყოველთვისაა ხელსაყრელი ნიადაგი, ესა თუ ის მნიშვნელობა თავისებური, არატიპიური საშუალებით იქნეს გამოხატული. მით უფრო, როცა საქმე მნიშვნელობათა ცალკეულ, უწვლელს ელფერს, ნიუანსს ეხება.

2. მნიშვნელობათა გამოსახატავად ფაკულტატიურ საშუალებათა მოხმარება ენის ფილოსოფიისა და ენის ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც არის ღირსსაცნობი. რატომ და როგორ ხდება არატიპიურ ენობრივ ფორმათა გამოყენება, რაგვარად აღიქვამს ამას ენობრივი კოლექტივი. აი, საკითხთა წყება, რომელიც ამასთან დაკავშირებით დაისმის:

3. ფაკულტატიურ საშუალებათა გამოყენება სხვადასხვა ენობრივი კატეგორიის ურთიერთგადაკვეთას იწვევს. ი- და უ- პრეფიქსების მიმართება, ჩვეულებრივ, ქცევის კატეგორიაში განიხილება. მაგრამ ი-ჭირ-ავ-ს — უ-ჭირ-ავ-ს ფორმათა ურთიერთობისას ეს პრეფიქსები არსებითად დინამიკური და სტატიკური ფორმების გასარჩევად აღ-

მოჩნდა გამოყენებული. და თუ შინც ქცევის ფორმებთან განვიხილეთ ეს მიმართება, იმიტომ, რომ ქართული ენის ძირითადი წესი სწორედ ამ თვალსაზრისით განასხვავებს ი- და უ- პრეფიქსებს ზმნაში. უფრო ზუსტად: უკუქცევითობისა და დაინტერესებინ მნიშვნელობათა მიხედვით ახდენს დაპირისპირებას.

4. ფაკულტატიურობის საკითხი ენის სინქრონიული მონაცემის მიმართ დაისმის. თავისთავად კი რომელიმე ენობრივი საშუალებების ფაკულტატიურობა შესაძლოა შედეგი იყოს ორი მოვლენისა:

ა) ენაში ამჟამად მიმდინარე პროცესებისა, როცა ჯერ არაა ჩამოყალიბებული მყარი მორფოლოგიური საშუალებანი რომელიმე მნიშვნელობის გამოსახატავად;

ბ) ისტორიულად უკვე დასრულებული პროცესისა, რომლის გადანარჩენი გამოყენება თანამედროვე ენაში მაშინ, როცა იმავე გრამატიკულ ან ლექსიკურ მნიშვნელობათა გამოსატყვის მიზნით სხვა შემთხვევებში სხვაგვარი მორფოლოგიური სისტემა ფუნქციონირებს (როგორც ძირითადი).

5. ფაკულტატიური ნიშნავს რომელიმე ენობრივი ელემენტის (ფონეტიკური დანართის, ფონეტიკური ცვლილების, მორფემის, სინტაგმის) გამოყენებას მისთვის არაძირითადი, არატიპური დანიშნულებით: პირის ნიშანი, ვთქვათ, გამოიყენება ლექსიკურ მნიშვნელობათა განსასხვავებლად, ქცევის ფორმანტი განასხვავებს დინამიკასა და სტატიკას, შესაძლოა განასხვავოს ერთგზისი და მრავალგზისი ასპექტი...

ბუნებრივია, ყველაფერი ეს ენის ძირითად გრამატიკულ სტრუქტურას ვერ ცვლის.

რალა საჭიროა მნიშვნელობათა გამოსატყვის ფაკულტატიურ საშუალებებზე ყურადღების საგანგებო გამახვილება?

უპირველეს ყოვლისა, ენის სრული გრამატიკულ-სემანტიკური დახასიათება გულისხმობს ყველა შესაძლებლობის აღნუსხვასა და ახსნას.

გარდა ამისა, ფორმანტი მეტნაკლებად იცვლის ხოლმე დანიშნულებას. ეს საფუძველს ქმნის მისი სხვა, არაძირითადი ფუნქციით გამოყენებისათვის. თავდაპირველად ეს პროცესი გაიზარება ფაკულტატიურ, არატიპურ შესაძლებლობად. შემდეგ ორი გზაა: ან ხდება მისი გაუქმნარება ანდა იგი ძირითადი, ტიპური მაწარმოებლის სტატუსს მოიპოვებს ხოლმე. ეს ორი გზა უწინარეს ყოვლისა ღირსსაც-

ნობია სინქრონული თვალსაზრისით, მაგრამ იმედროულად შესაძლებლობას გვაძლევს გამოწველივით გამოვარკვიოთ ენის შენაგანი ბუნება, მიდრეკილება, მორფოლოგიურ და სემანტიკურ ცვლილებათა ზოგადი ტენდენცია და შესაძლებლობა.

ეს კი ისტორიული კვლევის თვალსაზრისითაც ფასეულია, როგორც მეტნაკლებად გამოსაყენებელი თარგი ადრე მომხდარ ცვლილებათა ასახსნელად.

შემდეგ: ზედმიწევნითი სრული გათვალისწინება იმისა, რაც ენის განვითარების მოცემულ საფეხურზე არატიპიურია, ფაკულტატიურა, შესაძლებლობას მოგვცემს უფრო ღრმად გავვრკვეთ, რა და რატომ არის ძირითადი, ტიპიური.

და ბოლოს, ძირითად, სტაბილურ მონაცემებთან ერთად ფაკულტატიური და ლაბილური მოვლენების გათვალისწინება ერთ-ერთი გზაა ენის შესწავლისა მისსავე მოკმედებაში, დინამიკაში.

ბიბლიოგრაფია

- ნ ა ბ ე ს ა ძ ე, 1972 — სახელთა შეწყობა ბრუნვებში „აციებს“ ტიპის ზმნებთან. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბილისი, 1972.
- ი. ა ბ უ ლ ა ძ ე, 1973 — ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973. აღმოსავლური ენათმეცნიერება, ფაკულტატიურობა, მოსკოვი, 1982 (რუსულ ენაზე).
- გ. ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი, 1949 — ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949.
- ქ. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, 1965 — რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტომი VII, თბილისი, 1965.
- ქ. გ ა მ ს ა ხ უ რ დ ი ა, 1967 — რჩეული თხზულებანი, რვატომეული, ტომი VIII, თბილისი, 1967.
- თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ქ ა ვ ა რ ი ა ნ ი, 1965 — სონანტთა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბილისი, 1965.
- შ. გ ა ფ რ ი ნ დ ა შ ვ ი ლ ი, 1955 — სპირანტთა აფრიკატიზაციის საკითხისათვის ზოგ იბერიულ-კავკასიურ ენაში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის VI (XII) სამეცნიერო სესიის თეზისები, თბილისი, 1955.
- გ. გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, 1983 — ე და -ა სუფიქსიანი მეორე კავშირებითი შესახებ ახალ ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი მესამე, თბილისი, 1983.
- გ. დ ე ე ტ ე რ ს ი, 1930 — ქართველური ზმნა, ლაფციგი, 1930 (გერმანულ ენაზე).
- ქ. დ ო ნ დ უ ა, 1967 — რჩეული ნაშრომები, I, თბილისი, 1967.
- ფ. ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, 1959 — მიმღობის ერთი ტიპი ქართულში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი 71, თბილისი, 1959.
- ფ. ე რ თ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, 1970 — ზმნური ფუძეების ფონემატური სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები ქართულში, თბილისი, 1970.
- ვეფხისტყაოსანი, 1966 — შოთა რუსთველი, ვეფხისტყაოსანი, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბილისი, 1966.
- თ. ზ უ რ ა ბ ი შ ვ ი ლ ი, 1972 — ნა — ევ და ნა- აფიქსებით სახელთა წარმოებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წიგნი პირველი, თბილისი, 1972.
- თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები, კრებული პირველი, თბილისი, 1970.

- ვ. თოფურია, 1936 — ფუძედრეკად ზმნათა სუფიქსაციისათვის, ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, III, ტფილისი, 1936.
- ვ. თოფურია, 1942 ა — ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი III, № 5, თბილისი, 1942.
- ვ. თოფურია, 1942 ბ — მესამე ტიპის ვნებითის წარმოება ქართულში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტომი III, № 9, 1942.
- ვ. თოფურია, 1965 — ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, თბილისი, 1965.
- გ. იმნაიშვილი, 1966 — ქართული ენის ინგილოური დიალექტის თავისებურებანი, თბილისი, 1966.
- ი. იმნაიშვილი, 1968 — ვნებითი გვარის ზმნათა თავისებურებანი ძველ ქართულში, „საიუბილეო“, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, წიგნი მეთერთმეტე, თბილისი, 1968.
- ი. იმნაიშვილი, 1970 — ქართული ენის ისტორიული კრესტომათია, ტომი I, ნაწილი I, თბილისი, 1970.
- ნ. კიზირია, 1982 — ფონემატურ ერთეულთა ბგერითი და არაბგერითი ასოციაციები ქართულში, მეტყველების ანალიზი, VI, თბილისი, 1982.
- ქ. ლომთათიძე, 1953 — „თებუა“ ტიპის ზმნათა ისტორიისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტომი IV, თბილისი, 1953.
- ნ. მარაი, 1925 — ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკა, ლენინგრადი, 1925 (რუსულ ენაზე).
- ქ. მარუხო, 1960 — ლინგვისტურ ტერმინთა ლექსიკონი, მოსკოვი, 1960 (რუსულ ენაზე).
- ა. ნეიშანი, 1978 — ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1978.
- ლ. ნოზაძე, 1961 — პრეფიქსული და სუფიქსური ვნებითების ურთიერთობისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტომი II, თბილისი, 1961.
- სულხან-საბა ორბელიანი, 1928 — ქართული ლექსიკონი, ტფილისი, 1928.
- ე. ოსიძე, 1957 — მიმლეობის წარმოება ქართულში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტომი 67, თბილისი, 1957.
- თ. ყორღანი, 1889 — ქართული გრამატიკა (ეტმოლოგია და სინტაქსი), ტფილისი, 1889.
- თ. სანიკიძე, 1975 — მიმლეობათა პარალელური ფორმების წარმოების ზოგი საკითხისათვის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ენათმეცნიერება, 164, თბილისი, 1975.
- სახარებაი ლუკასი — ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1945.
- სახარებაი მათსი — ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია, გამოსცა აკაკი შანიძემ, თბილისი, 1945.
- ნ. ტრუბეცკოი, 1960 — ფონოლოგიის საფუძვლები, მოსკოვი, 1960 (რუსულ ენაზე).

- ა. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, 1966 — ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, თბილისი, 1966.
- ბ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, 1976 — ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბილისი, 1976.
- გ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, 1983 — სახელის ფუძისათვის ქართულ ენაში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბილისი, 1983.
- დ. ფ ო ჩ ხ უ ა, 1973 — არქაული სიტყვაწარმოება საქმიან ლექსიკაში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტომი XVIII, თბილისი, 1973.
- დ. ფ ო ჩ ხ უ ა, 1974 — ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბილისი, 1974.
- ა. ფ ო ც ხ ი შ ვ ი ლ ი, 1969 — უნებლიობის კატეგორია ქართულ ზმნაში, თბილისის უნივერსიტეტი — გიორგი ახვლედიანს, საიუბილეო კრებული, მიძღვნილი გიორგი ახვლედიანის დაბადების 80 წლისთავისადმი, თბილისი, 1969.
- ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, 1954 — ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში, თბილისი, 1954.
- ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, 1964 — ქართული ენის ისტორიისათვის, I, თბილისი, 1964.
- ი. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, 1979 — ერთი სიტყვაწარმოებელი სუფიქსისათვის ქართულში, არნოლდ ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1979.
- ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქგლ), რედაქტორი, პროფ. არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950—1964.
- ა. შ ა ნ ი ძ ე, 1980 — თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი III, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1980.
- ა. შ ა ნ ი ძ ე, 1981 — თხზულებანი თორმეტ ტომად, ტომი II, ქართული ენის სტრუქტურისა და ისტორიის საკითხები, თბილისი, 1981.
- არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, 1942 — სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში, თბილისი, 1942.
- არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, 1950 — ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტომი I, თბილისი, 1950.
- არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, 1952 — ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი 1952.
- არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, 1956 — ენებთმცნის ჩამოყალიბების ზოგი საკითხისათვის ქართულში მასდარის ჩვენებათა მიხედვით, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტომი VIII, თბილისი, 1956.
- არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ვ ა, 1970 — თბილისის უნივერსიტეტი და იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ივე, ტომი XVII, თბილისი, 1970.
- ე. წ ე რ ე თ ე ლ ი, 1973 — მეტრი და რიტმა ვეფხისტყაოსანში, გ. წერეთლის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი, 1973.
- ა. ხ ო ლ ო დ ვ ი ჩ ი, 1979 — გრამატიკული თეორიის პრობლემები, ლენინგრადი, 1979 (რუსულ ენაზე).
- მ. ხ ო მ ა ს უ რ ი ძ ე, 1981 — ზმნის ა-პრეფიქსი და სასუბიექტო მიმღეობა ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, V, თბილისი, 1981.
- ს. ხ ე ნ დ ა ძ ე, 1927 — ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები, ქუთაისი, 1927.
- ზ. ჭ ა თ ა რ ი ძ ე, 1979 — ენის ფონეზური შედგენილობის დადგენისათვის (სალიტერატურო ქართულის მაგალითზე), არნოლდ ჩიქობავას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, თბილისი, 1979.

ВОПРОСЫ ФАКУЛЬТАТИВНОЙ ГРАММАТИКИ ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

Резюме

1. Факультативная грамматика изучает такие формо- и словообразующие явления, которые нетипичны для данного языка.

Формальные элементы языка в большинстве случаев имеют стабильный семантический статус, т. е. в одной и той же позиции тот или иной формальный элемент всегда выражает одно и то же значение.

Но для языка характерны и такие случаи, когда какой-либо элемент приобретает способность факультативного выражения значений, обычно не характерных для него.

2. С этой точки зрения анализируются следующие явления в грузинском языке:

а) фонетические варианты: ი-ბნ-ევ-ა «теряется» — ი-ბნ-ევ-ა «сыплется», აღ-დგომ-ა «воскресать» — აღ-დგომ-ა «встать»...;

б) взаимоотношение преврбов, которые имеют возможность менять залоги глаголов: ა-ქვ-ს «имеет» — მი-ა-ქვ-ს «несет»...;

в) параллельные образования форм множественного числа, противопоставленные лексически: სხვა-თა შორის «между прочим» — სხვ-ებ-ს შორის «среди других», ორ-ნ-ი «двое» — ორ-ებ-ი «двойки»...;

г) параллельные образования форм действительного и страдательного залога, различающие лексические значения: ა-პირ-ებს «намеревается» — პირ-ავ-ს «точит», ი-წვ-ის «горит» — ი-წვ-ებ-ა «жарится»...

д) формы версии, которые факультативно могут противопоставлять как грамматические значения несовершенного и совершенного вида (კ-კბნ-ა «кусал» — უ-კბნ-ა «укусил»), диминутива и статива (ა-ღრი-ს «сравнивает» — უ-ღრი-ს «равняется»), так и лексические значения (ბან-ავ-ს «увидит» — ი-ბან-ავ-ს «прячет», ყიდ-ის «продает» — ი-ყიდ-ის «купит»)...;

е) личные показатели, используемые с целью различения лексических значений: წევ-ს «лежит» — ს-წევ-ს «тянет»...;

ж) суффиксы, образующие основу форм настоящего времени: მართ-ავ-ს «управляет»—(ჰ)მართ-ებ-ს «должен кому-нибудь, имеет долг», წამლ-ავ-ს «отравляет»—წამლ-ობ-ს «лечит»...;

з) параллельные образования причастных форм: მასესხებ-ელ-ი «тот, кто отдает в долг»—მასესხებ-ებ-ელ-ი «тот, кто берет в долг», ср.: მ-ა-შენ-ებ-ელ-ი ო მ-შენ-ებ-ელ-ი «строитель»...;

и) словообразующие форманты, используемые с целью выражения нетипичных для них лексических значений: ხუთ-იან-ი «пятерка»—ხუთ-ობ-იან-ი «отличник», საქმ-იან-ი «деловой»—საქმ-ობ-იან-ი «делец»...;

к) глагольные формы, образованные от синонимов, но выражающие совершенно иные значения: მხეც-ი ო ნადირ-ი «зверь» → მხეც-ობ-ს «звереет, ведет себя как зверь», но: ნადირ-ობ-ს «охотится»...;

3. Вопрос факультативности ставится по отношению к синхронным данным языка; в свою очередь, факультативность может быть следствием двух явлений:

а) либо тех процессов, которые происходят в языке в данное время;

б) либо исторически законченных процессов, пережиточные явления которых в современном языке используются совершенно в иных назначениях.

4. Возможность применения факультативных средств — весьма значительное свойство языка: язык не создает материал новый элемент для новых значений, а вводит в новые взаимоотношения и, тем самым, в новую систему уже существующие элементы, давая им новую семантическую нагрузку.

5. Выявление факультативных явлений, наряду с основными формо- и словообразующими средствами, способствует изучению языка в динамике, действии.

6. В лингвистической литературе термином «факультативность» обозначаются и явления вариантности в языке. Вариантность—совершенно иное свойство языка, существенно отличающееся от факультативности. Вариантность не выходит за пределы типичных образований, факультативность же, напротив, предполагает использование формальных средств языка для совершенно иных, нетипичных, назначений.

7. Несмотря на то, что под факультативностью подразумеваются нетипичные явления, тем не менее и они обусловлены внутренними тенденциями языка, т. е. факультативность не предполагает незаконмерности языковых образований. Законмерность в пределах нетипичности определяет факультативные явления в языке.

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა	3
შესავალი	4
თავი I. ფონეტიკურ სახესხეობათა ფაკულტატიური დანიშნულებისათვის	21
თავი II. ზმნისწინთა ფონეტიკური ვარიანტების ფაკულტატიური დანიშნულებისათვის ქართულში	47
თავი III. ზმნისწინთა მორფოლოგიური ნაირსახეობების ფაკულტატიური დანიშნულებისათვის ქართულში	90
თავი IV. მნიშვნელობათა გამოხატვის პარალელურ საშუალებათა ფაკულტატიურად გამოყენებისათვის	96
თავი V. გვარის ფორმათა ფაკულტატიური გამოყენებისათვის ქართულში	108
თავი VI. ქცევის ფორმათა ფაკულტატიური გამოყენებისათვის ქართულში	116
თავი VII. პირის ნიშანთა ფაკულტატიური დანიშნულებისათვის ქართულში	143
თავი VIII. ზმნურ ფუძეთა წარმოების ფაკულტატიური გამოყენებისათვის ქართულში	150
თავი IX. მიმღობის ფორმათა ფაკულტატიური გამოყენებისათვის ქართულში	173
თავი X. სიტყვათწარმოებითი საშუალებების ფაკულტატიური გამოყენებისათვის ქართულში	190
თავი XI. სინონიმთაგან ნაწარმოები ფორმების სემანტიკური დაპირისპირებისათვის ქართულში	200
ძირითადი დებულებანი და დასკვნები	219
ბიბლიოგრაფია	222
რეზიუმე (რუსულ ენაზე)	225

Бесарион Аркадьевич Джорбенадзе
ВОПРОСЫ ФАКУЛЬТАТИВНОЙ ГРАММАТИКИ
ГРУЗИНСКОГО ЯЗЫКА

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1985

გამომცემლობის რედაქტორი ც. ჭიშკარიანი

მხატვრული რედაქტორი ი. ჩიქვინიძე

ტექნიკური რედაქტორი ი. ხუციშვილი

კორექტორი ნ. ქანთარია

სბ 1186

გადაეცა წარმოებას 24.05.85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.10.85.

უე 11226. საბეჭდი ქაღალდი № 1. 60×84¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 14. სააღრ.-საგამომც. თაბახი 10,74.

ტირაჟი 1700. შეეკეთის № 513

ფასი 1 მან. 40 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჯავახიშვილის პროსპექტი, 14.

Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭ-
რობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომ-
ბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. 5-

Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР
по делам издательств, полиграфии и книжной торговли,
Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.